

## გუმინდელნი

### კომედია 3 მოქმედებად

#### მოქმედნი

მალხაზ პატრიშაძე, მამასახ-  
ლისი.  
კეკელა, მისი ცოლი  
აგრაფინა- ამათი შვილები  
ადიკო-  
პაპუნა პიტრიშაძე, მალხაზის  
ბიძა.  
ჯიბო კვანტრიშვილი, მა-  
მასახლისის მოწინააღმდეგე  
დათია, ამისი მომხრე

კოწია, თავადი  
მისი კნეინა  
ფაცია, მათი ასული  
კარლო ყაყუტაძე  
ბერდოსანი, გენერალი  
ჩიტუნია კნეინა  
ფოფოღია  
მაზრის უფროსი  
ჩალიანი, ბოქაული

თავადი გორგასლანიანი-სტრაჟნიკები  
ჯვებე ქოლორდავა-  
სტუმრები, გლეხები, მსახურნი,

მოქმედება სწარმოებს ჩვენში, 1905 წლის შემდეგ 1910 წლამდე.

#### მოქმედება პირველი

მამასახლისის ოდის აივანი. ზაფხულია. კეკლუცი სანახაობა: მთები, მოშორებით  
ძვალა აივნის ნანგრევი. უფრო ახლოს მოჩანს ორსართულიანი, კიბეჩამონგრე-  
ული სასწავლებელი და გუმბათგადმომტვრეული ეკლასია. აივანზე, აქეთ-იქით  
კუთხეებში ხალიჩაგადაფარებული ტახტები დგას. შუაზე-დიდი სასადილო მაგი-  
და. ზედ მუშამბა აქვს გადაფარებული. მაგიდის ზემოთ, ჭერში, ჩვეულებრივი  
შუშის ფარანია ჩამოკიდებულია. შიგ ნავთის ლამპარია შედგმული. ირგვლივ მა-  
გიდას სელის სკამები ულაგია.

ა

**კეკელა, პაპუნა (მაგიდას უსხედან).**

**პაპუნა**

ჰოდა, არ ვარგა, შენ არ მომიკვდე, არ ვარგა ასე. რამდენჯერ უთხა-  
რი, რომ არ დეიჯერა?

**კეკელა**

ეჰ, თავის ნათქვამი კაცია ჩემი მალხაზი. აქამდე რავა ვერ გეიგე ბე-  
ჩა, პაპუნა!..

**პაპუნა**

გევიგე რა?.. როცა სოფელი მამასახლისად ირჩევდა, იმიტომ გადავ-  
დევით ყველამ თავი, რომ ეს პირველი მაგალითი იყო --- ასე თუ ისე  
ნასტავლი კაცი მამასახლისად დაგვეყენებია...

### **კეკელა**

ნეტაი, შენის კარგა ყოფნით, სულაც არ ამოგერჩიათ... უსიამოვნო-  
ბის მეტი რა შეხვდა!

### **პაპუნა**

საზოგადოების სამსახური ეგეთია, ქალო... ვინმე მომდურავი რომ არ  
დაგრჩეს არ შეიძლება, მაგრამ...

### **კეკელა**

ეჰ, გენაცვალე!.. აქ არის და ეს კვანტრიშვილები მოიმდურა... სო-  
ფელი ორად არის გაყოფილი. ზოგი ჩემ ქმარს ემხრობა და ზოგი  
კვანტრიშვილებს... ახლა კიდევ მთავრობაც ცუდი თვალთ უცქე-  
რის...

### **პაპუნა**

არა, მაგისი არ მეშინია. ჩემი მალხაზი მეტად ჭკვიანი კაცია, ნასტავ-  
ლიც არის და მთავრობასთან იცის რავარც მეიქცეს, მაგრამ მე გულ-  
ის მტკენს, რომ აქამდის არ იქნა და ვერც ამ ეკლესიის განახლება  
მოახერხა, ვერც ამ უბედური სასტავლებლის გადაწყვიტა რამე... გა-  
დაყვევით, ბატონო!.. შენი თქმის არ იყოს, სოფელი ერთიმეორეს  
შეჯახებული ვართ...

### **კეკელა**

შენი ბრალიც კია, პაპუნა ჩემო... რომ გადევკიდე იმ კვანტრიშვი-  
ლებს... არ იქნება, სასტავლებელს ვერ დაგანებებთო...

### **პაპუნა**

ერიჰა... ახირებული ხარ, კეკელა არ მომიკვტეს... ცხვირის წინ, ეხო-  
ში სასტავლებელი გვექონდა და ახლა საცხა, სოფლის განაპირ-ს,  
კვანტრიშვილებს უნდა დავანებო?

### **კეკელა**

არ დაანებეთ ბატონო და, აი... არის აგერ კიბეჩამომტვრეული და  
სახურავგადახდილი...

### **პაპუნა**

ჰოდა, მაგას ვემდურით შენ ქმარს! მამასახლისი კაცია... გავლენა  
უშველებელი აქვს... არ იქნა და მთავრობას ვერ მოახერხებია, რომ  
სასტავლებელი ჩვენთვის დეტოვებია...

### **კეკელა**

იქამდე მიიყვანეთ საქმე, რომ ახლა, მგონია, თვითონ სოფელსაც აღარ უნდოდა სასტავლებელი... საცა უნდათ, იქ წეიღონო.

### **პაპუნა**

რას ამბობ, ჩემო რძალო! ჩვენი სოფელი იტყვის "სტავლა არ გვინდაო?" ვაი დედასა! ერთ დროს ჩვენი სოფლისთანა მოწინავე სოფელი არც კი იყო ამ მხარეზე. აბა, ერთი ჩამოთვალე, ჩვენდენი ნასტავლი ახალგაზრდობა რომელ სოფელს ჰყავს?

### **პეპელა**

ნასტავლი თვარა.. ეგერ კარლო ყაყუტამე რომაა, იმისთანა თუ გვეყოლა, აგვაშენებს...

### **პაპუნა**

ოჰ, ის, შე კაცო, ცოციალისტია, ვინ არ იცის მისი ამბავი...

### **პეპელა**

ჩამობრძანებულა ახლა და კიდევ აგვიმტუტებს სოფელს...

### **პაპუნა**

არა! ახლა ძალიან მოთოკილია თურმე.

### **პეპელა**

ნეტაა სულ გოუნთავისუფლებიათ?

### **პაპუნა**

სულ ახლა არაფერი ეხებე თურმე. მაგრამ მე მაგისტანებზე არ ვაბობ. ეგერ სიკოს შვილი... იცი, მალე მიროვი სუდიათ დანიშნავენ თურმე, ელიზბარის ვაჟი კარგი ხანია ნატარიუსია. ლადიმერი ხომ რამდენი. წელიწადია სუდეზნი პრისტავად არი... რომელი ერთი ჩამოვთვალო... დაწინაურებული ახალგაზრდები გვყავს... ახლა კიდევ ჩვენი საერთო იმედი, შენი ვაჟიც მოგვემატა. მართლა, რაც ჩამევიდა ჯერ კი არ მინახავს... რავარია?

### **პეპელა**

ენაცვალოს იმას დედა, რა უჭირს, კარგად რის, მაგრამ იცი, პაპუნა? თითქოს ხასიათი სულ გამოცვლია...

### **პაპუნა**

შე დალოცვილო! ორი წელიწადი არ ჩამოსულა კაცი... ზაფხულიც იქ, რუსეთში გაატარა... და დავაეკაცდებოდა, გამეიცვლებოდა.

### პეპელა

რა ვიცი, გენაცვალე! უწინ იყო, გიმნაზია რომ დაასრულა, სულ იმ წიგნებს ჩასჩინებდა, თავს ზეით არ იღებდა და, თუ ვინმესთან წევიდოდა, ისევ იმ შეჩვენებულ კარლო ყაყუტაძესთან მიდიოდა. შეშინოდა, არ გამიცოციალისტოს-მეთქინ. ახლა არიდა, რის წიგნები, რას ამბობ!.. სულ მუდამ ჩხუბი აქვთ ამაზე იმას და მის დას, ჩემს აგრაფინას... აგრაფინა ხომ იცი რა ქალიც დადგა...

### პაპუნა

ო, ანგელოზი ბოვშია სწორედ...

### პეპელა

ჰოდა, ახლა ჩემი ადიკო დილაზე რომ წამოდგება, მაშინვე საბანაოდ მიდის. მერე მოვა და სულ რაღაცა მალაყებს აკეთებს, მკლავებს ატრიალებს, ბიჭებთან ჭიდაობს. არ გინახავს რა ჩაცმულია?.. დედიშობილათ რომ იტყვიან, სწორედ ის არი. რაცხა ჭრელი პერანგი ჩოუცვამს... სახელოები მოკლე, წამკლავებული, მკერდი" მოლიავე-გული, თავშიშველი; ვეუბნები: ბიჭო, გაცივდები, ან რას გავს ასე სიარული-მეთქინ. ქუდი მაინც დეიხურე, მზე მოგეკიდება, დაგწვავს-მეთქინ. შენც არ მომიკვტე! დარბის და დაკვინტრიშობს... ახლა კიდევ იმ კნიაჟნას, უქნარამის ქალს გადევიდა.

### პაპუნა

ოო, კოწიას ქალს, ფაციას?

### პეპელა

აბა!.. სულ ერთად არიან. ხან ტყეში, ხან ღრეში... რა ვიცი! უფრო კი ჩვენ ციხე-ბურჯთან. აქიდანო, ლამაზი გადმოსახედავიაო.

### პაპუნა

შეხედე ადიკოს!..

### პეპელა

ვეუბნები: ბიჭო, რას გადაკიდებიხარ მაგ კნიაჟნას, რა შენი საჭმეა... ან მარტო ახლა ნახე? რა ღმერთი გაგიწყრა... ბოვშიაში თითქმის ერთად ხართ შეზრდილი-მეთქინ.

### პაპუნა

მართლაც, თითქმის ერთად არ არიან შეზრდილნი?

### პეპელა

მერე, იცი რას მეუბნება?... "დედა, კნიაჟნა გაკეთებულა, დამშვენებულია, მომწონს ძალიანო"... ურცხვი გამხდარა, ურცხვი ის სამაგელი ბიჭი.

### პაპუნა

ეს ვერაფერი მითხარი, შენ ნუ მომიკვტე... იცი, კნიაჟნა რა ახტაჯანაა!..

### პეპელა

ეჰ, როგორ არ ვიცი. სულ ჩვენსა არ აგდია ჰთელი მათი ოჯახი?

### პაპუნა

საწყლები, რავა გალატაკდენ...

### პეპელა

იცი, პაპუნა ჩემო? ჭადი არა აქ სახლში, ჭადი, იმ საწყალ კოწიას...

### პაპუნა

რავა არ ვიცი! მარა ისე კი ძალიან იბღინებებიან ისევე...

### პეპელა

იი, ამპარტავნება და სიამაყე თუ... გოდრით, გოდრით!.. მოაწევს თუ არა სადილობის დრო, განსაკუთრებით კვირა დღეობით, გევიხედავთ და თავადი კოწია მისი უკვდავი ჯორით, მოადგება ჩვენ ეზოს... მერე, ვითომ ნასადილევი, მობრძანდება მისი კნეინაც... მარა სადილზე კი შემოგვისწრებს... აი იქით, აი აქეთ... პირველ ხანად ძალიან უარზეა, მარა მერე, იცოცხლე... ისე მიირთმევს, რომ რა გითხრა!.. და მათი ქალი ფაცია ხომ, ამ ზაფხულს მაინც, ღამეს არ ათევს ჩვენთან თვარა სულ აქაა.

### პაპუნა

ეჰ, მაგ ოჯახის ამბავი რავა არ ვიცი... ეგ კოწია ხომ მარტო თქვენთან არ დეიარება სადილად. მთელი სოფელი შეჯერებული ყავს: დილით, მოაჯდება თუ არა თავის ჯორს, მთელი სოფელი უნდა შამეიაროს, ყველგან უნდა მივიდეს, ყველაფერი გეიგოს. ჩვენთანაც, პინტრიშაძეებთანაც დეიარება და კვანტრიშვილებშიაც.

### პეპელა

ოო, რა მეჭორეა, რა მეჭორე!

### პაპუნა

პირდაპირ ცოცხალი გაზეთია...

**პეპელა**

ახლა საცაა გაჩდება. დღეს ხომ კვირეა და... აბა, ერთი გადახედე...

**პაპუნა (აივანზე გადაიხედება)**

მაღლი ხსენებაზეო... ჰა, აგერ არ მოჩაქჩაქებს მისი ჯორით?!

**პეპელა**

ო, რა ლაქუცაა! აქ ჩემ ქმარს ეფერება და იქ კი ძირს უთხრის...

**პაპუნა**

ეეჰ, მაგას რა შეუძლია, ვინ რას გოუგონებს.

**კოწიას ხმა (გარედან)**

მასპინძელო, მასპინძელო! შინა ხართ?

**პაპუნა (გადასმახებს)**

მობრძანდით, თავადო კოწია, მობრძანდით! შინ გახლავართ, ბიჭო, ჯორი ჩამოართვი კნიაზს.

**პეპელა**

ეჰე, მოვა ახლა და დაგვიწყებს მისი მადნის ამბავს.

**პაპუნა**

მართლა, მადანი გამოუჩნდათ, გონია, ყოროლის მთებში.

**პეპელა**

ეჰ, რა ვიცი, გენაცვალე! აგერ რამდენი ხანია მე და შენ ქვეყნად ვცხოვრობთ და მათგან სულ მაგ მადნის ამბავი გვესმის.

**პაპუნა**

ჰოო, მუდამ ჯიბით დაათრევს მადნებს, მაგრამ ახლა საკუთრად მაგათ გამოჩენიათ...

**პეპელა**

სუუ, კიბეზე ამევიდა. (წამოდგება მისაგებებლად).

**ბ**

**პაპუნა**

მობრძანდით, კნიაზო, მობრძანდით...

**კოწია**

(ახმახი, ჭადარაშერეული, ძალიან ღარიბული ჩოხა-ახალუხით, წელზე უზარმაზარი ხანჯალი ჰკიდია).  
ვახლავართ ჩემს საყვარელ კეკელას... ჰაი გიდი, რა გადაბდლიალებული ხარ ისევე... (ხელს ართმევს).

**კეკელა**

უი, შენ კი რა გითხრა!

**კოწია**

გამარჯობა, პაპუნა! ხელს ართმევს მამაჩემი არ წამიწყდეს, გასათხოვარი ახლა ხარ...

**პაპუნა (იღიმება).**

კნიაზო, კიდე არ მეიშალე ხუმრობა?

**კოწია**

რისი ხუმრობაო, კაცო, არ გახსოვს?.. კუდი-კუდში დავდევი კეკელას... მაგრამ მაჯობა ყაზილარმა მალხაზამ... ვერ გაჭრა ჩემმა თავადიშვილობამ...

**პაპუნა**

მართალია, კეკელა! მამაშენი ძველი აზნაურიშვილი იყო და კნიაზისთვის კი უნდოდა მიეთხოვებოდა.

**კოწია**

როგორ არა, მაგრამ მალხაზა ჩემზე შეძლებული იყო და...

**კეკელა (კოწიას)**

იჰ, კარგია ერთი, მამაშენი ნუ წაგიწყდება, რა დროს ჩვენი ხუნტრუცია?

**კოწია**

არა, მეც წავხდი ყაზახი... რაღაცის მომერიდა. ეს დრო მქონოდა... რის შეძლებაო, მალხაზა რავა მაჯობებდა... ჩემი ამბავი ხომ გეიგეთ?

(ამ საუბრის დროს ყველანი სხდებიან)

**კეკელა და პაპუნა (ერთად)**

რომელი ამბავი, ბატონო?

**კოწია**

მადანი რომ გამომიჩნდა!

**პაპუნა**

ჰოო... მადანი! დალოცვილო, სულ ამ მადნების საქმეში არ ხარ შენი დღენი?

**კოწია**

არა, შენ არ მომიკვტე...

**კეკელა**

აი, ის, თქვენ მთებში რომ გამოჩნდა?

**კოწია**

კი, შენ ნუ მომიკვტე... აგერ არ მაქ!.. (ამოიღებს ჯიბიდან სხვადასხვა მადნეულს და აწყობს დიდ მაგიდაზე. ერთ-ერთს უჩვენებს). აა, ესაა... ბარიტი, ნამდვილი ხალასი ბარიტი... (კეკელა და პაპუნა სინჯავენ). ამ კვირეში აშრაფიანი იყო ჩემთან... აი, სომეხი რომაა, ფოდრიაჩიკი... ოო, მდიდარი კაცია საშინელი! მყავდა ადგილებზე. ძალიან მეიწონა, კონტრაბტითაც შევეკარით მე და ჩემი მონაწილეები ოცდაათი წლით. ამ კვირეში ინჟინერი უნდა მეიყვანოს და მუშაობას შეუდგება კიდევ.

**კეკელა**

კაი დაგემართოს, კაი ამბავია!

**პაპუნა**

შენ ნუ მომიკვტე, ეს ძალიან საქმე დაგმართია... რამდენად გოურიგდით, ბატონო?

**კოწია** (წელში გაიმართება. კმაყოფილი სახით)

ყოველ გამომუშავებულ ფუთზე, ბატონო, ალაგობრივ სამი კაპეკი უნდა მოგვცეს...

**კეკელა**

მერე ბევრია, ბატონო, ეგ მადანი?

**კოწია**

იმე, რას მიბრძანებ, კეკელა?! ბევრი კი არა, ჩემი შვილი და შვილი-შვილი ვერ გამოლევს იმდენია. მთაა, ბატონო, უზარმაზარი მთა. ხუთი ვერსი სიგრძე აქ და ორი ვერსი განი.

**პაპუნა**

მე კი არ ვყოფილვარ, ბატონო, იმ თქვენ მთაში...

**კეკელა**

კაი ყოფილა, შენ ნუ მომიკვტე...

**კოწია**

პეტრე ორიოდე გროში დამიტოვა ახლა აშრაფიანმა და... (თითქო ხუმრობით) ახლა კი მიფრთხილდით, თქვე მუჟიკებო... არა, ქალბატონზე არ მოგახსენებ, ეგ თქვენ გაგვიმუჟიკეთ თვარა... თქვენ კი გაჩვენებთ სეირს, ვინ უფრო იქნება შეძლებული...

**პაპუნა**

თავადებს, ბატონო, ღმერთი გწყალობთ. იმდენი რამე კი დოუტოვებია თქვენ წინაპარს, რომ... გგონია ახლა კი დეილუპაო, და სწო-



რედ მაშინ გამოგიჩივებთ ან მადანი, ან ტყე, ან შავი ქვა, ან ცხელი ნაცარი, ან რაცხა ჯანდაბა და...

### კოწია

აბა როგორა გგონიათ!.. თუ არ მოვკტი, ახლა კი დოუტოვებ ჩემ ქალს ფაციას კარგ სამემკვიდროს... ფულები თუ? სულ ჩეჩქივით. მართლა, ღმერთი არ გოუწყრეს იმ თქვენ ტინგიცა ბიჰს ადიკოს... რაცხა სულ ფაციას დასდევს და...

### კეკელა (სახე მოედუშება).

ეეჰ, კარგია ერთი, მამა ნუ წაგიწყდება.

### კოწია

არა... მე არ ვიწუნებ... გლეხია, მართალია, მაგრამ ნასწავლია... ამდენი კი მესმის, მხოლოდ... ხელი ფაფას! --- თავს გოუტებს უბედურს ჩემი ფაცია... მოკლავს, შენ ნუ მომიკვტე...

### კეკელა

რავა გეკადრება, ბატონო... რა ადიკოს საქმეა თქვენი ქალი... კნიაჟნა. ახლა კიდო, თუ მართლა ამდენი სამემკვიდროც დარჩა...

### კოწია

ოო, ეგ არის, რაც არის... ეგ, ჩემო ძმაო, ვერცხლის მადანია...

### პაპუნა

უმე, ვერცხლი კი არა...

### კოწია

შენ ნუ მომიკვტე!.. მაგრამ ვერ გეტყვი კი სად არის... მე აღმოვაჩინე... ეს კიდევ ოხრაა, საღებავი. კაცო, ვერ წარმოიდგენ რა ფასი ჰქონია.

### 8

(შემოდის შაუმჩნევლად კარლო ყაყუტაძე. გამხდარი ახალგაზრდა, ხალათი აცვია. თმა მოშვებული აქვს და "ჟოკეის" ქუდი ჰხურავს. შეჩერდება აივნის ხარისხსთან).

### კეკელა

ოჰ, თქვენ ბრძანდებით?

**კარლო**

უკაცრავად, ბატონო, მე თქვენი ვაჟის სანახავად გახელით.

**კეკელა**

ადიკო არ გახლავთ შინ... მობრძანდით, ბატონო.

**კოწია**

ბიჭო, ეს ჩვენი ცოციალისტი არაა, კარლო ყაყუტაძე?

**პაპუნა**

კი, ბატონო, კარლოა...

**კეკელა (კარლოს)**

მაინც რა გნებავდათ?

**კარლო**

ბევრი არაფერი. ეს ორი წელიწადია რაც ჩემი წიგნები ადიკოს აქვს და... ძალიან მჭირდება. განსაკუთრებით მარქსის "კაპიტალი" შეირჩინა და შეირჩინა...

**კოწია**

ბიჭო, კიდევ არ მეიშალე ი მაქსიმეა თუ რაღაც, იმის ამბავი?..

**კარლო (არ უპასუხებს)**

**კეკელა**

დაბრძანდით, ბატონო. საცაა ადიკოც მოვა და ყველაფერს ის მოგახსენებთ. არც აგრაფინაა ახლა სახლში, თვარა ის მოძებნიდა. მე, ხომ იცით, რუსულ წიგნებს ვერ ვარჩევ. რომ ჩამევიდა, ადიკომ კი მკითხა: კარლოსთვის წიგნები არ გადაგიციათო? მაგრამ, აბა, საიდან?.. მე არც ვიცოდით რა წიგნები იყო და იმ ხანებში თქვენც დაგიჭირეს... მეც მეშინოდა... სადღაც მივმალეთ... თუ გნებავთ, გიჩვენებთ და თვითონ თქვენ გამოძებნეთ.

**კარლო**

არა, ბატონო... სად იქნება თვითონ ადიკო?

**კეკელა**

რა მოგახსენოთ? ეკლესიისაკენ თუ გაისეირნა... მოუცადეთ.

**კარლო**

არა, თუ შევხვდი, ის იქნება, თუ არა და, ნახევარი საათის შემდეგ კიდევ შემოვივლი...

### **კეკელა**

ძალიან კარგი, რავარც გნებავთ.

### **კარლო**

(ყველას თავს დაუკრავს და გადის)

### **კოწია**

ძალიან არ შეფერტხილა ეს ჩვენი ცოციალისტი?

### **პაპუნა**

მისი ბრალია, რაც მაგას ციხის კედლები ალესიეს...

### **კოწია**

აი დასწყევლოს მაგათი თავი!.. მე ხომ არაფერში გავრეულვარ მოძრაობის დროს, მაგრამ მაშინ არ იყო სამაგალითო, მადნის საქმე რომ მქონდა მიხრანინანცთან გათავებული?.. მაშინ დაიწყეს!.. რას ლაპარაკობ?! აღარც მუშა, აღარც კაცი... ფოდრაჩიკიც გამექცა, არც ფული და არც ბისტი...

### **პაპუნა**

ეეჰ, კარგია, შენი ჭირიმე...

### **კოწია**

ახლა რა მიწდაო ნეტაი?.. რას აპირებს?..

(მოისმის ფაციას ხმა შინა ოთახებიდან)

### **ხმა გარედან**

რა სულელი ხართ, ღმერთო ჩემო! (უპასუხებს ადიკოს ხმა).

სისულელეა, როდესაც საგანს პირდაპირ თავის სახელს უწოდებ?

### **პაპუნა**

ეჰეე, ადიკო და კნიაჟნა ფაცია მოსულან...

### **დ**

ფაცია (შემორბის)

### **ადიკო**

(ნელა მოჰყვება, ისეა მორთული, როგორც კეკელამ აღწერა)

### **ფაცია**

ოო, მამაც მობრძანებულა!.. რა ამბავია? ისევე შენი მადნები გაგიშლია?.. გამარჯვება, შენი ჭირიმე, კეკელა. (კოცნის). პაპუნას ვახ-

ლავართ.

**ადიკო**

(კოწიას ხელს ჩამოართმევს, პაპუნასთან მიდის)

**პაპუნა**

ბიჭო, რა დავაჟკაცებულხარ, რამდენი ხანია არ მინახავხარ. (ეხვევა).

**ფაცია**

არა, კეკელა, შენი ჭირიმე, უკაცრავად ვარ და ძალიან კი გატუტ-  
ცებულა თქვენი ადიკო.

**კოწია (ადიკოს)**

შენ ეი, ჩემო ბიძია, ფრთხილად იყავი ჩემს ფაციასთან... მთელ  
სოფელი "ახტაჯანას" ტყუილა კი არ ემახის... მოგკლავს, შე უბე-  
დურო, დაგცხებს თავში კეტს და...

**ფაცია**

ოჰ, რას ამბობ, მამა?

**ადიკო**

ქართველმა ქალებმა, აბა, სხვა რა იციან... "კეტი, შამფური და რკი-  
ნა", ერთი ახალი ლექსის არ იყოს... მერე? ეს შიშისაგან მოსდით,  
შიშისაგან. გაუბედავები არიან, ლაჩრები. თქვენ გგონიათ ეს მიუ-  
კარებლობა გამბედაობით მთსდით? ეშინიათ უბედურებს... ეში-  
ნიათ, რომ დასტკბენ ამ ცხოვრებით. გულში სხვა აქვთ და საქციე-  
ლით კი ვერ ამხელენ. აი, ვაჟკაცია ვინმე, მოსწონს ქალს, უნდა მა-  
სთან შეერთება, მაგრამ...

**კეკელა**

აა, დეიწყო, დეიწყო...

**ადიკო**

რა დავიწყე?... აი, კნიაჟნა ფაციას ვიცი მოვწონვარ, უნდა ჩემი  
მოხვევნა...

**ფაცია**

იმდენი თავში კოპი შენ... (სიცილი).

**კეკელა**

ჩუმად, ბიჭო. ჩუმად, რას ჩურჩუტობ? არ გრცხვენია?

**კოწია**

არა ბატონო, ახლა სულ სხვა ახალგაზრდობაა... მაგრამ მაგას... (ფა-  
ციაზე) უფრთხილდი კი.

**კეკელა**

ის სჯობია... წელან აქ კარლო ყაყუტაძე იყო... წიგნებს გთხოვს...  
ის მოუძებნე...

### ადიკო

ოო, ჩვენი კარლო? (თითქოს თავისთვის) აი კაცი, რომელიც ერთ  
წგრტილზე გაიყინა.

### ფაცია

აჰ, აჰ, თქვენ კი, თქვენ არ იყინებით ერთ წგრტილზე? სდულთ და  
თუხთუხებით, არა?

### ადიკო

ვინც ცხოვრებას ფხიზლად უყურებს, მისი შეხედულებაც იცვლება  
მიმდინარე ცხოვრების მიხედვით. განათლებულმა ქვეყანამ უკვე  
ყურადღება მიაქცია იმას, რომ დაავადმყოფდა სულიერ სიმშვენიე-  
რის ძებნაში. სხეულის სილამაზე სულ დაავიწყდა და დაგლახდა,  
მოჩივდა. აი, ახლა უკვე იწყება განახლების ხანა, ძველი ელლინე-  
ბის სხეულით გატაცება კვლავ გვიბრუნდება: სხეული უნდა გან-  
თავისუფლდეს ამ მწვრებისაგან და მზის ცხოველ სხივებზე აელვარ-  
დეს მისი მშვენიება...

### პეკელა

ამიტომაც გაშიშვლდი, შე საძაგელო?

### ადიკო

აბა, რასა გავს?!.. აი კნიაჟნა ფაცია... ტანზე კორსეტი შემოუჭირე-  
ბია, ლალი და ახალგაზრდა სხეული სულ დაუფარავს...

### კოწია

არა, ბიძია, პირი არ დაგწვას... ძალიან გინდა გააშიშვლო, მაგრამ...

### პეკელა

უი, უი, რას ამბობთ, გენაცვალე... არა, მე გაგეცლებით, ისევ სამზა-  
რეულოს მივხედავ, თვარა თქვენი ლაყობის ყურის გდება არ გა-  
მომადგება. (მიდის, ადიკოს ჩაუვლის). არა თქვა, შვილო, მაგისტანა უხი-  
აგი. რავა გეკადრება!.. ქალიშვილი ქალია. შერცხვება... (გადის)

### ფაცია

ძალიან უნდა ჩემი გაწითლება, მაგრამ უზრდელი სიტყვა-პასუხი  
უზრდელად დარჩება და მეტი არაფერი...

### ადიკო

ეს უზრდელობა კი არა, ნამდვილი გულის თქმაა, რომელსაც თქვენ  
მაღავთ და მე კი გარეთ გამომაქვს...

### **პაპუნა**

ამისთანების არაფერი გამეგება, მაგრამ რა დაგმართია, ბიჭო!.. რა-  
ღაც უწმაწურად კი ლაპარაკობ.

### **ადიკო**

ეეჰ, ბიძია, ამას ვერ მიხვდები, აქ ვერც ვერავინ გამიგებს... აი, კნია-  
ჟნას კი ესმის ჩემი... ინსტინქტურად, მაგრამ განგებ თავს იყრუებს...

### **ფაცია**

ჰე გავიბუტე, რაც გინდათ თქვით, უზრდელობაზე აღარაფერს გი-  
პასუხებთ.

(მიდის და აივნის ხარხას გადაეყრდნობა)

### **კოწია**

არა, მართლა გამეიცვალა ქვეყანა... (ადიკოს) ჩემო შვილო, აი დედა  
შენს რომ ვეარშიყებოდი... კი არ გეხუმრები... სიზმრად მყავდა გა-  
დაქცეული, მაგრამ ცხადში კი ერთ ვერსზე ვერ გავეკარებოდი...  
საცა გაჩნდებოდა, მეც იქ ვიყავი, მაგრამ უბრალო ხუმრობასაც  
ვერ ვბედავდი...

### **ადიკო**

ეეჰ, თქვენ რომანტიკოსები იყავით... (ზურგს შეაქცევს და მიდის ფაცია-  
საკენ).

### **კოწია**

რაიო?

### **ადიკო (ფაციას)**

ვითომ მაგ გაბუტვით რა გინდაო დამიმტკიცოთ?

### **ფაცია**

მე არაფერს არ გიმტკიცებთ... სჯობია გადახედოთ სანახაობას. ხე-  
დავთ ეგერ ციხე-ბურჯს?

### **ადიკო**

როგორ არა, ვბედავ... ბავშვობიდან ვარ შეჩვეული მაგის. დანახვას.  
მაგრამ ახლოს კი უფრო კარგია. გუშინ საღამოს რა მშვენიერი იყო  
იქ ყოფნა... მაგრამ თქვენ კი ძალიან გამაჯავრეთ... (განაგრძობენ ხმა-  
დაბლა ლაპარაკს).

**კოწია**

(აქამდე პაპუნას ჩუმად ელაპარაკებოდა. ხმამაღლა)  
აბა, კაცო, კინალამ ჯორმა ფეხი არ მოიმტვრია...

**პაპუნა**

ეგ რომელი ბოგირია, ბატონო, ჩავარდნილი?

**კოწია**

აი, კაცო, ჩემი ჭიშკრის ზევით რომ არის... სულ დამპალა ფიცრები,  
აღარაფრად აღარ ვარგა.

**პაპუნა**

რას ბრძანებ?

**კოწია**

ჩაქცეულა სულ, დღეს რომ გამევიარე, გულს შემომეყარა...

**პაპუნა**

უბედურებაა, ბატონო, სწორედ. აღარც გზა გვივარგა, აღარც მი-  
სავალი. სასტავლებელი ჩვენ არ გვაქ და ეკლესია... სანერგე ბალი  
გვექონდა და სულ გაპარტახდა...

**კოწია**

მართლა, კაცო, რას შვრება ეს ჩვენი ძმისწული, ჩვენი მამასახლი-  
სი?... აი ნასწავლი კაცია, აი ასეო, აი ისეო, თავი კინალამ გადვიკა-  
ლით მაგის არჩევაზე...

**პაპუნა**

მაგას ვწუხვარ მეც. კი წვალობს რაცხას, მაგრამ ჯერ არაფერი გო-  
უვიდა საწყალს...

**კოწია**

კაცო, მამასახლისმა მარტო რა უნდა ქნას, მაგრამ რამდენჯერ გა-  
ვუგზავნეთ დეპუტაცია ჩვენი მაზრის უფროსს...

**პაპუნა**

უი, დასწყევლის ღმერთი, კაი კაცი ის არ იყო... ვის გოუგონა რა-  
მე... ამას ამბობენ, ახლა რომ დანიშნეს, ძან კაცია თურმე...

**კოწია**

ჰოო, აქებენ, მაგრამ არც მე მინახავს.

**პაპუნა**

რა გვარია, ბატონო? კი მითხრა ჩემმა ძმისწულმა, ვერ დავიხსოვებ:  
ვინცხა ლემენცია, ვგონებ.

### კოწია

ჰო, რაცხა გრიგალიაო, თუ გრიგოლია... არც მე ვიცი კარგად...

### პაპუნა

ჰოდა, შეიძლება მაგას მაინც შევასმინოთ რამე... ბატონო, ე გენერალი რომ გვყავს ჩვენს სოფელში, ის ბერდოსანი, იმას ბევრი რამე შოუძლია, მაგრამ ჩვენი სოფლის საქმეებში რომ არ ერევა!

### კოწია

იმას, იცოცხლე, შოუძლია, მაგრამ თვითონ დავრდომილია, იქით ვერ წავა და აქით. ხომ იცი, მთავრობა კარზე არ მოადგება...

### პაპუნა

რა ვიცი, რა ვიცი... ცუდადაა ძალიან ჩვენი სოფლის საქმე და კაცი არ გვყავს, ბატონო, მშველელი, კაცი... იმდენი ნასწავლი ახალგაზრდობა ჩვენ რომ გვყავს, ერთ სოფელს არ გააჩნია, მაგრამ რა!.. "ჩემი ურგები ქოთანი ქვასაო"...

### კოწია

"და შეჭამანდი ძაღლსაო!" მართალია, მაგრამ, აგერ მეიცა, ჩემო პაპუნა, ჩემი მადნის საქმე თუ ისე გაკეთდა, რავარც მე მიინდა, გზასაც მე გამევიყვან, იმ სანერგე ბაღსაც მე ვუპატრონებ, ეკლესიასაც მე აგიშენებთ, სასტავლებელსაც და ყველაფერს.

### პაპუნა

იი, კაი დაგემართოს... რა? გულს კი არ გაკლია... მაგრამ, მანამდი ჩვენ თავს თუ არ მოუარეთ, შენი მტერი...

### კოწია

სად არას ახლა მამასახლისი?

### პაპუნა

ვეზდის ქალაქში წევოდა აგერ მესამე დღეა და არ ვიცი, რა შეემთხვა?.. სოფელმა დაავალა იმ სასტავლებლის ამბავი გეეგო... კიდე რაცხა საქმეები ჰქონდა...

### კოწია

დალოცვილო, სამი დღე თუა რაც წევოდა, ჯერ რაფერ დაბრუნდებოდა... ვეზდის ქალაქი ხომ იცი რამსიშორეს გვაქ! ცხენით ერთი დღე უნდა იქ ჩასვლამდი და ჯერ არ უგვიანდება. (განაგრძობს ხმადაბ-



ლა ლაპარაკს).

**ადიკო**

(ფაციას) მაშ, გამოტეხილი მითხარით, რა გინდათ?

**ფაცია**

ჰა, ჰა!.. რა უნდა უნდოდეს ახალგაზრდა ქალს?.. გათხოვება.

**ადიკო**

ეგ მომწონს. თამამი ნათქვამია. სხვა თქვენს ალაგას მაგასაც არ იტყოდა. ეტყობა ცოტა ნაბიჯი გადაგიდგამთ წინ. მაგრამ მაინც გათხოვება გინდათ...

**ფაცია**

დიახ, კანონიერი ჯვრისწერა, ვიცი, მე გმირი არა ვარ და, რაც დაწესებულია, იმას არ შევცვლი, ვერც შევცვლი... ტანჯვა-ჯახირი, მომავალშიაც?.. არა, მეყოფა.

**ადიკო**

და გახდებით თქვენც ჩვეულებრივი ოჯახის ქალი: შვილები, სამზარეულო, სარეცხი... ღმერთო, ამ ქვეყნად რა მოწყენილობაა!

**ადიკო**

რას იზამთ? ბედმა ეს გვარგუნა... გინდათ უხუმრად გელაპარაკოთ?.. აბა, ცოტა ხანს მაინც გამოიჩინეთ სიღარბაისლე.

**ადიკო**

(ამთქნარებს). სთქვით.

**ფაცია**

ხომ იცით, ბავშვობაში, სიღარიბის გამო, მამამ მხოლოდ ეპარქიალურ სასწავლებელში მიმცა...

**ადიკო**

მმ... დიახ.

**ფაცია**

იქ საკმაოდ დიდი ნიჭი აღმომაჩნდა ხატვაში... მერე რა? საიდან შემეძლო ამ ჩემ ნიჭს გავყოლოდი?.. ჯერ თვით სასწავლებელშიაც კი დაცივნით ეკიდებოდნენ ჩემს გატაცებას და სხვა, აბა, ვინ გამამბნევებდა?!. ჩავახშე ეს მოფეთქებაც... შემდეგ ქართულმა წარმოდგენამ გამიტაცა... არც ერთ წარმოდგენას არ ვაკლდებოდი, გულში გადავწყვიტე -- თეატრისათვის თავი შემიწირა.. .

**ადიკო**

(გამოცოცხლდა) მე თეატრს პატივს არ ვცემ, მაგრამ თქვენ მართლაც შეიძლებოდა მსახიობი ქალი გამოსულიყავით... ოო, ეს კი სულ სხვა იქნებოდა...

#### ფაცია

რასაკვირველია, არც ეს მოხდა... მამას ვერ დავემდურები... საცოდავი, რაც შეეძლო ყველა ჩემს სურვილებს მისრულებდა, მაგრამ დედაჩემი!.. ოო, ძალიან შორს დაიჭირა, ჯერ ხეირიანად არც კი ესმის თეატრი რა არის, მაგრამ მაინც, სადღაც ყური მოუკრავს, გარყვნილების ბუდე ჰგონია... მერე კიდევ კნიაჟნა... "არა, შვილო, ღარიბები ვართ, ღატაკები, მაგრამ ქვეყნის სამასხაროდ კი არ გაგბდიო" ... მერე ეს ამბავი ჩვენმა შორეულმა ნათესავმა კნეინა ჩიტუნამ გაიგო...

#### ადიკო

ოო, იმ ბოზოლამ...

#### ფაცია

და იმან ხომ კინალამ ჯვარს მაცვა... და, აი, ასე დასრულდა ჩემი მოქალაქეობრივი მოფეთქება... სხვა? სხვაგან აბა, რა ასპარეზი აქვთ ქალებს, საქართველოში რომ ჰქონდეთ მაინც, და მეც... ბედს შევურიგდი... ჰა, ჰა... ახლა გათხოვება მინდა... მხოლოდ თქვენ კი არა ხართ ჩემი რომანის გმირი.

#### ადიკო

იციტ? თანდათან მომწონხართ... შედარებით უფრო თამამი ხართ, გაბედული...

#### ფაცია

არა, თუ ღმერთი გწამთუ

#### ადიკო

აქ სოფელში როგორ გეძახიან? ა, ახტაჯანა!..

#### ფაცია

(შეხედავს, სათნოდ გაულიმებს) დიახ...

"ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი, ზოგჯერ, ცრემლზე მწარეა!"

#### ადიკო

მართლა!.. თუ სცენამ ასე გაგიტაცათ, მაშ, უთუოდ რაიმე როლი მაინც გეცოდინებათ ზეპირად. ან ლექსები?..

#### ფაცია

ლექსები? ო, მე ძალიან მომწონს ახალგაზრდა პოეტები, თუ სადმე ხელში ჩავიგდე ჩვენი გაზეთები, ხან აქაურ სამკითხველოში, ხან კნენა ჩიტუნასთან, პირველად ლექსებს ვეცემი ხოლმე.

#### **ადიკო**

მე კი უახლოეს პოეტების გარდა, აი, ახლა რომ ჩვენში ფუტურისტებთან მოუნათლავთ, ვერავის ვერ ვიცნობ. ეგენი კი, ზოგი ჩემი მეგობარია...

#### **ფაცია**

მართლა? მაშ, მოდი ამიხსენით, რა არის ეგ ფუტურიზმი?

#### **ადიკო**

მოდი, მაგის ახსნას დავვთხოვოთ და...

### **ე**

აგრაფინა და ფოფოდია

#### **ფოფოდია**

(ვაშფაშა ქალი. დაღლილია, ქმინვით შემოდის). უჰ, მოკვდი, შენ ნუ, მომიკვტე, კიბეზე ამოსვლით გული ამომაგჯა.

#### **აგრაფინა**

(ქალიშვილ ნაზი ნაკვთებით, სათნო ღიმილით). მართლაც მაღალია ჩვენი კიბე...

#### **ადიკო**

(მეუგებება) აა, ჩვენს ფოფოდიას...

#### **ფოფოდია**

(ემშაკური ღიმილით) უი, გაგისკტა მიწა... ფოფოდია კი არა! ახლა ის დამიძახე, შე სარსარაკო შენ... (საერთო მისალმება და ხელის ჩამორთმევა).

#### **კოწია**

რჩოფოდია რიფადორას ვახლავართ, რიფადორას... რავა ხარ, ბეჩა--- ცოტა გაჩატანზე შესქელებულხარ...

#### **ფოფოდია**

უი, გაგისკტა მიწა, რა ენამყრალი შენ ხარ, შე უბედურო...

#### **პაპუნა**

მამა ევტროპი სად დასტოვე, ბატონო?

**ფოფოდია**

უიმე, დავტოვე კი არა... იმისმა ნაღველმა არ მომკლა. ბეჩა პაპუნა!

**ყველანი**

(გარდა აგრაფინასი) როგორ?

**ფოფოდია**

როგორ და აგერ ერთი კვირაა დავკარგე მღვდელი... ამ ეკლესიის საქმეზეა ეპისკოპოსთან წასული...

**კოწია**

იმიტომაც შესუქებულხარ, ბეჩა ნიფადორა, დოუსვენებხარ ცოტა.

**ფოფოდია**

უი, გაგისკტა მიწა!.. ის კი არა, ბეჩა, უეზდნი ნაჩალნიკი მოდის თურმე.

**კოწია და პაპუნა**

(ერთად) როგოო თუ მოდისა?

**ფოფოდია**

აბა, ეგ რა არი?

**აგრაფინა**

ჰო, წუხელის ჩვენ მეზობელ სოფელში, კნეინა ჩიტუნისთან ჩამოსულა...

**პაპუნა**

მერე, შენი ჭირიმე, მერე?

**აგრაფინა**

მერე და ახლა სოფელში გვითხრეს, რომ, მგონი, ჩვენ სოფელშიაც შემოივლისო.

**კოწია**

იმე! რაღა თქმა უნდა... ჩვენი გენერალი არ ნახოს, ისე მაინც რავა იქნება...

**ადიკო**

ეჰეე... ახლა აირია მონასტერი... Событие!..

**აგრაფინა**

ჩვენ სოფლისთვის Событие!..იქნება, აბა რა... ამდენი ხანია ამას მეელოდენ აღდგომასავით.

#### ადიკო

Я никакого участия не приму в этих торжествах...

#### პაპუნა

კაი, შენი ჭირიმე... როგორ გავჩერდით?.. სად არი ახლა ი, ჩემი ძმისწული მალხაზი... (გასძახის) კეკელა ქალო, ჩემო რძალო (გადის),

#### აგრაფინა

(ადიკოს) როგორ не примешь участия თუ აქ ჩამოვიდა მართლა... შენისთანებმა უფრო არ უნდა აუხსნან სოფლის გაჭირვება?..

#### ადიკო

ეეჰ, აბა, ახლა დეპუტატად დავდგები სწორედ... ეს სხვებისთვის დამილოცნია... მე სჯობია ასევე ჩვენ ფოფოდის გაუარშიყდე.

#### ფოფოდია

უი, გაგისკტა მიწა... გამიარშიყდები კი არა...

#### კოწია

(ადიკოს) შენ, ჩემო ბიძია, რავარი მიეთ-მოეთი ყოფილხარ... ნწ, არა ძმაო, არა...

#### ადიკო

კნიაჟნაზე ბრძანებ?.. კნიაჟნა ეს შამპანიურია...ცინცხალი, შუმხუნა... ფოფოდია კი ბულკია, სდობნი...

#### ფოფოდია

უი, გაგისკტა მიწა...

#### ფაცია

(ხელს გაიქნევს და აგრაფინასკენ გადადის). რაც უნდა ას ილაპარაკოს!

#### კოწია

(ჯიბეში ილაგებს მაგიდიდან მადნეულს). მართლაც თუ ჩამოვიდა უეზდი ნაჩალნიკი, რას ვიქეიფებთ!

#### ფოფოდია

(თვალს შეავლებს მადნეულს). ეგ რა არი, კნიაზო კოწია?..

#### ადიკო

(ქალებთან გადადის)

### **კოწია**

ჩემი მადანია, ჩემო ნიფადორა, დახედე... (უჩვენებს მადნეულს და თან ხმადაბლა რაღაცას ეუბნება)

### **აგრაფინა**

ახლა თუ მართლაც მოვიდა მაზრის უფროსი, ჯერ იმაზე შეექმნებათ ლაპარაკი, თუ სადილი სად და ვინ გაუმართოს. მერე მაინც საწყალი მამაჩემი გამოიჭეჭეყება შუაში...

### **ფაცია**

ვინ იცის, აგრაფინა, შეიძლება არც კი მოვიდეს ჩვენს სოფელში. არ იცი? ჩვენი სოფელი ღვთისაგანაც დავიწყებულია და კაცისგაბაც... რამდენჯერ ჩამოსულან კნეინა ჩიტუნისთან მაგისტანა სტუმრები, მაგრამ ჩვენს სოფელში გზადაც კი არ გაუარიათ.

### **ადიკო**

(აივნის ხარიხას დაეყრდნობა)

### **აგრაფინა**

არ ვიცი, არ ვიცი... მე ის მაწუხებს, ახლა კაცი არ გამოჩნდება, რომ ჩვენი სოფლის გაჭირვება ყველაფერი კარგად აუხსნას...

### **ფაცია**

მამაშენი აქ არ არის?

### **აგრაფინა**

ჯერ ერთი არ არის და მეორე აქაც რომ იყოს, მამასახლისი კაცია, მათი ხელქვეითი, რა შეუძლია გაუბედოს... (ამასობაში კოწიამ რაღაც სახუმარო უთხრა ფოფოდის).

### **ფოფოდია**

უი, გაგისკტა მიწა...

## **3**

ჯიბო კვანტრიშვილი, დათია და კიდევ ერთი გლეხი.

### **ჯიბო**

(აივნიდან ხელების ქნევით შემოდის). ა, ბატონო, ა, არ გეუბნებოდით!.. ბატონებს ვახლავართ... როცა გვჭირდება, მაშინ კაცი აქ არ გვყავს... ჩვენს გაჭირვებას პატრონი არ ყავს და გამკითხავი...

## გლებები

(თავს იქნევენ)

### კოწია

რა იყო, რა ამბავია, ჯიბო ჩემო?

### ჯიბო

რალა რა ამბავია, ბატონო. აგერ ყურისძირში ვეზდი ნაჩალნიკი ჩამოსულა და ჩვენი მამა სახლისი სადაა, ეშმაკმა იცას...

### აგრაფინა

თქვენი მამასახლისი, ბატონო, ისევ თქვენ საქმეზეა წრული.

### ჯიბო

ბატონო... ჩვენ საქმეზეა... რავა გაწყენიო, ბარიშნა, თვარა... სადაა ჩვენი საქმის პატრონი... რაც მამაშენი ევირჩიეთ, ჩვენი საქმე სულ უარ და უარ წევიდა... ეკლესიის საქმე იყო, გაკეთება გვინდოდა... პრიგავორი დადგენილი გვაქ, ბოლო არ მეელო, ბატონო, ამ საქმეს... ვითხოვეთ, ბატონო, მშვენიერი ადგილი გვაქვს-თქვა, აგერ ძველი ნაეკლესიართან ციხეზურჯთან, სოფლის შუაგულზეც არის, დასამხრობიცაა და ყველაფერი, მაგრამ არ იქნა და არა, სასულიერო მთავრობისგან ნებართვა ვერ მივიღეთ...

### ფოფოღია

(ყურს მოკრავს) მაგაზე არ არის ახლაც ჩემი მღვდელი გადავარდნილი?..

### ჯიბო

კეთილი ხუცესია, ვინ ამტყუნებს, ბატონო, მაგრამ ჩვენი გამკითხავი კი არავინ აღმოჩნდა და... ახლა სასტავლებელი იყოდა, ყველამ იცით რა მდგომარეობაში არის, დაკეტილია და გამოყრუებული... მშვენიერი პატარა ბაღიც გვქონდა, სანერგეებიც, პატარ-პატარათი სოფლის მუშაობასაც ასწავლიდნენ ჩვენ ბიჭებს, სულს ვითქვამდით, მარტო ვაზის დამყნობა რომ ისტავლეს, ამერიკული ვაზის, ის რად ღირდა, ან ჩვენმა ქალებმა ყაჭის მოვლა რომ ახალ წესზე დააყენეს... დიდი შეღავათი იყო, ბატონო, ჩვენი სოფლისათვის ეგ სასტავლებელი, დიდი რამე...

### აგრაფინა

დალოცვილო, მაგ სასწავლებელზე, აბა, როგორ ლაპარაკობთ?... თქვენი ბრალი არ არი?... აუტყდით მამაჩემს და მის მოგვარეებს... დანოსი დანოსზე... ცხვირწინ აქვთ სასწავლებელიო.

### **ჯიბო**

ბარიშნა, აბა რავა გინდა?.. სოფელი, ბატონო, ჩემკენ იზრდება და იქით ესახლება ხალხი... არ ამევიდა, ბატონო, ამ ხრიოკზე, ეხალხი და რავა ხოჩიმ ახლა?

### **ადიკო**

ეეჰ, მოსაწყენი ამბავი დაიწყო... წავალ, გავისეირნებ... კნიაენა ფაცია, თქვენ არ წამოხვალთ?

### **ფაცია**

(შეხედავს და გაუცინებს) რა სულელი ხართ, ღმერთო ჩემო!

### **ადიკო**

(ხელს ჩაიქნევს. კიბეზე ჩადის).

### **ზ**

### **კეკელა და პაპუნა**

#### **კეკელა**

ოო, ეს ვინ მოსულა?.. ჯიბო, კარგია გაგხსენებოვართ.

#### **პაპუნა**

მაგას კარგი საქმისათვის არ გავახსენდებოდით, ნუ გეშინია...

#### **კეკელა**

ნიფადორა, გენაცვალე, (სალამს აძლევს. კოცნის). შენი ნახვა მიამა სწორედ, ძვირი სტუმარი ხარ...

### **ჯიბო**

(პაპუნას) მეტად განაწყენებული ვარ, შენ არ მომიკვტე! სად არი ეს ჩვენი მამასახლისი?

### **აგრაფინა**

ჰოდა, აი, თუ მართლა მაზრის უფროსი მოვიდა...

### **ჯიბო**

მოვა, ბატონო, აბა, არ იცი? აგერ ყურისძირზეა, კნეინა ჩიტუნისას ბრძანდება... და რომ არ მევიდეს, თვითონ წავალ, ბატონო, დო-უჩოქებ და ვთხოვ, რომ მობრძანდეს...

### **აგრაფინა**

ჰოდა ის მინდოდა მეთქვა. აი, რასაც ახლა აქ ამბობდით, სხვას რომ ემდურით, მოუყევით, უთხარით იმ მაზრის უფროსს.



### **ჯიბო**

ეჰ, ბატონო, მე ერთი უბირი გლეხი ვარ, სად შემიძლია დალაგებით ლაპარაკი ან ვეზდი ნაჩალიკის შესაფერი სიტყვა-პასუხი ვინ მომცა, მარა აგერ, ბატონო, ნასტავლი მამასახლისი გვყავს არჩეული და ახლა მაინც უნდა გამეიჩინოს ფხა, მხოლოდ სადაა ი ოჯახაშენებუ-ლიშვილი... დაგვლუპავს ნამდვილად, ყელს გამოგვჭრის...

### **პეკელა**

რას ამბობ, აგრაფინა გენაცვალე... მაგას რომ ასე ეუბნები, მამა-შენი რავა, ენა არა აქ, თუ მიხვედრა?

### **აგრაფინა**

არა, მე იმას ვამბობ... რაკი სხვებს ისე ემდურებიან, არაფერს გვიკე-თებენო, ადგნენ და თვითონვე მოახსენონ...

### **ჯიბო**

არა, თუ მაინცდამაინც მაგაზე მიდგება საქმე... ვეტყვი, შენ ნუ მომიკვტე, აჰა, არ ვეტყვი?! ჯერ მინდა ყველაფერი კალონიერი გზით წევიდეს და, თუ არაფერი გამევიდა... წავალ, დევეჩოქები... და, თუ წამევიდა... ჩემ გზაზე არ უნდა გამეიაროს?... დავპატიუებ სადილად და ყველაფერს მოვახსენებ...

### **პაპუნა**

ოჰ, სადილად, თვარა... შენ რომ პრიბოლებს გოუმლი... შენი ყვი-ციანი სადილი ვის უნდა?

### **ჯიბო**

არა, შენ არ მომიკვტე... რავა! თუ პინტრიშაძეებს თავი მოგაქვთ, ჩვენც ქე ვართ კვანტრიშვილები ჩვენს პირობაზე... აა, ხელს არავის არ დავაკარებიებთ... სადილი... ვაი დედას!.. ისეთი ქეიფი გოუმარ-თო, რომ სულ ერთ კვირას ვარხალალო ვაძახო...

### **პაპუნა**

ოჰ, ოჰ, ნამეტანი თავს ნუ გამეიდებ... სადილს შენ ვინ გაგამართ-ვიებს, ყაზახო... თუ მობრძანდა, ჩვენსას მობრძანდება და სადილიც მამასახლასმა უნდა მიართვას...

### **აგრაფინა**

კარგია ახლა, სადილზე ნუ წაიკიდებით... სადილი საცა უნდა იყოს, სულ ერთი არ არის?

### **პეკელა**

გენაცვალე, აგრაფინა, სულ ერთი როგორ არის?

### **აგრაფინა**

ბატონო, თქვენ ეცადეთ როგორმე მოიყვანოთ და თუ მართლა სოფლისათვის გული შეგტკივთ, ყოველივე დალაგებით აუხსნათ, უჩვენოთ, გააგებინოთ...

ფ

### **ჯვებე ქოლორდავა**

(ლამაზი და მოხდენილი სტრაჟნიკი შემოდის წლაწვნით და პრანჭვა--გრეხით).

### **პეკელა**

ეს ვინ არის?

### **ფოფოდია**

(სიამოანებით შეკრთება ლამაზი კაცის დანახვაზე). უჰ!

### **ფაციასა და აგრაფინას**

(ეტაობათ მოეწონათ მოხდენილი ვაჟკაცი).

### **ქოლორდავა**

(ცოტა მეგრულად უქცევს) მამასახლი რომელია აქ?

### **პეკელა**

მამასახლისი არ გახლავთ, ბატონო, სახლში.

### **ქოლორდავა**

არ არის სახლში?.. მე ვეზდი ნაჩალიკმა გამომგზავნა: კანცელარიაში არ მიბრძანდება, პირდაპირ აქ მოვალო.

### **პეკელა**

უი, ღმერთო მომკალი, ჩემი მალხაზი სად არის ახლა?

### **პაპუნა**

ჩემო რძალო, აბა, უნდა დავფაცურდეთ ახლა, მე გავარდები და ერთ უშობელს მაინც მევიყვან...  
(გარბის).

### **ფოფოდია**

სადაა ახლა ი დაღუპული ჩემი მღვდელი... სულ იმას ამბობდა, უეზდ ნაჩალნიკი თუ მოვიდა, უნდა შევხვდე და სიტყვა მოვახსენოვო.

### ჯიბო

აბა, ბიჭებო, ახლა გვმართებს დაფაცურება. რაღაი აქ მობრძანდა...  
რა ვქნათ, იყოს, მარა მთელი სოფელი უნდა მოვაგროვოთ აქ... ის  
ოხერი პოპოშნიკი მაინც მოვძებნოთ, გეიქეცით, გეიქეცით ახლავე...  
(გარბის, სხავებიც მიჰყვებიან).

### პეპელა

(შეაჩერებს დათიას!. შენი ჭირიმე, დათია, თავიანი კაცი ხარ... ხომ ხე-  
დავ, რა დღეშიაღ ჩავდექი და შენ იცი სოფელს რავა დაამზადებ...  
ჩემი ქმარი უთუოდ გეიგებდა და საცაა გაჩთება.

### დათია

შენ ქმარს ძან ვემდური, მარა ახლა რა გეეწყობა... შენ ნუ გეშინია,  
ქალო, ისე დავტრიალდები. რომ... მართლა, ღვინო ხომ გაქვს?..

### პეპელა

არა, მაგისი ნუ გეშინია. ხორაგი და ღვინო საკმაოდ არის... სოფელ-  
ში, სოფელში, სანამ ჩემი ქმარი მევიდოდეს...

### დათია

"შიდისს კარგი, კარგი! (გადის).

### პეპელა

ღმერთო მომკალი, სად ჯანაბაში ჩარჩა ის კაცი... აბა, ნიფადორა,  
შენთან ბოდიშს აღარ ვიხდი... იცი, უნდა განკარგულება გავცე.  
(ქოლორდავას) უკაცრავად, დაბრძანდი, ბატონო...

### ქოლორდავა

მადლოფ... რა მიჭირს!

### ფოფოღია

(პეპელას) რა ბოდიში გინდა, ბეჩა, წადი გენცვალე, წადი.

### კოწია

ფაცია, ბოშო, შენც გაყევი, დოუტრიალდი პეპელას.

### პეპელა

(მიმავალი) არა გენაცვალე, ჯერ არა და მერე... მერე, აი, სუფრის  
დალაგებაში და სტუმრების სამსახურში აგრაფინასთან ერთად თუ  
მიშველის, გადაუხდი სამაგიეროს.

(გადის)

### კოწია

რავა არ დაგეხმარება...

**ფაცია**

კი, ბატონო, კი.

**აგრაფინა**

ახლა აირია მონასტერი, მამაჩემიც აღარ არის და...

**კოწია**

წუხელი სად იყავით, ძმობილო?

**ქოლორდავა**

კნეინასთან, ბატონი.

**კოწია**

მერე, ასე მალე გამოგიშვათ კნეინამ? ძალიან გაქეიფებდათ...

**ქოლორდავა**

(ემლება ქო... კი პატონი... დიდი ფანიით მოდიან. პრისტავი ჩალიანიც ახლავს, ჩვენი სტრაჟნიკი კნიაზი გორგასლანიანი, ორი სხვა კნიაზიცაა... საქეიფოდ მობრძანდებიან... კანცელარიაში იმიტომ არ მიდიან...

**კოწია**

შენ მეგრელი ხარ?

**ქოლორდავა**

(ემლება) ქო... კი პატონი...

**ფოფოდია**

(ახლოს გაუვლის და შეღიმელებს). რა გქვია?

**ქოლორდავა**

ჯვებუ ქოლორდავა.

**ფაციას და აგრაფინას**

(სიცილი წასკდებათ).

**ფოფოდია**

რა გაცინებთ?.. გაგისკტათ მიწა...

**ქოლორდავა და კოწია**

(იცინიან).

## კარლო და ადიკო

### კარლო

(ლაპარაკით შემოდინ) კაცო, ასე აბა როგორ მიაგდე ის წიგნები?... შენთვის ფასი დაუკარგავს, მაგრამ ჩემთვის ხომ ძვირფასია... (დაინახავს იქ მყოფთ). ოჰ, უკაცრავად... (თავს უკრავს) ვახლავართ. (ვინც არ უნახავს) გამარჯვებათ.

### ადიკო

აი, ძმაო, შევიდეთ და მოძებნე. მე მაგისი თავი არა მაქვს... რა დროს მარქსია ახლა?

### კარლო

(დაცინვით) მაშ, ახლა სპორტი, გიმნასტიკა, ა?

### კოწია

გაიგეთ, კარლო, უეზდნი ნაჩალნიკი რომ მობრძანდება?

### კარლო

(გულგრილად) ჰო, მითხრეს...

### კოწია

მერე, რას აპირებ?

### კარლო

რას უნდა ვაპირებდე... ხომ არ დავიმალეები და!..

### აგრაფინა

ეგ არა და მართლაც სწორედ თქვენ უნდა უთხრათ ჩვენი სოფლის გაჭირვებაზე რამე.

### კარლო

მთავრობისაგან მე არასოდეს სიკეთეს არ გამოველი... წამო, ადიკო, მიჩვენე სად გიძვეს ჩემი დამტვერიანებული მარქსი. (ადიკოსთან ერთად შინა ოთახებში შედის).

### კოწია

დალუპული კაცია. მაგისგან რას უნდა გამოველოდეთ?

### აგრაფინა

(ნელა ფაციას) რა ნიჭიერი ყმაწვილია და როგორ მოწყვეტილია ჩვენს სოფელს.

(ამასობაში ფოფოღია რაღაცას ელაპარაკება ქოლორდავს, ქოლორდავა მის წინ გაჭიმული დგას და პასუხს აძლევს, თან ზოგჯერ უღვაშებზე ხელს გადაის-

ვამს, თავს აწონებს).

ო

### კნენა

(გამხდარ-გამხდარი. აწოწილი. ღარიბულად, თალხებში გამოწყობილი. ნელი. მორიდებული ხმა აქვს. ხასიათი კი მტკიცე. მიმართავს კოწიას და ფაციას) ოოჰ, აქა ხართ!.. მადლობა ღმერთს!.. სულ სირბილით მოვდიოდი... რა არი, ფაცია, ეს რა რუბაშკა გაცვია... მეორე ვერ ჩეიცვი... წადი, ე პრიჩოსკა რას გიგავს... დედა, დედა, რა მეშველება! მოდიან, მოდიან, ვერ ხედავ?

### ფაცია

(ამაყად) მოვიდნენ რა, ასე დახვედრა არ შეიძლება?.. რამ შეგაშინა, დედა, რა იყო?

ია

### კეკელა

(შემოვარდება). მოდიან, მოდიან...

იბ

### ბიჭი (შემოვარდება)

მევიდენ, ქალბატონო მევიდენ.

### კეკელა (ბიჭს)

ჰოდა, აქ რას მოდიხარ... გასწი, ცხენების ჩამორთმევაზე მოეხმარე... (ბიჭი გარბის). რაღა ვქნა, ღმერთო ჩემო... (მაგიდას მივარდება, თითქოს რაღაცას ასწორებს)

### კოწია

უნდა მივეგებოთ. (საჩქაროდ გადის).

### აგრაფინა

კარგია, დედა ჩემო, ახლა ნურც ასე დაფეთდები... ადამიანები არიან, სხვა ხომ არაფერი...

### კეკელა

ახა, ღმერთო...

### კნენა

ეს მაინც გეისწორე, ფაცია, გენაცვალე... დედა, დედა, რა მეშველება!

### ფაცია

კარგი, დედა, რა შეშინებული ხარ, რა იყო?

**კნეინა**

დედა, დედა, რა მეშველება!

**ფოფოღია**

გენაცვალე, აგრაფინა, ხომ ყველაფერი რიგზე მაქვს? (ამოიღებს რე-  
დიკულიდან პუდრს, სარკეს და ირთვება).

**გარედან ხმები (კნეინა ჩიტუნია):**

მაშ, როგორ გეგონათ, ედუარდ ერაზმოვიჩი!.. ხომ მშვენიერი ქვეყა-  
ნაა?! (მაზრის უფროსი: Это один восторг, княгиня!

**აგრაფინა**

აბა, ახლა კი მივეგებოთ.

**კეკელა**

(თითქოს ტირილის ხმით)

გენაცვალე. აგრაფინა...

**კნეინა**

დედა, დედა, რა მეშველება!

**ფოფოღია (შფოთავს)**

უჰ, ღმერთო, სად დეილუპა ი მღვდელი.

**ფაცია**

ბეჩა, რა დაგემართათ, სტუმრები მოვიდნენ, სხვა ხომ არაფერი...  
(ყველანი ჩამწკრივდებიან აივნის ახლოს).

**იგ**

(კნეინა ჩიტუნია ლამაზი, მოხდენილი ამაზონით, ქუდით და "ხლისტით" შემო-  
დის ყველაზე წინ).

**კნეინა ჩიტუნია**

აა, ჩემო კეკელა, როგორ გიკითხო?.. ოჰ, აგრაფინა! (ხელს ართმევს).  
ოო, ჩემი ფოფოღიაც... Ах, Дорогая племянница...

**მაზრის უფროსი**

(ახალგაზრდა კაცი, სტატსკი სოვეტნიკის ჩინით, ბრგე შესახედაობის). მას  
მოჰყვებიან: ბოქაული ჩალიანი, თავადი გორგასლანიანი, ქოლორდავა, ჯიბო,  
პაპუნა, სტრაჟნიკები და გლეხები).

**კნეინა ჩიტუნია**

Позвольте, Эдуард Эразмович, представить Вам хозяйку...  
Ея дочь... Поподья... Князь Коция...Его супруга, княгиня... Их  
дочь... Моя милая племянница, Княжна Пация...

### **მაზრის უფროსი**

(ყველას სათითაოდ ხელს ართმევს და ეუბნება თავის გვარს)

Гренгольм!

### **კნეინა ჩიტუნია**

ეს კი ჩვენი ნაჩალნიკია... (კეკელას. კნეინას და ფოფოდიას) ქართული  
მშვენივრად იცის... ნუ შეგეშინდებათ!.. ჩვენშია დაბადებული  
და გაზრდილი... დედაც ქართველი ჰყავს... გვარი აქვს ნემენცური  
მაგრამ это не всчет абонемента... И так, Вы довольны этой. прогулкой?

### **მაზრის უფროსი**

Один восторг, княгиня!

### **კარლო და ადიკო**

(შნემოვლენ და ამ სურათის დანახვაზე შედგებიან).

აგრაფინა (წარუდგენს)

ეს ჩემი ძმა გახლავთ. (ადიკო და მაზრის უფროსი ერთიმეორეს შორიდან  
თავს უკრავან). ესეც ბატონი კარლო ყაყუტაძე.

### **კნეინა ჩიტუნია**

აჰ, კარლო? რამდენი ხანია არ მინახავს... (მაზრის უფროსს) ეგ ჩვენი  
სოციალისტია... легальный.. (კარლოს) არ მიწყრებით?

### **კარლო**

(ულვაშებში მწარედ გაიღიმებს)

მაზრის უფროსი (მიაჩერდება კარლოს)

Это тоже один восторг, Княгиня...

### **ფარდა**

### **მოქმედება მეორე**

იგივე სანახაობა. მხოლოდ ახლა აივანზე ბლომად არიან მოსულები: გლეხები,  
თავადები და სტრაჟნიკები. ყველა ფეხზე დგას და ჩამწყრივებულნი არიან.

ა

ხსენებულთ გარდა სცენაზე არიან: მამასახლისი მალხაზ, თავადი კოწია, ჯიბო,  
პაპუნა, კარლო ყაყუტაძე. ფოფოდია, კნეინა.

(ზოგი მაგიდასთან ზის, ზოგი აქეთ-იქით ტახტებზე).



**კოწია (მალხაზს)**

რა დაგემართა, შე გლახა, შენ... აქამდი სად დეიკარგე?

**მალხაზ**

პირდაპირ მოვკალი, ყმაწვილო, ცხენი. როგორც კი გევიგე, რომ აქეთ წამოსულიყო, სულ ჭენებ-ჭენებით წამოვედი.

**ჯიბო**

აო, კარგი ახლა, კარგი. აპა, ასე არაა, ძმებო?. ისევლე მამასახლის-მა უთხრას სოფლის მაგიერ სიტყვა...

**გლეხები**

კი, ბატონო, კი, მამასახლისმა.

**მალხაზ (წამოდგება)**

რო არ დეიჯერებთ კაცისას!.. ყმაწვილებო. მე მამასახლისი ვარ, ხელქვეითი, გეიგონეთ ეე!..

**კოწია**

მართლა, კაცო, რას ჩააცივდით ამ კაცს...

**მალხაზ**

ერთი რომ დამიფაფხუროს, მიწა უნდა გამისკდეს...

**ჯიბო**

მე გითხარით და არ დამიჯერეთ... სხვა ევირჩიოთ-მეთქი... რავა ა?-გაწყდა ჩვენში კაცი თუ?

**კოწია**

მე რომ მკითხოთ, სულ მეტია ახლა დეპუტატების არჩევა და სიტყვის მოხსენება... ეგ როგორც მევიდა მაშინვე უნდა ყოფილიყო, თვარა ახლა, აგერ საცაა სადილი უნდა ვაჭამოთ კაცს, უნდა წვეიქეიფოთ. რა დროს რეჩებია?

**ჯიბო**

რავა გეტყობა, რომ კნიაზი ხარ!.. შენ, ჩემო ბიძია, ფეხებზე გკიდია ჩვენი სოფლის გაჭირვება...

**კოწია**

თავს ნუ იგდებ, ყაძახო!

**ჯიბო**

შენი ყაძახი, მადლობა ღმერთს, დიდი ხანია აღარ ვარ... იქ მე-იკითხე, მთებში, კინკრიხოზე, რაცხა ქვების საბოჭავად რომ და-

ფხოკიალობ...

**კოწია**

გაგლახავ, მამაჩემი არ წამიწყდება!

**ჯიბო** (გამოიჭიმება).

ვის გალახავ, ვის?.. ღმერთო არ გაგიწყრეს, ფეხი არ გადმოდგა, თვარა, ისე წამოგაქციო, რავარც წიფელა...

**კოწია** (წაიწევს)

ვის უბედავ, ბიჭო, შენ...

**მალხაზ**

ჰო, კარგია ახლა... რა დროს ჩხუბია...

**კნენა**

კოწია, შენი ჭირიმე, რავა გეკადრება!

**ფოფოღია**

კნიაზო, დეეთხოვე...

**პაპუნა** (ჯიბოს)

რა დროს ჩხუბია, კაცო. სირცხვილია. ცა და ქვეყანა აქ არი... ვეზ დი ნაჩალიკი აქ ბრძანდება...

**კოწია** (ცოლს)

აპა, რავა მიბედავს?!

**ჯიბო**

არ წამეიწიო აქეთ, არ წამეიწიო.

**ხმები**

მეიცა, შე კაცო.

**მალხაზ**

ჰო, კარგი ახლა. აბა, არ გინდათ არავინ ამეირჩიოთ?

**ჯიბო**

მე ჩემი მხრით ისევლე კარლო ყაყუტამეს ვასახელებ...

**კარლო**

მე გითხარით და გეუბნებით, რომ ამ თქვენ საქმეში ვერ გავერევი. მთავრობის სიკეთე არ მწამს და იმას არც არაფერს ვთხოვ...

### **მალხაზ**

კაცო! ახლა სოციალისტ კაცს გზავნით მთავრობასთან?

### **ჯიბო (კარლოს)**

ბიჭო, აბა, რაზე ერევი მარაქაში? გინდა სეირს უყურო?

### **კარლო (წამოდგება)**

მე არაფერში არ ვერევი... აქ შემთხვევით მოვხვდი და სიამოვნებითაც უტოვებ ამ მძიმე ატმოსფეროს. (დაიხურავს ქუდს და გადის)

### **მალხაზ**

აბა, დაასახელებ-მეთქი ვინმე.

### **პაპუნა**

ვიღა უნდა დავასახელოთ, კაცო, შენც ერთი ახირებული ხარ. საცაა ვეზდინაჩალიკიც გამობრძანდება. ისევლე შენ უნდა იყო, სხვა ვინ იქნება?

### **ხმები**

შენ, შენ, ბატონო მალხაზ, დათანხმდი.

### **ჯიბო**

მამასახლისი აპა, რათ გვინდიხარ, თუ ჩვენ გაჭირვებაზე სიტყვას ვერ დამრავ ან რა ამდენი სალაპარაკო გაქ? ეკლესია დანგრეულია. სასწავლებელი დაკეტილი, გზები არ გვივარგა. ბალი გავერანებულია. ბოგირი ჩაქცეული და სხვა.

### **მალხაზ (მოგვიანებით)**

აბა, იცით, ძმებო, რა გითხრათ? ეკლესიაზე და სასწავლებელზე ვერაფერს ვერ ვეტყვი. ეკლესია... ეგ სასულიერო მთავრობას შეეხებოდა მაზრის უფროსს რა ესაქმება. რაც შეეხება სასწავლებელს, როგორც გევიგე, ცუდადაა ძან მისი საქმე... ამ ჩვენ ჩხუბსა და კირწიკორწში მთავრობას გადოუწყვეტია, რომ გაღმა სოფელში გადეთანოს... საიდუმლოდ! მგონი ცოტა ქრთამიც კი გოულია გაღმა სოფელს და... ახლა ჩვენგან უხერხულია ამაზე ლაპარაკი...

### **ჯიბო**

რას ამბობ კაცო... ეგ რა გვითხარი... სად იყავი. კაცო, აქამდი?

### **ხმები**

აპა, დავლუპულვართ და ის არი.

### **მალხაზ**

მხოლოდ გზებზე და ბაღზე რა უნდა უთხრა? ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული? თუ გვინდა გავაკეთოთ, თუ არა და, მაზრის უფროსი კი არ გაგვიკეთებს.

### **ჯიბო**

იმე! აპა, რაზე მევედით აქ? ამ სოფელმა ტყუილა ამოგვიჩია ამდენი კაცი, რამე ხეირიანი გამოგვიწყვეთო?

### **მალხაზ**

ასეა, ბიძია და, -- მე ხომ არ შემიძლია და არა, მაგრამ არც თქვენ გირჩევთ რაიმე სიტყვა დამრათ ეკლესიაზე და სასწავლებელზე... და საზოგადოდ სოფლის გაჭირვებაზე... ვინ იცის, რამე ეწყინოს და, შეიძლება, საციმბიროთაც გაგიხდეთ საქმე.

(პაუზა. ყველა ჩუმად არის)

### **ჯიბო** (თავისთვის ჩაილაპარაკებს)

აპა, სულ დავლუპულვართ და ის ყოფილა... ეჰ, როცა ჩვენ ნასტავლი მამასახლისი ევირჩიეთ. მაშინ დაგვეფსო თვალები.

ბ

### **ქოლორდავა** (შამოვარდება)

ჩუმად, ნაჩაღნიკი მობრძანდება!

### **ყველანი**

(ჩამწკრივდებიან, ყველაზე წინ მამასახლისი საჩქაროდ უბიდან ამოღებულ ძეწკვს გადაიკიდებს)

ბ

მაზრის უფროსი. ბოქაული ჩალიანი, კნეინა ჩიტუნია, ფაცაა, ადიკო, აგრაფინა.

### **მალხაზ**

(მაზრის უფროსის წინ გამოიჭიმება).

თქვენო მაღალკეთილშობილება! ჩვენი სოფელი ჩემის პირით გილოცავს აქ მშვიდობით მობრძანებას და ბოდიშს იხდის, თუ ისე ვერ დაგხვდება, როგორც შეგფერის, მხოლოდ გულწრფელად მოგახსენებს ძველის სლავიანურის ენით: Владыко, гряди и володей нами.

**მაზრის უფროსი**

Спасибо, брат. გადაეცით სოფელს ჩემი გულწრფელი მადლობა და უთხარი, რომ ამჟამად მე საქმისთვის არ ჩამოვსულვარ... ეს..-  
блогадаря любезности княгини Читунья совершили partie de Plesir (პარტი დე პლეზირ). სასიამოვნო მოგზაურობა გავმართეთ... მაგრამ აი, სხვა დროს ჩამოვალ და მაშინ კი თქვენ საჭიროებასაც გავეცნობი...

**ხმები -- იცოცხლეთ, ბატონო, იცოცხლეთ!**

**ფოფოღია**

(შეწითლებული წინ წამოიწევა)

ბატონო ნაჩალნიკო. (ყველას გაუკვირდება მისი გამოსვლა, ზოგს გაეცინება, მაგრამ თავს იკავებს)

**მაზრის უფროსი**

Что прикажете, любезная?

**ფოფოღია**

ჩემი ქმარი აქაური მღვდელი გახლავთ... აქ არ არის ახლა ის და-  
ლუპული. (აქა-იქ გაისმის) ფხუუ! (მაზრის უფროსი იღიმება). მღვდელ-  
მთავარს იახლა საქმეზე, თორემ აქ რომ იყოს უთუოდ თქვენს წი-  
ნაზე წარდგებოდა და მოგახსენებდათ, რომ ის ერთი უბრალო  
ღვთის მოსავი მღვდელია, რომელიც ყოველთვის ლოცვა-ფედრებას  
აღავლენს ჩვენი ქვეყნის უფროსებზე...

**მაზრის უფროსი**

Очень рад, очень рад. (მიდის, ხელზე აკოცებს და ისევ თავის ადგილას  
ბრუნდება).

**ადიკო**

ბრავო, ბრავო. ფოფოღია.

**ფოფოღია**

უი, გაგისკტა მიწა... კინალამ გამაცინე.

**აგრაფინა**

მშვენივრად სთქვი, შენ არ მომიკვდე...

**ფაცია**

ძალიან თამამად.

**კნენა ჩიტუნია**

Не правда ли, как все это мило?

**მაზრის უფროსი**

Стражник, князь Горгаслания!

**კნენა ჩიტუნია**

მაშ, ახლა კი წავიდეთ ჩვენ... ფაცია... ხომ წამოხვალ?

**ფაცია**

როგორ არა, ახლავე, ქუდს დაგიხურავ და... მართლა, ცხენი ხომ მეყოლება?

**კნენა ჩიტუნია**

როგორ არა! სედლო კეკელას გამოართვი.

**ფაცია**

კარგი, კარგი. (გარბის)

**მაზრის უფროსი**

(კნენა ჩიტუნიას)

სად მიბრძანდებით?

**კნენა ჩიტუნია**

აქ ერთი გენერალია, ბერდოსანი... ბიძად მომხვდება... უნდა ვნახო, უთუოდ...

**ჯიბო (თავის ჯგუფს)**

მართლა, ბიჭებო, გენერალი... იმან თუ ნახა ვეზდი ნაჩალნიკი, ის კი ეტყვის მართალს.

**პაპუნა**

რავა? მამასახლისის სიტყვა არ მოგეწონათ? (ამასობაში მაზრის უფროსი და მისი ჯგუფი ჩუმად საუბრობენ)

**დათია**

რავა არ მოგვეწონა.

**ხმები**

მშვენიერი სიტყვა იყო.

**მაზრის უფროსი (ბოქაულს)**

О чем они говорят?

## ბოქაული

Ничего, ваше высокоблагородие.

## მაზრის უფროსი

მაშ, უთხარი ახლა დაიშალენ...

## ბოქაული (ხმამალა უცხადებს)

ნაჩაღნიკი გიბრძანებთ. მადლობელი ვარ, ახლა კი დაიშალენითო.

## ხმები

ლმერთმა გვიცოცხლოს ნაჩაღნიკის თავი.

(გლეხები. სტრაჟნიკები და სხვა სტუმრები ჩადიან კიბეზე. მათვე გაჰყვება ადიკო, ჯიბო, პაპუნა. ფოფოღია და აგრაფინა კი შინა ოთახში შევლენ. სცენაზე რჩებიან: მაზრის უფროსი, ბოქაული, კნეინა ჩიტუნია, თავადი კოწია, მისი კნეინა და მალხაზი).

## ღ

## ფაცია (შემოდის მორთული)

აი, მეც მზადა ვარ...

## კნეინა ჩიტუნია (მამასახლისს)

შენ კი არ წამოგვევები, მალხაზ?

## მალხაზ

(ანიშნებს მაზრის უფროსზე).

როგორ დავტოვო, კნეინა, თვარა თქვენთან ყოფნას რა მირჩევნია.

## მაზრის უფროსი

არა ეგ... Ничего... მაგრამ. მართლა, აქ დამიძახეთ სტრაჟნიკს კნიაზ გორგასლანიანს.

## მალხაზ (აივნიდან გასძახებს)

Стражник, князь Горгасланян!

## მაზრის უფროსი (ქალებს)

Такой он кавалер...

## ფაცია

ვინ არის? რომელი გორგასლანიანია?

**კნენა ჩიტუნია**

დიდი ვახტანგის შვილისშვილი...

**ფაცია**

ბეჩა, მერე სტრაჟნიკად წავიდა?

**მაზრის უფროსი**

ოო, он далеко пойдет... მე თუ დავრჩი ამ მაზრაში... დავაწინაურებ...

**კნენა ჩიტუნია**

Конечно, უნდა დარჩეთ... ახლა აღარ გაგიშვებთ... მე გუბერნატორს ვეტყვი... განა არ მოგწონთ თქვენი, მაზრა?

**მაზრის უფროსი**

Ох, один восторг, княгиния...

**სტრაჟნიკი გორგასლანიანი**

(პატარა კაცი, დეგენერატის ტიპისა. სულ იღმიჭება. სხეული კი ძალიან მოქნილი აქვს. შემოდის, იღრიჭება და მაზრის უფროსს გამოეჭიმება)

**გორგასლანიანი**

ჰე, ჰე, ჰე, რას მიბრძანებთ, ვაშე ვისოკობლაგოროდიე?

**მაზრის უფროსი**

აი, კნენას და ახალგაზრდა კნიაჟნას უნდა იახლო. წაიყვანე კიდევ ორი სტრაჟნიკი...

**გორგასლანიანი**

ჰე, ჰე, ჰე! სლუშაიუს, ვაშე ვისოკობლაგოროდიე.

**კნენა ჩიტუნია**

რა გაცინებს ბიჭო?.. გამარჯვება შენი, დღეს არ მინახავხარ... გაიცანი, ნათესავად მოგვხვდება, კნიაჟნა ფაცია...

**გორგასლანიანი**

ჰე, ჰე, ჰე! (ვერ ბედავს ხელის ჩამორთმევას. მაზრის უფროსი ანიშნებს დასტურს. ისიც ორივე ქალს ხელს ჩამოართმევს).

**მაზრის უფროსი**

Нус, распорядитесь, князь...

**გორგასლანიანი (გამოიჭიმება)**



**მაზრის უფროსი**

Живо...

**გორგასლანიანი**

(ისკუპებს და აივნისკენ გადახტება)

**კნენა ჩიტუნია**

მაშ, ჯერჯერობით ნახვამდის!

**მაზრის უფროსი**

До свидания, очаровательная княгиня...! княжна!...

**მალხაზ**

კნენა, სადილზე არ დაგვაგვიანოთ.

**კნენა ჩიტუნია**

არა, არა. (გადიან ის და ფაცია).

**კეკელა (შემოდის, მალხაზს)**

კაცო, სად ხარ? სუფრა სად გავშალოთ?

**მალხაზ**

ეზოში, ეზოში... კაკლის ქვეშ... Ваше Высокоблагородие, სად ინებებთ სუფრა გავაწყოთ?

**მაზრის უფროსი**

სადაც გინდათ.

**მალხაზ**

აქ, აივანზე ვერ დავეტევით...

**მაზრის უფროსი**

ეზოში იყოს, კაკლის ძირას, თქვენებურად, მამა-პაპურად.

**მალხაზ (კეკელასა)**

ეზოში, ეზოში...

**კეკელა**

(საიდუმლო კილოთი მალხაზს)

ბეჩა, მოდი აქ!..

### მაღბაზ

რა იყო? (მიდის).

### კეკელა

კაცო, მოგვხედე, რამდენი საქმეა! (გაიყვანს ქმარს და თვითონაც გადის)

### ბოქაული (მაზრის უფროსს)

А вы знаете, Ваше Высокоблагородие, სოფელს უნდოდა თავის გაჭირვებაზე თქვენთვის მოეხსენებია...

### მაზრის უფროსი

(ემშაკურად გაიცინებს).

ჰა, ჰა! Знаю, знаю!..

### ბოქაული

ჰა, ჰა... ვერ გაბედეს...

### მაზრის უფროსი

ვერც უნდა გაბედონ... ციც! ზომები მიიღეთ, რომ ჩემთან არავინ კრინტი არ დასძრას სოფლის გაჭირვების შესახებ.

### ბოქაული

მე უკვე მამასახლისს დიდი ხანია ჩავაგონე ეგ აზრი...

### მაზრის უფროსი

ჰო. კარგად მოქცეულხართ.

### ბოქაული

აკი არც არაფერი მოგახსენათ თავის სიტყვაში...

### მაზრის უფროსი

Старая лиса... ბებერი კუდამელა... იცოდეთ, როგორც გამოვაცხადე: მე აქ საქმეზე არა ვარ ჩამოსული... ისე, საქეიფოდ...

### ბოქაული

მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!.. (ამასობაში კოწიას და მის კნეინას რაღაც გაცხარებული ლაპარაკი ჰქონდათ).

### კოწია (წინ წამოიწევს)

ბატონო ნაჩალნიკო...

### მაზრის უფროსი

Что прикажете, князь?

**კოწია**

ცოტაოდენი საქმე მაქვს თქვენთან.

**ბოქაული**

კნიაზო, საქმეებისთვის ახლა არა გვცალკია...

**კოწია**

არა, ისეთი საქმე მე რა მექნება... ისე მინდა...

**მაზრის უფროსი**

Ничего, ему можно... რაშია, კნიაზო, საქმე?

**კოწია**

რა არი, ბატონო და რაკი ღმერთმა გვალირსა და მობრძანდი...

**მაზრის უფროსი (სახე მოელუშება)**

**კოწია**

აბა, სხვა უკეთესს ვიღას ვეტყვი ამ ამბავს...

**მაზრის უფროსი**

(წამოდგება, გამოიჭიმება, გაბღენძილ სახეს მიიღებს).

**ბოქაული (წაბადავს უფროსს)**

**კოწია**

რამდენი სიმდიდრე გვაქ, ბატონო, და ვინაა პატრონი და მომვ-  
ლელი?..

**მაზრის უფროსი**

(ცოტა სასტიკად)

რაშია საქმე?

**კოწია**

აგერ, ბატონო. (ამოიღებს ჯიბიდან მადნებს). ესაა, შენი ჭირიმედა, ბა-  
რიტია... ამას უკვე ყავს თავისი მუშტარა...

**მაზრის უფროსი**

(გაეცინება და დამშვიდებული ისევ დაჯდება).

ა, Ах, да!..

**ბოქაული** (თავისუფლად გაჩერდება)

**კოწია**

ეს კიდეც, ბატონო, ოხრა გახლავს, საღებავი წამალი... ეს ქვანახში-  
რი გახლავს...

**მაზრის უფროსი**

თქვენ მთელი კოლექცია გქონიათ მადნეულობისა...

**კოწია**

ვაგროვებ, ბატონო, ვაგროვებ... მაგრამ ყველზე უფრო შესანიშნა-  
ვი ეს ორია: გიშერი და ვერცხლი.

**მაზრის უფროსი**

როგორია? ვერცხლი?

**კოწია**

(გადასცემს ვერცხლს. მაზრის უფროსი და ბოქაული გულმოდგინედ სინჯავენ).  
ა, ბატონო, კი, შენ ნუ მომიკვტე, ვერცხლია! მარა ამას მე ეს გიშე-  
რი მირჩევნია..

**მაზრის უფროსი**

გიშერთ? (გამოართმევს, სინჯავს რა არის ეს? გიშერი? (ბოქაულს)  
Как это по-русски.

**ბოქაული**

(გაწითლდება, მხრებს იწევს).

Не могу знать, Ваше Высокоблагородие.

**მაზრის უფროსი**

(ატრიალებს გიშერს)

Я тоже слаб в минералогии...

**ბოქაული**

მერე, თქვენია, კნიაზო, ეს მადნეული? ბევრია?

**კოწია**

ბევრი იცოცხლე ეგ იყოს და... თლად ჩემი არაა, მარა...

**მაზრის უფროსი**

სად არის?

**კოწია**

იმე! თქვენ რავა უნდა დაგიმალოთ, მარა ნუ გამიწყრები და...

### მაზრის უფროსი

აა, კნიაზ, ხინტრა-მინტრა!.. Чтож, это интересно...

### კოწია

ახლა ამას გთხოვ, ნაჩალნიკო, შენ ხარ ჩვენი მამა, ჩვენი პატრონი... შენზე უკეთესი ვილა გვყავს?!. მიაქციე ამას ყურადღება და შენ ყველაფერი შეგიძლია... მოუხერხოთ ამ მადანს რაცხა... ეგება პეტრე...

### მაზრის უფროსი

მესმის, მესმის... კაპიტალისტი გიშოვნოთ, არა?

### კოწია

ჰო, შენი ჭირიმე, მუშტარი... შენ ცა და ქვეყანას იცნობ...

### მაზრის უფროსი

ჰა, ჰა! ეს ჩემი საქმე არაა, მაგრამ რატომ?..

Чтож, рекомендовать богадство своего уезда...

### კოწია

ჰო, შენი ჭირიმე, მუხლებზე კი შემოგეველე... გამიკეთე საქმე და ნახევარი შენი იყოს...

### მაზრის უფროსი

(ეტყობა უკვე მოსწყინდა ლაპარაკი)

Хорошо... буду иметь в виду...

### კოწია

უი, შენ გაცოცხლოს ღმერთმა... (თავს უკრავს. გაიმართება) დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული...

### მაზრის უფროსი (გაიცინებს)

ნახვამდის, კნიაზო, ნახვამდის!..

### კოწია

(მიდსს აივნისაკენ და თავისი ცოლის ხმას გაიგონებს თუ არა შედგება).

### კნეინა

(დიდი ხანია უნდოდა ლაპარაკში ჩაბმოდა).

ნაჩალნიკო, შენ შემოგეველოს ჩემი თავი...

**მაზრის უფროსი (ბოქაულს)**

Кто она такая?

**ბოქაული**

Кажется, супруга князя... რა გნებავთ? საქმეზე არა ვართ ახლა მოსული და...

**კნეინა**

არა, ბატონო. საქმე კი არა, სათხოვარი მაქ მე გაჭირვებულს...

**კოწია**

(მობრუნებულია. შეუბუზღუნებს ცოლს)

კარგია, ახლა. ნუ აწუხებ... შენთვის სცალია სწორედ...

**კნეინა**

არა, რავა ვაწუხებ მე უბედური... შეწუხებას ჯვარი სწერია, მაგრამ მინდა ვთხოვო...

**მაზრის უფროსი**

Хорошо, пусть говорит...

**ბოქაული**

რა გნებავთ. კნეინა, რა სათხოვარი გაქვთ?

**კნეინა**

რა, და, გენაცვალოს ჩემი თავი... რაჭაში ბატონო, კობზირიძეებთან... მე კობზირიძის ქალი გახლავართ... ერთი სანაწილო მამაპაპეული მთა გვაქ, გოყოფელია, ბატონო, და მეც ქე მაქ შიგ წილი... ქალი რომ ვარ, ახლა მე არა ვარ მამაჩემის შვილი თუ?.. ჰოდა, არ მანებებენ ჩემს წილს, ბატონო...

**მაზრის უფროსი**

ჰო, ეგ, კნეინა. რამდენადაც გავიგე, მამულზე დავობთ... ეგ მე არ შემეხება. სუდს უნდა მიმართოთ...

**კოწია**

ჰოდა, რომ არ დამიჯერა ამ ოჯახქორმა... ბატონო... ვეუბნები წრეულს მერყევანიე მოდის და...

**მაზრის უფროსი**

ჰო, ჰო... სწორედ იქ უნდა მიმართოთ. მე არ შემეხება ეგ საქმე...

**კნეინა**

რავა არ შეგეხება, დალოცვილო, ხენწიფის ტოლი კაცი ხარ.. მაგ ჩინ-ტემლაკებში გენაცვალე... შენ ყველაფერი შეგიძლია...

**მაზრის უფროსი**

არა, კნენა, ეს სუდის საქმეა... ან როდესაც მამულს დაკორდნას დაუწყებენ, მაშინ უნდა განაცხადოთ თქვენი უფლება...

**კოწია**

ქალო, არ გესმის?.. დამიჯერე-მეთქი, მერყევანიე მოვა...

**კნენა**

დედა, დედა, რა მეშველება!

**მაზრის უფროსი**

რა გაწუხებთ, კნენა, ზემლემერი მოვა... აი თქვენ ქმარს კარგა-სცოდნია... დაუჯერეთ და...

**კოწია**

ვინ გიჯერის, ბატონო, თვარა...

**კნენა**

დედა, დედა, რა მეშველება!.. არავინ არაა ჩემი პატრონი...

**ბოქაული**

ასეა ბატონო... როგორც გიბრძანათ...

**კნენა**

შენ შემოგეველე, ნაჩალიკო...

**კოწია**

ბიჭო, კარგია ახლა, ნუ აწუხებ-თქვა.

**კნენა**

არა, ბეჩა, რავა შევაწუხებ, მარა ახლა ჩემი ძმისწულიზა მინდა ვთხოვო...

**მაზრის უფროსი**

(უნდა თავიდან მოიშოროს)

რა გნებავთ?

**კნენა**

შენი ჭირიმე, ნაჩალიკო... ერთი ობოლი ძმისწული მყავს, ახალ-ნასალდათარია და ქეა ჩემთან უსაქმოდ. გოხოვ, შენი მუხლების ჭირიმე, სადმე სტრაჟნიკად მაინც ჩაანიშნო...

**მაზრის უფროსი**

Ну, Это можно....

**კნენა**

რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვა ქე იცის საწყალმა ბაღანამ...

### **ბოქაული**

კარგი, კარგი... ხომ გიბრძანათ...

### **კნენა**

ჰოდა, იმას გთხოვ შეხი ჭირიმე.

### **კოწია**

კაცო, ნუ აწუხებ-მეთქი, წამოდი-თქვა...

### **კნენა**

რავა ვაწუხებ. ბეჩა, შეწუხებისგან ჯვარი სწერია.

### **მაზრის უფროსი**

პარგი, კარგი, კნენა, გამომიგზავნეთ უეზდში... Я буду иметь в виду.

### **კნენა**

შენ შემოგვევლოს, ჩემი თავი. (უნდა მუხლებზე მოეხვიოს).

### **მაზრის უფროსი**

(არ მიიკარებს, წამოაყენებს)

### **კოწია**

კარგია ახლა, ნუ აწუხებ. (მიჰყავს)

### **კნენა**

დედა, დედა, რამეშველება... (ჩადიან კიბეზე)

### **ბოქაული**

ძლივს არ წავიდნენ?

### **მაზრის უფროსი**

Чудаки!.. (გაისწორებს). Какие милые люди!.. (გაივლ-გამოივლის). აჰ, голова трещит от вчерашней попойки... კნენასას ბევრი დავ-ლიეთ.

### **ბოქაული**

კნენა ჩიტუნის მშვენიერი ღვინოები აქვს.

### **მაზრის უფროსი**

Да, да... славная хозяйка.

### **ბოქაული**

მწალობელი კნენა ძალიან... განსაკუთრებით მაზრის უფროსებს სწყალობს...



**მაზრის უფროსი**

Ну, ну, незавирайся.

**ბოქაული** (გამოეჭიმება)

Извините, Ваше Высокоблагородие.

**ზ**

**ჯიბო**

(შემოდის კარიდან, თითქო მოიპარება)

**მაზრის უფროსი**

ეს ვილაა?

**ბოქაული**

შენ რა გინდა აქ?

**ჯიბო**

თხოვნა მაქ მისართმევი ნაჩალიკთან.

**ბოქაული**

ვერ გეიგე, ყაზახო, რომ გამოგიცხადათ დღეს საქმეებისთვის არ ვარ ჩამოსულიო?

**ჯიბო**

არა, ბატონო... საზოგადო საქმეზე მე როგორ გავბედავ მოსვლას... რა ჩემი საქმეა! (ქალაღდს ამოიღებს) დანოსი გახლავს, ბატონო..

**მაზრის უფროსი**

აჰ, დანოსი?... Подлые люди... მოიტა, რა არის?

**ჯიბო**

(უცხად ჯიბიდან მარკას ამოიღებს, დააკრავს ქალაღდს და მიართმევს, აქეთ-იქით იხედება). ჩვენ მამასახლისზე გახლავს, ბატონო... გაგვატყავა, ბატონო, შეჭამა სოფელი...

**მაზრის უფროსი** (კითხულობს და იღიმება)

Ах, какие подлецы.

**ჯიბო**

სოფლის ფული აქ შეჭმული, შენ არ მოუკვტე ჩემ თავს... კაც-პატრონი, გამკითხავი არ ყავს... ძველი ნაჩალიკი იყო და კუდი კუდზე ჰქონდათ გადაბმული... ახლა, ბატონო, შენ მოსვლას აღდგომა-სავით მოველოდით... ბევრი კარგი გაგვიგონია, ბატონო...

### მაზრის უფროსი

Хитрый мужик...

**ჯიბო** (ქუდს მიწაზე დაახეთქებს)

ჯ, ბატონო, კი ასე ღმერთმა დამამხოს და წამაქციოს. რავარც მართალს მე ვამბობდე... თუ არ მიაქციე, შენი ჭირიმე, ყურადღება. სულ თავზე წამოგვაჯდა, ბატონო... ჩვენი არჩეული კაცი კი არა. ისე მოაქ თავი. ვითომ ვეზდი ნაჩალიკი თვითან იყოს..

### მაზრის უფროსი

Хорошо, хорошо, я это дело раследую...

**ჯიბო**

ნასტავლი ვარო, ბატონო და... რად მინდა მაგისტანა ნასტავლობა... ის დღე კი დეიქცა, როცა მაგი ამევირჩიეთ...

**ბოქაული**

ჰო, კარგი. ახლა ნულა აწუხებ... წადი.

**ჯიბო**

შენ იცი, ბატონო... ა, რა? სათქმელი ბევრი მაქ, მარა პირი წყლით მაქ სავსე... შენ იცი ახლა, ნაჩალიკო, მად გიწერია ყველაფერი...

### მაზრის უფროსი

კარგი, კარგი... Хорошо... Я буду иметь в виду...

**ჯიბო**

შენ შემოგვევლოს ჩემი თავი.

**ბოქაული**

აღარ წახვალ, ყაძახო?

**ჯიბო**

ა, ბატონო, მივდივარ, მარა... შენ იცი, ნაჩალიკო...

**ბოქაული**

(ხელს მოჰკიდებს, ძალით მჰყავს)

კარგი, ახლა წადი, ნულარ აწუხებ... (მიიყვანს კიბესთან). თვითონ იცის როგორც გააკეთებს საქმეს... წადი, ჰო!..

**ჯიბო**

კი ბატონო, მივდივარ, მივდივარ...

**ბოქაული**

(აივნის ხარიხაზე გადაყუდებული)

ვის მოასვენებენ, ნეტავი?

**მაზრის უფროსი**

რა იყო, რა ამბავია?!. მიდის აივნის ხარიხასთან.

**ბოქაული (მოკრძალებით)**

აჰ, ეს დავრდომილი გენერალი ბერდოსანია...

**მაზრის უფროსი**

გენერალი?

**ბოქაული**

ნამდვილად... აი, ეგ კი გეტყვით ყველაფერს... სოფლის გაჭირვება-  
ზედაც მოურიდებლად ილაპარაკებს და...

**მაზრის უფროსი**

Да-да!.. совершенно верно. Чорт!.. მე განგებ არ წავედი მაგას-  
თან ვიზიტით... განგებ არ წავეყვი კნეინა ჩიტუნის მაგის სანა-  
ჩავად...

**ბოქაული**

უთუოდ ამ სოფლის მოკეთებმა ეგ უკანასკნელი იერიშიც მოი-  
ტანეს.

**მაზრის უფროსი**

Ну ничего... Призовем все свои дипломатические способности...

**ბოქაული**

ოქვენ, Ваше высокоблагородие, ყველაფერს მოახერხებთ...

**ღ**

კნეინა ჩიტუნია. ფაცია და გორგასლანიანი.

**კნეინა ჩიტუნია** (გარედანვე ეძახის)

ედუარდ ერაზმოვიჩ... (შემოდის). ედუარდ ერაზმოვიჩ, რა სტუმარი  
მოგიყვანეთ!.. Какого гостя я к вам привела.

**მაზრის უფროსი**

დავინახე, კნიაგინია, დავინახე... Один восторг, княгиня, მხოლოდ  
დიდი უზრდელობა კი დამემართა: მე იქით უნდა ვხლებოდი...

**ფაცია**

ხომ ხედაცთ რა ზრდილობიანიც არის ჩვენი მოხუცი.

## მაზრის უფროსი

Один восторг княгиня.

### ფაცია

მხოლოდ ჩვენი ბრალი არ არის მისი მოყვანა... გზაში შეგვხვდა.  
მოჰყავდათ კიდევ...

## მაზრის უფროსი (გორგასლანიანს)

შენ, კნიაზო, კარგად უკავალრე ქალბატონებს!

## გორგასლანიანი

ჰე, ჰე, ჰე! Рад стараться, Ваше Высокоблогородие...

## თ

(საკაცეზე დადგმულ სავარძლით ორ ბიჭს შემოჰყავს დავრდომილი გენერალი ბერდოსანი. სცენის შუაგულში დასდგამენ. ბიჭები უკან დგებიან, ამავე დრო-  
შემოვლენ მალხაზი, კეკელა, პაპუნა. კოწია და გლეხები).

## კნინა ჩიტუნია

აი, ბიძია, გაიცანი ჩვენი მაზრის ახალი უფროსი გრენგოლმ...

## გენერალი

აჰა... Очень рад...

## მაზრის უფროსი

Я очень извиняюсь, князь... Ваше Превосходительство... თქვენ როგორ გაგსარჯეთ... პირიქით უნდა გხლებოდით... პირდაპირ სიტყვებს ვერა ვპოულობ თავის გასამართლებლად..

## გენერალი

არაფერია.. Что за счеты... (იგონებს) Гренгольм... Гренгольм...

## კნინა ჩიტუნია

უკაცრავად, ბიძია, ახლა კი მარტო დაგტოვებთ... ხელს არ შეგიშლით საუბარში... წამობრძანდით, ბატონებო....

## გენერალი

(შენიშნავს კეკელას)

აა, კეკელ., ქალო... გამარჯვება შენი... (კეკელა მიდის, ხელს ართმევს, ყველანი ასე იქცევიან, ვისაც კი მიმართავს). აა, შე ცუღლუტო, კოწია... როგორა ხარ?... მალხაზ, ჩვენი მამასახლისი?... გამარჯვებათ, ყმაწვილებო!..

### **ყველანი**

გამარჯვება, ბატონო, ღმერთმა გაცოცხლოს...

### **გენერალი**

სხვა, როგორა ხართ.. რა?! ვერავის ვეღარ ვხედავ... გარეთ ვერ გამოვდივარ. დღეს გამოვიარე და მეწყინა... ცუდი, ძლიერ ცუდი ყანებია...

### **ჯიბო**

კი, ბატონო, ნამეტანი წვიმები იყო და... დაღეშტრა...

### **გენერალი**

ოო, ძალიან ცუდი მოსავალი გვექნება, ცუდი...

### **კნენა ჩიტუნია**

აბა, ახლა ხელს ნუღა შეუშლით...

(ანიშნებს, რომ წავიდნენ. ყველანი გაიკრიფებიან გარდა გენერლისა, მისი ორი ბიჭისა მაზრის უფროსისა და ბოქაულისა, რომელიც მოშორებით გაჭიმული დგას, მოისმის მიმავალი ჯიბოს ხმა).

### **ჯიბოს ხმა**

ეს კი ეტყვის მართალს... თუ გვეშველა, ახლა გვეშველა!

### **მეორე ხმა**

ჩუმად, ჩუმად!

### **გენერალი**

(უხერხული სიჩუმის შემდეგ)

Да!.. Гренгольм...რადაცა მახსენდება... ჰო. მართლა. ჩვენს პოლკში იყო ერთი გრენგოლმი შტაბაფიცრად.

### **მაზრის უფროსი**

(გაჭიმული დგას).

უკაცრავად, ბატონო. ეგ მამაჩემი არ გახლდათ...

### **გენერალი**

მაშ, მამათქვენი?

### **მაზრის უფროსი**

(უჭირს თქმა).

Он был из старых кантонистов... ჟანდარმად გახლდათ თბილისში...

### **გენერალი**

(სიტყვას მნიშვნელობას არ აძლევს).  
Ах... да... ეს ქართული საიდან შეგისწავლიათ?

**მაზრის უფროსი**

თბილისში გახლავართ დაბადებული და გაზრდილი... დედა ქართველი ქალი მყავდა.

**გენერალი**

Да... да... Значит, вы не из дворян...

**მაზრის უფროსი**

(თითქო რცხვენია. უჭირს თქმა).

Да... но...

**გენერალი**

სად მსახურობდით წინეთ, ყმაწვილო?

**მაზრის უფროსი**

Я служил в Тифлисе по полицейской части...

**გენერალი**

Ах да... ეგ თქვენ იყავით?. Околодочный надзиратель... ჰო... თავი რომ გამოიჩინეთ რევოლუციონერების დაჭერაში... წამიკითხავს გაზეთებში... წამიკითხავს...

**მაზრის უფროსი**

დიახ... მე...

**გენერალი**

Ну, что... მოგწონთ აქაურობა?

**მაზრის უფროსი**

Ох, один восторг, Ваше превосходительство...

**გენერალი**

ეჭვის თვალთ შეხედავს. სიტყვებს მძიმედ იმეორებს და ათამაშს) Восторг! (ცოტა სასტიკად) Восторг?..

**მაზრის უფროსი**

(მთლად გაიჭიმება).

**გენერალი**

ჰო, მართლა, რა მინდოდა თქვენთვის მეთქვა... (სიჩუმე). ჰო... ყმაწვილო, დიდი ხანია მე. ნათხოვნი მაქვს. დამატებითი პენსია უნდა მოეცათ... მართალია, ეს თქვენ არ შეგეხებათ, მაგრამ...

**მაზრის უფროსი**

Слшаю, Ваше Превосходительство...

**გენერალი**

ჰოდა, არავითარი პასუხი ჯერ არ მოსულა... А, впрочем... ეგ რა ორდენი გაქვთ?

**მაზრის უფროსი**

Льва и солнца. Ваше Превосходительство...

**გენერალი**

საიდან?

**მაზრის უფროსი**

ტლისში რომ გახლდით, სპარსეთის შაჰმა ჩამოიარა და, სხვათა შორის, მეც მაჩუქა.

**გენერალი** (ამთქნარებს)

აჰ, და, და!.. ბიჭებო... (ბიჭები დაიძვრებიან). ბევრი ვისაუბრე...очень... рад, очень!..

**მაზრის უფროსი**

Рад служить, Ваше Превосходительство...

**გენერალი**

მაშ, ნახვამდის...

**ბოქაული**

(შინა ოთახებისაკენ გაექანება, გასძახავს)

ბატონებო, გენერალი მიბრძანდება.

(მაზრის უფროსი გენერალს ხელს აძლევს, ბიჭები საკაცეს ასწევენ).

ო

კნეინა ჩიტუნია და ფაცია

**კნეინა ჩიტუნია**

ბიძია, მიბრძანდები კიდეც!..

**გენერალი**

დიახ, ჩემო შვილო, დავიღალე...

**ფაცია**

ბატონო, სადილი მაინც მიგერთმიათ... (გასძახის) მალხაზ, კეკელა...

**გენერალი**

არა, არა, შვილო... სულ ერთია... დრო, აი, თქვენ უნდა გაატაროთ...

ია

**მალხაზ** (შემორბის).

რა ამბავია, კნიაზ, რაზე გაგვიწყერთ?..

**გენერალი**

როგორ გაგიწყერით, მალხაზ! დავიღალე... ბევრი ვისაუბრე და

**მალხაზ**

როგორ გაგიბედოთ დაკავება... მაგრამ გვირგვინს კი დაგვადგამდი...

**გენერალი**

არა, არა, გმადლობთ... ნახვამდის, ყმაწვილებო Ну, ребята, веди-  
те старика.

(ბიჭები ასწევენ და მიაქვთ)

**იბ**

**კეკელა** (გამორბის)

უიმე, ღმერთო კი მომკალი!..

**მალხაზ**

(ანიშნებს და შეჩერდება)

**გენერალი**

ნახვამდია, ნახვამდის, ბატონებო... (კიბეზე ჩააცილებენ გენერალს. სცე-  
ნაზე მხოლოდ მაზრის უფროსი და ბოქაული რჩება)

**მაზრის უფროსი**

Ну, слава Богу, гроза моновала.

**ბოქაული**

ახლა კი გადარჩით....

**მაზრის უფროსი**

Вот! какой он дурак. ჰა, ჰა, ჰა?

**ბოქაული**

(ტუჩებზე ხელს მიიდებს, ანიშნებს ჩუმად იყოს).

Княгиня...

**იგ**

კნეინა ჩიტუნია, ფაცია

**კნეინა ჩიტუნია**

ახლა რას იტყვით, ედუარდ ერაზმოვიჩ? ხომ მოგეწონათ ჩვენი გე-  
ნერალი?



**მაზრის უფროს**

Ах, один восторг, княгиня...

**ფაცია**

თქვენ როგორ ყველაფერზე აღტაცებული ხართ?

**მაზრის უფროსი**

როგორ არ ვიყო აღტაცებული: მშვენიერი ბუნება, მშვენიერი ადამიანი და მათ შორის მომხიბვლელი კნენა და თქვენც  
изяшная княжна

**კნენა ჩიტუნია**

ციც! ედუარდ ერახმოვიჩ, არშიყობა არ იყოს!..

**მაზრის უფროსი**

მე მხოლოდ სინამდვილეს მოგახსენებთ, კნენა.

**იდ**

**მალხაზ**

(საჩქაროდ ამოდის კიბეზე).

აბა, ახლა კი მობრძანდით... სადილი მზად გახლავთ.

**კნენა ჩიტუნია**

ოო, ეგ მშვენიერებაა... დროც არის, სწორედ.

**მალხაზ**

მოვამშოეთ, ბატონებო, არა?..

**მაზრის უფროსი**

რაა, არა... Что вы?

**მალხაზ**

იმედია. არ გამიწყრებით ჩემს ღარიბულ სუფრაზე...

**კნენა ჩიტუნია**

ჰო, კარგი, ახლა. ვიცით შენი პურმარილის ამბავი... Ну, пойдёмте.  
ედუარდ ერახმოვიჩ!..

(მაზრის უფროსი ხელს გაუაყრის და მიჰყავს)

**მაზრის უფროსი**

Пойдем, пойдём, княгиня.

**მალხაზ**

აბა, გენაცვალე, ფაცია.

### ბოქაული

(მოდის. ამ დროს ფაციაც დაიძვრის. ბოქაული წინ გაუშვებს ფაციას).  
Пожалуйста княжна...

### ფაცია

მერსი. (გადიან ყველანი. სცენა ცოტა ხანს ცარიელია).

### იე

შინა ოთახებიდან გამოდის ფოფოდია და ამავე დროს კიბეზე ამოვა ქლორ-  
დავა. ერთიმეორეს შეეფეთებიან და შედგებიან.

**ფოფოდია** (კოპწიაობით)

ვის ეძებ?

**ქლორდავა** (მეგრულად)

მუჭომი ჯგირი რექ, გოლუაფირო! \*

**ფოფოდია**

(ვერ მიხვდა რა სთქვა. მაგრამ ინსტინქტურად მაინც წითლდება).  
რაო, რა სთქვი?..

### ივ

**ფოფოდია**

ოჰ. აგრაფინა... შენ გენაცვალე. (აკოცებს).

**აგრაფინა** (გაკვირვებული)

რა იყო? რა ამბავია?

**ფოფოდია**

(ემმაკურად ჩაიცინებს).

არაფერი. წვედიდეთ სასადილოდ.

(მიდიან, ფოფოდია თავს მოიბრუნებს და ქლორდავას თვალს ჩაუკრავს).

**ქლორდავა**

(ცოტა ხანს გამტერებულია. შემდეგ მოსხლტება ადგილიდან და  
კიბეზე დაეშვება).

**ფარდა**

## მოქმედება მესამე

იგივე სანახაობა. დაღამებულია და შორიდან გორაკებზე გაშენებულ სოფლიდან სანთლები მოჩანს. ეზოდან არეული სიმღერა და ღრიანცელი მოსმის, აივანზე ბნელა.

ა

**ფაცია და ადიკო**  
(კიბეზე ამოდიან).

**ფაცია**

კარგია-მეთქი. აუ სულელობთ!..

**ადიკო**

ვსულელობ კი არა, აბა, რა მოგეწონათ იმ ნემენცის?

**ფაცია**

ვინ მოგახსენათ. რომ მომეწონა?

**ადიკო**

როგორ არა, ჩემი ყურით გავიგონე, რომ სიყვარული გამოგიცხადათ და თქვენც უარი არ გაგიცხადებიათ.

**ფაცია**

იფ, მშვენიერი ხელობა კი დაგიწყიათ -- ჯაშუშობა!

**ადიკო**

ეგ სულ ერთია!.. ახლა საქმე მაგაში არ არის!.. უმთავრესი ის არის. რომ მაინც მოგხიბლათ ბრჭყვიალა ჩინებმა და დეზების რაჭვირუჭმა...

**ფაცია**

კარგი. ვთქვათ ეგრეც არის... მერე, თქვენ რა?..

**ადიკო**

მე ის, რომ რას გამოელით ამ ვიღაც გადამთიელისაგან?.. თქვენ კი ამბობდით -- ჩემი პრინციპი კანონიერი ჯვარისწერა არისო.

**ფაცია**

მერე? რა იცით. რომ, თუ მოვისურვებ, ჩემზე ჯვარსაც არ დაიწერს?

**ადიკო** (გადაიხარხარებს).

ვინა? გრენგოლმი? ნეტავი ეგეთი გულუბრყვილო არ იყოთ. როგორ არ იცით, რომ იმ გამოცდილი დონჟუანია და ისიც მხოლოდ იმას გამოელის თქვენგან. რასაც მე.

**ფაცია**

უზრდელი!

ეგ შაბლონური სიტყვაა... მე მხოლოდ ეს მაკვირვებს ჩვენი ქალღმრთის: თუ ერთი ვინმე უცხო გამოჩნდა, ბოქაული იყოს თუნდ სტრაჟნიკი, ხელათ მინებდებიან, და ჩვენ კი... ოო, უსათუოდ ჯვარის წერა, ქორწინება და ამისთანები...

**ფაცია**

მაგ სიტყვებს ჩემზე გავლენა არა აქვთ...

**ადიკო**

ეჰ, როგორ არ ვიცი... ჩემი საქმე მაშინ წახდა, როდესაც სიტყვებზე მივიდა საქმე... მაგრამ, აი, მოვიდა გამოცდილი კაცი და უკვე მოქმედებაც დაიწყო...

**ფაცია**

უჰ, რა გულღვარძლიანი ყოფილხართ... ჩემ საქმესაც მომაცდინეთ აქ გამომგზავნეს, რომ ახალი სუფრა გავშალო და...

**ადიკო**

სად? აქ. აივანზე?

**ფაცია** (აჯავრებს)

დიახ, აქ, აივანზე და... სულ ჭიჭინაზე რომ გასკდეთ, მაინც მაზრის უფროსს მოვუჯდები და ვეარშიყები. (გადის)

**ადიკო** (მიაყოლებს)

ია და ვარდი... მე ატსტავკაში ვარ.

(გაიარ-გამოიაროს, უსტვენს).

**ბ**

კიბეზე ამოდის ფოფოღია. სახე ალანძული აქვს, თმები მიშლილ-მოშლილი. დადლილია. ნელა შემოდის, თითქო მოიპარება: მოდის და ტახტზე მძიმედ დაეშვება.

**ადიკო**

ეს ვინ ბრძანდება? სიბნელეში კარგად ვერ ვარჩევ.

**ფოფოდია**

უჰ, გაგისკტა მიწა, რა შემაშინე!

**ადიკო**

აა, ფოფოდია ბრძანდება? სად დაგვეკარგეთ ამ შუა სადილზე?..

**ფოფოდია**

რალაც თავი ამტკივდა, შენ ნუ მომიკტე.

**ადიკო**

თავი? მეც მომწყინდა სადილზე და წელან თხილნარისაკენ გამოვიარე.

**ფოფოდია**

(შეეშინდება. შიშის კილოთი)

უი, გაგისკტა მიწა!

**ადიკო**

თქვენ რა მერე? თხილნარში კარგი სასეირნოა. მერე თხილიც მომწიფებულა.

**ფოფოდია**

დაგწყევლოს ღმერთმა, რას ლაპარაკობ?

**ბ**

**ქოლორდავა**

(შემოდის მოღლილი და ზურგით მიეყრდნობა აივნის ხარისას).

**ადიკო**

რას ვლაპარაკობ?.. არაფერს, "აი, მიზეზი, სულო ჩემო... (მიუთითებს ქოლორდავაზე) აი, მიზეზი"

**დ**

(შემოდის ბიჭი. შედგება შუა მაგიდაზე და მის ზემოთ ჩამოკიდებული ფანრის ლამპარს აანთებს. სცენა განათდება. გადის. ისევ ბრუნდება და სუფრას აწყობს).

**ფოფოდია**

(სინათლეზე შეამჩნევს ქოლორდავას და შეკრთება).

უი!

**ადიკო**

რა მოგივიდათ, ნიფადორა?

### ქოლორდავა

(სინათლეზე გასწორდება და შორიდან ფოფოდის აღტკინებით შესცქერის, ულვამს იგრებს, ქმინავს).

### ფოფოდია

რას იკბინება ეს წყეული კოლო.

### ადიკო

კოლო კი იყო?.. ჩვენ სოფელში კოლო არ იცის, ხოჭო იქნებოდა, შავი, ულვაშებიანი ხოჭო.

### ფოფოდია

რას ლაპარაკობს... გაგისკტა მიწა! (ერთს სიყვარულით გაჰხედავს ქოლორ-დავას და გადის).

### ადიკო

(გაივლის ქოლორდავასკენ).

არა, ისევ ქალაქში უნდა წავიდე, თორემ აქ...

### ქოლორდავა (ღრეჭით)

ქალაქში მიბრძანდები, პატონი?

### ადიკო (ჩააჩერდება)

ა? დიახ, ქალაქში.

### ე

(შინა ოთახებიდან გამოდის კნეინა ჩიტუნია, მოქანცული სახით აივნიკან გაივლის)

### კნეინა ჩიტუნია

თქვენა ხართ, ადიკო?

### ადიკო

გახლავართ, კნეინა... რა ამბავი, სადილზე მიგვატოვეთ?

### კნეინა ჩიტუნია

საშინლად ამტკივდა თავი, ყმაწვილო...

### ადიკო (განზე)

რა ამბავია, დღეს ყველას თავი სტკივა?

### კნეინა ჩიტუნია

(მოდის. ტახტზე ჩამოჯდება)  
მოდით აქ, ადიკო... ხომ ნებას მომცემთ ასე დაგიძახოთ?

**ადიკო** (მიუახლოვდება)  
რასაკვირველია, კნეინა...

**კნეინა ჩიტუნია**  
რა ვიცი, ახლა დავაჟკაცდიო. დიდი ხანია არ მინახავხართ... მოდით  
აქ, ჩამოჯექით, მიაშბეთ თქვენი ამბავი...

**ადიკო** (ახლო მიუჯდება)

**კნეინა ჩიტუნია**  
А, на самом деле, вы интересный молодой человек...

**ადიკო**  
ძლივს... მაღლობა ღმერთს! ამ სოფელში ერთი ქალისაგან მაინც გა-  
ვიგონე ხეირიანი სიტყვა.

**კნეინა ჩიტუნია**  
როგორ? არავინ არ განებივრებთ?.. Бедный мальчик!

**ადიკო**  
Только не жалейте княгиня...

**კნეინა ჩიტუნია**  
არა, ვიცი... მარჯვე ბიჭი ხართ... გავიგე, ჩვენ კნიაჟნას ვარშიყებით  
თურმე. რა? თუ გინდათ, მე გაგირიგებთ საქმეს.

**ადიკო**  
არა, კნეინა, ცოლად არ მინდა.

**კნეინა ჩიტუნია**  
Ах, вы... ერთი ამას დამიხედეთ, ახალი მოდის კაცი! რა? თქვენც  
ხომ ფუტურისტი არა ხართ? (გარედან სიმღერა და ხმები: ახალი სუფრა,  
ახალი სუფრა) Ах, надоели...  
(სიმღერა ახლოვდება. კნეინა მიიხედავს აივნისაკენ, შეაჩერდება ქოლორდავას.  
ნელი ღიმილით).

რას ატუზულა ეს სტრაჟნიკი?

**ადიკო**  
Этот стражник, княгиня, молодец...

**კნენა ჩიტუნია (გაკვირვებული)**

Как так?! (სიცილი)

**3**

(შემოდინ მარის უფროსი და კოწია გადახვეულნი. ორივე შეზარხოშებულია, უფრო კოწია. ცოტა ხნის შემდეგ. შეაოვლენ სტუმრები, მომღერლები, ბოქაული. მალხაზი და პაპუნა)

**მარის უფროსი**

აი ჩვენც მოვედით, Дорогой князь.

**კოწია**

შენი ჭირიმი. შენი. დიდებული ყაძახი ხარ, დიდებული. (შემოვლენ სტუმრები სიმღერით, მაგრამ ისე კი. რომ სიმღერა მოლაპარაკეთ არ უნდა უშლიდეს).

**კნენა ჩიტუნია  
(წამოდგება. ადიკოს)**

ახლა კი ამათ გავეცალოთ თორემ.

**მარის უფროსი**

Ах, очаровательная княгиня.  
(დაინახავს კნენა ჩიტუნიას, მიდის მასთან).

**ადიკო**

(ჩამოშორდება კნენას და სტუმრებისაკენ გადადის. ბიჭს შემოაქვს ღვინო და სანოვაგე. შემდეგ გადის)

**მალხაზ**

(ასხამს ღვინოს. სტუმრები მაგიდასთან გროვდებიან. ზოგი ჯდება, ზოგი ზეზეურად ილუკმება, ან სვამს სიმღერა წყდება)

**მარის უფროსი**

რაზე გაგვიწყერით? სადილზე მიგვატოვეთ.

**კნენა ჩიტუნია**

თქვენ აღარ გემადლიერებით, ედუარდ ერაზმოვიჩ.

**მარის უფროსი**

რატომ? რა დავაშავე?

**კნენა ჩიტუნია**



როგორ თუ რა დააშავეთ?! რა იყო რომ ფაცციას გადაეკიდეთ?

**მაზრის უფრო**

Я, княгиня... Я, княгиня... Нет, это один восторг, Вы ревнуете... იჭვიანობთ?

**კნეინა ჩიტუნია**

შენმა მზემ! Много чести...

**მაზრის უფროსი**

მაშ რა, კნეინა?

**კნეინა ჩიტუნია**

რა და, იცით. ნებას არ მოგცემთ, რომ კნიაჟნას არმიყოფა დაუწყოთ. რა თქვენი საქმეა! ქალიშვილი ქალია, გაუთხოვარი...

**მაზრის უფროსი**

Но я, княгиня...

**კოწია**

(მაგიდასთან თავის ჯგუფს)

შენი ჭირიმე. რა ქვია, კაცო?

**ბოქაული**

ედუარდ ერაზმოვიჩ...

**მაზრის უფროსი**

Сейчас, сейчас...

**კნეინა ჩიტუნია**

თქვენ კი ცოლიანი ხართ, გამოქნილი დონჟუანი.

**მაზრის უფროსი**

რას მიბრძანებთ, კნეინა? მე ხომ ქვრივი ვარ.

**კნეინა ჩიტუნია**

როგორ, მართლა? (განცვიფრებული) მაშ, თქვენ სერიოზულად გინდათ?..

**მაზრის უფროსი**

სრულიად სერიოზულად, კნეინა...

**კნეინა ჩიტუნია**

გინდათ ფაცია შეერთოთ?

**მაზრის უფროსი**

გაძლევთ პატიოსან სიტყვას...

**კნენა ჩიტუნია**

აჰ, უკაცრავად! მომიტევეთ, მომიტევეთ, გეთაყვა... თუ ასეა, ღმერთო... Какой вы славный.

**მაზრის უფროსი**

Вашу ручку, княгиня. (ჰკოცნის ხელზე).

**კნენა ჩიტუნია**

მაშ, გახსოვდეთ თქვენი სიტყვა.

**მაზრის უფროსი**

აუცილებლად, კნენა...

**კოწია და სხვები**

ედუარდ ერანმოვიჩ...

**მაზრის უფროსი**

ეხლავ, ეხლავ!.. კნიაგინია, წავიდეთ!

**კნენა ჩიტუნია**

კარგი! ახლა აღარ გიწყრებით... (ხელგაყრილი გაჰყვება მაგიდისკენ)

**კოწია**

ეს, ვინც მოვიდა გაუმარჯოს!.. აბა, ყმაწვილებო, ღმერთმა გვიცოცხლოს ჩვენი კნენა ჩიტუნის თავი... ეგ არის ჩვენი ჭირისუფალი, ჩვენი გამკითხავი, ჩვენი სოფლის დედოფალი... ალავერდი, ყმაწვილებო, ღმერთმა ნუ მომიშალოს, ბიძიკო, შენი თავი... (ხელზე ჰკოცნის).

**კნენა ჩიტუნია**

გმადლობთ, ბიძია. (მრავალჯამიერ)

**მაზრის უფროსი**

უჰ, მართლა! სად არის ჩემი კნიაზი გორგასლანიანი.

**ბოქაული**

ქოლორდავა! Позвать сюда Горгасланиани!..

**ქოლორდავა**

სიჩას! (გავარდება).

**კნენა ჩიტუნია**

(მაზრის უფროსს) რად გინდათ?

**მაზრის უფროსი**

უნდა ვაჭიდავო...

**კნენა ჩიტუნია**

კარგია ერთი, რას ამამუნებთ.

**მაზრის უფროსი**

О, уверяю, один восторг... ისეთი ფრანგული ჭიდაობა იცის...  
Настоящий...

**კნენა ჩიტუნია**

კარგი ერთი...

**მაზრის უფროსი**

მაგრამ აქ სხვა ვინმემ იცის ფრანგული ჭიდაობა? აა, მართლა, უთუ-  
ოდ, თქვენ... (ადიკოს) Молодой человек...

**ადიკო**

ჭიდაობა კი არა. მოიტათ, ღვინო მინდა დავლიო...

**კნენა ჩიტუნია**

ოჰო...

**მალხაზ**

რად გინდა, გენაცვალე... აკი არა სვამ...

**ადიკო**

არა, ახლა უნდა დავლიო... გულზე ბოდმა მომაწვა... მოიტათ!..  
(უსხამენ).

**ფ**

გორგასლანიანი. ქოლორდავა

**გორგასლანიანი**

(გამოეჭიმება მაზრის უფროსს).

ჰე, ჰე, ჰე! რას მიბრძანებთ, ვაშე ვისოკობლაგოროდიე?

**მაზრის უფროსი**

აბა, французскую борьбу...ხელათ...

**გორგასლანიანი**

Слушаюсь... მაგრამ! ვის ვეჭიდაო, ვამ ვისოკობლაგოროდიე...

**მალხაზ**

აგერ მყავს შენთვის, ბიძია, აგერ...

**გორგასლანიანი**

ჰე, ჰე, ჰე! მოზრძანდი.

### მაზრის უფროსი

Ну, живо!

### კოწია (მაზრის უფროსს)

დიდებული ყაძახი ხარ, დიდებული...

მოჭიდავეები მოემზადებიან და იწყებენ ჭიდაობას. მაზრის უფროსი შესაფერ შენიშვნებს აძლავს და თან ზოგჯერ წამოიძახებს:

ჰოპ, ჰოპ.

\* (საერთო ღრიანცელი მაცურებლებისა. ბოლოს გორგასლანიანი წააქცევს მოწინააღმდეგეს. საერთო მოწონების ხმა\*)

### მაზრის უფროსი

ბრავო, ბრავო! (ამოიღებს ჯიბიდან ფულს). აი, ესეც შენ თხუთმეტი მანეთი.

### გორგასლანიანი (ქშინავს, გამოართმევს)

ჰე, ჰე, ჰე! რად სტარატსა, ვაშე ვისოკობლაგოროდიე!

### კოწია

ფუი, შეარცხვინა ღმერთმა შენი კნიაზობა...

### მაზრის უფროსი

А?

თ

### ფაცია

(თეფშით ცხელ-ცხელი ხაჭაპურები მოაქვს)

ესეც ჩვენებური ცხელ-ცხელი ხაჭაპურები.

### ყველანი, გარდა ადიკოსი

ააა!

### მაზრის უფროსი

Чудная княжна, один восторг, ей Богу!

### ფაცია

Я сама испекла.

### მაზრის უფროსი

Сами? Один восторг.

### კნენა ჩიტუნია

ბატონებო, მაშ, ვადლეგრძელოთ ჩვენი კნიაჟნა.

**მაზრის უფროსი**

Oh, с удовольствием...

**ყველანი**

გაუმარჯოს, გაუმარჯოს.

(სიმღერა)

**ადიკო**

(უეცრად ზეზე წამოდგაბა)

ბატონებო!

**ხმები**

ჩშ, ჩუმად...

**ადიკო**

გატონებო... აი, ჩვენ აქ ვზივართ. ვქეიფობთ... და ვინ იცის, რა სი-  
სამაგლეს არ ჩავდივართ... (უხერხული სიჩუმე)

**კოწია** (წამოვარდება!

იმე, რას ამბობს ე, მღვდელი!

**ადიკო**

მე კი შევცქერი ამ სიბნელეში ჩვენს ციხე-ბურჯს და, ვინ იცის, რა  
აზრი არ მიტრიალებს თავში...

**მაზრის უფროსი** (მოიღუშება)

**ბოქაული**

Пожалуйста, ციხე-ბურჯზე ნუ ილაპარაკებთ...

**ხმები**

რატომ? რატომ? თქვი, თქვი, გენაცვალე...

**ადიკო**

მე, განა, ისეთს რას ვამბობ...

**მაზრის უფროსი**

Почего, говорите, дуйте... (კნინა ჩიტუნის) ახლა ისეთ გუნებაზე  
ვარ, რომ რაც უნდა, ის ილაპარაკონ...

**ადიკო**

გაცქერი-მეთქი ციხე-ბურჯს და ვფიქრობ: ერთ დროს იქ იყო სი-  
ცოცხლე, იყო თავისებური სიხარული. სიყვარული. ტანჯვაც, მწუ-  
ხარებაც და დღეს კი ყოველივე ჩამქრალა. აღარავინ არ ეკარება.  
რომელიმე ჩიტი თუ გადაფრინდება მის თავზე, ხოლო ღამით კი

ღამურები და ჭოტები ბუდობენ... და, ვინ იცის, აქაც, აი, სადაც

ახლა ჩვენა ვსხედვართ, ვღრიალებთ და ვხრიალებთ, ერთ დროს  
სულ სხვა ადამიანები იყვნენ... და სულ სხვაგვარ ზრახვიდნენ,  
ფიქრობდნენ. იყვნენ გოლიათები სულით, სხეულით, ჯანსაღი გო-  
ნებით და მოქმედებით... ჩვენ კი? აი, ბატონიშვილი გორგასლანი-  
ნი... (პაუზა). თხუთმეტ მანეთს ღებულობს ჭიდაობაში... (დაჯდა)

**გორგასლანიანი**

ჰე, ჰე, ჰე!

(ობლად გაისმის მისი სიცილი. მძიმე პაუზა)

**კოწია**

მერე?

**მაზრის უფროსი** (დაცინვის კილოთი)

გაუმარჯოს საკარტველოს! (აქა-იქ თავშეკავებული სიცილი)

**კოწია**

დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული.

**ფაცია**

(წამოდგება და შუა ალაგას გაჩერდება)

**კოწია**

გენაცვალე, შვილო, აბა, ერთი ლექსი... აი, ის ახალი ლექსი რომ  
იცი...

**მაზრის უფროსი**

განა, იცის კითხვა?

**კნენა ჩიტუნია**

ო, ჩინებულად...

**მაზრის უფროსი**

О, тогда просим, просим...

**სხვები**

გთხოვთ, გთხოვთ!

**ქოლორდავა** (გადის)

**ფაცია**

(თავს უკან გადაიგდებს ამაყად და ზეპირად წარმოსთქვამს სანდრო შანშიაშვი-  
ლის ლექსს):

"ბატონიშვილს გული უწუხს,  
მარტო ვეღარ სძლებს!  
უგვირგვინოდ ბაღში დადის,  
რჩეულს სევდა სძლევს.  
სდუმს ხუმარაც, აღარ ამბობს  
იგავ-არაკებს...  
თავს ყორანი დასტრიალებს,  
შავი, შავად ჰყევს!

ბატონიშვილს გული უწუხს,  
მარტო ვედარ სძლებს!  
ავად არის დედოფალი,  
ფერმიხდილი წევს,  
ჰგრძნობს, საყვარელს დაშორდება.  
ჩუმი ცრემლი სჩქევს.  
და თან ესმის: შორს ყორანი  
თვალბედითი ჰყევს!  
ბატონიშვილს გული უწუხს,  
მარტო ვედარ სძლერ!  
სეფე-ქალნი ქვითინებენ,  
ტირილი აქვთ რძლებს!  
გლოგის ზარი ჩამორეკვს,  
თალხს აცმევენ ღერბს.  
ბატონიშვილს აღარ სძინავს,  
გულხელ დაიკრევს...  
ყორანი კვლავ დაყიალებს  
და ყარყუმი ჰყევს".

### ყველანი

ვაშა, ბრავო, ბრავო!

### კნეინა ჩიტუნია

Это интересно...

### კოწია (ყმაწვილებს)

აბა, რას მოგიწყენიათ?... ერთი სიმღერა: თინას ვენაცვალეზიო...  
(გაიმღერებს, სხვები მღერიან)

### მაზრის უფროსი

(გადაინაცვლებს ტახტისკენ).

კნიაჟნა, მოდით აქ, ჩემთან.

### ფაცია

რა გნებავთ?

### მაზრის უფროსი

გადმოჯექით აქა... (ჩამოსხდებიან ერთად)

### კნეინა ჩიტუნია

(წამოდგება. გადადის ადიკოსკენ).

ადიკო! რა არის, ღვინოში იხრჩვებით... (შემღერებით) არ გეკადრება,  
არ დაგშვენდება...

### ადიკო

ეჰ, კნეინა ჩიტუნია... Чувствую, что падаю...

### კნენა ჩიტუნია

Падаете? (გაუცინებს). მაშ, მოიტათ თქვენი ხელი...  
(სიმღერა შეწყდება).

### ადიკო

(გაულიმებს, მისცემს ხელს, წამოდგება და ორივენი აივნის ხარიხისაკენ მიდიან).

### კოწია (გორგასლანიანს)

რას მელაპარაკები, ბიძია, აბა, არ გინახავს შენ... (ამოიღებს ჯიბიდან).  
ა, აგერ ეს ბარიტია, ეს ოხრაა. ეს გიშერი და ეს ვერცხლი...

### გორგასლანიანი

ჰე, ჰე, ჰე! (განაგრძობენ ჩუმ ლაპარაკს).

### ფაცია (მაზრის უფროსს)

არა, მე ვერაფერს გადაწყვეტილს ვერ გეტყვით. ყოველივე ეს ისე უცებ მოხდა... მერე კიდევ თქვენ სულ სხვა კაცი. სულ სხვა ნაციის. მე კი სოფლის ერთი უბრალო, ქართველი კნენა....

### მაზრის უფროსი

Вот, вот...ახლა კი მართლა ქართულადა მსჯელობთ... რა ვუყოთ. რომ მე სხვა ნაციისა ვარ! მე რომ მკითხოთ, თქვენ, ქართველები სწორედ ეგრე უნდა მოიქცეთ... თქვენი ქალები სულ უცხოელებზე უნდა გაათხოვოთ... თუ გინდათ, რომ სისხლი განახლოთ... აბა, რას წარმოადგენთ ახლა?.. დაჩივებული, დაგლახაკებული... აქა-იქ თუ გამოვარდება თქვენისთანა კეკლუცი, თორემ, აბა, სადღა არიან ოდესმე განთქმული грузинские красавицы? ეს რატომ მოხდა?... იმიტომ რომ, მუდამ მონები იყავით ქართველები და ერთხელაც არა ცდილხართ ამ მონობისაგან რიგიანათ თავი დაგეხწიათ... მონას კი ან რა კვება ექნება, ან რა ჯიშის შექმნა შეუძლიან! Где ваша породистость?!

თქვენა გგონიათ, მე არ ვიცი თქვენი ისტორია? ერთი ბატონი-დან მეორე ბატონის ხელში გადადიოდით... ყველა თქვენ გირტყამდათ: ერთი მხრით სპარსეთი, მეორე მხრით ოსმალეთი, ძველი ბიზანტია, მთიელები, ჩეჩნები, ლეკები, ოსები. ყველა თავში გიფაჩუნებდათ, ვისაც კი არ ეზარებოდა. თქვენ კი ამბობთ -- კულტურული ხალხი ვიყავითო. რის კულტურა? რა კულტურა? რა გაგაჩნდათ, რა გქონდათ?.. ჩვენ, რუსებმა მოგანიჭეთ ყოველივე. ახლა, ახლა მაინც უნდა მოეგოთ გონს... ახლა ჩვენ უნდა შეგვიერთდეთ სულით, სისხლით, სხეულით... უწინარეს ყოვლისა თქვენ, ქალები, უნდა გახდეთ гражданки великой русской Империи და მაშინ... შეიძლება თქვენი საქმეც გამოკეთდეს...



### ფაცია

(დიდად სწყინს მაზრის უფროსის სიტყვები. შეურაცხყოფასა გრძნობს, მღელვარებს. მაგრამ, პაუზის შემდეგ. უეცრად ხელს გაუწვდის) ედუარდ ერაზმოვიჩ... აი ჩემი ხელი...

### მაზრის უფროსი

Вот, вот... ესე არა სჯობია?.. (ხელს მოჰკიდებს) Мое счастье! Краля моя!... ეხლავ გამოვუცხადებ ყველას ჩემს ბედნიერებას... Господа!

o

(ქოლორდავა შემორბის. ხელში დაბეჭდილი კონვერტი უჭირავს).

### ქოლორდავა

(გამოეჭიმება მაზრის უფროსს) ვაშე ვისოკობლაგოროდიე! (აწვდის ქალაქს).

### მაზრის უფროსი

(გაკვირვებული)

В чем дело? (ყველანი წამოიშლებიან. წუთი მოლოდინისა).

### ქოლორდავა

ნაროჩნი პრიეხალ, ბატონო, პრედპისანიე...

### მაზრის უფროსი

(უკვე გახსნა, სერიოზული სახე მიიღო, თითქოს სულ გამოფხიზლდა) Даа!..

### კნენა ჩიტუნია

(პაუზის შემდეგ)

რა იყო, ედუარდ ერაზმოვიჩ?

### მაზრის უფროსი

(ოფიციალური კილოთი)

Меня в другой уезд переводят, княгиня! Губернатор немедленно требует меня.

### კოწია

მალხაზ

უპ!

### სხვებიც

(გაკვირვებული დგანან)

### კნენა ჩიტუნია

Как? ასე მალეა.. ჯერ თითქმის ხეირიანად არც კი ჩამოსულხართ. თქვენი მაზრა არც კი გაგიცვნიათ.

**მაზრის უფროსი**

Да, служба, княгиня.

**კოწია**

შენ არ მომიკვტე! შენ თავს ვინ წაგვართმევს. (ჩიტუნის) კნეინა. ბეჩა.

**მაზრის უფროსი**

(გაიცინებს).

ნუ! რაც არის ის არის! (ქოლორდავას) Ну, оседлать лошадей. Живо Горгасланиани (გორგასლანიანი გარბის).

**ქოლორდავა**

ლომადი გატოვო, ვაშე ვისოკობლაგოროდიე.

**მაზრის უფროსი**

Господин пристав!.. (რაღაცას ელაპარაკება).

**ფაცია**

(ჩიტუნის ხვეწნის კილოთი, ეხვევა).

ჩიტუნია!..

**კნეინა ჩიტუნია**

Ничего.. ничего... მე ყველაფერი ვიცი. ნუ გეშინია. ხელიდან ვე-  
ლარ გამისხლტება. მეც წავალ. შენც ჩემთან უნდა წამოხვიდე. ჩემს  
სახლში წავიყვან.

**მალხაზ**

(მაზრის უფროსს)

აბა, ამაღამ სად წაბრძანდებით!

**მაზრის უფროსი**

არა, მამასახლისო... Долг службы прежде всего...

**მალხაზ**

როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო!

**კნეინა ჩიტუნია**

ედუარდ ერანმოვიჩი, ჩვენც მოვდივართ... კნიაჟნა ფაციაც...

**მაზრის უფროსი**

Ах, да... კნიაჟნა ფაცია...

**კნეინა ჩიტუნია**

ეხლავე, ეხლავე მზად ვიქნებით. ჩემი ცხენებიც მზად არიან წა-  
მოდი ფაცია. (გადიან ორივენი).

**მალხაზ** (გადასძახებს)

ბიჭო, ზურიკო!.. მალე ჩემი ცხენი შეკაზმე, ნაჩაღნიკს უნთა ვე-  
ახლო...

### **მაზრის უფროსი**

(მიდის მაგიდასთან, აიღებს ჭიქას).

ბატონებო, სულით და გულით. ვწუხვარ, რომ სამსახურის მოვალე-  
ობის გამო იძულებული ვარ დავტოვო ეს მშვენიერი კუთხე... პირ-  
ველი ჩემი სამაზრო გამომგზავრება ამ სოფელში მოხდა... თითქმის  
რამოდენიმე საათია რაც თქვენს შორის ვიმყოფები, მაგრამ სულით  
და გულით შეგითვისდით, დიდად მომეწონეთ... რაინდი ხალხი ყო-  
ფილხართ... სტუმრის დიდი პატივისცემა გცოდნიათ... მშვენიერი  
მრავალჯამიერი, ქალების სილამაზეზე ხომ ლაპარაკიც მეტია...  
დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ სადაც არ უნდა ვიქნე... მეხსო-  
მებით!.. (დალევს).

### **ყველანი**

ურაა!(მრავალჯამიერ).

ია

კეკელა და აგრაფინა

### **კეკელა**

ღმერთო მომკალი, მიბრძანდებით?

### **მაზრის უფროსი**

დიახ, ბატონო... სამსახური მთხოვს...

იბ

### **კნენა ჩიტუნია და ფაცია**

(სამგზავროდ მორთულები)

### **კნენა ჩიტუნია**

აი, ჩვენც მზადა ვართ, მხოლოდ ედუარდ ერაზმოვიჩ...

### **მაზრის უფროსი**

(მიდის მასთან)

Что прикажете, княгиня?...

### **კნენა ჩიტუნია**

თქვენი სიტყვა უნდა შეასრულოთ...

### **მაზრის უფროსი**

კნიაგინია! მე სიტყვის კაცი ვარ და ახლავ დავამტკიცებ ამას...  
(მიდის ფაციასთან. მის ხელს აიღებს). Господа... ვაცხადებ საყოველ-  
თაოდ...კნიაზ კოწია!... მე თქვენ ქალა ვირთავ... (მოულოდნელობის  
გამო ყველა გაშტერდება და სხვადასხვა პოზას მიიღებს. პაუზა).

### კოწია

(შეხედავს მაზრის უფროსს არაფარი გაეგება, შემდეგ მალხაზს)  
რა თქვა, ბიძია?

### კნენა ჩიტუნია

როგორ, ვერ გაიგე? შენს ფაციას ცოლად ირთავს...

### კოწია

კაი, შენი ჭირიმე, ნუ მეხუმრები!..

### მაზრის უფროსი

(მიდის კოწიასთან).

Вполне серьезно, князь...

### კოწია (დაიბნა)

იმე!.. ჩემი ცოლი სად არის?.. ჩემი ცოლი სად არის...

### კეკელა

თუ მართლა აგრეა... მოგვილოცავს, გენაცვალე ფაცია. (მიდის და  
ჰკოცნის)

### ხმები

მოგვილოტავს, ბატონო, მოგვილოცავს, ვაშე ვისოკობლაგოროდიე...

### ბოქაული

(გამოეჭიმება მაზრის უფროსს).

От души поздравляю, Ваше Высокоблогородие! კნიაჟნა, მერწ-  
მუნეთ, რომ დიდად მიხარია.

### კნენა ჩიტუნია

(მიდის მაზრის უფროსთან, კეკელუცად).

ახლა კი აღარაფერზე არ გემდურით და вполне Вами довольна...  
(განაგრძობს მასთან ლაპარაკს).

### აგრაფინა

(ჩუმად მიდის და ფაციას აკოცებს).

### ადიკო

(ისევ ზარხოშად არის. მიდის ფაციასთან. ხელს დაუჭერს).  
განცვიფრებული ვარ და გაყერყეხებული... ძალიან პრაქტიკული  
ჭკუა გამოიჩინეთ.

### ფაცია

მაშ, რა ისა სჯობია, რომ აქ ველოდო მოგზაურ, ზღაპრულ პრინციბს?... თქვენ კი... ხომ გითხარით, ჩემი რომანის გმირი არ იყავით.

### ადიკო

თქვენი პრინცი მოვიდა კიდეც...

### ფაცია

ჰო... რაზე დავმალე... ვიცი, რომ ცხოვრებაში ერთგვარი ძალა მეც მექნება...

### კოწია

(უკვე ეხვევა მაზრის უფროსს).

დიდებული ყაზახი ხარ, დიდებული... (მიიღის ფაციასთან თითქმის ტირილით) შვილო, ფაცია. (მოეხვეა). შენ გენაცვალე მამაშენი კოწია... ეს რა ბედნიერება მომანიჭე, შვილო... ჩემ თავს არ ვუჯერი... სად არი ახლა საწყალი დედაშენი?..

### ფაცია

რა ვქნა, მამა?... უცხო კაცია, გადამთიელი, მაგრამ გვეყოფა ამდენი გაჭირვება...

### კოწია

რას ამბობ, შვილო, ხელმწიფის ტოლი კაცია. ამისთანა ბედნიერება ვის ეღირსება... (მიღის მაზრის უფროსთან). ვენაცვალე მე ამას...

### მაზრის უფროსი

(უღიმის. მხარზე ხელს დაჰკრავს)

მაგრამ ამ სოფლის თვალი კი წაგართვით...

### მალხაზ

იცოცხლე, ბატონო, იცოცხლე... გემოვნება კი გქონია.. აგაშენოს ღმერთმა...

### კნეინა ჩიტუნია

Ну значит так... ყველანი მივდივართ ჩემსა... ედუარდ ერაზმოვიჩი დავითანხმე... ამაღამ ნიშნობასაც გადავიხდით და... ხვალ უთენია ჩვენი სიძე წავა თავის საქმეზე... ერთი კვირის შემდეგ, მე და ფაცია თავის დედ-მამით ჩავალთ გუბერნიის ქალაქში და ქორწილსაც გადავიხდით... ახლა კი, კოწია, გასწი ჩქარა შენი ჯორით, წამოიყვანე შენი კნეინა და მოდი ჩემსა...

### კოწია

ახლავე, შენ გენაცვალე ჩემი თავი... დაფაცურდება. აა სიძე, სიძე... (მოახვევა). აღარ გეთხოვები... მშვიდობით, ფაცია... სად არის ახლა

ჩემი საწყალი ცოლი? (უცხად) ჩემი ჯორი სად არის?.. სად არის ჩემი ჯორი?. (ეხვევა). ღმერთო, არ ვიცი, რა ვთქვა... (მოზრუნდება). სიძე, სიძე! (გადაეხვევა. შემდეგ ჩაირბენს კიბეზე, მოისმის კიდეც მისი ხმა) სად არის ჩემი ჯორი?..

### **მალხაზ (მაზრის უფროსს)**

ბატონო, მარტო თავად კოწიას ოჯახი კი არ გააბედნიერე, მთელი ეს კუთხე გააბედნიერე... მთელი ჩვენი სოფელი გააბედნიერე. თქვენისთანა კაცის სიძობა, ბატონო, ხუმრობა კი არ არის, გვირგვინია, ბატონო, მთელი მხარის... და საცა უნდა ბრძანდებოდეთ, ჩვენც იმედი გვაქვს, რომ არ დაგვივიწყებთ და გეხსომებით... მაშ, გაცოცხლოს, ბატონო, კიდეც ერთხელ ღმერთმა... (სვამს. სიმღერა!

### **ყველანი**

ურაა! (სვამენ)

**იგ**

### **გორგასლანიანი**

(შემოდის. მაზრის უფროსს გამოეჭიმება)

ლომადი პოდანი, ვაშე ვისოკობლაგოროდიე, ჰე, ჰე, ჰე!

### **მაზრის უფროსი**

მაშ, ახლა კი მშვიდობით, ბატონებო... ანდა, უკეთესი იქნება ვთქვა... მალე ნახვამდის, რადგან იმედი მაქვს... (ჩაიცინებს). როგორც თქვენი სიძე, ბატონებო, კვლავ გეწვევით.

### **ყველანი**

იცოცხლე, იცოცხლე, ბატონო.

### **მაზრის უფროსი**

ახლა კი, ერთხელ კიდეც გადაეცით მთელს სოფელს ჩემი გულითადი მადლობა და ის, რომ რ(შეჩერდება. ფიქრობს რა თქვას) მუდამ მეხსომებით. ნახვამდის, ბატონებო! (პირველად კაკალას ჩამოართმევს ხელს, შემდეგ აგრავინას. ბოლოს თვალით ეძებს. ვის გამოეთხოვოს და შეჩერდება ადიკოზე). სხვანი კი ყველანი, მგონი, ჩვენთან მოდიან... Ах, вы в самом деле, молодой патриот... (ხელი უნდა ჩამოართვას).

### **ადიკო**

არა, молодой патриот-იც თქვენთან წამოვა. თქვენ ზეიმს მეც მინდა დავესწრო...

### **მაზრის უფროსი**

Очень рад, очень рад...Ну-с, княжна, მიბოძეთ თქვენი ხელი და ნება დამრთეთ, რომ ცხენზე მე თვითონ შეგსვათ...

### ფაცია

სიამოვნებით... ნახვამდის, ბატონებო!

(გადიან ხელგაყრილნი, თან მიჰყვებიან სტუმრები და სტრაჟნიკები).

### ხმები

გაგაბედნიეროს ღმერთმა, გაგაბედნიეროს...

### ბოქაული

Княгиня! (უნდა ხელი გაუყაროს).

### კნეინა ჩიტუნია

(ახედ-დახედავს)

აბა, ნახვამდის, კეკელა...

### ბოქაული

(დაცხვენილი გადის).

### კნეინა ჩიტუნია

აგრაფინა... შენ არ გინდა წამოსვლა?

### აგრაფინა

უკაცრავად, კნეინა... ვერა ვარ მთლად კარგად...

### მალხაზ

აბა, ბატონებო, ერთი მგზავრული, მგზავრული... მეფე-დედოფალი სიმღერით გავაცვილოთ.

(სიმღერა. ყველა გალაგდება. სცენაზე მხოლოდ აგრაფინა რჩება, რომელიც სანთელს და ლამპას ჩააქრობს, შემდეგ ხარბხარს გადაეყრდნობა და წამსვლელებს გასცქერის. სცენა ბნელდება. მოისმის სიცილ-ხარხარი. მათრახის ტკაცუნა. ცხენის ფეხის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ, კიბეზე ნელ-ნელა ამოჩლაჩუნდება კეკელა.

გამოდის აივანზე. შეამჩნევს ს აგრაფინას, მიუბრუნდება).

### იდ

### კეკელა

რა იყო, აგრაფინა, შვილო... როგორ გამხდარხარ?.. წამოდი, დაწე-ქი, შვილო... არაქათი აღარ მაქვს...

### აგრაფინა (თითქოს თავისთვის)

ყველანი წავიდნენ... ჰაი-ჰუი და ყოველივე ისე დარჩა, როგორც იყო. ციხე-ბურჯი ისევ უპატრონოდ მიტოვებულია. ეკლესია გუმბათგადამტვრეული, სასწავლებელი --- კარგამოკეტილი, ბაღი --- გავერანებული, ბოგირი -- ჩაცვენილი... გზებიც ისევ გაფუჭებულ-

ლი... (თავს ჩაჰკიდებს, ცრემლები ერევა).

**კეკელა**

რა იყო? რა მოგსვლია?

**აგრაფინა** (ჩუმად არის)

**კეკელა** (მიდის მასთან).

ღმერთო მომკალი! ცრემლები! რა გატირებს, შვილო?

**აგრაფინა**

არაფერი დედა... სიცალიერესა ვგრძნობ.

**ფარდა**

1917 წ.

**კაკალ გულში**

პიესა 3 მოქმედებად

**მოქმედნი:**

**ჭადარა**, დაწესებულების უფროსი

**კვეყენაძე**, მისი თანაშემწე

**გოჩოლავა**-

**რინკველი**- განყოფილებათა გამგეები

**ირინარხ პარასკიდი**-

**ირაკლი**-

**მარო**- დაწესებულების თანამშრომლები

**მოხუცი**-

**ახალგაზრდა**- დარაჯები დაწესებულებისა

**მარტიროსოვი**, სახლის პატრონი

**უცხოელი**, ჟურნალისტი

**თარჯიმანი**, პრესის წარმომადგენელი

**მგზავრი**, ჭადარას ამხანაგი

**მაკა**, ჭადარას დედობილი

**დარბაიძე**-

**თამუნია**- ქალები

**ნადიკო**-

**ცაცა**-

**თიკო**, მოსამსახურე გოგო

დაწესებულების თანამშრომლები, მთხოვნელები, მუშები, კომკავშირელები.

**მოქმედება პირველი**



ფართო დარბაზი, ეტყობა ოდესღაც მისაღები, სასტუმრო ოთახი ყოფილა, მდიდრულად მორთული. ერთ კუთხეში დგას მეტად ძვირფასი, ჩინური სურათებით და ინკრუსტაციებით შემკული, შავი ხის შირმა. მუშები საკანცელარიოდ ამზადებენ დარბაზს. შემოაქვთ მაგიდები და გააქვთ რბილი ავეჯი, ფანჯრებზე სალუქ-მარმაშის ფარდებს და გარდინებს ხსნიან, კედლებზე ოქროს ჩარჩოებში დიდროვან საღებავით დახატულ სურათებს. დიდი ფუსფუსია და ორომტრიალი. თანამშრომლები დარბიან, მოაქვთ ქაღალდები. სამწერლო ჭურჭლები და მასალა. ოთახს გადაირბენს ირინარხი.

## 1

### 1-ლი თანამშრომელი (მისძახის)

ირინარხ! ირინარხ!

### მე-2 თანამშრომელი

#### (მეორე მხრიდან შემორბის და მისძახის)

ამხანაგო... ამხანაგო... კაცო! -- ვერ ვისწავლე ამის სახელი...

### 1-ლი თანამშრომელი

ვისი?... ირინარხის?

### მე-2 თანამშრომელი

ირინეა... არხია... თუ რაღაცა... ვერ დავიხსოვე და...

### ირაკლი

(უადგილოაღაგას მდგარ მაგიდასთან ზეზეურად ქაღალდებს ჩაღრმავებია. თავს არ იღებს)

არხია, ძმაო, არხი... ჩვენთვის ახლა არხიეფისკოფოზიცაა და ყველაფერი...

### მე-2 თანამშრომელი

როგორ?

### 1-ლი თანამშრომელი

არ იცი?

## 2

### მე-3 და მე-4 თანამშრომელი (შემოცვივიან)

აქ ირიკო არ არის? (აქეთ-იქით ეძახიან ირიკო! ირიკო! (ერთ-ერთი ხმას აუმაღლებს ვირიკო! ვირიკო!..

ირაკლი (ისევ ისე)

ჩემ... ჩუმად, ყმაწვილებო!

ყველა (პირველის გარდა)

რა იყო? რა მოხდა?

ირაკლი

(თავს აიღებს, თითქოს საზეიმო კილოთი)

ამიერიდან ვირიკო და ირიკო აღარ არსებობს...

განა არ იცით რაცა ჰქვია?

მე-2 თანამშრომელი

რა ვიცი ან რა ოხრად მინდა?

მე-3 თანამშრომელი

როგორ თუ რა ოხრად გინდა!.. აგერ სამი დღეა დავსდევ და არ იქნა ხელთ ვერ დავიჭირე... აუარებელი საქმე მაქვს... უფროსმა მითხრა მაგას მიმართეო...

მე-2 თანამშრომელი

მეც ეგრე არ მჭირს!..

მე-4 თანამშრომელი

ჰოდა ირიკოს ვემებთ ყველანი.

მე-3 თანამშრომელი

აქამდის სულ ირიკოს და ვირიკოს ვემახდით.

ირაკლი

ჰოდა გაიგონეთ, რომ ეგ დაუნიშნავთ ჩვენი განყოფილების გამგეთ და სახელადაც ირიკო კი არა...

1-ლი თანამშრომელი

ირინარხი ქვია...

ირაკლი

და მარტო ირინარხი კი არა, არამედ ირინარხ პოლიხრონიევიჩ პარასკიდი.

მე-2 თანამშრომელი

აი, ჯანდაბას მაგის თავი და ტანი...

მე-3 თანამშრომელი

კაი ადვილი სახელი და გვარი არ ჰქონია!

#### **მე-4 თანამშრომელი**

მშვენიერი გამოსათქმელია, მე შენ გეტყვი...

#### **მე-3 თანამშრომელი**

რაც უნდა ის ერქვას მაგ ოჯახქორს, რა ვუყო ახლა, მაგრამ ეს საქმეები, საქმეები!.. აგერ სამი დღეა ხელით დამაქვს...

#### **ირაკლი**

რა შენი სცალია, მთელი დაწესებულება თავდაყირაა დაყენებული. ახალ ბინაზე გადმოვედით და მაგან უნდა გადაგვარიგოს, გაგვანაწილოს...

#### **მე-2 თანამშრომელი**

კარგი, მაგრამ საქმეებს ხომ შესრულება უნდა.

### **3**

#### **ირინარხი**

(გამორბის და უნდა ოთახი გადაირბინოს. წინ გადაელობებიან თანამშრომლები).

#### **თანამშრომელი**

ირიკო... ირინარხ... ბატონო ირინ...

#### **ირინარხი**

(ცოტა ბერძნულად უქცევს)

ბატონო, ბატონო... ხომ იცი საცა არიან...

#### **მე-3 თანამშრომელი**

უკაცრავად... მაგრამ მაგას არ დავეძებ ახლა... აი ეს საქმეები... (უჩვენებს პაპკას).

#### **ირინარხი**

ოჰ, ოჰ, ო... აბა ახლა სად მცალია მაგისტრის... (მუშას) მაგას რას ჩადიხარ?... აა, ეგ შირმა ჯერ იყოს მანდა... შემდეგ ჩემს კაბინეტში გადავიტან... (სხვა მუშას) აქ წამომყე... (გარბის).

#### **მე-4 თანამშრომელი**

ვერცხლის წყალია ნამდვილად... ხელში ვერ დაიჭერ...

#### **მე-2 თანამშრომელი**

საიდან გამოტყვრა ეგ ოხერი?

#### **ირაკლი**

სტავროპოლიდან, ჩემო ძმაო...

**მე-4 თანამშრომელი**

კაცო, შენ არ თქვი მაგის გვარი პარასკევია თუ რაღაც.

**ირაკლი**

პარასკიდი.

**მე-4 თანამშრომელი**

ჰოდა ეგ პარასკიდი ბერძნული გვარი არ არის?

**მე-2 თანამშრომელი**

ბერძენს სტავროპოლში რა უნდოდა?

**ირაკლი**

დამსახურებული კაცია...

**მე-3 თანამშრომელი**

შენ რა არ იცი!.. ინფორმაციურს ტყუილად კი არ გეძახით...

**მე-2 თანამშრომელი**

მე რომ აქამდის ეს კაცი არ შემიმჩნევია, როგორ არის ჩემი საქმე...

**მე-4 თანამშრომელი**

კაცო, აგერ ერთი თვეა, რაც ჩვენს დაწესებულებაში გაჩნდა... რა-  
ღასაც მსახურებს, კაცმა არ იცის რას მსახურებს და სად მსახუ-  
რებს, ესე იგი, რომელ განყოფილებაში, მაგრამ რომ მსახურებს ეს  
კი ცხადია... სულ ან უფროსის კაბინეტშია, ან თავქუდმოგლეჯილი  
სადღაც დარბის და ისევ უფროსთან ბრუნდება...

**მე-3 თანამშრომელი**

ჰოდა ჩვენც ირიკო-ვირიკოს ვეძახდით.

**მე-2 თანამშრომელი**

უთუოდ მფარველი ეყოლება ვინმე, თორემ ასე უეცრად...

**მე-4 თანამშრომელი**

(ირაკლის)

შენ გეცოდინება...

**ირაკლი**

როგორ არ ვიცი, მოდი აქ, ყურში გეტყვი...

**ყველანი**

კაცო, რას გვიმაღავ...

**ირინარხი  
(გამორბის. ისევ შემოესევინ).  
თანამშრომელი**

ირინ... ირიკო... იერარხ...

**ირინარხი  
(უეცრად შეჩერდა)**

ყმაწვილებო, მე თქვენთვის ისევ ამხანაგი ირიქო ვარ.- "ვირიქო"  
არა, "ვირიქო" არა... ვიცი მეზახით... ახლა რა გინდათ?

**თანამშრომელი**

- საქმეებია დაგროვილი...
- ზოგი სამი დღეა ბრკოლდება...
- ხომ იცით ვოლოკიტაზე ბევრსა სწერენ...
- გვამტყუნებენ!
- ზოგი საქმე ისეთია, მოცდა მართლაც არ შეიძლება...

**ირინარხი**

**(ამ ლაპარაკში შირმას მუშტრის თვალით სინჯავდა).**

რა ვქნათ, ამხანაგებო, რა ვქნათ... დგეს არავის არ გვცალია... ხომ  
ხედავთ რა ამბავია... ამ შენობაში დგეს გადმოვედით და ხომ უნ-  
და დავლაგდეთ... ჯერ ჩვენ უნდა მოვეცხოთ, ოთახები და ადგილე-  
ბი დავინაცილოთ, შემდეგ კი ისევ საქმეებს შევუდგეთ.

**თანამშრომელი**

- კარგი და როდის?
- სამი დღეა ასე დავფუსფუსებთ, ერთი ორომტრიალია.
- ნეტავი ისევ იმ შენობაში ვყოფილიყავით...
- ყველამ ჩვენ ჩვენი ადგილი ვიცოდით...
- საქმეც ჩანგივით იყო აწყობილი.
- ახლა როდის დავეწყობით, ვინ სად ვიქნებით, კაცმა არ იცის...

**ირინარხი**

აი ქამისია მოვა და გაგინაცილებთ.

**მე-3 თანამშრომელი**

მაინც საქმეები როდის?

**ირინარხი**

მე მგონია ხვალ, ამხანაგო... (უფრო გადაწყვეტით ხვალ)

**თანამშრომელი**

ახლა ეს მაინც გვითხარით... ირინ... იერარხ... არხირინ...

**ირინარხი**

ირიქო, ამხანაგებო, ირიქო... "ვირიქო" არა, "ვირიქო" არა... (ღიმილით გარბის).

### 1-ლი თანამშრომელი

რა გინდა, კაცო, კარგი ბიჭია!

### მე-3 თანამშრომელი

კარგი მაგის ცხვირს მოუვა! რა აქვს კარგი?!

5

მარო (შემოდის)

თანამშრომელნი

-- აა, მარუსია! მობრძანდი, მარუსია!

-- რა გნებავთ, მარუსია?

-- ქართველია, კაცო მა რუსია?

### მე-2 თანამშრომელი

კო, კარგი ახლა, ნუ ღლაბუცობთ...

ირაკლი

რა გნებავთ, ამხანაგო?

მარო

დუდაროვმა მეცხვარეობის პროექტი გამომიგზავნეთო... აი მე რომ დაგიბეჭდეთო...

თანამშრომელნი

(ირაკლის მიესვნიან).

-- როგორ, კაცო, მეცხვარეობის პროექტებსაც ადგენ?

-- ეს ხომ ჩვენი იმფორმბიურია...

-- ინფორმბიურო კი არა, ეგ ცოცხალი ენციკლოპედიაა...

ამას წინათ, არ იცით? საბალეტო სკოლის პროგრამაც შეუდგენია და დებულებაც დაუწერია...

-- აი გიდი, კნიაზო!

ირაკლი

(თავაჩაღუნული ქაღალდებში ეძებს).

იცინეთ, იცინეთ! რა გენადვლებათ!.. აქ მე ხუთიათასს სხვადასხვა პროექტებს ვადგენ, თქვენ კი შემოსულ და გასულ ქაღალდზე თვალები გიღამდებათ...

მე-3 თანამშრომელი.

არა, ეს კი ნამეტანია, შენმა მზემ! სად ჩვენი დაწესებულება და სად მეცხვარეობა, მით უფრო საბალეტო სკოლა!...

### 1-ლი თანამშრომელი

თუკი აძლევენ შესადგენად... ახლა რა? მაგან უარი თქვას თუ როგორ არის საქმე?

### მე-3 და მე-4 თანამშრომელი

ტკუილა კი არ არის კნიაზი...

Он мог поговорить об Ювенале

В конце письма поставить Vale...

ი ტაკ დალეე: ხომ გახსოვთ ევგენი ონეგინი, ცოტ-ცოტა რომ ყველაფერი იცოდა. მაგანაც ყველაფერი იცის.

აბა, ჰკითხე აინშტაინის თეორია, რეები მოგიყვეს!

### მე-2 თანამშრომელი

კაციც ეგ არის და ქუდიც მაგას ხურავს.

### მე-3 თანამშრომელი

(ამასობაში მაროს ეკურკურებოდა, ჩაუდილინებს).

Ах, Маруся... Прямо ты дуся...

### მარო

აბა როგორ გეკადრებათ... თავის დაჭერა არ იცით...

### მე-3 თანამშრომელი

ჰმ... ვინ არ იცის თავის დაჭერა? მე არ ვიცი?... ისიც ქალებთან?

### მე-4 თანამშრომელი

ეგ ხომ განთქმული ლოველასია...

### მე-3 თანამშრომელი

არა, შვილოსა... მე წვრილი მოხელე ვარ და მიტომ ფიცხობს ეგრე. თორემ აბა გამგემ თვალი ჩაუკრას...

### მარო

დაიკარგე!

### მე-3 თანამშრომელი

მერე რა კობტა გამგე გყავს ახლა? ისეთია --- ვერცხლის წყალი...

### მარო

თქვე უბედურებო! მაგის მეტი მასალა რომ არა გაქვთ რა... აქაოდა რაკი მემანქანე ქალია, უსათუოდ გამგეს უნდა ეარშიყებოდეს?..

#### მე-4 თანამშრომელი

მე და ჩემმა ღმერთმა, ეგ მართალია... ზაპლა წაიღეს: გაზეთაბში და პიესებში სულ მუდამ მემანქანისა და გამგის არშიყობას დასცინიან...

#### მარო

Прямо надоели... თითქო მაგის მეტი არაფერი არ ხდებოდეს ცხოვრებაში...

#### 1-ლი თანამშრომელი

ოო, ბევრი, ბევრი, ამხანაგო მარუსია... მაგრამ ესეც რომ ხდება, ხომ ცხადია...

#### მარო

შეიძლება, მაგრამ нельзя же до безчувствия.. (ირაკლის) რა ჰქენით, ირაკლი, პროექტი ვერ მოსძებნეთ?

#### ირაკლი

ეხლავ, ეხლავ... ძალიან არეულია ქაღალდები... ეხლავ მივაგნებ.

#### მე-4 თანამშრომელი

(მიიხედავს გაღებულ კარებისაკენ)

ყმაწვილებო, მგონი კამისია მოდის და ჩვენი უფროსიც...

#### 6

#### ჭალარა

(შემოდის და მას მოჰვეება კვეყენამე ირინარხი, გოჩოლავა, რინკველი და რამოდენიმე კიდევ სხვა. ჭალარას ყველა მორიდებით ექცევა, ის კი ყველას სათნოდ და ამხანაგურად. ეს ემჩნევა მის საქციელს, მის ლაპარაკს, თავის დაჭერას). მაშ ეს არის დიდი დარბაზი? აქ გინდათ რომ მოთავსდეს საერთო კანცელარია, არა? (პასუხს არ დაუცდის, შესმჩნევს კედელზე მხატვრულ არშიას). ამხანაგებო, ეცადეთ კედელს ნაკლებ შეეხოთ... ნუ ჰკიდებთ ესე ბლომად ამხანაგების სურათებს, часовня ხომ არ არის! портретная галерея, ეს დაწესებულებაა და ზედმეტი აქ არაფერი არ უნდა იყოს... საერთოდ კედლები და თვით მთელი შენობაც უნდა იყოს სუფთა, უბრალო... აქ მაინც, ამ კედელზე ხომ ხედავთ რაიმე ზედმეტის გაკვრა, თუნდ უბრალო განცხადებისაც, ბარბაროსობა იქნება. თვითონ არის კედელი უბრალო და ლამაზი... საერთოდ, ამხანაგებო, აღარ უნდა არავითარი ესეთ გამაფრთხილებელ პლაკატებს ჩამოკიდება, როგორც მაგალითად: "დაჯექით", "ნუ აფურთხებთ", "ხელს ნუ ჩამომართმევთ" და სხვა ამგვარი. მოჭამა ამან თავისი დრო. ხალხი, ესე იგი, მომსვლელები თვით დაიცავენ წესრიგს თუ თვითონ თქვენ მოექცევით რიგიანად და იქნებით წესიერები... (უეცრად ყველას თვალს გადაავლებს და სათნოდ გაეღიმება) ჰა,ჰა! მე ნო-



ტაციებს კი არ გიკითხავთ... Я просто рекомендую свою мысль..  
მაშ ეგრე... იყოს აქ საერთო კანცელარია... იქით რაღა არის? (გადის.  
მომყოლთაგან გოჩოლავს და რინკველს გარდა ყველა გაჰყვება. ეს ორი კი  
რჩება შირმასთან, რომელსაც უფროსის ლაპარაკის დროს ყურადღება მიაქცის  
და ეტყობა ჩუმი, მაგრამ ცხარე ლაპარაკი აუტყდათ).

### **მარო (ირაკლის)**

ეტყობა კარგა ხანს მოგინდებათ ძებნა. მე წავალ...

### **ირაკლი**

არა, ეს მაგიდა ჩემია. წამოიღეს თუ არა, თან გამოვყევი, რომ ქა-  
ღაღალები არ დამკარგოდა, თორემ აქ ახლა ისეთი ამბავია... ძალი  
პატრონს ვერ იცნობს. ნამდვილი ტაციაობაა: ვის ვისი მაგიდა  
მიაქვს, ვის შკაფი, ვის სკამი... აი, აი, შეხედეთ! ნამდვილად ერთი-  
მეორეს დაჰკრავენ ეს ოჯახდაქცეულები.

### **გოჩოლავა**

ამხანაგო, მე გიმტკიცებთ, რომ ჩემი კაბინეტი თვრამეტი კუბიკური  
მეტრია ან კუბიკური მეტრის თვრამეტი და ეს შირმაც იქ თავისუფ-  
ლად მოთავსდება. თუმცა შეიძლება არც მოთავსდეს, მაგრამ მაინც  
მე უნდა წავილო, იასნო, დალშე!

### **რინკველი**

კაცო, დაარწმუნეთ ეს ღიჯინა ურია... Убедите этого паршивого  
жида, , ნუ მევაჭრება пусть не торгуется со мной... შირმა ჩემს  
ოთახში უნდა მოთავსდეს... Ширма должна быть в моей  
комнате мორჩა და გათავდა... решено и подписано.

### **გოჩოლავა**

რავა ახლა!.. ღონით მჯობიხარ, სიგრძით, სიმაღლით თუ დამსახუ-  
რებით... არა, შეიძლება მჯობდე, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა  
აქვს... იასნო, დალშე!

### **რინკველი**

შე უბედურო, несчастный ты, შენ ყველაფრით გჯობივარ, я всем  
лучше тебя, არ იცი? не знаешь?

### **გოჩოლავა**

მჯობიხარ თუ არა პერეკოპი შენ ეილე, შენი ცხვირი ნუ მომიკვ-  
დება, არა, შეიძლება პერეკოპი მეც ამელო, ან მე ავილებდი, ან შენ  
აილებდი, ან ვინმე აილებდა -- ჰოდა, ახლა თუ შენ ეილე პერეკოპი,  
მე რაღაზე ვვილებდი... იასნო, დალშე!

### რინკველი

მე, ძმაო, я брат, პერეკოპზედაც ვიყავი, И на Перекопе былъ, დუ-  
შეთშიაც ვიბრძოდი, и в Душетах воевал და მამისონის უღელტე-  
ხილზედაც ჯარი მე გადმევიყვანე и на мамисонском перевале  
армию я перевел... შენ კი მაშინ, შე უბედურო, а ты тогда не-  
счастный, მენშევიკების ფუქსავატ ფულების ბეჭდვას უნდებოდი,  
все свое время посвящал печатанию меньшевистских дутых  
денег.

### გოჩოლავა

ო, კარგი ახლა... იასნო, დალშე! მენშევიკობას რომ მაყვედრი. მე  
თავის დროზე პატიოსანი მენშევიკი მაინც ვიყავი და თუ არ ვიყა-  
ვი, ახლა პატიოსანი ბლშევიკი ვარ. იასნო, დალშე! შენი თქვი რომ  
არც თავში იყავი პატიოსანი და არც ბოლოში... ჰოდა, თუ ბოლოში  
არ იყავი, თავში რაფერ იქნებოდი... იასნო, დალშე! შენ საქმეებს ნუ  
მომაყოლებ თუ არა... ან მე მოყვებები, ან შენ მოყვებები, ან სხვა ვინმე  
მოყვება... იასნო, დალშე!

## 7

### ირინარხი

(შემოდის გოჩოლავას უკანასკნელ სიტყვებზე)

### ირაკლი

ძიძგი, ძიძგი მამალსაო...

### ირინარხი

(მიუახლოვდება გოჩოლავას და რინკველს)

კარგია, ყმაწვილებო, სირცხვილია, ყველას ესმის თქვენი ლაპარა-  
კი... რა გინდათ, რაზე ჩხუბობთ?

### რინკველი

როგორ თუ რაზე? Как это очем? შირმა უნდა წამართვას, хочет  
ширму отнять...

### ირინარხი

როგორ თუ შირმას?! მერე საიდან არის შენი...

### გოჩოლავა

მეც მაგას ვეუბნები... შენც მაგას ეუბნები, ყველა ამას ეუბნებით,  
მაგრამ... იასნო, დალშე...

### ირინარხი

შირმა არც შენია და არც მაგისი... და რომ ორივე გაგასწოროთ, მე დავიდგამ ჩემს კაბინეტში.

### **გოჩოლავა და რინკველი**

ერიჰაა! ახლა შენ დაიჩემე!

### **8**

#### **მაკა**

უიმე, უიმე! ეს სად გადმოსულხართ. (ყველა იმას მიაქცევს ყურადღებას) მლივს მოგაგენით... სად არის ჩემი ჭალარა?

#### **ირინარხი**

(წინ გამოვა)

ჭალარა აქ არის მაკა... რაზე გარჯილხართ, რა ამბავია?

#### **მარო (ირაკლის)**

ეს ჭალარას დედა ხომ არ არის?

#### **ირაკლი**

არა, დედა არ არის... დედობილია... განთქმული მაკა... მაკას ბავშვობიდანვე აუყვანია ჭალარა და აღუზრდია... ასე რომ, ახლა ჭალარას სახლში ცხოვრობს როგორც დედა. დიდი გაფოფრილი დედა-კაცია, მაგრამ საკვირველია, აქ რა უნდა?

#### **მაკა**

დაშლილი მაქ, შვილო, აქ თქვენთან სამსახურში მოსვლა, ჭალარამ სასტიკად ამიკრძალა, მაგრამ... არც ტელეფონი გქონიათ, შვილო...

#### **ირინარხი**

დალოცვილო, ეს არის გადმოვდივართ ამ ახალ შენობაში და...

#### **მაკა**

ჰოდა... ძველ ბინაზედაც ტელეფონით ვერავის გავაგონე... სახლშია ცხვა არავინ იყო... მე თვითონ წამოვედი...

#### **ირინარხი**

მაინც რა ამბავია?

#### **მაკა**

რაღა რა ამბავია... ვანომ დარეკა ტელეფონით: ჭალარა ეხლავე ჩემთან მოვიდეს, ამაღამ მოსკოში უნდა გავემგზავროთ კონფერენ-

ციაზეო... გადაეცით თუ კაცი ხარ... მე ვერ ვნახავ, ნუ მაჩვენებთ  
თორემ ძალიან გამიჯავრდება...

### ირინარხი

კარგი, ეხლავ გადავცემ... (გარბის)

### გოჩოლავა (რინკველს)

ჰო, კარგია. ახლა... შევრიგდეთ, ან მე შევირიგდები, ან შენ შე-  
მირიგდები, მაგრამ თუნდაც არ შევრიგდეთ დარწმუნებული ხარ,  
რომ მე უფრო მერგება შირმა, ამაში მე დარწმუნებული ვარ, შენც  
დარწმუნებული ხარ, ან შეიძლება დარწმუნებული არ იყო, არც მე  
ვიყო დარწმუნებული, მაგრამ იასნო, დალშე!

### რინკველი

მერე ირინარხი? А потом Иринарх?

### გოჩოლავა

არაფერია, დავასწროთ და მერე რას იზამს?... ან მე დავასწრებ, ან  
შენ დაასწრებ, ან შეიძლება იმან დაგვასწროს... იასნო, დალშე!

### რინკველი

თუ ასეა. მაშინ შუაზე გავჭრათ, если так, тогда пополам раз-  
режем, მაინც კარგა ზორბაა და ორივეს გვეყოფა... довольно боль-  
шая и обоим хватит, თუ გინდა если хочешь ცოტა მეტი შენ  
წაიღე, немного больше ты бери, ჯანდაბას, к черту!.. აბა, ერთი  
დურგალს დაუძახოთ, ну-ка позовем плотника...

### გოჩოლავა

იასნო, დალშე! (თანამშრომელთაგანს), დურგალი, დურგალი, ხერხი...  
(თანამშრომელი გარბის).

### რინკველი

(შირმის ნაწილს შეაბრუნებს)

შირმის ეს ნაწილი, вот эта часть ширмы, ჩემი უნდა იყოს. долж-  
на быть моей...

### მაკა

(აქამდის დარბაზს ათვალეერებდა, ზოგ რამეს დიდის ცნობისმოყვარეობით ხე-  
ლით სინჯავდა, უეცრად დაინახავს შირმას და სიხარულით შეჰკვივლებს, თან  
ქორივით მივარდება შირმას).

უიმე, შირმა, ოჰ, ეს რა მშვენიერი რამ არის? რა უნდა ამას აქ...  
სახლში უნდა წავადებინო... ეხლავ, ამ წუთს...

### გოჩოლავა და რინკველი

(განცვიფრებული გაშეშდებიან და ერთიმეორეს ყვედრებით შეხედავენ. თანამშრომლებში მოისმის თავშეკავებული "ფხუუ")

### მე-3 თანამშრომელი

#### ირაკლი

დაკვრივითი წესით მუშაობა.

#### მაკა

სად არის ირიკო?... აქ კაცი არ არის უფროსი?

#### გოჩოლავა

აქ ყველაზე უფროსი მე გახლავარ... არა, შეიძლება არ ვიყო, მაგრამ იმედი მაქვს რომ ვიქნები, იასნო, დალშე!

#### მაკა

მერე რომ მახლავხარ!.. თვალები რას დაგიჭყეტია? რას უყურებ, დაუძახე მუშებს და უთხარი ჩემსას წაიღონ...

#### გოჩოლავა

პატივცემულო მაკა... თქვენს ბრძანებას ვინ არ შეასრულებს, ან მე შევასრულებ, ან ის შეასრულებს, მაგრამ მაინც იასნო, დალშე!..

#### რინკველი (მორიდებით)

ეს შირმა, эта ширма დაწესებულების არის, учреждения და... и...

#### მაკა

დაწესებულება არ ვიცი მე... ან დაწესებულებას რად უნდა ამისთანა შირმა... ჩემმა ჭადარამ განა არ გამოგიცხადათ, რომ კანცელარიაში ყველაფერი უბრალოდ უნდა იყოსო?..

#### რინკველი

იმას არც სახლში უყვარს, он идома не любит, მაინც და მაინც გადამჭიჭული მორთულობა, непременно пышное убранство...

#### მაკა

ეგ შენი საქმე არ არის... ჩემ სახლში უფროსი მე ვარ... თქვენ თქვენ დაწესებულებას მოუარეთ...

### მე-2 თანამშრომელი

#### რინკველს

გაჩუმდი, კაცო, არ იცი რა დამთხვეულიცაა...

#### მაკა

რა ამბავია... კომენდანტი არ ყავს ამ თქვენ დაწესებულებას?

## 1-ლი თანამშრომელი

რა გნებავთ, ბატონო?

მაკა

მე შენი ბატონი არა ვარ, მაგრამ აი, თუ შეგიძლია ეს შირმა წამოაღებინე... შენ რა, კომენდანტი ხარ?

## 1-ლი თანამშრომელი

კომენდანტი არა ვარ, მაგრამ... თქვენს ბრძანებას ვინ არ შეასრულებს... ეხლავე, ეხლავე... (ემახის მუშას. ისინი ცოტა ხანს ყოყმანობენ, მაგრამ 1-ლი უჩვენებს მაკაზე) ბრძანებაა აგეთი... ეხლავე ზურგზე მოიკიდეთ და წაიღეთ... (მუშებს შირმა გააქვთ).

მაკა (გამარჯებული)

ასე არ სჯობია... (რინკველსა და გოჩოლავაზე) ჰმ!.. ესენი მასწავლიან ჩემს სახლში როგორ მოვიქცე!.. ჭადარამ აქ დამიშალა მოსვლა და თქვენს საქმეებში ჩარევა, თორემ... ჩემს სახლში...

გოჩოლავა (განზე. სხვებს)

დალოცვილო, მეტი ჩარევა რაღა იქნება?.. იასნო, დალზე!

მაკა (ყურს მოჰკრავს)

რაო?

## 1-ლი თანამშრომელი

არაფერი არ უთქვამს, პატივცემულო მაკა, არაფერი...

მაკა

ჰოო, აბა, როგორ გგონია! ეს ვიღაა? (მაროს) ვინა ხარ, ლამაზო?

მარო

(ცოტა შარცხვება).

მე აქ ვმსახურობ...

მაკა

რომ მსახურობ, მეც ვხედავ, ისე აბა, აქ რა გენდომება, მაგრამ გვარი რა გაქვს?

მარო

როგორ არა მაქვს... ჰოზბეტელაშვილი გახლავართ...

მაკა

ამისთანა გვარი ჯერ არ გამიგონია, მარა კაია, შვილო, კაი... მერე და რატომ ჩვენსა არ დაიარები?... ჩემი სახლი სავსეა შენისთანა ლამაზებით...

მარო

რა ვიცი, ბატონო...

**მაკა**

ბატონოს ნუ მეუბნები... საშინლად მეჯავრება ეს ფეოდალური სახელწოდება... მოდი, შვილო, მოდი... (განზე გაიყვანს). თუ გინდა რომ ბედს ეწიო... ჩვენსა უნდა იარო...

**მარო**

აბა, როგორ გავბედო... ვინ მომიშვებს?

**მაკა**

ვინ მოგიშვებსო რა სათქმელია... მოიცა, მოიცა... ა, ჭადარა ამაღამ წავა... ჰოდა ძალიან კარგი! ხვალ საღამოს შვიდ საათზე მოდი ჩემთან... შენთვის კარგია, შვილო, ბედს ეწევი... რა არის, ვერა ბედავ?... რაკი გეუბნები, უნდა მოხვიდე კიდეც... ეს ასე. ეს ვილა არის? აა, კნიაზ ირაკლი? თქვენ აქ მსახურობთ?

**ირაკლი**

დიახ, ჯერჯერობით.

**მე-3 თანამშრომელი**

ეგ გახლავთ ჩვენი პროექტების ბუდე და საერთოდ ყველას ინფორმაციური.

**მაკა**

აა, დაგცინიან, კნიაზ, არა?

**ირაკლი**

ნუ მეძახით კნიაზს, საშინლად მეჯავრება ეს ფეოდალური სახელწოდება.

**მაკა**

ოჰო, მე მაჯავრებთ? ფრთხილად იყავით, ირაკლი.

**1-ლი თანამშრომელი**

ოო, მაგისტანა ფრთხილი არა მგონია კურდღელიც იყოს. მხოლოდ ერთი განსხვავებაა: კურდღელი ჩერჩეტია და ეს კი ჭკვიანიც არის...

**მაკა**

ვიცნობ, ამხანაგო, კარგა ხანია ვიცნიაბ. ახალგაზრდობისას მაგას ჩვენს მაზრაში მარშლად ირჩევდნენ... მეც ბევრჯერ მივსულვარ მაგასთან სათხოვნელად. მე არაფერი არ მავიწყდება ზოგიერთივით და... არც უმადური ვარ... მხოლოდ თქვენ კი არა გვწყალობთ... არ დადიხართ ჩვენსა...

**ირაკლი**

საქმეები, მაკა ჩემო, საქმეები...

**მაკა**

კარგია საქმე რომ გაქვთ... ეს ჩემ ჭაღარას კარგა მოუფიქრებია.  
რომ თქვენთვის საქმე გაუჩენია... გამოცდილი კაცი ხართ, გამოსა-  
დეგი... ბევრი გინახავთ, ბევრი იცით... მართლა, მოდით ჩვენსა, აი,  
მოიყვანეთ ეს თქვენი თანამშრომელი შარუსიაზა და... ხვალ მოდით  
საღამოთი შვიდ საათზე.

**ირაკლი**

დიდად გმადლობთ, მაკა!

**მაკა**

(უეცრად თითქო რაღაც გაახსენდაო)  
ვაიმე, შირმა?! წაიღეს ხომ... აქ ჭაღარამ არ მომისწროს, თორემ  
ეწყინება... (წასვლა უნდა) მაშ ეგრე, გელოდებით...

**მ**

**ირინარხი** (შემორბის)

ჭაღარა სადღაც წასულა, ვერსად ვერ ვნახე...

**მაკა**

ო, ძალიან კარგი... ირიკო, ჯერ არ უთხრათ, რომ შირმა მე წავიღე...

**ირინარხი**

შირმა? რომელი შირმა? როგორ თუ წაიღეთ? (ცოტა ხანს სახტათ არის,  
შემდეგ ხარხარი აუტყდება). ჰა, ჰა, ჰა... მერე გოჩოლავა? რინკველი?

**მაკა**

კარგია, რა გაცინებს... მაშ როგორ გეგონა... აბა, ახლა ნახვამდის!  
ირიკო, ხვალინდელი საღამო არ დაგავიწყდეს და... ჭაღარას შირმა-  
ზე არაფერი უთხრა... ნახვამდის, ნახვამდის, ყმაწვილებო... (გა  
გოგმანდება).

(ცოტა ხანს უხერხული სიჩუმე. შემდეგ გოჩოლავა და რინკველი  
მივარდებიან ირინარხს).

**გოჩოლავა**

კაცო, გინახავს ამისთანა? ან შენ გინახავს, ან მე მინახავს, ან სხვა-  
უნახავს? იასნო, დალშე!

**რინკველი**



ვის გაუგონია, кто слышал, ესეთი საქციელი такой поступок...

### გოჩოლავა

ახლა, ჭადარას დედობილი რომ არის იმისათვის ხომ არ დავერიდებ-  
ბი? ყველას გვყავს დედობილი კი არა დედაც... ახლა, ჩემი დედაც.  
შენი დედაც, იმისი დედაც რომ გავიხსენოთ რა გამოვა! იასნო  
დალშე.

### ირინარხი

კარგია ახლა... გირს ამაზე ლაფარაჭი... ცაიგო, შირმა, ცაიგო...

### რინკველი

სადაური კანონია, какой это закон, რომ დაწესებულებიდან, что  
с учреждения ვინმემ რაიმე ავეჯი წაიღოს. какую нибудь вещь  
взял და ისიც სრულიად უცხო პირმა, совершенно посторо-  
нее лицо.

### გოჩოლავა

ვინ ლაპარაკობს, ვინ? შენ რომ შარშან ტელეფონის აპარატი წააღე-  
ბინე და სახლში დაიდგი, ის რაღა იყო?.. არა, მერე მოიტანე, მაგრამ  
შემდეგ ისევ წააღებინე. იასნო, დალშე!

### ირინარხი

ქარგია, ქაცო, რაგას ეჩხუბები!.. ახლა აგარც შენ გაქვს შირმა და  
აგარც მაგას... იმ ქალმა ორივე გაგასცორათ...

### რინკველი

ამას მე ასე არ დავტოვებ, это я так не аставлю ადგილკომში  
განვაცხადებ, в местком заявлю კომუჯრედში დავსვამ საკითხს,  
в комячейке поставлю вопрос...

### გოჩოლავა

თვითონ ჭადარას ვეტყვი... არა, შეიძლება არც ვუთხრა, მაგრამ  
მაინც, იასნო, დალშე!

### ირინარხი

დაიცათ, დაიცათ რომ ვთქვი რა! ვითომ ზალიან დაგიმადლებს?..  
(მიდის).

### რინკველი

კაცო, რომ მიდიხარ, ასე როგორ იქნება.  
(მიჰყვება).

### გოჩოლავა

გარწმუნებ, ჭადარას ვეტყვი-მეთქი. იასნო, დალშე!  
(სიც მიჰყვება. მიდიან მუქარით და ხრიალით).

### 1-ლი თანამშრომელი

აბა, ეხლა ჩვენც წავიდეთ, ძმაო...

### მე-3 თანამშრომელი

სად უნდა წავიდე? ოთახი მე არა მაქვს, მაგიდა და სკამი. ეს ქალაქ-დეები შემრჩა ხელში, კაცი არ არის გამკითხავი. ხვალ, ამბობს ვირიკო... უკაცრავად! "ვირიქო არა, გირიქო არა"... ირინ... არხი თუ არხი... დიაკონი... ჯანდაბას მაგისი თავი...

### მე-2 თანამშრომელი

შენ ის თქვი, ჭადარაც თუ მართლა კონფერენციაზე წავიდა, ვილა დარჩება ჩვენს უფროსად. დარჩიაშვილიც შვებულეებაშია და...

### 1-ლი თანამშრომელი

როგორ გგონიათ: იცით ვინ იქნება?

### ყველანი

ვინ, ვინ?

### მე-4 თანამშრომელი

ვჩომდილო.

### 1-ლი თანამშრომელი

ოჰ, რას ამბობ!

### მე-4 თანამშრომელი

მერწმუნეთ. ძალიან უყვარს ჭადარას და... ასე არ არის ირკლი?

### ირაკლი

მართალია. მეც მგონია, რომ ვჩომდილოს, კვეყენაძეს დასტოვებენ.

### მე-3 თანამშრომელი

რატომ, კაცო, რატომ?

### მე-2 თანამშრომელი

მაშინ ხომ ეგ ორი დაგვაჯდება თავზე, -- მათ ჩხუბს კი ჩვენ ვერ აუვალთ, ახლა შეიძლება ვირიქოც ჩაგვერიოს საქმეში და სულ ავირევით, ძალიან პატრონს ვერ იცნობს. ვჩომდილოს კი თავისი არ ესმის, სხვისას არ დაიჯერებს, უბედური რამე ჯიუტია...

### 1-ლი თანამშრომელი

პატიოსანია.

### მე-4 თანამშრომელი

პატიოსანი მე ვიცი ვინც არი და რაც არი, მაგრამ...

### ირაკლი

ზვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ, სხვისი თქვენ ნუ გედარდებათ.

#### **მე-4 თანამშრომელი**

აა, დაიბანა პილატემ ხელი...

#### **მე-3 თანამშრომელი**

შენ რა გიჭირს, ძმაო. ამ პროექტს კი დასწერ და ამ ამბებს მუდამ გაიგებ... სხვა რა გინდა?

#### **ირაკლი**

მე რა მინდა? (შეღერებით)

წასრიგი და აზრი წმინდა...  
უხეირო მომუშავე?  
ალარ მინდა. ალარ მინდა!

#### **1-ლი თანამშრომელი**

ირიჰა! ეს ოპერეტის გუნებაზე დადგა... (მაროზე) კაცო, გაუშვი ეს ქალი თუ უშვებ...

#### **მე-3 თანამშრომელი**

მაგას როგორ გავუშვებ, ღმერთო კი მომკალი... აქ იყავი. გენაცვალე, მაგ პროექტს რას დაეძებ... (მოხვევა უნდა)

#### **მარო (არ იკარებს)**

კარგი ერთი... ხომ იცით არ მიყვარს მაგისტანები...

#### **ირაკლი**

ვერ ვნახე კიდეც... სადღაც გადაიხაფრა... მოვნახავ უთუოდ. მაგრამ ახლა მე სულ სხვას ვფიქრობ...

#### **ყველანი**

რას, რას?

#### **ირაკლი**

აი, გადმოვედით ამ "ოსობნიაკში". აქ ახლა გაჩაღდება კალმის წრიპინი, ქალაქების შრიალი, ჩოთქის ჩხაკუნი, მთხოვნელების სიარული, თანამშრომლების გულისხეთქა, უფროსების ყვირილი და ინტრიგები, ინტრიგები დაუსრულებელი...

#### **მარო**

თან სხდომები. კრებები, კრებები და სხდომები. ეგეც დაუსრულებელი...

#### **მე-4 თანამშრომელი**

ისიც დადლილზე, სამსახურის გათავების დროს, სამ საათზე. უჭმელი, უსმელი, ხახვამომშრალი, ტვინგამოლაცხებული...

#### **ირაკლი**

ჩვენამდე კი ამ დარბაზში ტრიალებდა სულ სხვა ცხოვრება. ვინ იცის, აი, ამ კუშეტზე რამდენჯერ წამოწოლილა კარგს ნასადილე-ზე სახლის პატრონი, სიგარა გაუბოლებია და მისცემია ტკბილს ოცნებას. ან სადამო ხანს, ელექტრონის აბაჟურიან, შუქფარიან სინათლეზე კოხტა დიასახლისი ზღაპრულ, სალუქ სამოსელში გახვეული, მკერდმოღიავებული და მკლავებშიშველი ესე სტუქსავს თავის კავალერს, ვინმე ნიჟეგოროდის პოლკს, ულვაშაწკეპილ დრაგუნს: Что Вы делаете? Как вам не стыдно? შემდეგ გადასულა უფრო სახუმარო კილოზე და დარბაზში გახმაურებულა: "Ах ты зюлик Московский". "Нет... нижегородакий" შეუწყვეტინებია საამურ ბარიტონს, ამასობაში ქალი გასხლეტია ვაჟს და ამოფარებია აი იმ შირმას, ახლა რომ ესე დიდის ამბით გაგვშორდა სამუდამოდ, შირმის იქით ჩამალულა ქალი და კავალერი კი აქედან დასტრიალებს. ხან გამოჩნდება ქალის ლამაზი თავი შირმის ზემოდან და იძახის, ხან ისევ იმალება. კავალერი კი უტრიალებს შირმას. ბოლოს ერთგან შეამჩნევს ღრეჩოს და ისიც ქალთან ერთად მოექცევა...(აქამდე. რაცა სთქვა. ყოველივე თვითონ გამოხატა კომიკურ მიხვრა-მოხვრასა და ჟესტებში). ამის შემდეგ კი, შირმის იქიდან რაც მოისმოდა, თქვენც კარგად იცით... ბევრი არაფერი! ხანემა, სულთქმა აჩქარებული!

#### მარო

აბა, რა საკადრისია, ირაკლი!

#### ირაკლი

მაგრამ ახლა თქვენ წარმოიდგინეთ სულ სხვა სურათი: დარბაზი გაბდღიალებულია, ელექტრონი უხვად იფრქვევა ყოველ კუთხის კუნჭულშიაც. საზოგადოება ბრწყინვალე: ოქრომკედით გაჭედილი მუნდირები, დეზეები... ბზზიკ... ბზზიკ... შავი ფრაკები, დეკოლტიანი ქალები და ამბრნარევი: შიპრი, კარილოპსის ახლად მოთიბული თივა... გულმკერდი ადის და ჩადის, ათქვირებული ძუძუები თრთოლავენ, ახალგაზრდა თვალები ელვარებენ. სიმებიანი ორკესტრი უკრავს სადღაც მესამე ოთახში... გაკრიალებულ და პუდრამოყრილ იატაკზე სხლტება და მიგოგმანებს მოქნილი ფეხები. ნაზი სითბო აღელვებულ სხეულებისა ათრობს და თენტავს ერთიმეორეს. ბრაზილია აქ გადმოსულა და ტანგო ღვენთავს თავის ყვითელ აღტყინებას...

#### მე-4 თანამშრომელი

პოეტია, მა რა ჯანდაბაა!

#### მე-3 თანამშრომელი

მე მგონია მალე ფუტურისტულ ლექსებსაც დაგვიწერს ირაკლი...

### ირაკლი

(ცოცხლად მიუგებს)

მაგაზე ადვილი რა არის... აი ახლავე:

რა ხორუ დო ხორია,  
წამკითხველი ღორია!

### 1-ლი თანამშრომელი

მერე, მერე, ირაკლი, განაგრძე თუ ძმა ხარ ამ "ასაზნაუკის" აღწერილობა... მრმეწონა!

### ირაკლი

შემდეგ ვახშამი... აი, უთუოდ იმ მეორე, ამის გასწვრივ მდებარე დარბაზში... შამპანიური, ანანასები... დურაჯები და არტიშოკები... ბევრმა არც კი იცის ჭამა როგორ უნდა... ეს უბრალო თავმოწონებაა თბილისელ ბურჟუასი, თორემ მამა მისი გერქუა მოუხარშავ ჰუმი ნივრის ჭამამ გადაიტანა... შვილები ჰყავს საზღვარგარეთ გაზრდილი, მასი ძმისწული ქალაქის თავია, მისი დისწული უდიდესი ფინანსისტია ამიერკავკასიისა, ბანკის თავმჯდომარეა. აი, ნავახშმევს ეს დარბაისელი ხალხიც იწყებს ცეკვას და იცით რისას? გაცხარებულ მათჩიშისას... აი როგორ ცეკვავენ... მოდი!.. (მაროს გარდა სათითაოდ ათამაშებს ყველას, ბოლოს გახურებული ცეკვაა).

### ირინარხი (შემორბის)

რა ამბავია? რა დაგმართვიათ? ხომ არ გაგიჟდით?"

### მე-2 თანამშრომელი

რა, ჩემო ძმაო! საქმე ჩვენ არა გვაქვს, რადგან არ ვიცით ვინ სად ზის, რომელ ოთახში, როგორ ვართ განაწილებული, არავინ არაფერს არ ალაგებს, მუშებიც აღარსად მოსჩანან, შირმის წაღებამ გადაიყოლა ყველანი... ამასობაში ირაკლის მოეგუნება და ყველანი აგვაცეკვა...

### ირინარხი

ირაკლი! ამხანაგო! როგორ არა გრცხვენიათ... თქვენგან მოველოდი მაგას? დარბაისელი კაცი და ეგეები?... საცაა უფროსი მოვა, ქამისია ისევ დაბრუნდება... როგორ იქნება?

### მე-4 თანამშრომელი

მაშ, გვიბრძანე მანამდე რა გავაკეთოთ?

**ირინარხი**

რას ამბობთ!.. პირდაპირ სავოდევილო საქმეა... რა დროს ცეკვაა...  
დაწესებულებაში?.. საოცარია, როგორ შეიძლება...

11

**მარტიროსოვი (შემოდის)**

უკაცრავად, შეიძლება?

**ირინარხი**

რა გნებავთ?

**მარტიროსოვი**

მე ამ სახლის ძველი პატრონი გახლავართ...

**ირინარხი**

მერე რა გნებავთ?

**მარტიროსოვი**

ის მნებავს რომა... მე აქ არ ვიყავ... ორი თვეა თბილისში (ქალაქში)  
არა ვარ...

**ირინარხი**

კარგი, ნუ აჭიანურებთ, რა გნებავთ?

**მარტიროსოვი**

სახლი ჩამოგირთმევიათ... კეთილი და პატიოსანი!.. ბინაც წაგი-  
ღიათ უოუოდ საჭირო იყო... მაგრამ ამ ავეჯს რას მერჩით, ავეჯი  
ხომ არ ჩამოგირთმევიათ?..

**ირინარხი**

ავეჯი?.. სად არის თქვენი ავეჯი?

**მარტიროსოვი**

აი თუნდა ის ბარიშნა რომ ჩამომჯდარა... (მარო გველნაკბენივით წა-  
მოვარდაბა). ეს კუშეტი ჩემი გახლავთ. აი ეს ფარდებიც, ეს რბილი  
კრესლოებიც... მართლა, აქ კიდევ ერთი საუცხოვო შირმა იდგა,  
უთუოდ სხვა ოთახში გადაიტანდით... მეტათ ძვირფასი რამ არის...  
ცხოვრებულ მამაჩემს პარიზში აქვს ნაყიდი, ჩინური ხელობა გახ-  
ლავთ.

შირმა?.. ჰო, სხვა ოთახშია.

**მარტიროსოვი**

დიახ და ახლა ის მინდა, რომა თქვენს დაწესებულებას არა სჭირდება რბილი ავეჯი, შირმა, ფარდები... აქ ქუხნის მოწყობილობაც არის დარჩენილა, აბა, რაში დაგჭირდებათ... გთხოვთ ყველა ეს მიზოდით, დამიბრუნოთ...

**ირინარხი**

ძალიან კარგი... აი, ჯერ კიდევ დალაგებული არა ვართ, დღეს გადმოვედით ნაწილობრივ... უფროსს მოვახსენებთ და...

**მარტიროსოვი**

ჭაღარას? ძალიან მშვენიერი...

**ირინარხი**

არა, ჭაღარა მოსკოვში მიდის...

მარტიროსოვი (შეაწუხდება)

მაშ ვის?

**ირინარხი**

აი, ვისაც თავის მაგივრად დასტოვებს...

**მარტიროსოვი**

ვინ იქნება არ იცით?

**ირინარხი**

რა მოგახსენოთ...

**მარტიროსოვი**

ჰმ... ჰმ... მაშ როდის შემოვიარო...

**ირინარხი**

აი, ამ დღეებში.

**მარტიროსოვი**

დიდადა გმადლობთ... (გადი).

**მე-3 თანამშრომელი**

ეს კარგი სიურპრიზია!

**მე-4 თანამშრომელი**

აჰა, ახლა დაიწყება კატავასია...

12

(შემოდის ჭაღარა. ვკეჟენაძე და კიდევ რამდენიმე. დამხვდურები გამოიჭიმებიან).

ჭაღარა (მიიხედ-მოიხედავს).

რა ამბავია? კიდევ ვერ დალაგდით? ირინარხ!.. მუშები სადღა არიან?.. დაუჩქარეთ, თუ კაცი ხარ... ხვალ დილისთვის მთელი კანცე-

ლარია თავთავის ალაგას იყოს...

**ირინარხი**

მესმის.

**ჭალარა**

სად არიან გამგეები... ირინარხს წასვლა უნდა. კარგი, არაფერია... გამოუცხადეთ ყველას, რომ მე დღეს მივდივარ მოსკოვში კონფერენციაზე... ძალიან კი მეზარება ახლა დაწესებულების მიტოვება, რადგან რეორგანიზაცია უნდა ჩავვეტარებინა და ახალ შენობაში სხვანაირად უნდა გადავრიგებულიყავით, მაგრამ აი, ჩემს მაგიერ კვეყენაძე დარჩება... მაგას ყოველი დირექტივები მიცემული აქვს... მე კი ამჟამად მეტად მოუცლელი ვარ, სახლშიც კი ვერ შევივლი... ცეკას სხდომაზე უნდა წავიდე და იქიდან პირდაპირ ვოკუალზე... მართლა, გეთაყვა, ირინარხ, სახლში როგორმე აცნობეთ, რომ ჩემოდანი საჭირო ბარგით სადგურზე გამომიგზავნონ (ირინარხი გარბის) მაშ ასე... ნახვამდის, ამხანაგებო... იმედი მაქვს წესიერად იმუშავებთ და განსაკუთრებით არც სხვებს მოაცდენთ და არც თავის თავს--- ნახვამდის!.. (გადის, მომყოლნი გააცილებენ)

**1-ლი თანამშრომელი**

ხედავ, შინაც კი ვერ შეივლის...

**მე-4 თანამშრომელი**

მაშ, შირმის ამბავსაც ვერ გაიგებს...

**მე-2 თანამშრომელი**

ძალიან გადარჩა, მაკა, ძალიან!..

**მე-3 თანამშრომელი**

ხახვივით შერჩა შირმა...

**ირაკლი**

(ამოიღებს რაღაც ქალაღებს)

აი, მოვნახე... უკაცრავად, მარო რომ ამდენხანს გაგაჩერეთ. მართლა, მარო, წავიდეთ მაკასთან?

**მარო**

მეტის სიამოვნებით წავიდოდი, რომ...

**ირაკლი**

რომ ჭალარა იქ იყოს, არა?

**მარო**

რატომ ფიქრობთ ეგრე?

ირაკლი



მე ძველი მონადირე ვარ... იხვს ფრენაზე შევატყობ, მოვახვედრებ  
თუ არა...

**მარო**

მერე აქ იხვი სად არის?

**ირაკლი**

საქმეც ის არის, რომ იხვი მოსკოვისკენ მიფრინავს... თქვენი თოფი  
ველარ მიწვდება...

**მარო**

რა უცნაური ხართ...

**ირაკლი**

ძალიან მოგწონთ?

**მარო**

ვინა?

**ირაკლი**

ჭაღარა.

**მარო**

ჰა, ჰა!.. ახირებული ხართ... მომწონს როგორც პიროვნება: თავდა-  
დებული, პატიოსანი, უმწიკვლო და ურყევი. მაკვირვებს, რომ ვერც  
დიდმა სახელმა გააყოფო და ვერც დიდმა თანამდებობამ გააამაყა.  
მუდამ ისეთია, როგორც უნდა იყოს ადამიანი... ესეთები კი იშვია-  
თია პასუხისმგებელ ამხანაგებში... ყველა გაბლენძილი, ყველა გაჭი-  
მული, ყველა მიუკარებელი, სალამსაც არ გაღირსებს, კბილდაჭე-  
რილი გელაპარაკება, სულაც რომ არ გიცნობდეს, არავითარი მი-  
ზეზიც რომ არა ჰქონდეს, მაინც ისე გელაპარაკება თითქო გიწყ-  
რებაო...

**მე-3 თანამშრომელი (ახლა მიაყურა).**

მართალია, მართალი... ჰაიდა, მარუსია!

**ირაკლი (მაროს)**

მაშ, ხვალ მაინც მივდივართ.

**მარო**

კარგი, მივდივართ.

13

კვექენაძე (შემოდის. მოჰყვება ირინარხი).  
ვჩომდილო, ტავარიძე?... არაფერი არ გამეგება... ა?

**ირინარხი**

იმას გეუბნები, რომ ეს ავეჯი პატრონს უნდა დაუბრუნოთ-მეთქი...  
კანონით მისია და თუ აქამდის არ წაუღია, ეს არც ჩვენი ბრალია  
და არც მისი. აქამდის პატრონი აქ არ ყოფილა...

### კვეყნაძე

ჰოდა, აიღეთ და დააბრუნეთ... ა?

### ირინარზი

დაბრუნებით დაუბრუნებთ, მაგრამ არის კიდევ ერთი...

### კვეყნაძე

ვჩომდილო, ტავარიში... არაფერი არ მესმის? ა?

### ირინარზი

არის კიდევ ერთი შირმა...

### კვეყნაძე

რა შირმა, რის შირმა... ვჩომდილო?... ახლა მაგის თავი არა მაქ, მერე იყოს, მერე... ა?

### ირინარზი

კარგი და როდის გაგახსენო?..

### კვეყნაძე

(კარგ გუნებაზე იყო, თანდათან გული მოდის).  
ვჩომდილო, ტავარიში... რას ჩამაცივდი?... გეუბნები მერე... ნეპანი-  
მაიშ?... ა?

### ირინარზი

(თვს დახრის. სხაა ყველა გამოჭიმული დგას).  
კვეყნაძე (დაინახავს თანამშრომლებს).  
რას გამოჭიმულხართ? მე გენერალი კი არა ვარ... ვჩომდილო, ტა-  
ვარიში... ა?... ოო, ის სად არის, ის... კნიაზი... აი პროექტებს რომ  
ადგენს?.. ა?

### 1-ლი თანამშრომელი (ირაკლი)

აგერ გახლავთ, ამხანაგო...

### კვეყნაძე

აა! სწორედ შენ მიხდებარ... ა?... გესმის ამხანაგო!.. შენ უნდა სას-  
წრაფოდ შემიდგინო ერთი პროექტი... ა?... დაკვრითი წესით... ხვალ,  
დილის 9 საათზე მზად უნდა იყოს... ხვალვე უნდა წარვადგინო... ა?

### ირაკლი

მესმის... მხოლოდ ერთი პირობით...

### კვეყნაძე

რა პირობით? ვჩომდილო, ტავარიში?

### ირაკლი

ტყუილა არ დამაწერინოთ ეს პროექტი...

### კვეყნაძე (ეწყინა).

როგორ თუ ტყუილა... ვჩომდილო, ტავარიშჩ?... ტყუილა კი არა, უსაჭიროესი პროექტია... ისეთი, რომელიც... ა?... თვით ცხოვრებაა უნდა შეეფერებოდეს და არა მარტო თეორიულათ იყოს კარგი, ა?..

### ირაკლი

ძალიან კარგი... მიბრძანეთ რა საგანზე?..

### კვეყნაძე

აი, წამომყევით და მოგცემთ დირექტივებს... ა?

14

(შემოდის ოთხი კომკავშირელი)

**1-ლი კომკავშირელი (კვეყნაძეს)**

თქვენა ხართ ამ დაწესებულების უფროსი, ამხანაგო?..

### კვეყნაძე

ვჩომდილო? რა გნებავთ?

**მე-3 კომკავშირელი**

ჩვენ ჭაღარასთან მოვედით, მაგრამ ის აქ არ ყოფილა და გვითხრეს თქვენ მოგმართოთ...

### კვეყნაძე

მერე რა საქმე გაქვთ?

**მე-4 კომკავშირელი**

ჩვენ კომკავშირელები ვართ... ამჟამად ვეცნობით ჩვენ დაწესებულებათა მდგომარეობას და სხვათა შორის გვინდოდა გავცნობოდით თქვენს წარმოებასაც...

### კვეყნაძე

აა?... კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ ახლა არ მცალია...

**მე-4 კომკავშირელი**

მაშ როდის შეიძლება... ჩვენ ერთი საათის მეტი არ დაგვჭირდება...

### კვეყნაძე

აჰა...

**ირინარხი (შემორბის)**

ამხანაგებო, ამხანაგებო, სადა ხართ?

**კვეყენაძე**

ვჩომდილო? რა ამბავია?

**ირინარხი**

ამხანაგო კვეყენაძე! ადგილკომი სასწრაფო სხდომას აწყობს და გთხოვთ დაესწროთ...

**ყველანი**

ადგილკომი? ახლა? უკვე 3 საათია...

რა დროს სხდომაა? ვჩომდილო? (გადის).

**ირინარხი**

წამობრძანდით. ძალიანა გთხოვს... ამხანაგებო, რას უდგებხართ წამოდით... დღის წესრიგში შირმის საკითხია დასმული (ყველა გა-შეშლება და ჩუმიად არიან. ირინარხი შეატყობს, რომ თანამშრომლები გაპარვას აპირებან და პირველად თვითონ მოძუებავს). მაშ არ მოდიხართ?.. მე კი გავიპარები და თქვენ როგორც გინდათ ისე მოიქეცით (სასწრაფოდ გადის).

**1-ლი თანამშრომელი**

რა დროს სხდომაა ამ მშვიერ კუჭზე! (გაიპარება).

**მე-4 თანამშრომელი**

შირმას სულ ერთია მე მაინც არ მომცემენ და ვინც უნდა ის წავიდეს სხდომაზე... (გაიპარება)

**მე-3 თანამშრომელი**

საკითხს უჩემოდაც ამოსწურავენ და მე რა მოხელე-ნაჩაღნიკი ვარ... (მიიხედ-მოიხედავს) და გაიპარება.

**მე-2 თანამშრომელი**

რა დროს სხდომაა, ცოლი მშობიარე მყავს!.. (უკმაყოფილოა, ნელი ნა-ბიჯით გადის)

**1-ლი კომკავშირელი (თავისიანებს).**

აი, ძმაო, ნამდვილი საბოტაჟი, ბიუროკრატიზმიც და ყველაფერი თუ გინდათ ეს არის...

**ირაკლი**

(იღებს პორტფალს და ნელ-ნელა, ზანტად მიდის).

მარო, მარუსია! არ მოდიხართ? ვჩომდილო?

**მარო**

(გამოერკვევა, წამოდგება და მიდის).  
რასაკვირველია წავალ... სხდომაზე (გადის. მას მიჰყვება ირაკლი).

### **მე-2 კომკავშირელი**

არა, ამხანაგო! ამათ ვერაფერი ვერ გამოასწორებს, სანამ ჩვენი სანათი არ შეანათებს მაგაია დაწესებულებაში. (მღერიან: «ჩვენ ვართ და ჩვენი სანათი, გამნათებელი ბნელისა" და სხვ. დროის შესაფერ კუპლეტებს).

### **ფარდა**

### **მოქმედება მეორე**

პირველი მოქმედების დარბაზი უკვე კანცელარიად არის ქცეული. მოჩანს აგრეთვე ოთხი კაბინეტი: კვეჟენაძის. ირინარხის, გოჩოლავასი და რინკელის. კვეჟენაძის კაბინეტის წინ დგას ახალგაზრდა დარაჯი. ირინარხის კაბინეტის წინ მოხუცი.

### **I გოჩოლავასთან**

1

### **გოჩოლავა**

კაცო, ვინ კითხავს რინკველს, ვისი ტიკი-ტომარაა!. ან ვისი ტომარის ტიკია... იასნო, დალშე!

### **მე-3 თანამშრომელი**

ტიკი-ტომარა კი არა, მიბრჰანა უჩემოთ ამისთანა საქმეები არ გაგზავნოთო...

### **გოჩოლავა**

კაცო, იმან თუ თავისი ფუნქციები არ იცის, მე კარგად ვიცი... არა. შეიძლება იმანაც იცის, შენც იცი, ყველამ იცოდეს, მაგრამ მეც ვიცი... იასნო დალშე! რინკველს რა უფლება აქვს ჩემი ხელმოწერილი ქაღალდები გადასინჯოს... არა, შეიძლება უფლება ჰქონდეს, მაგრამ მე ჩემი პირდაპირი უფროსი მყავს... იმასაც ყავს უფროსი, შენც გყავს უფროსი, ყველას გყავს უფროსი... იასნო დალშე! როგორც ისაა განყოფილების გამგე, ისე ვარ მეც... და მე თუ ვარ განყოფილების გამგე, ისეა ისიც... იასნო, დალშე!

### **მე-3 თანამშრომელი**

არ ვიცი სწორედ ახლა როგორ მოვიქცე?

### **გოჩოლავა**

როგორ მოიქცე და ისე მოიქეცი, როგორც მე გეუბნები... და მე გეუბნები ისე, როგორც უნდა მოიქცე... იასნო დალზე! ჩემი ქალაქ-დეები უშუალოდ უნდა წავიდეს, სადაც ჯერ არს, საერთო კანცელარიის გზით... და თუ არ წავა, მაინც უნდა შევიდეს კანცელარიაში... იასნო, დალზე!

### **მე-3 თანამშრომელი**

(ქალაქებით ხელში გადის ბუზლუნით)

არაფერი არაა ჩემთვის იასნო და დალზე, სად წავიდე, რა უბედურება ვქნა... სწორედ არ ვიცი...

## **II რინკელთან**

2

### **1-ლი მთხოვნელი**

როგორც მოგახსენე ასე იყო და აი განცხადებაც მანდ გიძევთ და წაიკითხეთ.

### **რინკველი**

რა წავიკითხო, ძმობილო... что читать, брат? რამდენი დაგიწერია? Сколько ты написал? ამას ვინ წაიკითხავს? Кто это прочтет?

### **1-ლი მთხოვნელი**

აბა როგორ მექნა? საქმის მთელი გარემოება უნდა მომეხსენებინა თუ არა?

### **რინკველი**

მოგეხსენებინა კი უნდა მოგეხსენებინა, изволить ты должен изволить, მაგრამ ასე გრძელად არ შეიძლება, но так длинно тоже невозможно... ახლა მაგისტრის დრო არა მაქვს, нет времени у меня для этого...

### **1-ლი მთხოვნელი**

მაშ როგორ მოვიქცე?

### **რინკველი**

როგორ მოიქცე და ისე, რომ... Как поступить... Так чтобы... ორი სიტყვით მითხარი ყველაფერი... Двумя словами скажи все...

### III ირინარხთან

#### 3

#### ირინარხი (მთხოვნელს)

მაგას კარგადალი ფული დასჭირდება. გაქვთ?

#### მე-2 მთხოვნელი

არა მაქვს, მაგრამ... კარგი მაგარი ამხანაგები მყავს და ავწევთ ამ საქმეს... კარგი ახლა, ნუ გამიჭიმე საქმე, ირიკო, რამდენი გინდა მითხარი და გაათავე...

#### ირინარხი

მე? მე რა უნდა მინდოდეს... დაწესებულება იჯარას გაძლევს, ორ თვეში უნდა დაამზადო და მეც წინდაწინ უნდა მომიტანო ორი ათასი თუმანი, ოცი ათასი მანეთი, გესმის?

#### მე-2 მთხოვნელი

მესმის, როგორ არ მესმის... მაგ საქმემ შეიძლება სულ ბოლო მომიღოს... აგერ ნახევარი წელიწადია მაქვს ვსდევ... უწინ აქ რომ შენ მაგიერი იყო, ვერაფერი გავაწყვე იმასთან. ერთი უცოდინარი, ხეპრე კაცი იყო... ვენაცვალე ღმერთს, გადაუგდიათ ახლა... რაღაც ამბავი მეხგედრია პარტიაში, რაა დავეძებ!.. ახლა შენ ხარ, ჩემი დიდი ხნის კარგი ნაცნობი და მეგობარი და... ნუღა მიჭიანურებ საქმეს. შენი ხელის მოწერა უნდა მხოლოდ... მითხარი რამდენი გინდა და საქმეც გავათავოთ...

#### ირინარხი

ვეუბნები, მე არაფერი არ მინდა... რა საკადრისია ამისთანა სიტყვები, მხოლოდ ჩვენ ინვალიდთა კასას უნდა შესწირო მეთელი სუმისა...

#### მე-2 მთხოვნელი

ჰო, კარგი, ვიცი... მხოლოდ მეთელი ძალიან ბევრია, ხუთასი მანეთიც გეყოფა.

#### ირინარხი

მე რა? გევაჭრები თუ როგორ არის? ჩემთვის ხომ არ მინდა?

#### მე-2 მთხოვნელი

ჰო, ვიცი ვისთვისაც გინდა, მაგრამ მეტისმეტად ბევრია... ოჯახი ვერ აიტანს...

#### ირინარხი

ვერ აიტანს და ჩვენც იჯარას სხვას გადავცემთ.

#### IV. კანცელარია

(თანამშრომლები სხედან. მარო გაქანებული ბეჭდავს. მე-2 თანამშრომელი გაზეოს კითხულობს, მა-3 პაპიროსს აბოლებს. 1-ლი ჩოთქზე ანგარიშობს მე-4 საქმეებშია ჩაღრმავებული).

#### მე-3 თანამშრომელი

მარო, მარუსია... დააყენეთ, თუ ქალი ხართ, ეგ მანქანა.

#### მარო (გაკვირვებული)

როგორ თუ დავაყენო... აუარებელი საქმეა, ვერც კი აუდივარ (სხვა თანამშრომლებს მიაქვთ და მოაქვთ საქმეები მემანქანესთან) ვერა ხედავთ?.. ამეებს აბა როგორ უნდა მოვერიო...

#### 1-ლი თანამშრომელი

(მესამე თანამშრომელზე უჩვენებს?)

არა, მაგას რას უშლის მანქანა ნეტა ვიცოდე? მხოლოდ პაპიროსს აბოლებს...

#### მე-4 თანამშრომელი (თავაუღებლად)

კომუნიზმზე ოცნებობს...

#### 1-ლი თანამშრომელი

აი ღმერთი მაგას უშველის... მე ვიკითხო, რომ მართლა ტვინი გამომილაყა ამ მანქანის კაკუნმა... ერთი ხუთჯერ მაინც ამერია ციფრები... მარო, მარო, მალე გადახვალთ აქედან?

#### მარო

ირინარხმა სთქვა ამ სამ დღეშიო.

#### მე-4 თანამშრომელი

ვაი ჩვენი ცოდვა!.. რაო? იმ საერთო ოთახში ვერ ეტევიტ მემანქანეები?

#### მარო

დიახ, ვერ ვეტევიტ და ახლა უნდა აქვე თქვენს გვერდით დერეფანში დამსვას...

#### მე-3 თანამშრომელი

რატომ? დერეფანი კი არა, კარგია... სრულიად განმარტოებულია.

#### მარო

არასგზით არ წავალ...

#### მე-3 თანამშრომელი



რატომ? რატომ? (გადახედავს თანამშრომლებს და ერთ-ერთს. რომელმაც სწორედ ამ დროს შეხედა, თვალს ჩაუკრავს). ჰე, ჰე, ჰე! როგორ, დაიწყო გამგემ? (ყრუ სიცილი).

### **მარო**

(პირდაპირ უპასუხებს. მოღუშული. მკიტედ)  
არასგზით არ წავალ.

### **1-ლი თანამშრომელი**

აბა, მოგიკლავართ, მარო, ამ რაბუნითა და კაკუნით და ეგ არის...

### **5**

(შემოდის მე-3 მთხოვნელი, ქალაქგარეთ მცხოვრებთა უბრალო მოქალაქის ტანისამოსში გამოწყობილი, ხნიერია. შედგება. ეცნობა არ იცის რომელ თანამშრომელს მიმართოს. ხელში ორდერი უჭირავს. თანამშრომლებში სიჩუმე ჩამოვარდება. ბოლოს გაბედავს მთხოვნელი და მიდის მესამესთან, რომელიც ისევ პაპიროსს აბოლებს).

### **მე-3 მთხოვნელი**

უკაცრავად, ერთი ეს მიბრძანე, ამაზე ხელი ვინ უნდა მომიწეროს?

### **მე-3 თანამშრომელი**

(არც კი შეხედავს, თითს გაიშვერს სადღაც ჰაერში).

### **მე-3 მთხოვნელი**

(თითს თვალს გააყოლებს და მისი აზრით თითს მე-4 თანამშრომელზე უნიშნებს, გასწევს მისკენ)  
ამხანაგო, ხელი მომიწერე ამაზე, შენს გაზდასა...

### **მე-4 თანამშრომელი**

(თავაჩაღუნული მუშაობს).

### **მე-3 მთხოვნელი**

(ჯერ კიდევ გაუბედავად)

ამხანაგო... თუ შეიძლება...

### **მე-4 თანამშრომელი**

(ჩუმად არის. მუშაობს).

### **მე-3 მთხოვნელი**

(ცოტა ხმას აუწევს)

ამხანაგო! ხელი მომიწერეთ...

### **მე-4 თანამშრომელი**

(საქმეს არ სცილდება, ისე გადაუქნევს თავს)

### **მე-3 მთხოვნელი**

(თვალთ გამოზომავს თავის გადაქნევას და ჰგონია, რომ მეორე თარმშრომელზე ანიშნა, მიდის მეორე თანამშრომელთან).

ამხანაგო... (აწვდის ქალაღდს).

### **მე-2 თანამშრომელი**

(საანგარიშოზე მუშაობს. თავს არ აიღებს ისე გაწვდილ ქალაღდს ზემოდან დაადებს თავის საქმეებს).

### **მე-3 მთხოვნელი**

(მის წინ აეტუზა და უცდის)

### **მე-2 თანამშრომელი**

(ანგარიშობს და მოტანილ ორდერის თანხასაც საანგარიშოში ჩააგდებს, მაშინ დახედავს).

რა არის ეს? მანეთი და თოთხმეტი შაური? აქ რა უნდა?

### **მე-3 მთხოვნელი**

მე შემოვიტანე, გენაცვა, და ახლა ხელი უნდა მომიწერო...

### **მე-2 თანამშრომელი**

რაზე უნდა მოგიწერო ხელი? (კითხულობს ორდერს, გადააბრუნებს, კარგა გასინჯავს უეცრად) აი დაგწყევლოს ღმერთმა!.. რა მიქენი, კაცო ეს?

აქ სად ჩამაგდებინე? არა. ძმა, არა, ეს ჩემი საქმე არ არის...

### **მე-3 მთხოვნელი**

მაშ, ვისია, სად წავიდე... (დაბნეული აქათ-იქით იხედება აქეთ გამომავ- ზავნეს და...

### **მე-2 თანამშრომელი**

არ ვიცი, ძმაო, არა... ჩემი საქმე არ არის...

### **მარო (თავს აიღებს).**

რას აწვალეზთ მაგ კაცს... მოდი აქ, ძია... (მე-3 მთხოვნელი მიდის. მარო ორდერს გაუსინჯავს და ირინარხის კაბინეტის კარებთან მდგარ მოხუც და- რაჯზე უჩვენებს. აი, ძია, იმასთან მიდი. ის კაბინეტში შეგიშვებს და იქ რომ კაცი ზის, ის მოგიწერს ხელს...

### **მე-3 მთხოვნელი**

აი გაცხოწე შენი მშობელი, თორე ამათ სუ დამაბნიეს... ზოგი ხმას არ იღებს, ზოგი პირაქეთ მე მიწყრება... რდის?.

### **მე-3 თანამშრომელი**

ირაკლი კიდევ არ მოდის, რა დაემართა?

### **მე-2 თანამშრომელი**

არ ვიცი, ეს ორი დღეა სახლშია ჩაკეტილი.

**მე-3 თანამშრომელი**

კიდევ? აკი შეადგინა და მეორე დღესვე მოუტანა.

**მე-2 თანამშრომელი**

ოო, მას შემდეგ ბარე სამი პროექტიც შეადგინა, მაგრამ სულ დაუბრაკეს.

**მე-3 თანამშრომელი**

ახლა?

**მე-2 თანამშრომელი**

ახლა არ ვიცი... თვითონ გამოითხოვა ნებართვა ორი დღით სახლში ვიმუშავებო. რაღაც ძალიან მაგარი პროექტი უნდა იყოს. აი დღეს უნდა მოიტანოს 1-ლ საათამდე...

**V ირინარხის კაბინეტის კარებთან**

6

**მოხუცი დარაჯი**

არ შეიძლება-მეთქი. არ გესმის?

**მე-3 მთხოვნელი**

არ შეიძლება, არ ვიცი... აგერ ხუთი დღეა დავდივარ... ფული შემომიტანია... ორდენზე ხელი უნდა მომიწეროს...

**მოხუცი დარაჯი**

იი, შენ და შენი ორდენი... სახელიც რომ კარგათ არ. იცი.... ორდენი კი არა. ორდერი...

**მე-3 მთხოვნელი**

არ ვიცი, დაწყევლა ღმერთმა, ორდენია თუ რა ჯანდაბაა... ფული შემომიტანია, დმოწმება მინდა...

**მოხუცი დარაჯი**

მერე ფინგანყოფილებაში დოკუმენტი არ მოგცეს?

**მე-3 მთხოვნელი**

მოცემით კი მომცეს, მაგრამ წესი ეგრეა თურმე, მაგან უნდა მოაწეროს ხელი ორდენზეო...

### მოხუცი დარაჯი

ჰოდა, მოიცადე და მოგიწერს...

### მე-3 მთხოვნელი

კაცო, დავიცადო რომელია... გეუბნები ხუთი დღეა ამაზე დავდივარ-მეთქი, მოვცდი კაცი... მერე იცი სადა ვდგევარ?

### მოხუცი დარაჯი

ჰოდა, სადა დგებხარ... ქალაქში იქნები, სხვაგან სად...

### მე-3 მთხოვნელი

რის ქალაქი, კაცო... საბურთალოს იქითა ვდგევარ, დილომამდე არაფერი უკლია...

### მოხუცი დარაჯი

მერედა რამდენი ფული შემოგიტანია, რომ ასე ყოველდღე დადიხარ?

### მე-3 მთხოვნელი

ფული ბევრი არ არი, მაგრამ მაინც ფულია... მანეთი და თოთხმეტი შაური შემომიტანია, ახლა ხვლწერილი არ მინდა? ჩემი ხომ არ არის, არტელისაა... რასტრატჩიკობას დამწამებენ... ერთი გამიშვი, თუ ძმა ხარ...

### მოხუცი დარაჯი

აქედან მომშორდი, თორე...

### მე-3 მთხოვნელი

კაცო, რა ამდენი დრო უნდა წავართვა... შევალ, თავს დაუკრავ... ფხინკ... ხელი მოაწერა... მშვიდობით და გამარჯვებით...

### მოხუცი დარაჯი

არ შეიძლება, ძმაო, არა... ბრძანებაა... სხდომაა აქ... ძალიან საიდუმლო საქმეა... დაიცადე ცოტაც...

### მე-3 მთხოვნელი

კიდევ თავისას გაიძახის... აი დედასა, შემემლოს ერთი ისე მიგაპტყელებდი მაგ კარებს, როგო ჯვარიძამი ლავაში...

### მოხუცი დარაჯი

გადი, დაიკარგე, შე ცინგლიანო... ვის მიაპტყელებდი, ვისა? იცი. მე წინეთ ლუბერნატორთან ვმსახურობდი შვეიცრად --- ისეთი წვერები მქონდა აქეთ და იქით გადაშლილი, რომ ავთვალს არ დავენახვებოდი... იმდენი გენერლები მოდიოდა და... თუ დრო არ იყო, იმათაც კი არ ვუშვებდი! ვინ რას გამიბედავდა! ახლა შენ მასწავლი

ჭკუას?

## VI ირინარხთან

7

### ირინარხი

(ფულების უკანასკნელ ნაწილს თვლის და ჯიბეში ილაგებს შემდეგ უჯრაში  
რადაცას ეძებს)

ოჰ, ქვითარის წიგნი აქ რომ არ მქონია!..

### მე-2 მთხოვნელი

არაფერია, არაფერი! შემდეგში გამოვსწორდებიო. დღეისწორს  
მაინც დანარჩენი უნდა მოვიტანო და... (ცბიერი) მაშინ მომცემთ.  
ნახვამდის. (გადის).

### ირინარხი

(დგება და მიდის, კარებთან შეეფეთება მე-3 მთხოვნელს)  
არა მცალიან ახლა, ხვალ მოდით, დღეს არავის არ ვღებულობ.

### მე-3 მთხოვნელი

არ ღებულობ რომელია... ხელისმოწერაა საჭირო... სამი დღეა დაგ-  
დევ.

ახლა რა უყო მე?.. ხომ ხედავ, არა მცალია... (გარბის)

### მე-3 მთხოვნელი

ერთი ამას უყურედა.. ხვალ რომელია... კაცი ჩამოვ წყდი სიარუ-  
ლით... მევცდი საქმეს... ზანთრა, ზანთრა... ეგ განა წინათაც არ  
იყო? (უეცრად შესწყვეტს და ტუჩებზე მჯიღს მიირტყამს) ღმერთო შეგ--  
ცოდე, ღმერთო შეგცოდე!.. (თავის ქნევით გადის)

## VII. კანცელარია

8

### ირინარხი

(მიდის მაროსთან).

რა უყავით, მარო ქალო. ამდენ ხანს ვერ დაბეჭდეთ?

### მარო

ვერ მოვასწარი... ხედავთ. რამდენი საქმეებია...

**ირინარხი**

ჯერ ჩემი უნდა დაგებეჭდათ...

**მარო**

აკი ვბეჭდავ, მაგრამ ბევრია დასაბეჭდი... მაინცდამაინც ოც წუთში მზად იქნება.

**ირინარხი**

ძალიან კარგი. გეთაყვა, გაათაოთ თუ არა, თქვენ თვითონ შემომიტანეთ. მინდა თქვენთან ერთად გავასწორო.

**მარო**

კარგი...

**ირაკლი**

(გამოდის პორტფელით. ცოტა დაღლილობა ეტყობა).

**ყველანი**

აა, ირაკლი, ირაკლი, ძლივ გვეღირსა შენი ნახვა...

**ირინარხი ირაკლის.**

რა ჰქენით? გაათავეთ?

**ირაკლი**

როგორც არის, მაგრამ წელში კი გავწყდი.

**ირინარხი**

მალადეც, მალადეც. (შედის თავის კაბინეტში).

**ირაკლი**

კვეყენაძე აქ არის?

**1-ლი თანამშრომელი**

აქ არის, მაგრამ მგონი ვიღაც ჰყავს...

**ირაკლი**

აჰა, ძალიან კარგი (ცარიელ მაგიდას მიუხდება, ქადალდებს ალაგებს)

**გოჩოლავა**

(გამოდის თავის კაბინეტიდან და მიდის კვეყენაძის კაბინეტისაკენ)

**ახალგაზრდა დარაჯი**

უკაცრავად, მარა, მითხრა: სთხოვე ყველას, სანამ ეს კაცი არ წავა, მანამდე ნუ შემოვლენო.

**გოჩოლავა**

ვინ არის, არ იცი?

**ახალგაზრდა დარაჯი**

არ ვიცი, ერთი უცხო კაცია. აქ არ მინახავს.

**გოჩოლავა**

იასნო, დალშე. მერედა მაქაციას მუხრანსკიმ ქალი მოგცა?  
ვი, ბიჭო?

**ახალგაზრდა დარაჯი**

ქორწილში ვიყავი.

**გოჩოლავა**

რაფერ ქორწილში?

**ახალგაზრდა დარაჯი**

ისე, ცოლი შევირთე...(იღრიჯება) მუხრანსკის ქალი.

**გოჩოლავა**

შენ, ბიჭო, რინკველის ნათესავი არ ხარ? თუ რინკველია შენი ნათესავი?

**ახალგაზრდა დარაჯი**

კი, ბატონო... მამიდაშვილია ჩემი... იმან არ დამაყენა აქ სამსახურში?..

**გოჩოლავა**

იყო ქორწილში?

**ახალგაზრდა დარაჯი**

კი, ბატონო!

**გოჩოლავა**

იასნო, დალშე... შეურცხვა ცხვირი, მე ვერ წამომიყვანა ქორწილში?

**ახალგაზრდა დარაჯი**

ო, მაგი გლახათ დამართია, ბატონო!

**გოჩოლავა**

ბიჭო და ვინ მოგცა შენ, მაქაციას ცოლი. შენ მაქაცია არ ხარ?

**ახალგაზრდა დარაჯი**

კი, ბატონო

**გოჩოლავა**

იასნო, დალშე. მერედა მაქაციას მუხრანსკიმ ქალი მოგცა?

**ახალგაზრდა დარაჯი**

ვერ წარმოიდგენთ რა გაჭირვებულები არიან...

**გოროლავა**

იასნო, დალშე... როგორ, მშობლები ცოცხალი ჰყავს?

**ახალგაზრდა დარაჯი**

რავა გეკადრება... მამა ისეთი ვაჟკაცია, ამ კარებში არ შემეეტევა-

**გოროლავა**

იასნო, დალშე...

**ახალგაზრდა დარაჯი(ღრეჭით)**

მეტკები აქ, ბატონო...

**გოროლავა**

რას ამბობ?

**ახალგაზრდა დარაჯი**

ჩემ ცოლს, ბატონო, მუხრანსკის ქალს... პერანგებზე მეტკები აქ..

**გოროლავა**

იასნო, დალშე?

**ახალგაზრდა დარაჯი**

ჰოდა, გამოცვლა არ ჭირდება: მმუხრანსკი, მმაქაცია!.. მ... მ...

**გოროლავა**

დეილუპე იქით... (თითქო ფიქრში) იასნო დალშე... მერე მოვალ აქ...

**ახალგაზრდა დარაჯი**

კარგი, ბატონო.

**გოროლავა**

(არ შედის თავის კაბინეტში, გადის კანცელარიიდან)

9

**რინკველი**

(გამოვარდება თავის კაბინეტიდან და ისე მიდის. რომ ირაკლის მაგიდასთან მოუხდება გავლა)

ოჰ, ირაკლი, გამარჯვება! Здравствуй Иракий! რა ქენი, გაათავე Что сделал, кончил?

**ირაკლი**

(თავს უქნევს და უჩვენებს მის წინ მდებარე სქელ რაეულზე).

**რინკველი**

ყოჩადი ხარ, ირაკლი, ყოჩადი, Молодец ты Иракий, молодец!

(ახალგაზრდა დარაჯს) თუ ვინმემ მიკითხოს, если кто меня спросит,



უთხარი, რომ ძალიან მალე მოვალ, скажи, что очень скоро вернусь. (გარბის).

## VIII კვეჟენამესთან

10

### კვეჟენამე

ძალიან კარგი, ამხანაგო... კიდევ ერთხელ გიმეორებთ... ა?.. რო  
თქვენ სპეცი ბრძანდებით ამ საქმისა და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს---  
ა?.. ხომ არ მოგვატყუებთ?

### სპეცი

ეგ რა სათქმელია!

### კვეჟენამე

მე იმას ვამბობ, რომ ძნელია სპეცებთან საქმის დაჭერა... შენ რომ  
გგონია საქმეს ნამდვილად გიკეთებს, თურმე აქეთ გიბრუნებს კეხს.

### სპეცი

როგორ გეკადრებათ... როდის იყო, რომ მე მოგატყუეთ?

### კვეჟენამე

არა, თქვენზე არ მოგახსენებთ... ისე, საზოგადოდ...

### სპეცი

თქვენ თვითონ კარგად ხედავთ საქმე როგორც არის... მე ის მომწონს  
თქვენი, რომ სპეციალი განათლება არა გაქვთ, მაგრამ საქმეებში  
ძალიან ერკვევით... ბუნებრივი ჭკუა გაქვთ... არა ჩვენი ხალხი არ  
დაიკარგება... ქართველები ნიჭიერები ვართ ძალზე... ეს რა რასიულია!

### კვეჟენამე

(ეტყობა ქება იამა, მაგრამ არ იმჩნევს)

აარა, რასიულობა აქ არაფერ შუაშია... ა?.. (უხერხული სიჩუმე), ჰო,  
ჩვენ ყველაფერი გავათავეთ, კარგა მოვილაპარაკეთ... (წამოდგება)  
მე საქმეს უკვე ვიცნობ... ახლა ფულებზე და სართოდ საქმის სამ-  
ნეო ნაწილზე ამხანაგ პარასკიდის უნდა შეუთანხმდეთ.

### სპეცი

როგორ? ირიკოს? (ეტყობა წამოსცდა, ასწორებს) ირინარხ პოლიხრო-  
ნიევიჩს?

### კვეჟენამე

დიახ, ახლა ის არის ჩვენი სამნეო და საფინანსო ნაწილის გამაგე.

**სპეცი**

მე მეგონა მარტო ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო ნაწილი  
ეზარა.

**კვეჟნაძე**

ჰო, ორივეს განაგებს... ა?.. დროებით შეთავსება მოხდა.

**სპეცი**

ძალიან კარგი. ნება მიბოძეთ გამოგეთხოვოთ და ჩვენს საქმეს  
უსურვო სრული გამარჯვება.

**კვეჟნაძე**

ეგრე იყოს. ა? (ხელის ჩამორთმევა. სპეცი გადის. შემოდის დარაჯი)

11

**კვეჟნაძე**

ვჩომდილო! რა გინდა, ბიჭო?

**მოხუცი დარაჯი**

ჯერ ერთი. მე შენი ბიჭი არა ვარ.

**კვეჟნაძე**

(ცოტა შერცხვება. უფრო რბილათ)

ჰო, კარგი! რა გინდა შაქროჯან... ვჩომდილო?

**მოხუცი დარაჯი**

ვჩომდილო და შვებულება უნდა მომცე, ამხანაგო...

**კვეჟნაძე**

კაცო, ხომ გითხარი, ახლა ვერ გაგიშვებ-მეთქი, ა?..

**მოხუცი დარაჯი**

როგორ ვერ გამიშვებ... მაგის პრავა არა გაქ... კავშირი იცი რა  
დღეს დაგაყენებს?..

**კვეჟნაძე**

კავშირი არ ვიცი მე! მე აქ ადმინისტრაციული ხაზით ვაწარმოებ  
საქმეს და შენ ახლა მჭირდები... ა? აი, ჭადარა ჩამოვა და იმან გა-  
გიშვას, მე ვერ გაგიშვებ...

**მოხუცი დარაჯი**

ესეც ოთახის საქმე გამიხდა რაღა... ამდენი ხანი პადვალში ვიხრჩვე-  
ბი ცოლ-შვილით, ამათ ჩემთვის ერთი სუფთა, ჰაერიანი ოთახიც  
ვერ უშოვიათ.

**კვეჟნაძე**

ეგ კავშირის საქმეა...

**მოხუცი დარაჯი**

ჰოდა, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი... თქვენ კი თქვე დალოცვი-  
ლებო, ძან ჩამაირიგეთ ოთახებიც და შვებულებაც...

**კვეყნაძე**

კაცო, ეს კიდევ თავისას გაიძახის... შენ რომ გაგიშვა, ვილა დავიტო-  
ვო... აქ უდარაჯოთ ვიყო. რომ ხალხმა კარები ჩამომიმტვრიოს დ-  
მუშაობა აღარ მაცალოს, ა?

**მოხუცი დარაჯი**

ხალხს რომ ამოკლებდით, რატომ ეს უფროსები არ შეამოკლეთ, მა-  
შინვე დარაჯებს და კურიერებს რომ მოგვევარდით. არ შეამოკლებ-  
დით და ჩემი სამაგიეროც გეყოლებოდა.

**კვეყნაძე**

ჰო, კარგია ახლა, ამხანაგო... აი ჩამოვა ჭადარა და შვებულებასაც  
მოგცემს და ოთახსაც მოგიხერხებს...

**მოხუცი დარაჯი**

(წასვლა უნდა. კარებში ირაკლის შეეფათება და ბუზჭუნით მიდის).  
ახლა ჭადარა!.. ის კი ვიცი, რომ ყველაფერს გამიკეთებს, მაგრამ ახ-  
ლა როდის ჩამოვა ი დალოცვილი, ვინ იცის... (გადის).

12

**კვეყნაძე**

(შემოსულ ირაკლის)

ვჩომდილო, ტავარიშჩ?

ირაკლი

როგორ ვჩომდილო. პროექტი მოვიტანე (პორტფელიდან ერთად შაკ-  
რულ, კარგა სქელ, მანქანაზე დაბეჭდილ ფურცლებს ამოიღებს).

**კვეყნაძე**

რა პროექტია?

ირაკლი

(თვალეებს შეაბლევებს)

როგორ თუ რა პროექტია?

**კვეყნაძე**

ჰოდა რა პროექტია, ვჩომდილო?

**ირაკლი**

(ეტყობა თავს იკავებს).

კვეყენაძე! მართალია უფროსი ხარ, მაგრამ თუ მემასხრები. მე არ მემასხრება...

**კვეყენაძე**

სამასხრო რა მაქვს... ა?-

**ირაკლი**

კაცო, მაშ მასხრობა არ არის: კაცი ერთი კვირაა გადამაკალი სხვა-წასხვა პროექტებს, სამი დამიბრაკე, ახლა მეოთხე შემადგენინე. ისეთია რომ ქვას გახეთქავს... რაც კი რამ ცოდნა მქონდა შიგ ჩავალიე, ორი დღეა სახლში ვზივარ, თავი არ ამიღია ისე, რამდენი სხვა-დასხვა საბუთები. წიგნები. სახელმძღვანელოები და ლექსიკონები გადავქექე... ყოველივე შევისწავლე, გამოვიკვლიე, დავაწყე, დავალაგე, გავამზადე და ახლა მეუბნები რა პროექტიაო?

**კვეყენაძე**

ჰო.. ისა... უკანასკნელი? (ძალიან მშვიდად) აღარ არის საჭირო, ამხანაგო!

**ირაკლი** (გააფთრებული)

კვეყენაძე!

**კვეყენაძე**

რა კვეყენაძე, რა! ბარემ მეც მინდოდა გულით... ჭაღარამ არ დამიბარა.. მაგრამ იქ ვკითხე სადაც ჯერ არს და მითხრეს, რომ საჭირო აღარ არის, მაგის დრომ გადაიარაო.

**ირაკლი**

მერედა, შე ოჯახამობუგულო, თუ გითხრეს -- რაზე მომკალი კაცი... ნამდვილად წელკავი დამემართება, ხეირიანად ვეღარ გავ მართულვარ, თუ ასე იყო, გეცნობებია, შიკრიკი გეფრინა, ავტო გამოგეზავნა, დეპეშა დაგეკრა... ჩემი უბედურებაა ტელეფონი არა მაქვს... მაგრამ არც მაშინ გაგახსენდებოდი უთუოდ.

**კვეყენაძე**

ჩემი ბრალი არაა, ძმაო...

**ირაკლი**

უჰ, შე უღმერთო, შენ! მაგრამ რას ვლაპარაკობ? უღმერთოებში შენ კი არა, მეც ჩამწერეს გუშინწინ. უჰ, რა გითხრა მე შენ...

**კვეყენაძე**

კარგი, ახლა დამშვიდდი, ირაკლი... მე ცოტა ხანს უნდა წავიდე, დაბარებული ვარ და... ა?.. მალე დავბრუნდები. (მიდის. მოხუც და-

რაჯს) მალე დავბრუნდები.

### ირაკლი

უი, შენ კი დაგწყევლა ღმერთმა. კაი კაცი შენ არ იყო... (გამოდის კანცელარიაში ფურთხებით).

## IX კანცელარია

13

### ირაკლი

ფუი!

#### თანამშრომელი (ხარხარით)

რა იყო, ირაკლი, კიდეც... ბრაკ?!

### ირაკლი

აი ბრაკი და ბრანწი მაგის საქმეს...

#### მე-3 თანამშრომელი

ესე გეკადრება. შე პროექტების ბუდეც, შენ!

#### მე-2 თანამშრომელი

შე ინფორმბიურო. შენ!

#### 1-ლი თანამშრომელი

შე მუდო, შენ!

#### მე-4 თანამშრომელი

შე თხუნელა შე ქალაღდების მღრღნელო, შენ!

#### მარო

(სიცილით წამოდგება. ქალაღდები მოაქვს და შედის ირინარხთანა).

### ირინარხი

(მარო შევა თუ არა, გამოიხედავს კარებში და მოხუც დარაჯს არავინ შემოუშვა, ხანგრძლივი საქმე მაქვს. (შებრუნდება და მაროს საუბარს უწყებს)

### მოხუცი დარაჯი

(თავს დაუქნევს. იმავე დროს ხელებში ბოხად ჩაახველებს, შემდეგ სქელ ულვაშებს გადაიგრეხავს და კარებთან გამოიჭიმება).

## X ირინარხთან

14

**ირინარხი**

რა არის, მარო, აბა, რადა სწყრებით... ცალკე ოთახი გექნებათ...  
ჩემს მეტი არავინ უფროსი არ გეყოლებათ... კეთილი ცხოვრება,  
ფულები...

**მარო** (წამოიჭრება).

მეორეთ არ გაბედოთ...

**ირინარხი**

(წელზე ხელს მოხვევს. თავისთან იკრავს).

ნუ, ნუ ჩემო ირემო...

**მარო**

ფუ, შე წუწკო, შე გაფუჭებულო! სილას გააწნავს. გულგახეთქილი და  
სახელეწილი გამოვარდება. ირინარხი ლოყაზე, სადაც სილა გაარტყია, ხელს  
მიიფარებს და სავარძელში მოიკრუნჩხება.

## XI კანცელარიაში

15

**მარო**

ფუი! (მიდის თავის მანქანასთან და ალელვებული დიდხანს ვერ იწყებს მუ-  
შაობას. თანამშრომლები შეამჩნევენ მაროს ალელვებას. მათ სახეს ეტყობა. რომ  
მიხვდნენ რაღაც მოხდა. მაგრამ არავინ ხმას არ იღებს და ყველა თავის სამუშაოს  
ჩაულრმავდება).

16

**მაკა**

(გამოდის, თან მოჰყავს დარბაიძის ქალი).

მართალია, მე ჩემმა შვილობილმა ამიკრძალა აქ. დაწესებულებაში  
მოსვლა, მაგრამ ისეთი საქმე მაქვს, რომ არ მოვიდე, არ იქნება...  
შემოდი, ლიზბეტ, შემოდი.

**დარბაიძე**

მა ტანტ!.. რა მიინდა კანცელარიაში?

**მაკა**

მოდით... საცა მე ვარ, იქ შენც არა გიშავს რა... (დარბაიძე გამოდის. მაკა გაექანება კვექენაძის კაბინეტისაკან. იქ ვერავის ნახავს. შემდეგ სხვა კაბიეტებში და ბოლოს გაწბილებული ბრუნდება). ეს რა ამბავია. როგორ გამოცალიერებულია აქაურობა? (თანამშრომლებს. რომლებიც ირაკლის გარდა სიხარბით შასცქერიან დარბაიძეს) არავინ არ არის? ოო. ირაკლი, ირაკლი! ირაკლი გიორგიევიჩ!.. ირაკლი ზანტად წამოდგაბა!. რა არის, რა მოგვლია, ყმაწვილო?.. უქეიფოდ ხომ არა ხარ (მასთან უკვე ახლოს არის. ხელს ართმევს. მაჯას უსინჯავს) მოგიკვდა ჩემი თავი!..

### დარბაიძე

კნიაზ ირაკლი!.. რამდენი ხანია... смотрю на него и нуль внимания...

### ირაკლი (ნამალადევად)

უკაცრავად... მაგრამ, სწორე გითხრათ, ვერა ვარ გუნებაზე...

### დარბაიძე

О да это я заметила, а то такой воспитанный человек...

### ირაკლი

რა არის? რო გიჭირავს თავი? აქ დაწესებულებაა, სახლში ხომ არა ხარ? მაკა! ან აქ რაზე მოახვედი... აკი ჭალარასაგა აკრძალული გაქვს აქ მოსვლა...

### მაკა

მოვედი კი არა, მთელის ჩემის არსებით აღშფოთებული ვარ... ამ დილით ვიღაც მარტიროსოვი ვარო, სახლში მომივარდა და დამემუქრა, ეგ შირმა უნდა წაგართვაო... იცოცხლე, მე იმას დღე დავათიე--- მაგრამ მაინც არ ცხრებოდა: უთუოდ გიჩივლებ სადაც ჯერ არს და საჯაროთ შეგარცხვენო...

### ირაკლი

მმ... მარტიროსოვი?

### მაკა

აქ ახლა გადმევიარე. კვექენაძე მინდა გავაფრთხილო.

### ირინარხი

(მორიდებით გამოდის თავის კაბინატიდან)

### მაკა

აა ირიკო აქ არ ყოფილა?.. ირიკო, ირიკო!

### ირინარხი

ოო, პატივცემულო მაკა! (დარბაიძეს) თქვენ...

### მაკა

რაზე გარჯილხარ

**მაკა**

როგორ თუ რაზე? მარტივად მომივარდა. როგორ არა გრცხვე-  
ნიან, ირიკო!.. შირმის საქმე აქამდე ვერ მოაგვარე...

**ირინარხი**

შირმა... მმ... შირმა... ხომ გიდგიათ, მეტი რალა გინდათ?

**მაკა**

მიდგია რა, ის კაცი წართმევას მიპირებს და...

**ირინარხი**

არა, არაფერია... ადგილკომში იყო ეგ საკითხი, მაგრამ... ჭაღარას  
მოსვლამდე გედგათ იქ და მერე მან იცის და თქვენ...

**მაკა**

რას ქვია მის მოსვლამდე... მოსვლამდე კი არა, შირმა ჩემია და არა-  
კაცს დაბადებულს ცოცხალი თავით არ დავანებებ.

**ირინარხი**

როგორც გენებოთ.

**მაკა**

ასე უთხარი კვეჟენამესაც, პაჟალუსტა, ირიკო, დღეს სადამოს არ  
დაგავიწყდეს ჩვენთან მოსვლა... თვარა, ხო იცი, კნიაჟნას ეწყინება....

**ირინარხი**

ოო, მაგათ გულისთვის იქ კი არა, ხელახლა წავალ კატორღაში...

**დარზაიძე**

Я очень рада... (ირაკლის) Он такой забавный.

**ირაკლი**

როგორ? შენ კატორღაშიაც ნამყოფი ხარ?

**ირინარხი**

სად არ ვყოფილვარ, სად, კნიაზო... მაშ როგორა გგონია...  
(მაროს გადახედავს) ჯერ კიდევ ბევრს მოუგრებ კისერს...

**მარო**



(აენტება. წამოდგება და მანქანას ჯახუნით თავს დაახურავს)

### **ირინარხი**

სალამოს გაიხლებით... ახლა, უკაცრავად, არა მცალია... (გადის)

### **მაკა (ხმაურზე მოიხედავს)**

ოო, მარუსია. ჩემო მარო... ქალო, რა ამბავია რომ დაგვივიწყე, აღარ გვეკარები... იმ ღამის მეტად არ ყოფილხარ (განზე გაიავანს) შენ არ მომიკვდე, უზბეკისტანში რომ იყო ერთი. ნარკომი... გახსოვს? ისე მოეწონე, რომ... დამახრჩო...

### **ირაკლი (დარბაიძეს)**

ოო. დღეს? გეფიცებით ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ნაღდათ დავითვრები...

### **დარბაიძე**

Зачем же дело стало? ცავიდეთ ჩვენსა...

### **ირაკლი**

იი, არა გრცხვენიათ: ცავიდეთ! რით ვერ ისწავლეთ ამდენ ხანს ქართული?

### **დარბაიძე**

Я же вам сказал, что... მსხვენიან, ძალიან მსხვენიან, но вы же знаете, я тут не причем отец русский генерал, мать урожденная Трубецкая... воспытивалась в россии, заграницей... (ფრანგულად) მე მენტნან ჟე პრანდ ლა ლესონ ლა ლანგ ჟორჟიენ... შერმა ტანტ.

### **ირაკლი**

ოო, ძაან ქართულს ისწავლით, მე თქვენ გეტყვით: აქინა, იქინე!..

### **მარო**

მაშ, ირინარხიც იქნება?

### **მაკა**

ყველანი იქნებიან, ყველანი, მაკა არ მოგიკტეს... უთუოდ მოდი...

### **მარო**

მოვალ, მოვალ...

### **მაკა**

მართლა, ირაკლი! შენ წამოდი ჩვენთან სადილად-- ისეთი მოხრაკული ქათმები მაქვს და თქვენებური შილაფლავი... მეტი არაფერი არა მაქვს...

### **ირაკლი**

მოვდივარ, მოვდივარ უსათუოდ...

**მაკა**

მაშ ესე, გელით. აბა, წევიდეთ, ლიზბეტ (გადიანა).

**მე-3 თანამშრომელი**

რა ქალი იყო, ბიჭო, რა ქალი...

**მე-4 თანამშრომელი**

მართლა ჩამოსხმული არ არი, ე ოჯახეორი!..

**მე-2 თანამშრომელი**

რა უნდა მერე მაკასთან?

**ირაკლი**

შენც კითხულობ რაღა... (სიცილი).

**1-ლი თანამშრომელი**

არა "მა ტანტსაც" რომ ეძახის?..

**მე-3 თანამშრომელი**

შენ ეგა თქვი და...

**17**

(შემოდინ კომკავშირლები, დაათვალიერებენ ოთახებს, აუტყდებათ ხარხარი)

**1-ლი კომკავშირელი**

ჩვეულებისამებრ არავინ არის?.. ჩასწერე...

**მე-2 კომკავშირელი**

ჩვენ მაინც ვისარგებლოთ და თანამშრომლებიდან მაინც მოვკრიფოთ ცნობები.

**ყველანი**

რასაკვირველია, რასაკვირველია, თორემ ძალიან გავცდით, ჭორების მეტი არა ვიცით რა... (ოთხივენი ოთხივე თანამშრომელს მიუსხდებიან და რაღაცას წერენ).

**18**

გოჩოლავა, ახალგაზრდა დარაჯი.

**გოჩოლავა**

იასნო, დალშე!..

**ახალგაზრდა დარაჯი**

შენზეა ახლა დამოკიდებული და შენ იცი...

**გოჩოლავა**

შენ რა გინდა ახლა, შვებულება?

**ახალგაზრდა დარაჯი**

ჰო!-

**გოჩოლავა**

შვებულებას... ჰო... ან მე მოგცემ, ან სხვა მოგცემს, ან შეიძლება არავინ არ მოგცეს, მარა მაინც იასნო დალშე... მაინც შენ დაამზადე ანკეტები, ყოველგვარი საბუთები და... იასნო, დალშე!..

**ახალგაზრდა დარაჯი**

დალშე?.. დალშე რაღა გინდა, კაცო? გთხოვე და ის არის...

**გოჩოლავა**

არა კაცო, მე ისე ვლაპარაკობ... დაჩვეული ვარ აოხერს... იასნო დალშე?.. (დარაჯი გადის)

19

(შემოდინ თარჯიმანი და უცხოელი ჟურნალისტი.)

**თარჯიმანი (გოჩოლავას)**

უკაცრავად, ამხანაგო... ნება მიბოძეთ გაგაცნოთ უცხოეთის ერთ დიდ გავლენიან გაზეთის თანამშრომელი -- ჟურნალისტი... ჩვენ მოვედით იმისთვის, რომ თქვენს დაწესებულებაზე ცოტა რამ ცნობები შევკრიბოთ. ამჟამად სხვა უფროსები აქ არა ყოფილან, ამიტომ თქვენ გაწუხებთ.

**გოჩოლავა**

(პირველ ხანებში დაიბნევა, ეტყობა კარგად არ ესმის რა ამბავია) ჟურნალისტიო? იასნო დალშე! რას მიბრძანებთ?

**თარჯიმანი**

ამათ ჩამოწერილი აქვთ კითხვები და მეც მაგათ წაგიკითხავთ.

**გოჩოლავა**

იასნო დალშე!

**უცხოელი**

(განცვიფრებით შეჰყურებს გოჩოლავას)

თარჯიმანი (უკითხავს)

რას ემსახურება თქვენი დაწესებულება?

### **გოჩოლავა**

ჩვენი დაწესებულება? ჩვენი დაწესებულება ემსახურება იმას... რასაც უნდა ემსახურობდეს... აი ასე რომ ვთქვათ... დაწესებულება ასრულებს თავის დანიშნულებას. იასნო. დალშე!

### **უცხოელი**

(განცვიფრებით შეჰყურებს გოჩოლავას)

### **თარჯიმანი**

თქვენ რომელი განყოფილების უფროსი ბრძანდებით?

### **გოჩოლავა**

მე... აი განყოფილება რომ არის, იმის გამგე ვარ და... განყოფილების საქმე მაბარია.- იასნო, დალშე!

### **თარჯიმანი**

კეთილი და პატიოსანი! რამდენი მოსამსახურე გყავთ?

### **გოჩოლავა**

სულ?

### **თარჯიმანი**

დიახ, სულ თქვენი შემავალი საწარმოთი.

### **გოჩოლავა (იბნევა)**

რგაას ოთხას..- ვოსემსოტ სოროკ სემ...

### **თარჯიმანი**

ძალიან კარგი... ახლა, როგორც მოგეხსენებათ უცხოელს ჩვენი ყველაფერი აინტერესებს და უნდა იცოდეს უმუშევრები ბევრი გყავთ თუ არა?

### **გოჩოლავა**

უმუშევრები? უმუშევრები ჩვენ არ გვყავს... არა! გვყავს, გვყავს, მაგრამ ჩვენი უმუშევრები მაგენს რომ ყავს იმფერი არაა... იასნო დალშე!

### **თარჯიმანი**

(კიდევ ქალაქადში ჩაიხედავს)

მაშ, ესეც გვიბრძანეთ: როგორ არის თქვენში დაყენებული მშობიარეთა საქმე... მაგალითად, მშობიარეებს მშობიარობის დროს შვებულება ეძლევათ თუ არა?

### **გოჩოლავა**

მშობიარე?.. მშობიარობა ჩვენში საზოგადოდ იშვიათად არის. არა! არის, არის, მაგრამ შვებულება თუ ზაფხულამდე გასტანა, მიეცემა

და თუ არა და... ვაძლევთ კი, როგორ არა, ვაძლევთ შვებულებას...  
იასნო, დალშე!

### **თარჯიმანი**

გმადლობთ, გმადლობთ, მეტს აღარ შგაწუხებთ... რცხოელ. რაღაცა-  
ეტყვისა. მართლა, უკაცრავად, თქვენი გვარი?

### **გოჩოლავა**

გოჩოლავა.

### **უცხოელი( იწერს)**

გოტ-სოლ-ავა... ოშინ რად, ოშინ რად!.. (გაბრუნდება, მიდის და ყვე-  
ლა იქ მდგომთ თავს უკრავს. ოლ---რაიტ, ოლ---რაიტ! (გადის თარჯიმანთან  
ერთად. გოჩოლავაც გაჰყვება).

### **მე-3 კომკავშირელი**

აუდიენცია არ ითქმის რომ ხანგრძლივი იყო.

### **მე-2 კომკავშირელი**

მე ჩავიწერე: "ამა და ამ დაწესებულებაში იყო უცხოელი ესა  
და ეს ეურნალისტი, ხანგრძლივად ესაუბრა დაწესებულების უფ-  
როსის მოადგილეს ამხანაგ გოჩოლავას, რომლისგანაც ყველა კი-  
ხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღო".

### **1-ლი კომკავშირელი**

რას სულელობ! არ არ გაბრიყვდე და ამ გაზეთში არ მოათავსო.

### **მე-4 კომკავშირელი**

ოჰ, როგორ შეიძლება!

### **მე-2 კომკავშირელი**

ხუმრობს, ამხანაგო ხუმრობს...

### **მე-3 კომკავშირელი**

"ხუმრობენ და ხუმრობითვე სწამლავენ ერმანეთსა"... არ იცი ეს  
საიდან არი?

### **მე-4 კომკავშირელი**

რა ვიცი... შენ ხარ გადამკვდარი კლასიკოსებზე...

### **1-ლი და მე-2 კომკავშირელი**

ჰო, ჰო... უთუოდ რომელიმე კლასიკოსი იქნება...

### **მე-3 კომკავშირელი**

შექსპირია, ამხანაგო, შექსპირი.

### **მე-4 კომკავშირელი**

ხომ გითხარი.

### 1-ლი კომკავშირელი

ოჰ, გასწი იქით შენი შექსპირი.

20

(კვეჟენაძე. გოჩოლავა, მარტიროსოვი)

**კვეჟენაძე** (მოყიჭინობს)

ვჩომდილო? ვინ იყო? რა იყო?

**გოჩოლავა**

უცხოელი ჟურნალისტი იყო... არავინ არ იყავით და მე დაუხვდი...  
იასნო დალშე! არა, რომ ყოფილიყავით მაინც მე უნდა დავხვედრო-  
დი, ან შეიძლება არც დავხვედროდი, მაგრამ მაინც იასნო დალშე!

**კვეჟენაძე**

დალშე და არც ის ოჯახური რინკველი იყო, არც პარასკიდი?

**გოჩოლავა**

რა ვიცი, ჯანდაბას იმათი თავი... მე კი ბევრი მესაუბრა, სუ ოფლში  
გავიწურე... იასნო, დალშე!

**კვეჟენაძე**

მწყინს რომ არ ვიყავი... ა?... მაგრამ რა ვუყო... (მიდის თავის კარებისა-  
კენ, წინ მარტიროსოვი დახვდება)

**მარტიროსოვი**

მე რას მიშვრები?

**კვეჟენაძე** (მოუბრუნდება ყველას)

კაცო, ვინ არის ეს კაცი, რას ჩამაცივდა, ვჩომდილო? რუსთაველის  
პროსპექტიდან მომდევს აქამდი... ა? რა გინდა, ვინა ხარ?

**მარტიროსოვი**

Я гражданин Мартиросов.

**კვეჟენაძე**

მერე რა გინდა, შვილო, ძმაო, ხელმწიფე, პრეზიდენტო, ა?

**მარტიროსოვი**

(მშვენიერი აქცენტით)

Я хочу, чтобы мне мою ширму вернули бы...

**კვეყნაძე (სახე მოელუშება)**  
**მარტიროსოვი**

Я это дело так не оставлю... Я знаю, что местком вынес постановление, уже неделя с тех пор, а вы до сего времени задерживаете ывыдачу ширмы... Мало ли что она у почтенной Маки на квартире стоит... Я этого не допущу...

**კვეყნაძე**

კარგია, კაცო, რომ პარუსკობ, რას პარუსკობ ამდენს... აი ჭადარა ჩამოვა და ის გამოაწყოფს ყვალეფერს... ა? მე ამ საქმეში ვერ ჩავერევი...

**მარტიროსოვი**

კარგია, ერთი, მამა გიცხონდა... ვერ ჩაერევი რომელია... უფროსი ხარ და ვერ ჩაერევი...

**კვეყნაძე**

ვერ ჩავერევი-მეთქი... გესმის ქართული? ა? ვჩომდილო? (შედის კაბინეტში)

**მარტიროსოვი**

(დაბრუნდება თანამშრომლებისაკენ)

Вот грабеж среди белого дня...

**1-ლი კომკავშირელი**

რა გაწუხებთ, მოქალაქე, ჩვენ ვიცით თქვენი შირმის ამბავი და... ძალიან მალე ჩამოერთმევა კიდეც პატივცემულ მაკას...

**მარტიროსოვი**

ვა, მართლა!.. ეს რა კარგი ამბავი მითხარი... ეჰ თუ ჩემი შირმა მართლა დამიბრუნდა, ო, ყმაწვილებო... თქვენი პატივისცემა მაშინ ჩემზე იყოს... (გახარებული ღიღინით და ხტუნვით გადის)

**მე-2 კომკავშირელი**

რა მოუვიდა? ვაი თუ ჰგონია, რომ შირმას მაგას დაუბრუნებთ?..

**მე-4 კომკავშირელი**

ეგ სულელი, ეგა... შირმას მაგასთან რა უნდა...

**მე-3 კომკავშირელი**

მაგისთანა ხელოვნების ნიმუში ისევ სადმე მუზეუმში უნდა იყოს, მუზეუმში...

**1-ლი კომკავშირელი**

მაშ ახლა კვლავ წინ, ამხანაგებო. გამოსაკვლევად, დასაზვერავად იაროს ჩვენმა მსუბუქმა კავალერიამ... (დარაზმულნი სიმღერით გადიან)

**ფარდა**

## **მოქმედება მესამე**

### **1-ლი სურათი**

რონოდაში. მიქსტ-კუპე. მატარებელი ეტყობა მიდის. სარკმლიდან იშლება სხვადასხვა სანახაობა. სხედან ორნი: ჭალარა და მგზავრი. ჭალარა ღრმად ჩაფიქრებული უსმენს მგზავრს.

### **მგზავრი**

...ამგვარად, უკვე დამტკიცებულია, რომ შენი ირიკოა თუ მართლა ვირიკო, საოცარი მექრთამე ყოფილა, თავი მოსჭრა მთელს დაწესებულებას, მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს... შენ როგორი იმედი გქონდა, მარჯვე კაცია, ცხოვრებას კარგა იცნობს, პრაქტიკოსიაო და აი...

### **ჭალარა**

(ისევ ფიქრშია. მაშინაღურად)

დიახ, დიახ... მოდი და ენდე ახლა კაცსა...

### **მგზავრი**

რინკველია და საქმე გააჭირა მისი კინკლაობით, არც საქმისა ესმის რამე... ვერაფერს ვერ გაუგებ რა ენაზე ლაპარაკობს. რას ლაპარაკობს... უნდა გოჩოლავა გადააგდოს და მისი საჩივრებით და პირადი განცხადებებით ამხანაგებს მოსვენება არა აქვს... კვეჟენაძეა და ხომ იცი... პატიოსანია, მაგრამ დურაკია... მაგრამ ეს ყველაფერი რაც გიამბე დაწესებულებას შეეხება და ამას. რაღა თქმა უნდა. ჩახვალ თუ არა, ყველაფერს გამოასწორებ, მოაწესრიგებ, მხოლოდ...

### **ჭალარა (ფიქრში!**

კარგი იყო გადაფრენა...

### **მგზავრი**

გადაფრენას აქ სად მოახერხებ... თუ ესე გინდოდა ბესლანზე უნდა ჩამომხტარიყავი და კავკავიდან მოახერხებდი გადაფრენას...

### **ჭალარა**

მაშინ ასე დაწვრილებით არ ვიცოდი ყოველივე...

### **მგზავრი**

მაშ, მე რომ გზაში არ შემხვედროდი. არაფერი არ გეცოდინებოდა...

### **ჭალარა**

ასე დაწვრილებით არა... აბა საიდან? მოსკოვში მომივიდა წერილი,



მაფრთხილებდენ მხოლოდ და მაშინვე შემოვთვალე, რომ თვალ-  
ყური დაეჭირათ დაწესებულებაზე... მერე არც მეცალა და შორიდან  
რადიოთი ბრძანების გაცემას და მოლაპარაკებას ისევ პირადად  
ჩასვლამდე დაცდა ვარჩიე...

**მგზავრი**

არა, რასაკვირველია, ეგრე სჯობია... რომ ჩახვალ დაწესებულების  
შესახებ... ყოველსავე გაიგებ... და ყველაფერსაც გაარიგებ, მაგ-  
რამ...

**ჰალარა**

კიდევ რაღა არის?

**მგზავრი**

აი რაც არის ამის შესახებ, არ ვიცი სწორედ როგორ გითხრა, მაგ-  
რამ... ესეც მართალია, რომ ამის უთქმელობა დანაშაულია... რქუზა-

**ჰალარა**

ნუ დამზოგავ... ნურაფერს დამიმალავ...

**მგზავრი**

საქმე შირმას შეეხება...

**ჰალარა**

(თითქოს რაღაც სხვას მოელოდა. გაოცებული)

შირმას? (პაუზის შემდეგ) რაზე ლაპარაკობ?

**მგზავრი**

მე ვლაპარაკობ იმ შირმაზე, შენს სახლში რომ დგას... არაფერი არ  
გესმის, განა?.. აი სწორედ ძაღლის თავიც მანდ მარხია... შირმა  
შენმა დედობილმა წააღებინა სახლში დაწესებულებიდან...

**ჰალარა**

(წამოვარდება. მაგრამ ისევ დაჯდება)

**მგზავრი**

შირმა ვიღაც მარტიროსოვს ეკუთვნის და მას შემდეგ, რაც შენ წა-  
მოხვედი, ის კაცი დაიარება დაწესებულებაში, მაგრამ არ იქნა, თა-  
ვისი შირმა მაინც ვერ დაიბრუნა. ყველამ იცის, რომ შირმა უკა-  
ნონოდ არის წაღებული, რომ მისი მითვისება არაფრით არ შეიძლე-  
ბა, მაგრამ შენს დედობილს ვერავინ ვერაფერს უბედავს, რადგან  
ხათრი აქვთ შენი... შენი დედობილი კი...

**ჰალარა**

(თვალეზე ხელს მიიფარებს).

კარგი, გაჩუმდი... მაკაზე ნულარას ამბობ...

### **მგზავრი**

არა, უნდა გითხრა... აკი შენ თვითონა სთქვი: ნუ დამზოგავ, ნურა-  
ფერს დამიმალავო... უნდა გითხრათ პირდაპირ... ეს არის ჩვენი,  
ამხანაგების მოქალაქეობრივი მოვალეობა... მაკა ვერ იქცევა ღირ-  
სეულად... მან თავის სახლში გააღო ბურეუაზიულ სალონისმაგვარი  
რაღაც და... სალონი კი არ გამოუვიდა, არამედ... სულ სხვა სახელ-  
წოდების ღირსი დაწესებულება... ახლა, შენ ხომ შებრალება არ  
იცი, როდესაც ეს ეხება პარტიის სახელსა და პრესტიჟს... შენმა  
დედობილმა კი შებლაღა ორივე... შენს სახლში ნათავადარი ირაკლი  
დაპარპაშებს და... დედაბერი სულ ჭკუიდან შეიშალა...

### **ჭაღარა**

(ხელით ანიშნებს. რომ გაჩუმდეს).

### **მგზავრი**

(კაუზის შემდეგ)

წარმოიდგინე რა საშინელი მდგომარეოგაც არის... ხალხი ღელავს.  
მთელი ქალაქი მარტო შენს დაწესებულებასა და შენს ოჯახზე ლა-  
პარაკობს... ამხანაგები აღშფოთებულები არიან... უცდიან შენს ჩა-  
მოსვლას...

### **ჭაღარა (მშვიდად)**

მგონი მატარებელი შეჩერდა... ჰაერზე მინდა გავიდე. (მთელი განსახვა  
მატარებლის შეჩერების და სიგნალების ხმურისა)

### **ჭაღარა**

წამო! (დებიან და კარებისკენ მიემართებიან)

### **ფარდა**

## **მე-2 სურათი**

(მაკას სახლში. მისაღები ოთახი. უფრო ბუდუარსა ჰგავს. შირმა თვალსაჩინო ალა-  
გას დგას. მორთულობა მდიდრულია. ზოგან კოხტა. მაგრამ ზოგან გემოვნების  
გარეშე, შემთხვევითი და ზერელე).

1

ცაცა, თამუნია, ნადიკო გამოდიან განის კარიდან სიცილ-კისკისით.

### **ცაცა**

დედა, ეს რა ვნახე, რა... იმ გადახჩუებულს შეხედე...

**თამუნია**

მაიმუნს არ ჰგავს!..

**ნადიკო**

ჰო, კარგი ახლა... არ გრცხვენიათ! მის სახლში ხართ და მის პურ-მარილზე...

**ცაცა**

არა, როგორ იპრანჭება... ჰაი გიდი პაკა! ეს სამოცდაათი წლის ბებერი როგორ ეარშიყება ამ ირაკლის...

**თამუნია**

როგორ, ქალო, აქამდის არ იცოდი?

**ცაცა**

არა, ბეჩა, ასე აშკარად?!. რამ აახუნტრუცა... დასწყევლოს მაგისი სახელი...

**ნადიკო**

ჩვენ მაინც არაფერი გვეთქმის, ჩვენ ძაან პატივს გვცემს და...

**თამუნია**

მართალია. მართალი! რას დავეძებთ (ამოიღებს პუდრს, ტუჩების საღებავს და სარკეში ლამაზდება. ეგრა იქცევინან დანარჩენებიც) ის კი არა. ქალებო, ისეთი ჩულქები ჩამოუტანიათ, ისეთი რომ უკეთესი არ შეიძლება... ნამდვილი ვიქტორია, ზაგრანიჩნი...

**ნადიკო**

ვის, ვის?

**ცაცა**

არ ვიცი. ვიღაცა ურიაა... კონტრაბანდაა.

**ნადიკო**

ვინ გითხრა, ვინ?

**თამუნია**

სანდრომ მითხრა... აგერ სანდროც...

**ცაცა**

ოჰ, მთვრალია ძალზე...

**ნადიკო**

უჰ, თუ მთვრალია, არ შემიძლიან მაგასთან დადგომა, მეტისმეტი უზრდელია...

**თამუნია**

ისე რა კარგი ბიჭია...

### ნადიკო

იცოცხლე, ფხიზელი ეგ კარგი ბიჭი იყოს... მაგრამ როცა მთვრალია, ღმერთმა დაგიფაროს მაგასთან ყოფნა...

### ცაცა

დღეს მაინც რა დაემართათ... ყველანი ძალზე დაითვრნენ.

### ნადიკო

უჰ, ძალიან, ძალიან... იცი, წერილი მომწერა. აგერ მაქვს (კითხულობს ქაღალდის ხელსახოცზე დაწერილს) "ჩემო ლამაზო და ჩემო მწველო, ჩემო ახლო მეზობელო".. ეს მასთან ახლოს რომ ვიჯექი, ვითომ იმას ნიშნავს!.. (კითხულობს) "შენი თვალები სწვავენ ჩემ თვალებს... მითხარ, რაფერ მოგეფერო?... ანდრო ჩოხატაურელი"

### თამუნია

ეგ კვეყენადისაა?

### ნადიკო

არ დაგინახავს სუფრაზე წერილებს რომ მიგზავნიდა?

### ცაცა

მერე შენებურად ვერ უპასუხე?

### ნადიკო

ვუპასუხე: ეს უთუოდ ჩოხატაურელი არშიყოფა არის-მეთქი... ერთხანს გამებუტა, მაგრამ მერე ისევ მომწერა: "გენაცვალე კაკალ გულშიო!"

### თამუნია

ოო, როგორ გააჭირეს ამ სიმღერით... საიდან მოიგონეს...

### ცაცა

სანდრომ გაიხსენა: ძველი ქუჩური სიმღერაა: "გენაცვალე კაკალ-გულში, როგორც ყველი ხაჭაპურშიო".

### ნადიკო

კარგი. ახლა აღარ დავბრუნდეთ სასადილოში? ჩვენ კავალრებს და უცხოელ სტუმარს მოეწყინებათ...

### თამუნია

ნუ გეშინია, კნიაჟნა დარბაიძე იქ არ ყავს?

### ცაცა

შენ ახლა გეხარბება, რომ კნიაჟნამ მეტი ყურადღება მიაქცია...

### **თამუნია**

არ გრცხვენია!.. კი არ მეხარბება, მაგრამ დიდი უზრდელი კი ყო-  
დილა..

### **ნადიკო**

მართალია, მაგრამ ასე არ არის ყველა უცხოელი?.. ჩვენ თუ ადა-  
მიანები ვართ კი არ გონიათ... ეს მაინც, ქალებს ისე გვექცევა, თით-  
ქო მისი ჰარამხანიდან ვიყოთ...

### **ცაცა**

ჰარამხანა ამერიკელებს ვინ მისცა?

### **ნადიკო**

ასე ქვია... მაგრამ მაინც დავბრუნდეთ, ჩვენ ჩვენი ზრდილობა მო  
ვიხმართ...

## **2**

(კვეყნაძე და მე-3 თანამშრომელი მთვრალეები შემოდიან)

### **მე-3 თანამშრომელი**

ქალებო, ქალებო, სადა ხართ? გენაცვალეთ კაკალ გულში!

### **კვეყნაძე**

ვჩომდილო! ამდენ ხანს რად დაიგვიანეთ, ა! ოო, აგერ არ ყოფილა  
ჩემი ნადიკო! (მოხვევს უნდა)

### **ნადიკო (გაუსხლტება)**

პატივ ცემულო ანდრო, როგორ გეკადრებათ? ასეთი დიდი კაცი, სვ-  
რიოზული, მთელი დაწესებულების უფროსი და...

### **კვეყნაძე**

ვჩომდილო? დაწესებულება იქ არის... აქ რა, მე ჩემს სახლში არ  
შემიძლია გავმხიარულდე?.. ვჩომდილო? მე არ შემიძლია არშიყოფა  
თუ?

### **მე-3 თანამშრომელი**

წამოდით, გვრიტებო, უთქვენოდ მოწყინდა ხალხს... გენაცვალეთ  
კაკალ გულში... (ხელს უყრის თამუნიას და ცაცას და ბარბაცით მიჰყავს)

### **კვეყნაძე**

ყველა ტინგიცა უცხოელს თუ ნება აქვს არშიყოფის, მე რავა, ჩემს  
ქვეყანაში ამის ნებაც არა მაქვს, ა?.. წამოდით, ნადიკო, წამოდით...  
ვჩომდილო?

### **ნადიკო**

ვჩომდილო და თუ დაიბაისლურად მოიქცევით აი, წამოვალ...

### **კვეყნაძე**

ჰო, გენცვალოს ანდრო, ჰო... ისე მოვიქცევი, როგორც შენ გიამებ-  
ბა! ა? (ხელიხელ გაყრილი გადიან)

**3**

### **მე-3 თანამშრომელი**

(ბარბაცით ბრუნდება. ეტყობა რომელიღაც კარებს ეძებს, ვერ მიუგნია).

**4**

(ერთ-ერთ კაბინეტიდან გამოდის მოსამსახურე გოგო, 25 წლის იქნება, დუნე  
მიხრა-მოხრა აქვს, ფერხორცზე კარგად არის. ცოტა სქელია, თავისებური  
სანდომიანობა აქვს. ორიგინალურად ჩაცმულია, ვითომ კარგად. ლანგარით  
წვნიანი თეფში მიაქვს).

### **მე-3 თანამშრომელი**

აა, თიკო, თიკუნაო! (ლებურად უქცევს) მოდი ეგ ვაშლები დაგიკვნი-  
ტოყე... (ძუძუზე უჩქმეტს).

### **გოგო**

იი, თავი დამანებე... ბულიონი არ დამაღვრევინო... თქვენგნით ტანი  
სულ დალურჯებული მაქვს...

### **მე-3 თანამშრომელი**

ჰო, კარგი... ეს მითხარი, თიკუნა.. აქეთ საით უნდა წავიდეს კაცი?

### **გოგო**

ჰოდა ეგრე მეტყოდი, რას მაცდენ?.. აი, იმ კარებ იქითა... (წალენ-  
წამოვლენ)

**5**

### **ირაკლი**

(სასადილოს კარებში)

ეეჰ, მომწყდი თავიდან... რეჩი კი არა ახლა ის არ გინდა, დისსერ-  
ტაცია... (მოდის კუშეტზე წამოწვება პაპიროსს აბოლებს)

**6**

(გოგო გამოივლის).

### **ირაკლი**

ბიჭოს! ეს შენა ხარ, თიკო? როგორ გამოპრანჭულხარ?

### **გოგო**

იი, რა ვიცი... ქალბატონმა ჩამაცო...

**ირაკლი**

მერე რა, ემდური? ხომ კარგად გივლის?.. მართლა, თიკო, მართალი მითხარი: სად გერჩია? წინეთ რომ ჩემ ნათესავებთან, თავად ფალავანდიშვილებთან იდექი, თუ აქ?

**გოგო**

აბა, რა ვიცი!.. იქა კნიაზები მჩქმეტამდნენ, აქ კიდევე ესენი...

**ირაკლი**

მერე როგორ გადაურჩი ამდენ ჩქმეტას?-

**გოგო**

რა ვიცი! ე ხორცი კი არ დადნა და...

**7**

**მაკა**

(ეტყობა ვიღაცას ეძებს. ირაკლის წამოწოლილს რომ დაინახავს, დამშვიდდება, გოგოს)

შენ აქ რა გინდა? რამდენჯერ დაგიტხოვე, როდესაც სტუმრებია აქ ნუ შემოხვალ-მეთქი.

**გოგო**

ჩვენ ავადმყოფს ბულიონი შევუტანე.

**მაკა**

მერე შენმა მზემ ბალკონიდან არ გეკადრებოდა გავლა?

**გოგო**

ბალკონიდან სტუმრები უფრო არ დამინახამდენ?

**მაკა**

კარგი, წადი აქედან. (გოგო გადის!. ირაკლი, რა იყო, გენაცვალე?... დამეღალა შენი თავი?...

**ირაკლი**

არ გრცხვენია? ქალი კოხტაობ და ჩულქი კი ჩამოჩაჩული გაქ... გაისწორე!

**მაკა**

(შერცხვება, გაწითლდება, მიბრუნდება და ისწორებს).  
რა არის ახლა. ირაკლი, პრიდირაემსა...

### ირაკლი

(გაიცინებს და ღიღინით)  
განაცვალე კაკალ გულში,  
როგორც ყველი ხაჭაპურში!  
ერთი აქეთ მოიწიე,  
რამე უნდა გითხრა ყურში...

### მაკა

(მიუჯდება. ირაკლი რაღაცას ეტყვის, მაკა წამოვარდება აჭარხლებული და კისკისით)

ო, შე ციგანო, შე ჩაჩანო, შენ!

### ირაკლი

(უეცრად წამოხტება. თითქოს უნდა მაკა დაიჭიროსო. მაკა სწრაფად შირმას ამოეფარება და იქიდან თავს გადმოჰყოფს)  
აბა, მითხარი: зюлик московский...

### მაკა

(ტუჩებს პრანჭავს)

Зюлик московский...

### ირაკლი (ბოხი ხმით)

Нет, авлабарский... (უნდა შირმის იქით მოექცეს, ამ დროს შემოდინა გოჩოლავა და რინკველი კამათით, ნაღვინევი არიან)

## 8

### გოჩოლავა

იასნო დალშე! ის იყო რომ პირველად ქიზიყში ჭადარამ გააჩაღა მუშაობა...

### რინკველი

ახლა შენ მასწავლი, теперь ты меня учиш? ჭადარამ კი არ, იაკობი იყო, Не Чагара, а был Яков...

### გოჩოლავა

აბა ახლა იაკობი ჯობია ჭადარას... არა. შეიძლება ჯობდეს, კიდევ, მაგრამ რას ამბობ, ჭადარასთან რავა მოვა იაკობი. იასნო დალშე!

### რინკველი

მართალი თუ გინდა, если правду хочешь, არაფრით არ ჩამო-  
უვარდება იაკობი ჭადარას, ничем Яков Чагара не уступит!...

### გოჩოლავა



ოჰ, ოჰ! Ты меня возмущаешь... იასნო დალმე!

**რინკველი**

რა ვაზმუმჩაემ! არც იმდენი, не особенно, დიდი კაცია, большой человек, შენი ჭადარა, твой Чагара!..

**გოჩოლავა**

ოო, ახლა კი შესტოპე დაუკრეფავში, არა, შეიძლება არ შეგიტოპავს, მაგრამ მაინც იასნო, დალმე!

**9**

**მე-3 თანამშრომელი**

(შემოდის ღიღინით)

ქალებო, გენაცვალეთ კაკალ გულში!.. (დაინასავს ყველას): ოჰ, სხვები სად არიან? სად არის ცაცა, ჩემი ცაცუნია, ვენაცვალე იმას კაკალ გულში! (მიდის სასადილოსკენ. კარებში შეეფეთება მაროს).

**10**

**მე-3 თანამშრომელი**

ოო, მილ-პარდონ, ქალბატონო!.. საჩემო არ არის... ქალი რომ გაფილოსოფოსდება, იმის არაფერი არ მწამს... (გადის).

**მარო**

(მწარე ღიმილით შეხედავს და ნელა წინ მიდის).

**მაკა**

მარო, გენაცვალე, მიატოვე სტუმრები? რა სხვანაირი ქალი ხარ?... არ გეწყინოს, გენაცვალე და ცოტა მიუკარებელი ხარ, თითქო ვინმე არისტოკრატი იყო...

**მარო**

ჰა, ჰა! არასტოკრატი?!. ჰოზბეტელაშვილის ქალის არისტოკრატობა ეს სულ ახალი ამბავია... თუ ჩემი ჩამომავლობა გაინტერესებთ, მე ნამდვილი ქიზიყელი, ჩუმი, დამოუკიდებელი გლეხის შვილი ვარ, მაგრამ ეს რას ამტკიცებს?..

**მაკა**

ჰოდა თუ აგრეა, მით უფრო უნდა გახალისებული იყო... ეს შენი საზოგადოება არ არის, შვილო?

**მარო.**

(მტკიცედ და ხაზგასმით)

არა, პატივცემულო მაკა, ეს ჩემი საზოგადოება არ არის...

### მაკა

არ ვიცი, გენაცვალე... რაღაცა ნამეტანი პრუწია ყოფილხარ და შენ იცი... (ჩამოშორდება).

### ირაკლი

დაეთხოვეთ მაგ ქალს... მოდით აქ მარო...

### მარო

(თითქო მაშინალურად მიდის და ირაკლისთან ჯდება. ამავე დროს გამოდის ირინარხი და რამდენიმე თანამშრომელი).

## 11

(სასადილოდან ხროვად და კისკისით გამოდიან ამერიკელი ჟურნალისტი, დარბაიძე, მაკა, თამუნია, ცაცა, ნადიკო, ირინარხი, კვეყენაძე 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 თანამშრომლები, თარჯიმანი და სხვა სტუმრები, რინკველი და გოჩოლავა მხოლოდ ამ დროს შესწყვეტენ კამათს და ერთიმეორეს გაბუტვით გაეცლებიან).

### თარჯიმანი

ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენი უცხო სტუმარი თხოულობს. რომ ქალებმა ქართული ფერხული იცეკვონ... ძალიან მოსწონს ეს ცეკვა... ამას წინათ რაჭაში ნახა და აღტაცებულია...

### თამუნია

ფერხული?

### ცაცა

რაზე ლაპარაკობს?

### ნადიკო

Что это за танец?

### კვეყენაძე

ვჩომდილო! ფერხული არ იცი? Хоровод?

### ქალები

- А? Хоровод!

--- სამწუხაროდ ჩვენ არ ვცეკვავთ...

### ახალგაზრდობა (ახრიალდება)

ფოქსტროტი, ფოქსტროტი...

(დამკვრელი უკრავს. ახალგაზრდობა ფოქსტროტს ცეკვავს. ამერიკელი თარჯიმანს რაღაცას ეტყვის).

**თარჯიმანი**

(იქვე მდგარ ირაკლის და გოჩოლავას)  
ფოქსტროტი აკრძალული ცეკვა არ არის?

**ირაკლი**

დიდკაცების ოჯახებში შეიძლება...

**გოჩოლავა**

(გადახედავს ირაკლის)  
გააჩნია სად და როდის... იასნო დალშე!

**ამერიკელი**

(ყურს მოკრავს გოჩოლავას ღიმილით)  
იასნო, იასნო... გოტსოლავა!

**გოჩოლავა**

(ნამალადევი ღიმილით თავს უქნევს)

**ირინარხი**

(ერთ ჯგუფს)

ეეჰ, არ არის ჩემი საქმე არა... ახლა იქ მიწვევენ კინოში... და იქ  
გადავალ.

**1-ლი თანამშრომელი**

კინოში კი არა...

**მე-2 თანამშრომელი**

რა? იცით ეგ ხელობა?

**მე-4 თანამშრომელი**

მაგან რა არ იცის, ძმაო, რა?... ერთ დროს ფსალომშიკათ, მედავით-  
ნეთაც კი ყოფილა სადღაც...

**1-ლი თანამშრომელი**

თუმცა კინოს რა ცოდნა უნდა... მართლა! გამოწყობილი საქმეა.  
ირაკლისაც ხომ წაიყვანთ?

**ირინარხი**

ირაკლის რატომ?

**1-ლი თანამშრომელი**

ირაკლი ხომ ყველაფერის მცოდნეა...

**ირაკლი** (ყურს მოჰკრავს)

რა იყო, რაო ირაკლი? (მათთან მიდის)

**1-ლი თანამშრომელი**

(დიმილით)

არაფერი. აი ირინარხი კინოში რეჟისორად გადადის, შენ კიდევ ყველაფრის მცოდნე ხარ და არც სცენარების წერა გაგიჭირდება... წაგიყვანს და უწერე და უწერე სცენარები...

**ირინარხი**

კაცო, ვინ გითხრათ რომ რეჟისორად?

**ირაკლი**

მართლა მიდიხარ?

**ირინარხი**

(ჯგუფს შორდება)

ისე ვთქვი რაღა... (გადადის სხვა ჯგუფთან).

**ირაკლი** (ამხანაგებს)

ეს სახუმრო ამბავი არ არის... კინოს შესახებ შეიძლება ხუმრობს, მაგრამ რაკი ხმას ავრცელებს მივდივარო, ეტყობა რაღაცის სუნი ეცა... ჩვენს დაწესებულებას რაღაც მოეღის...

**1-ლი და მეორე თანამშრომელი**

როგორ? შენ განა არ იცი?

**ირაკლი**

რა?

**მე-4 თანამშრომელი**

კომკავშირელთა გაზეთში...

**მე-2 თანამშრომელი**

უშველებელი წერილია ჩვენს დაწესებულებაზე...

**ირაკლი**

სამწუხაროდ ვერა ვკითხულობ... არ ვუგდებ ყურს, არც კი ვიცი როდის გამოდის...

**1-ლი თანამშრომელი**

ოო, დიდი წერილია თურმე... Полный разгром...

**ირაკლი**

მაშ ყველას მოგვხვდა?

**მე-2 თანამშრომელი**

ჩვენ რა?!. მაგრამ ჰო, ჩვენც... ყველას, ყველას მოხვდა თურმე...

ჩვენ არ წაგვიკითხავს.

**ირაკლი**

ოჰ, რომ წავალ, უთუოდ ვიყიდი... სად იყიდება ეგ გაზეთი?

**მე-4 თანამშრომელი**

ყიდვა რად გინდათ, მაროს აქვს.

**ირაკლი**

მაროს საიდან?

**მე-2 თანამშრომელი**

ჩვენთან რომ დაიარებიან, იმ კომკავშირელებს გადაუციათ... დღევანდელი ნომერია...

**მე-4 თანამშრომელი**

პირდაპირ სტამბიდან მოიტანეს სამსახურში... მხოლოდ დღეს საღამოს გავა ხალხში...

**1-ლი თანამშრომელი (ირაკლის)**

შენ როგორ ჩამორჩი, კაცო... ინფორმაციურს ტყუილა გეძახდით?

**ირაკლი**

მე პირდაპირ აქ წამოვედი სადილად, საერთო კრებაზეც არ დავრჩი ხომ...

**მე-2 თანამშრომელი**

ჰოდა, სწორედ იმ კრებაზე გაიგო მარომ ყოველივე...

**მე-4 თანამშრომელი**

მარტროსოვის ბრალი კია ყოველივე... იმისმა შირმამ წარმოშვა წერილი...

**ირაკლი**

ჰეი, ჰეი! ფიქირ-ბეი!

**დარბაიძე**

(ამერიკელს კისკისით)

რას მელაპარაკებით?

**ამერიკელი**

ახლა ხომ გჯერათ... მშვენივრად ვიცი რუსული ენა...

**დარბაიძე**

მერე საიდან, მონ დიე!

**ამერიკელი**

როგორ თუ საიდან... ოდესელი ებრაელი გახლავართ და დიდი ხნის ემიგრანტი... მართლაც ჟურნალისტი ვარ, ამერიკულ თვალსაჩინო გაზეთისა, ყალბი არ გეგონოთ... დანარჩენი ყველა მართალია გარდა იმისი, რომ ზოგჯერ და ზოგან რუსული ენის ცოდნას ვმაღავ.

**დარბაიძე**

ეს კარგი ხერხია!

**ამერიკელი**

მხოლოდ თქვენ ხომ არ გამამხელთ... მაძლევთ სიტყვას?

**დარბაიძე**

რასაკვირველია... ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა...

**ამერიკელი**

ახლა გავიდეთ ისევ სასადილოში... მე მინდა თქვენი მშვენიერების სადღეგრძელო ერთხელ კიდეც დავლიო. ხომ შეიძლება?

**დარბაიძე**

დალევა? როგორ არა, წავიდეთ. (ხელს გაუყრის) მხოლოდ მშვენიერებისა კი რა მოგახსენოთ... თქვენ იმდენი გინახავთ... იმდენი ქვეყნები მოგივლიათ... (გადიან).

**თარჯიმანი (მაკას)**

ეტყობა კნიაჟნას თავის საიდუმლო გაუმხილა...

**მაკა**

რა საიდუმლო?

**თარჯიმანი**

აქვს ერთი საიდუმლო და როდესაც იმას ვინმე ქალს გაუმხელს, ეტყობა რომ ის ქალი ძალიან მოსწონს...

**მაკა**

ღმერთო, სასადილოში წავიდნენ!.. იქ ყველაფერია, მაგრამ ვაი,

რომ კიდევ რამე დასჭირდეთ...

**თარჯიმანი**

არა, ახლა ხელს ნუ შეუშლით... ყველაფერს თვითონ მოსძებნიან...

**ირინარხი (მაროს)**

რა არის მარი ივანოვნა... ესე განმარტოვდით... ჩვენც ვითამაშოთ ფოქსტროტი.

**მარო**

(ზიზლით შეხედავს)

**ირინარხი**

რად მიყურებთ ეგეთი ზიზლით? ეგეთი რა დაგიშავეთ?

**მარო**

თუ თქვენ ვერა გრძნობთ თქვენი საქციელის მთელ სიმძიმეს, მე რაღა უნდა გითხრათ...

**12**

**მარტიროსოვი**

(შემოდის, წინ მოუძღვის გოგო).

ქალბატონი სად არის? აჰა, აქა ბრძანდება!

**მაკა**

(დაინახავს მარტიროსოვს და წამოიფოფრება)

თქვენ აქ რა გინდათ? (გოგოს) ოჰ, შე საძაგელო, ასე პირდაპირ როგორ შემოუშვი, ან შენ კარები რად გაუღე? ლაზარე სად იყო?

**გოგო**

ლაზარე აკი წავიდა სადღაც. კრება მაქვსო, თქვენთან დამაბარა და... ე პატოსანი კი ვერაფრით ვერ დავაკავე...

**მაკა**

ფუჰ, შე დონდლო შენ!.. გადი, დაიკარგე. (გოგო გადის).

**მარტიროსოვი**

მე თქვენთან საჩხუბრათ არ გახლავართ მოსული... გეტყობათ გნახეთ სახლში... მეც დავიდარაბის თავი არა მაქვს... ისევ მორიგებით მინდა საქმე გავათავო.

**მაკა**

მე მოსარიგებელი არაფერი მაქვს... ირიკო, ერთი ამას მოელაპარაკე შენებურად (თვითონ სტუმრებს მიუბრუნდება).

### **ირინარხი**

თქვენ განაგრძეთ ცეკვა და მხიარულება... (მარტიროსოვს განზე გაიყვანს) ჭკვიანი კაცი ხართ, აბა, რა დროს მოსვლა იყო ახლა...

### **მარტიროსოვი**

მაშ, როდის, კაცო? ვერაფერი გერ გამოვიტანე თქვენგან, ვერც იქ დაწესებულებაში, ვერც აქ... დღეს კიდევ ვილაც ახალგაზრდები დამპირდნენ გაზეთში ჩაგადებთო... არ მინდა გაზეთში ჩაგდება... გაზეთი ჩემთვის საჭირო არ არას... ვინ იცის ამას რა კუდი გამოეზას! თვითონ მე, бывший нефтепромышленник, бывший дашнакцакан, бывший немпан, бывший домовладелец... словом кругом бывший... გაზეთით ხეირი არ დამეყრება ვიცი... ისევ მოვრიგდეთ, კაცო, თქვენზე ამბობენ (ცბიერად) პრაქტიკული კაციაო... მომარიგეთ როგორმე... ბევრი არ შემიძლიან და ოცდაათ თუმანს მოგართმევთ...

### **ირინარხი**

კარგი, კარგი, ახლა წადით და... ხვალ დილით ფული მოიტანეთ, მე შირმას ჩაგაბარებთ (თითქმის ძალით გაჰყავს მარტიროსოვი).

13

ამავე დროს ირაკლის და სხვებს გამოაქვთ ჭიქები, ღვინო, ხილი და მაროს გარშემო შექმნიან ცალკე წრეს. საიდანაც დროგამოშვებით მოისმის ნელი ღიღინი და ჭიქების ჯახუნი. მაროც სვამს და თანდათან მხიარულდება.

14

### **ამერიკელი**

(შემოდის დარბაიძესთან ერთად ხელიხელგაყრილი).

ფოქსტროტ, ფოქსტროტ! (ცეკვავს მასთან. მარტიროსოვი ირინარხს გაჰყავს, ბრუნდება და მაროს ჯგუფისკენ მიდის. იმავე დროს ამერიკელი დარბაიძეს წელში გადაზნექს. ხელში აიყვანს და ხელით აყვანილს კუშეტზე დასვამს).

### **დარბაიძე**

აი, ეს კი ჩვენში მიღებული არ არას...

### **ამერიკელი**



ეს არსად არ არის მიღებული, მაგრამ თქვენ ისეთი წარმტაცი ხართ, რომ ველარ მომითმენია.

### ირაკლი

...და აი, ბატონებო, მე ვამბობ: რომ შეეძლოს ამ შირმას ალაპარაკება-მეთქი, ეგ გადმოგვცემდა მთელს ისტორიას ბურჟუაზიის ოჯახური განწყობილებისას და დღევანდელ პატრონის მდგომარეობაზედაც გეტყოდა ზოგ რასმე... საინტერესოა, რომელ პატრონს ირჩევდა იგი რომ შეეძლოს მას ალაპარაკება...

### მარო (წამოდგება)

შირმის მაგიერად ახლა მე ავლაპარაკდები...

### ირაკლი

მერე...

### მარო

ვიცი... ცხენი შეკაზმული მყავს...

### მე-2 თანამშრომელი

ჩუმად, მარო სიტყვას ამბობს. (პირველ ხანებში მაროს ყველა ჯგუფი არ უსმენს. მხოლოდ თანდათანობით იპყრობს დამსწრეთა ყურადღებას. მაგრამ აქა-იქ მაინც რჩებიან ცალკე ჯგუფები და წყვილები, როგორც, მაგალითად ამერიკელი და დარბაიძე.

### მარო

მართალია, მე მოლაპარაკე არა ვარ, მაგრამ ახლა კი მინდა წარმოვთქვა ის, რასაც ვგრძნობ. ყველამ ილაპარაკა დღეს. ბევრი ფრაზეოლოგია იყო დახარჯული. მაგრამ სიმართლე მაინც არ უთქვამთ. აი, მე წაგიკითხავთ ერთი წერილის ნაწყვეტს, ყური დაუგდეთ (გარშლის გაზეთს: „ახალგაზრდა კომუნისტს“ და კითხულობს)

### 15

### ჭაღარა

(შემოდის კითხვის დროს. თან მოჰყვება 4 კომკავშირელი. ყველანი დრომდე შეუმჩნევლად დგანან).

### მარო

(გაზეთში ეძებს იმ ადგილს, რომელიც უნდა წაიკითხოს). მმ... ეს არ არის საინტერესო... ჰო... (კითხულობს) „...და ამგვარად, ამ დაწესებულებაში“ ჩვენს დაწესებულებაზეა ლაპარაკი... "ამ დაწესებულებაში ზნეობრივად მახინჯებისა, დამთხვეულებისა, დეგენერატებისა და პატოლოგიურ ტიპების გარდა ვერავის ვერა ვხე-

დავთ. თუნდა ჩამოვთვალოთ ზოგიერთი: ერთი სულ იასნო დაღმეს გაიძახის, მაგრამ მისი იასნოსი კაცს ვერა გაუგია რა, მხოლოდ დაღ-შე სად მივყევართ, თვითონაც არ გაეგება. მეორეა და ყოველ ქართულ ფრაზას, ყოველ სიტყვას რუსულად გითარგმნის, თითქო ამითი მაღალი ნოტარიუსის მოწმობა უნდა დაარტყასო... და თან ისეთი გველაძუა, რომ მისგან ხეირიანს ვერაფერს ვერ გამოიტან. ერთია კიდევ და მის წინ იუბკიანს ვერავის ვერ გაუვლია, რომ მოურიდებელი და მსუნაგი წინადადებით არ მიმართოს... ამბობენ თანაც მექრთამეა თურმე გაცხარებული და კომბინატორი უსაშველო... არის ერთი კაცი, თითქო ცოცხალ ადამიანსა ჰგავს, მაგრამ მასაც ყველაფერზე ხელი ჩაუქნევია და მხოლოდ ჭორებს კრეფავს, თან რაზედაც უბრძანებენ, იმაზე პროექტებს ადგენს. ვისთვის? რისთვის? არ ენაღვლებს... ხვალ რომ უთხრან მთვარის რკინისგზის პროექტსაც შეადგენს და გულში კი შეიძლება ეცინება მთელს გარემოზე და თავის თავზედაც... ამჟამად კი ამ დაწესებულებაში ყველაზე უფროსი არის გამგის მოადგილე და... მართალია, პატიოსანია, გულუბრყვილოც, მაგრამ ბრიყვია, ჩერჩეტი და მოხერხებული თანამშრომლები, გარეშე პირები და სპეცები ისე ატრიალებენ, როგორც მოეპრიანებათ. ის მათ ხელში მხოლოდ თოჯინაა და სხვა არაფერი... ადგილკრმი? კოპუჯრედი? ეს ისეთ მკრთალ პიროვნებათაგან შესდგება, რომ თავიანთი სახე არა აქვთ, არც ცოდნა, არც გაგლენა და დაწესებულების შეტბორებულ ჭაობს ვერც ისინი წმენდენ... გარეთ კი არის ერთი ოჯახი, რომლის უხუცესი წარმომადგენელიც ამ დაწესებულების საქმეში ერევა, თუმცა მას სასტიკად აქვს აკრძალული ამ დაწესებულებაში მისვლაც კი და თუ ეს პიროვნება ბედავს, რომ ფრთა გაშალოს იმისთვის, რომ ამ ოჯახში არის "შირმა" ... ამ შირმაზე ახლა მე თვით ვილაპარაკებ... მხოლოდ მე იმ შირმაზე კი არ მოგახსენებთ აი, იქ რომ დგას ჩინური ინარფსტაციებით შემკული და, რომელიც ასე აკმაყოფილებს მეშჩანურ ყოყოჩობას ამ ოჯახს ბურჯისას, არა! მე ვამბობ ცოცხალ შირმაზე, რომელსაც მეტად მაღალი სახელი აქვს, თანამდებობაც დიდი და ამ სახელს ეფარებიან... მეორდება ის, რასაც წინათაც უჩიოდა ხალხი: სად არის სამართალი? ღმერთი მაღლაა და მეფე შორს არისო. ახლა? განა ახლაც ეგრე არ ითქმის? საკონტროლო ორგანოები მაღლაა, ჩვენი ჭადარა შორსაა.

### ჭადარა

არა, აქა ვარ!..

(ყველამ მოიხედა. უნებლიე გაოცება და ხმაური ..ოჰ, ჭადარა". მაკას უნდა წინ წაიწიოს. მაგრამ შეხედავს თუ არა ჭადარას სახეს, ისევ უკან დაიხევს. მარომ სიხარულისაგან კინაღამ მიაკვილა. მაგრამ თავი შეიკავა და თავისას განაგრძობს).

**მარო** (ჭაღარას)

ოჰ, რა კარგია, რომ თქვენ ჩამოხვედით. თქვენ მოსვლამდე კი კომკავშირელთა ფხიზელმა, ახალგაზრდა თვალმა შემოიხედა ამ დაწესებულებაში... ახლა დარწმუნებული ვარ, პარტიის საკონტროლო ორგანოები რკინის ცოცხით გაგვიან ამ უვიცებს, ხამებსა და დეგენერატებს და გახურებული შანთით ამოდაღვევენ ყოველგვარ უწმინდურობას ამ დაწესებულების შინ და გარეთ.

**ჭაღარა** (მაროს)

გმადლობთ, ამხანაგო! მაშ ყველანი აქ ბრძანდებით? ეს კიდევ უკეთესი... უწინარეს ყოვლისა შევეცეთ ეს შირმა და ხვალვე მიუგდეთ მის პატრონს... (კომკავშირელები ჰკეცენ შირმას და მოშორებით მიაყუდებენ).

**მაკა**

(უნდა მიმართოს ჭაღარას, მაგრამ ჭაღარას მტკიცე ხმა აჩერებს).

**ჭაღარა**

პატივცემულო მაკა! შენ იმდენად შემარცხვინე, იმდენად თავი მომჭერი, რომ არ ვიცი რისი ღირსი ხარ, მაგრამ მაინც მხოლოდ ამას გაკმარებ, რომ ხვალვე წახვალ ჩვენს ყრუ სოფელში გამუდმებით იქ საცხოვრებლად..

**მაკა**

(ხელებს ასავსავებს, რაღაცას ლუჭლუღებს).

**ჭაღარა**

შეიძლება იქ კვლავ გამოსწორდე და კვლავ შეუდგე პატიოსან შრომით ცხოვრებას... როგორც შენი ტოლი ქალები ცხოვრობენ იქა...

**მაკა**

(ცრემლი ყელთ ებჯინება)

შვილო!.. (გულს შემოეყრება, ქალები შემოესევიან და გაჰყავთ).

**ჭაღარა**

(მიდის ირაკლისთან, წინ გამოიყვანს, ახედ-დახედავს, თითქოს არ იცის რა უყოს): შე გათახსირებულო, შენა!.. გასწი, დამეკარგე, დამეკარგე სანამ გონება მთლად არ დამიკარგავს... (ირაკლი აწურული მიდის)...

**1-ლი თანამშრომელი**

(ჩუმად)

ო, შე პროექტებას ბუდევ, შენა!

**მე-2 თანამშრომელი**

შე ანფორმბიურო...

#### მე-4 თანამშრომელი

შე თხუნელა, შე მუდო... შენა...

#### ირაკლი

(უეცრად შამობრუნდება)

ნუ იცინით... თქვენც მოგხვდებით და... მოგხვდებით სწორედ... კაკალ გულში. (სწრაფად გადის).

#### ჭალარა

თქვენ კი ყველანი, ვინც დაწესებულებაში მსხურთბთ, ხვალიდანვე წარსდგებით ჩვენი საკონტროლო ორგანოების წინაშე... ახლა კი მარშ, ნახვამდის! (ყველანი გადიან მაროს გარდა, რომელიც მიღმა მდგომი აღტაცებით შესცქერის ჭალარას). თქვენ კი, უცხოელო, თუ რამ საქმე გაქვთ ჩემთან, გთხოვთ, იქ მობრძანდეთ, სამსახურში... (ამერიკელი, დარბაიძე და თარჯიმანი გავლენ. ჭალარა სავარძელში თითქო ძალზე მოქანცული ჩაეშვება). ოოჰ... ძლივს... (მძლავრად ამოისუნთქავს და შემდეგ კომკავშირლებს) აბა, ამბანაგებო, მოდით, დასხედით. გათმომეცით ყველა თქვენს მიერ შეკრებილი ცნობები და საბუთები.

#### 1-ლი კომკავშირელი

ძალიან მოხვდათ, ხომ? (პაუზა).

#### ჭალარა

ყველაზე უფრო მე მომხვდა.

#### მარო (წინ წამოიწევს)

კაკალ გულში, არა?

#### ჭალარა

(ჯერ განცვიფრდება. შემდეგ წამოდგება. ღიმილით მიდის და ხელს ჩამოართმევს). არ ვიცი... შეიძლება!

#### 1-ლი კომკავშირელი (ჭალარას)

ნუ სწუხართ, ამხანაგო... ხომ ხედავთ ჩვენ მოვდივართ ახალგაზრდები... ჩვენ დაგვემყარე და მეტის ენერგიით შევუდგეთ მომავალ მშენებლობას.

(სიმღერა კომკავშირული).

ფარდა

1928 წ.

თეთნულდ

ტრაგედია 5 მოქმედებად

მოქმედნი:

ქორი\*  
არგიშდი ოჯახის უფროსი  
მისი რძალი  
სოთრან- შვილები  
გურანდა-  
ლაპილ- ახალგაზრდა ცოლ-ქმარი  
გელახსან-  
დიგორხან, გელახსანის დედა  
გივერგილა-  
იშმაგ-  
ორბინე- ძმები  
დღემბურგ-

ყასბულად  
ბადან  
სოზარ  
ყანსავ  
აღმასკომის თავმჯდომარე  
ბიმურზ, პაპი  
ციქელიდ, სოფლის მასწავლებელი  
ლიანგი.

მოქმედება სწარმოებს სვანეთში 30-იან წლებში.

მოქმედება პირველი

ა

მთების ძირას

ქორი

თეთნულდი მიუვალა!  
თეთნულდს ჯერ კაცის ფეხი არ გაჰკარებია!  
თეთნულდი სპეტაკია!  
თეთნულდი წმინდაა!  
შეუხებელია თეთნულდი!  
მიუვალა თეთნულდი!

გელახსან

მე მაინც მივდივარ თეთნულდზე.

ციქელიდ

ფებს როგორ მოიდგამ მის სპეტაკ ყინულზე?

**გელახსან**

წრიაპებით მივდივარ.

**ციქელიდ**

რომ დასცურდე?

**გელახსან**

წერაქვიც თან მიმაქვს.

**ციქელიდ**

თვალი რომ მოგჭრას ამ თეთრ ჯავშნის მზეზე ლაპლაპმა?

**გელახსან**

კვამლის ფერი სათვალე თანა მაქვს.

**ციქელიდ**

უსაზღვრო სივრცემ რომ თავი დაგიბრუნოს?

**გელახსან**

მაგარი გული მიცემს მკერდქვეშ.

**ციქელიდ**

ამხანაგი რომ მოწყდეს?

**გელახსან**

თოკებით გადაბმულნი ვართ, ხელში რვა ფუტს მოვზნექავ.

**ციქელიდ**

უშიშარი ხარ, გაბედული, თვალთ გიჭრის, მუხლი მაგარი გაქვს, გული მტკიცე.

**გელახსან**

ჰაი, ჰაი!

**ლაჰილ**

**ლაჰილ**

მიტო, მიტო, სადა ხარ?

**ციქელიდ**

მიტოს ნუ ეძახი, ლაჰილ... აქ სვანეთში ეგ გელახსანია.

**ლაჰილ**

ჯერ კიდევ ვერ დავერვიე, სულ მეშლება...

**გელახსან**

აი მეც სულ მათიკოს ვეძახი... ლაჰილი კი ჰქვიან.

**ლაჰილ**

ლაპილი ლამაზია!

**ციქლიდ**

სვანეთს პატივი ეცით, მეგობრეო! მოსულხართ მისი შვილები  
მის გასანათლებლად, მაგრამ საქციელი კი ფრთხილი გმართეთ!

**გელახსან**

რა იყო ლაპილი? რად მემახდი?

**ლაპილ**

შველი მომიყვანეს, ისეთი კარგია...

**გელახსან**

დამიწყე გულჩვილობა?

**ლაპილ**

შველს აქ ესენი ლაპილს ემახიან, და მე კიდევ თურმე ლაპილი  
მქვიან.

**ციქლიდ**

სვანური უნდა ისწავლოთ მეგობრებო, თქვენ სვანები ხართ...

**გელახსან**

მაშ ლაპილ შველია? შენა ხარ ჩემი შველი, ლაპილ?

**ლაპილ**

შენ რაღა ხარ?

**გელახსან**

ოო, მე კიდევ კანჯარი, "ქურციკი, მალლა მხტომელი"...

**ლაპილ**

მაშ, ჩემო კანჯარო, ქურციკო, მალლა მხტომელო!.. მეც მოვდივარ  
შენთან თეთნულდზე...

**გელახსან**

არა! არა, მათიკო... ლაპილ! აკი გითხარი...

**ლაპილ**

როგორ? გგონია ვერ ავიტან? ყაზბეგზე ხომ ავედი შარშან!

**ციქლიდ**

ეეჰ, ყაზბეგი უკვე გათელილია... მალე მის მწვერვალზე ბალები  
დავლურს დაუვლიან.

**გელახსან**

თეთნულდის მყინვარი უფრო სასტიკია, უფრო ფიცხი... მზე უფრო  
მწვავე... პირის სახე დაგისკდება, დაგიჯირჯვლდება. მერე აქ საქ-  
მიანობა სწორედ ახლა გეწყება. შენი ავადმყოფები როგორ არიან?

**ლაპილ**

როგორც გიამბე, პირველად მიფრთხოდნენ ძალზე... უფრო უილა-  
ჯონი და განწირულნი მოდიოდნენ... ახლა კი თანდათან მეტანება  
ჯგრო და ჯარი... ცნობისმოყვარებით სავსეა ეზო... ამ დილით

სოთრანიც იყო, ჩემი ბიძაშვილი...

**ციქელიდ**

არგიშდის შვილიშვილი?

**გელახსან**

განა იცანი?

**ლაპილ**

არა... შემდეგ მოსრეს, მე არც კი გამომლაპარაკებია, რაღაზედაც დამჭირდა მიმემართა და მან ზურგი შემომამქცია...

**ციქელიდ**

სვანეთს უფრთხილდით, მეგობრებო! სოთრანის შენთან მოსვლა ლაპილ, არ მომეწონა...

**ლაპილ**

მე კი რომ გავიგე ჩემი ღვიძლია, ისევ მომინდა მისი ნახვა... მეტად მალხაზ ყმაწვილსა ჰგავს...

**ციქელიდ**

კარგად ვიცნობ... ჩემი მოწაფეა... ჩემთან იყო სასწავლებელში. მეტად მიხვედრილი და ნიჭიერია, მაგრამ ბაბუაშენმა არგიშდიმ, არ დააყენა: "ოჯახში მუშახელი მჭირდებაო"

**ლაპილ**

მუშახელი? აკი ბაბუაჩემის ოჯახი ჯერ კიდევ გაუყოფელია. თურ მე ოთხმოც სულამდე იქნება... დედაჩემსაც უთქვამს, მაშ მუშახელი რად ეკლება? ოთხმოცი სული ერთად, გაუყოფელი. ა? ძველებური, პირველყოფილი კომუნაა, მიტო?

**ციქელიდ**

გელახსან!

**ლაპილ**

კარგი! გელახსან! არ გაინტერესებს? შესასწავლია.

**გელახსან**

ვიცი რაც არის.

**ციქელიდ**

თეორიით იცი. მართალს ამბობს ლაპილ... შესასწავლია.

**გელახსან**

შენ ხომ იცი?

**ციქელიდ**

განა ჩემი ცოდნა გეყოფა?

**ლაპილ**



მანც ტყუილი მოუმიზეზებია ბაბუაჩემს. მუშახელი საკმაო ჰყავს ვიცი რომ კარგი ოჯახიცა აქვს და დოვლათიანიც. მაშ, რად არ ასწავლა სოთრანს? აკი პაპაჩემი ნასწავლი იყო?

**ციქელიდ**

შენ გამოიცანი, ლაპილ! სწორედ იმიტომ, რომ მამაშენი ნასწავლი იყო. და ეს ნასწავლი ემსგერპლა ცხრაას ხუთი წლის რევოლუციას.

**ლაპილ**

ვიცი, თავადებმა მოჰკლეს მაშინ...

**ციქელიდ**

უფრთხილდი ბაბუაშენს და მის ოჯახს...

**ლაპილ**

ხომ იცი რაზედაც ამბობს?

**გელახსან**

დიახ, ჩემს ოჯახს არგიშდას ოჯახის სისხლი ჰმართებს. აკი ამიტომაც არ მიგვიღო თავის სახლში ბაბუაშენმა...

**ლაპილ**

სასაცილოა. ნუთუ მართლა მიტოს... გელახსანს სისხლს მოსთხოვენ?

**ციქელიდ**

აქ მთა არის, ქსვანეთია!

**ლაპილ**

ჰო, მთა, რა შემიყვარდა ეს მთები, ეს ბუნება. მკაცრი, მოღუშული, მაგრამ მდიდარი, წამოვალ თეთნულდზე, გელახსან!

**ხმა**

ჰაუ, გელახსან! აქეთ. აქეთ. დაბარებულნი მოვიდნენ კიდეც.

**გელახსან**

ვიაროთ, ციქელიდ! დაბარებულნი მოსულან კიდეც.

**ლაპილ**

მე კი ცოტა ხნის შემდეგ დავუბრუნდები ჩემს ავადმყოფებს ოჰ, მთაო, მთაო! როგორ ხარბად ვისუნთქავ შენს ჰაერს. რა მაცოცხლებელი ძალი ჩამდინარებს შენგან ჩემს ფილტვებს. ოჰ, როგორ მიყვარს ეს ბუნაა, მაგრამ...

"რაოდენადაც მშვენიერი ხარ,  
იმდენად უფრო მიკვდება გული!"

**ქორი**

სვანეთს გზა არ აქვს!  
სვანეთს მარილი არ აქვს!  
სვანეთს ჩიყვი სჭირს...

**ლაპილ**

მესმის შენი ხმა, ჩემო ქვეყანავ! გულს ტკივა შენი ჭირი! მოვსულ-  
ვართ სამკურნალოდ ახალგაზრდები, "ნაჭედნი გულ მტკიცები"-  
მოვსულვართ გზის გასაყვანად, მოგვიტანია მარილი, მოგვაქვს  
სწავლა და მეცნიერება.

**ქორი**

სვანეთის ბუნება მდიდარია!  
სვანეთს აქვს ურთხელი და ბზა!  
სვანეთს აქვს მეტალი და ლითონი!  
სვანეთს აქვს რვალი და ოქრო!

**ლაპილ**

დათამუშავებთ, გამოვიყენებთ!

**ქორი**

შველა გვინდა, შველა! იმ დროს...

**ლაპილ**

თქვენ მართალნი ხართ... იმ დროს, როდესაც ქვეყანა რადიოთი  
ლაპარაკობს...

**ქორი**

ჩვენ რვა თვეს მოწყვეტილნი ვართ მთელს ქვეყანას!

**ლაპილ**

როდესაც ქვეყანა ტრაქტორებით აგუგუნდა...

**ქორი**

ჩვენ კიდევ ხის კავით ვჩიქნით მიწის ზურგს!

**ლაპილ**

როდესაც ქვეყანა სამკურნალოებით და ქსენონებით აივსო.

**ქორი**

ჩვენ ასევე მარჩიელს შცვსცქერით!

**ლაპილ**

როდესაც ქვეყანამ იწყო მეცნიერულ სოციალიზმით ხელმძღვანელობა.

**ქორი**

ჩვენ პაპების მოძღვრებას და ძველ ცრუმორწმუნეობას ისევ მტკიცედ ვიცავთ"

**ლაპილ**

როდესაც ხალხი ერთდება... მშობილდებიან...

**ქორი**

ჩვენ კიდევ ერთიმეორის სისხლს ვეძიებთ, რადგან სვანეთს აქვს ხასიათი უდრეკი!

**ლაპილ**

ახლაც შეინარჩუნებთ თქვენს უდრეკს ხასიათს, მხოლოდ მას სხვა გამოყენება უნდა!

**ქორი**

სვანეთს უყვარს თავისუფლება!

**ლაპილ**

ახლა კიდევ უფრო იქნებით თავისუფალნი.

**ქორი**

ახლაც იცხოვრებთ საუკუნოებით. ადამის დროიდან გვექვიან ჩვენ თავისუფალი სვანეთი!

**ლაპილ**

ახლაც იცხოვრებთ საუკუნოებით, მხოლოდ თქვენ თავისუფლებას განამტკიცებთ სწავლით. მიწის გაპოხიერებით. მეცნიერებით.

სვანეთს გზა არა აქვს!

სვანეთს მარლი არა აქვს!

სვანეთს ჩიყვი სჭირს!

**ბ**

**არგიშდთან**

**არგიშდი**

შენ წახვალ ჩვაბიანში და იქიდან ჩვენ გაბარებულ ძროხებს ჩამოიყვან. შენ გადახვალ კალის საზოგადოებაში იფარში, ხომ იცი ვისთანაც. არყის გამოხდას შეუდგები. თან წაიყვანე შენი ძმები ნავლად და თამბი. რომელთაც უკვე ხელი გააჩვიეს და კარგად დაგებმარებიან... სალიბ! შენ ჩვენ წისქვილებს ჩამოუვლი და მინდს მოჰკ-

რეფავ... სოზარ! ქერის ორმო მოხადე. ქალებს სამღვთო პური უნდა დავამზადებინო. გრამის ოჯახობა და მისი რძლები დღესვე შეუდგებიან მატყლის რთვას. ბიტის და სუმის ოჯახობა კი თავის მხრით შეუდგებიან საქსოვის წმენდას და გამზადებას. სოთრან სადა მყავს?

### ქორი

ბრძანებაა იძლევა არგიშდი, ოჯახის უფროსი! მას სული უდგია ძველი სვანეთისა, საუკუნოებით გამოყოლილი! მასა სწამს ხალხის ზნე-ჩვეულება!

### არგიშდი

სად არის-მეთქი სოთრან?

### ეძახიან

სოთრან! სოთრან!

### არგიშდი

სოთრან ჯიხვზე მინდა გავაგზავნო სანადიროდ... მოდი სოთრან! მე შენი იმედი მუდამ მაქვს-. შენ მაგონებ ჩემს ახალგაზრდობას: თვალი ამჭრელი გაქვს და მუხლი მგლისა... შენი შაშხანით გასროლილი მიზანს არ ასცდება... დღესაც გავალებ ჯიხვი მონადირო მართლა. ჩემო რძალო, დამიდასტურე --- უწმინდურება ჩვენს ოჯახში ხომ არა მომხდარა რა?

### რძალი

მშობიარედ ჯერ არავინ არ გახვალთ, არგიშდი! მხოლოდ უმცროსი ოტიას ცოლია ორსულად და ისიც ამ ორი თვის შემდეგ თუ მოილოგინებს...

### არგიშდი

ეგ კარგი ამბავია... მეზობლისას ღმერთი ხომ არ გასწყრომია ვის-მე: ან ვისმეს ცოლს, ან ვისმეს ქმარს ხომ არ ჰქონიათ სხვასთან საქმე?

### რძალი

უი, დამიწდეს და დაიშუბოს მაგის მქნელი.

### არგიშდი

თქვენ კარგად იცით და მუდამ მოგაგონებთ, ეს ჩემი მოვალეობაა! ჩვენთა წანაპართაგან გადმოცემული გვაქვს, რომ უკეთუ ოჯახი ანუ მეზობლისას მოხდა მრუშობა, ან მშობიარეთ არის რომელიმე ქალი, არც სანადიროდ წავა ვინმე იმ ოჯახიდან და ვერც ვერავითარ ღვთის მსახურებას ვერ შეასრულებს, რძალი მიდასტურებს, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში წმინდად ყოფილა ჩვენი ოჯახიცა და მეზობლებიც. ამისათვის სოთრან, შეგიძლია ხვალ უთენია წახვიდე სანადიროდ და შეასრულო ყველა წესი მონადირისა, ჩვენ

კი აქ შევუდგებით "პერიამიშვის" წესრიგის გამართვას ამაღამვე.  
ხვალ კი შევასრულებთ "სვიმნიშ და ცააშს". მანამდე კი ოჯახის გა-  
საწმენდად, აბა, მოიცა, ბედან. შენ გაზარია ნაკურთხი წყალი და  
ქალებმა მითი მოზელილი ნაცრის კოკრები აქ მომიტანონ, რომ  
გავწმინდო ჩვენი არე-მარე...

### ახალგაზრდა ქალები

ჰერია მიშვ, ჰერია მიშვ! მაშ ჩვენ გვიბრძანებ ტყეში წავიდეთ ყვა-  
ვილთა შტოების მოსატანად?

### არგიშდი

აუცილებლად.

### ციქვლიდის ხმა

ეი, მასპინძელო, სახლში არ შემიშვებ?

### არგიშდი

ვინ არის? გახედეთ! სტუმარი ღვთისაა... კარგი ფეხი ჰქონდეს.

### სოთრან

ციქვლიდია, ჩემი მასწავლებელი.

### არგიშდი

აბა, თქვენ თქვენ საქმეზე, როგორც დაგარიგეთ... შემოუშვით.

### ქორი

არგიშდი უდრეკია!

არგიშდი ურყევია!

მან დათმოზა არ იცის!

მან არ მიიღო თავის შვილიშვილი, ლამაზი ლაჰილ თავის სახლში.

არ მიიღო, რადგან იგი ცოლად ჰყავს იმ კაცს, რომელსაც არგიშდის  
ოჯახის სისხლი მართებს!

მან არ გასტეხა ძველი რჯული!

ამისათვის არ დაზოგა თვით შვილიშვილიც!

არ გაიკარა თავის ახლოს!

მისი გული ამჟამად ბოღმით არის აღსავსე.

### ციქვლიდ

კურთხევა და ბედნიერება ამ ოჯახს!

### არგიშდი

რას მიბრძანებ?

### ციქლიდ

მე მოველ მძიმე საქმეზე, არგიშდი!

### არგიშდი

ვგრძნობ რაც გინდა მითხრა, პატივს გცემ დიდად, მაგრამ ჩემი პასუხი მეტად მოკლეა: არ შეიძლება!

### ციქლიდ

გატყობ ცოტაზე ხარ მიხვედრილი. სრულად კი ვერა. მათქმევინე.

### არგიშდი

გისმენ.

### ციქლიდ

შენ, მთელ სვანეთში გონიერი და ჭკუის საკითხავი კაცის სახელი გაქვს მოხვეჭილი...

### არგიშდი

ქება რად მინდა?

### ციქლიდ

ამას იმიტომ ვამბობ, შენ უფრო გმართებს დაკვირვება გამოსარკვევისა... შენთან მოდიან რჩევის საკითხავად შორეულნიც კი. თვით ადგილობრივი ხელისუფლებაც ხშირად გეკითხება საბჭოს რაიმე საჭირობოროტოზე... არა, მაცალე! და აი მე მინდა გკითხო შენ გულდამშვიდებით, სინიდისით, შენ რას იტყვოდი, რომ იყო წყეული მოსამართლედ და საქმე შენ არ შეგეხებოდეს...

### არგიშდი

უქებურადაც მე გეტყვი სწორსა: როდესაც ვისმე სარჩელს ვარჩევ... ხომ შემხედრია, აქამდე მაინც, სანამ გაჩნდებოდნენ ჩვენი წვრთნილი ბიჭებმ...

### ციქლიდ

მეც მაგას ვამბობ, გეკითხებოდნენ და გეკითხებიან.

### არგიშდი

მუდამ, სხვის ადგილს, ჩემს გონებაში, ჩემს თავს ჩავაყენებდი.

### ციქლიდ

შენ აგაშენოს!.. ახლაც ეგ მინდა, აი შენა სთქვი: ჩვენი წვრთნილი ყმაწვალეზიო, ანუ ჩემი სიტყვით, განათლებული ხალხი შემომმატებოდა, შენ რისთვის იბრძოდი სამოცდათექვსმეტ წელს სალდეს აჯანყების დროს?

### არგიშდი

ეგ აჯანყება არ იყო, ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი თავისუფლებისთვის, ჩვენი მიწისათვის...

### **ციქლიდ**

ჰოდა, მაშინ შენ იყავ მართალი, ამასათვის შენ მოიარე ციმბირი და როცა დაბრუნდი, როცა ნახე, რომ ერთ შენ შვილს ლაჰილის მამას...

### **არგიშდი**

ნუ მიხსენებ მაგ გარყვნილ დიაცის სახელს!

### **ციქლიდ**

პატივი მეც, მათქმევინე! როდესაც ნახე რომ ერთ-ერთ შენს. ვაჟს, ამ შენი შვილიშვილის მამას სწავლა მიეღო და თვითაც მასწავლებლად სვანეთს ჩამობრუნებულყო, შენს სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა... რას გამიჩუმდი? მახსოვს მას როგორ შეხაროდი, როგორც მისი მარჯვენა ხელი შენც იყავ საზოგადოებრივ საქმეებში ჩაბმული, შენს სახლში პოულობდნენ თავშესაფარს მაშინდელი რევოლუციონერები, ამხანაგები შენი შვილისა, შენ შველოდი მათ, სანამ ცხრაასხუთ წელში თავადებმა მუხთლობით არ მოკლეს ეგ შენი შვილი, საუცხოვო და მოწინავე შვილი სვანეთისა.

### **არგიშდი**

(უხმოდ წამოდგება, თითქო ლოცულობს. თვალთ ცრემლი სდის).

### **ციქლიდ**

აი აქამდე შენს გულს ვერ მოუნელებია მისი დაკარგვა... შენს გულში ახლაც ბოლმა ტრიალებს. მართალია შემდეგში რევოლუციის კანონმა უკვე დასაჯა შენი შვილის მკვლელები, თითქმის მათი ნაშიერიც კი გაწყდა, მაგრამ ვიცი. რომ შენ თვით გინდოდა შური გეძია იმათზედაც, როგორც ახლა შენ გინდა გელახსანზე შური იძიო.

### **არგიშდი**

განა არ მმართვეს? ჩემი ძმის სისხლი გადაუხდელია და იგი ღაღადებს თვით ზეცამდე და მე კარგად ვიცი ადათი ჩემი ქვეყნისა საუკუნოებით ნაჭედი...

### **ქორი**

შენ არ გასტეხ ძველ რჯულს, არგიშდი!

შენ წინაპრები მოგიწოდებენ!

შენ დათმობა არ იცი, არგიშდი!

### **არგიშდი**

მე მესმის ხმა ჩემი ქვეყნისა.

### ციქლიდ

შენ მართალი ხარ, შენ იცი შენი ქვეყნის ადათი, მაგრამ შენი ქვეყანა რომ სიბნელეშია? შენ არ გასტეხ ძველ რჯულს შურისძიებისას, მაგრამ ჩვენ, სვანებს მეორე მხარეც რომ გვაქვს ამ რჯულისა?

### არგიშდი

შენ ამბობ იმაზე, რომ ზოგჯერ სისხლის აღების საქმე მოსამართლეებითაც გადაწყდება?

### ციქლიდ

სწორედ. და განა ისე მძიე მიზეზი აქვს შენისა და გელახსანის ოჯახს?

### არგიშდი

ააჰ, საზიზღარი სახელი!

### ციქლიდ

ამ ორ ოჯახს განა ეგეთი მიზეზი აქვთ ერთიმორის მტრობისა? მაგრამ კარგი, მე ამას არ შევეხები. მე იქა ვარ: შენ გინდა შენი ქვეყნის, შენი ხალხის კეთილდღეობა... შენ ეს დაამტკიცე შენის წარსულით. შენ გინდა, რომ შენ ქვეყანას ჰყავდეს ნასწავლი ხალხი... ესეც შენის საქციელით და ხელის შეწყობით დადასტურებულია. ახლა ხომ ხედავ სვანეთს, შენს სოფელს ეწვია ორი ახალგაზრდა, ორი ნასწავლი: ერთი მკურნალია, შენი შვილიშვილი, მეორე მეცნიერი. შენი სიმე. მოვიდნენ სწორედ შენი ქვეყნის ასამალლებლად.

### არგიშდი

მიგიხვდი საითა ხრი. ნასწავლი კაცის სიტყვა გალესილი მახვილი არის...

### ციქლიდ

მე, არგიშდი? მე ხომ თითქმის ხელში შემოგახუცდი? გახსოვს სტუდენტობის დროს ერთ-ერთ მოციქულთაგანი იმავ ხალდეშის არეულობისას მაშინდელ მთავრობასთან მეც ვიყავი.

### არგიშდი

გარკვევით მახსოვს.

### ციქლიდ

და განა ოდესმე ისეთ მდგომარეობაში ჩამიყენებინარ, რომ მოსარიდალი ვიყო?

### არგიშდი

მაგას ვერ ვიტყვი. საზოგადოდ ვთქვი და... აი, ჩემი შვილის დაკარგვის შემდეგ, უცნაურია, აღარ მიყვარან ნასწავლები.

### ციქლიდ



ეგ მართლა რომ უცნაურია! სოთრანიც მიტომ გამოიყვანე სასწავ-  
ლებლიდან?

**არგიშდი**

ციქვლიდ! მითხარ პირდაპირ, რა გინდოდა გეთქვა?

**ციქვლიდ**

შერიგებას მე არა გთხოვ... არც ლაჰილისას. თუმცა შენთვის მას არა  
დაუშავებია რა... მწყინს კი ის მაინც რად არ შემოუშვი შენს სახლ-  
ში... მაგრამ კარგი, კარგი, საყვედურებს დავეთხოვები, მე გთხოვ,  
კარგა მოიფიქრე და თქვენი მტრობის დასაცხრომად ნუ უღალატებ  
ჩვენს ჩვეულებას. სისხლის აღებას კი ნუ ვეცდებით, მოვიწვიოთ  
მოსამართლენი.

**არგიშდი**

მე მიტომ ვარ ნასწავლების წინააღმდეგი რომ აი იმ ნასწავლმა ჩემ-  
მა შვილმა თავის დროზე შეაჩერა თურმე ყველა ჩემიანები სისხ-  
ლის აღებისაგან... ნასწავლობას მოაქვს გაქელვა ძველის ადათისა  
და ზოგჯერ სირბილე ხასიათისა.

**ციქვლიდ**

მე გთხოვ, მოიწვიო მოსამართლენი.

**არგიშდი**

განსვენებული ჩემი შვილის აუგი არ მინდა ვთქვა.  
(კვლავ ფეხზე წამოდგება.)

იგი იყო ვაჟკაცი, იგი იცავდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას განუ-  
კითხავ მებატონეთაგან და მაშინდელ მტარვალ მთავრობისაგან. იგი  
განიწირა, როგორც გმირი.

**ციქვლიდ**

გთხოვ, მოიწვიო მოსამართლენი!

**ბედან** (შემოდის)

ბიმურზა ბაჰპი გეახლა...

**ციქვლიდ**

მაგას ცუდი ფეხი აქვს, არგიშდი, მაგის მოსვლაზე ილუპება ყოვე-  
ლი კეთილად განზრახული...

**არგიშდი**

სთხოვე ბიმურზას.

**ციქვლიდ**

გთხოვ, მოიწვიო მოსამართლენი!

ბიმურზა

**არგიშდი**

რას სჩადიხარ, საკინძი მოიწყვიტე! თავზე ნაცარს იყრი!  
ვინ გარდაიცვალა? რა უბედურება გვეწვია?

**ბიმურზა**

მეტი უბედურება ჩვენ ქვეყანას არ მოუვა.

**არგიშდი**

ვითომ რა მოხდა?

**ბიმურზა**

შერცხვა ჩვენი ქვეყანა, ლაფი ესხმება თავსა, იბილწება ჩვენი წმინდა ადგილები... ახლა უნდათ მწიკვლი მოსცხონ თვითონ თეთნულდსაც...

**არგიშდი**

თეთნულდს?

**ბიმურზა**

დიახ, თეთნულდს.

**არგიშდი**

როგორ? ვინ?

**ბიმურზა**

შენი სიძე გელახსანი აპირებს თეთნულდზე ასვლას...

**არგიშდი (დაიქუხებს)**

ასვლას?

**ბიმურზა**

მუხლთ მიკანკალებს, გული აპირებს თვით საბუდრიდან გადმოფრენას, უძლური ვარ, მე ბეჩავი, ცოდვილი და უღირსი მონა. მე მხოლოდ გოდება ძალმიძს, ვით იერემიას.

**არგიშდი**

ციქვლიდ! ეს მართალია?

**ბიმურზა**

შენ მოგმართე, არგიშდი... შენ ხარ რჩეული ამა სოფლისა. შენ ხარ თავი ჩვენი ქვეყნისა... შენ გიჯეროიან, შენ შეგიძლია იხსნა განსადელისგან ჩვენი ღვთაებათა უდიდესი სავანე თეთნულდი...

**არგიშდი**

ციქვლიდ! ეს მართალია?

**ციქვლიდ**

გელახსან მეცნიერი კაცია, არგიშდი.... იგი გამოგზავნილია გამოიკვლიოს აქაურ დედამიწის გულში სად რა ძევს, რა ნივთიერება... სვანეთის ბუნების სიმდიდრეთა შესასწავლად არის წარმოგზავნილი, ის გამოიკვლევს და შემდეგ...

**ბიმურზა**

და შემდეგ შემოუსევს ჩვენ ქვეყანას ჭინკებს და ოჩოკოჩებს, რომ გადათხარონ და გაანადგურონ ჩვენი სილამაზე, ჩვენი ამაყი მთები....

### **ქორი**

ყოველი ჩვენი მთა სადგურია ჩვენი ღმერთების! თეთნულდი არის უდიდესი სავანე ჩვენ ღვთაებათა.

### **ბიმურზა**

ყოველ გორაკს ჰყავს თავისი ღმერთი, მაგრამ თეთნულდზე სუფევს ღმერთი მთელი სვანეთისა.

### **ციქლიდ**

მე არ მინდა ახლა ბიმურზას გამოვეკამათო, მხოლოდ გეტყვი, არ-გიშდი, რომ გელახსანი გარდა იმისა, რომ ბუნებისმეტყველია და გეოლოგი, მწვერვალზე ამსვლელიც არის, ალპინისტი, რაიც აგრეთვე სამეცნიერო მიზნით არის მოგვარებული.

### **არგიშდი**

და შენ ამ კაცთან გინდოდა, რომ სამართალს ჩავჯდომოდი?

### **ციქლიდ**

მე სიმართლეს გეუბნებოდი.

### **არგიშდი**

და შენ გინდოდა, რომ ასეთი გარეწარი ჩემ გულთან მიმეახლოვებინა? ციქლიდ!

### **ციქლიდ**

ჩვენი ქვეყნისთვის ესე სჯობდა.

### **არგიშდი**

იმის გარდა, რომ სისხლი მართებს, მაგას ხომ ჩვენი სიწმინდეთა შელახვა გულსა სდებია!.. და შენ მირჩევდი, რომ ასეთ უღირსისათვის საძმოდ ხელი გამეწოდებია?

### **ციქლიდ**

მე არ გირჩევდი სიცუდესა.

### **ბიმურზა**

შენ ხარ არჩეული, არგიშდი, შენ ხარ თავი ჩვენი ქვეყნისა. მე მხოლოდ გოდებალა შემიძლიან. შენ, შენ იხსენ განსაცდელისაგან ჩვენი ქვეყანა და თვით თეთნულდი.

### **არგიშდი**

გა! განმშორდი, ციქვლიდ, მე შენ პატივს აღარა გცემ (ციქვლიდი გავი-  
და) ნასწავლი ხალხი ყველა ასე თასმასავით მოქნილია. მათ არ  
სწამთ ჩვენი არც ღვთაება, არც ჩვეულება, და თუ ზოგიერთს, ამა-  
სავით პატიოსანს, სურს ააგოს რამე ტაძარი, მეორე ხელით ანგრევს  
კიდევ უფრო მშვენიერს.

**ბიმურზა**

არგიშდი! რა ზომებს მიმართავ ახლა? ჰმ! თუმც საკითსავია?

**ქორი**

შურისძიება, არგიშდი, შურისძიება!

**ბიმურზა**

მე ვიცი ხალხი რასაც მოგთხოვს, შურისძიებას!

**ქორი**

შურისძიება, არგიშდი, შურისძიება!

**არგიშდი**

ეი, ვინ არის მანდა?

**გურანდა**

ოი, გურანდა! თვალისჩინო, ჩემო კეკლუცო! სად არის სოთრან? აბა  
სად გარბი? რა ბალღი ხარ... ჰა, პა! რომ არც კი მითქვამს თუ რა  
მინდა, ჩემო პაწია? უთხარი სოთრანს იარაღი მომართვას და შენ  
კი -- წაღები. (გურანდა გავიდა)

**ბიმურზა**

ეგ შვილიშვილი კარგი გყავს მეტად!

**არგიშდი**

ეგლა არის ჩემი ნუგეში.

**ბიმურზა**

რატომ? ბევრი გყავს სხვაც მშვენიერები.

**არგიშდი**

ეგ სხვას არა ჰგავს.

**ბიმურზა**

მესმის. მაგონებს ბებიამისს. ცხონებულს შენს მეუღლესა.

**სოთრან. გურანდა**

**არგიშდი**

ესეც წაღები! მადლობელი ვარ... სოთრან! მხოლოდ ხმალი არ მე-  
ყოფა, თოფიც მომეცი.

**სოთრან**

შორს მიბრძანდები. ბაბუა-ბატონო? ნადირობაზე რომ მიბრძანე?

**არგიშდი**

ხვალ უთენია, როგორც გითხარი... უბრად წახვალ, არ დაგავიწყდეს.  
სხვაც ყველაფერი როგორც ვთქვი უნდა აღსრულდეს. გურანდა  
ჩემო, ესე უთხარი შენს დიდ ძალუას. ჰო, შორს არ მივალ, მხო-  
ლოდ თემის თავმჯდომარესთან.

**ბიმურზა**

თავმჯდომარესთან? კვლავ იმ ბიჭებთან, ლაწირაკებთან?

**არგიშდი**

ეგრე ნუ იტყვი. ეგენი ჩვენი მთავრობაა!

**ბიმურზა**

რას გამოიტან. აბა, იმათგან?

**არგიშდი**

კანონი არის და სამართალი. ესე სჯობია. მაშინაც გახსოვს, მე ჯერ  
მაშინდელ ხელისუფლებას მივმართავ.

**ბიმურზა**

რა მოიგე? მე არ გაგყევით, ეს ხომ გახსოვს. შენ კინაღამ მოგკლეს.  
შემდეგ ციმბირშიც გამყოფეს.

**არგიშდი**

ჯერ ეს გზა ვსინჯოთ.

**ბიმურზა**

გაგაცილებ, მაგრამ იქ არ წაგყვები.

**არგიშდი**

მე უშენოდაც გამოვიტან სწორე პასუხს (გავლენ)

**გურანდა**

სოთრან!

**გურანდა**

მაშ მართლა მიდიხარ სანადიროდ?

**სოთრან**

ბაბუამ ბრძანა!

**გურანდა**

რომ ვერ მოგვისწრებ დღესასწაულზე?

**სოთრან**

ველარ გნახავ ყვავილებით მორთულს, ნებივრად გაწოლილს.

შენთან წამოვალ!  
გურანდა

სად? სანადიროდ? ეგ რომ არ შეიძლება?  
სოთრან

მე კი რომ მინდა ჩემთან იყო?  
გურანდა

დღესასწაულზე? რომ ვერ მოვასწრებ!  
სოთრან

მოდდი, ნუ წახვალ...  
გურანდა

შენთვის რას არ ჩავიდენ, გურანდა!  
სოთრან

მერე რა გიშლის?  
გურანდა

ვითომ არ იცი! ბაბუამ ბრძანა!  
სოთრან

რომ გადაუხვიო. არ შეიძლება?  
გურანდა

არ შეიძლება.  
სოთრან

ე.ს ხომ შეიძლება? მოულოდნელად აკოცებს და სიცილით გარბის  
გურანდა

ქორი  
არგიშდის ოჯახზე გროვდება ღრუბლები!  
არგიშდიმ არ იცის რა ცოდვაც ადუღდება მის ოჯახში.  
ფარდა

## მოქმედება მეორე

**ბ**  
**გელახსანთან**  
**დიგორხან**

შენმა გაზრდამ ესე იყო...

**ლაპილ**

როგორ, დედი, ჯორის წიხლისთვის?

**დიგორხან**

დიახ, არგიშდის მამის ჯორმა წიხლი ჰკრა თეძოში საცოდავ ჩემ ქმარს, შენ მამამთილს ლაპილ... საცოდავი დიდი თავმოყვარე კაცი იყო, არ იკადრა ეს შეურაცხყოფა და ამის სამაგიეროდ დიდხანს დასდევდა მას მოსაკლავად, მაგრამ ერთხელ სადღაც წააწყდა და არგიშდის ძმა მოჰკლა.

**ლაპილ**

საცარია!

**დიგორხან**

აი მის შემდეგ არის, რომ ჩვენი ოჯახები ერთიმეორეს სასისხლოდ გადაემტერნენ.

**ლაპილ**

მერმე და აკი შენა სთქვი, რომ შენი ქმარი მთავრობას დაუსჯია მაშინ... კაცის მოკვლისათვის კატორღაში გაუგზავნია.

**დიგორხან**

მართალია, მაგრამ ჩვენში საერთო კანონებით ვინ კმაყოფილდება! ამიტომაც არის არგიშდი ახლაც მოწადინებულია ჩვენ ოჯახზე შური იძიოს.

**ლაპილ**

ეჰ, რას ამბობ, დედი, იმას რომ შურისძიება ნდომოდა აქამდე ვერ მოახერხებდა, თუ გელახსანზე არა...

**დიგორხან**

ოჰ, კარგი. აი, მის ბიძაშვილზე რომ მაინც ეძია შური? ვერ მოახერხებდა.

**ლაპილ**

როგორ?

**დიგორხან**

ჯერ ერთი გელახსანის ბიძაშვილები პატარეები იყვნენ მაშინ, რომ მოიჩიტნენ სწორედ იმ დროს ბაბუაშენი კატორღაში გაგზავნეს, სხვა შენიანები განსვენებულმა მამაშენმა შეაკავა.

**ლაპილ**

იცნობდი მამაჩემს?

**დიგორხან**

ახლოს არა, რადგან მართალია მას არა სწამდა სისხლის აღება. ღმერთო, ნუ მიწყენ... და აღარ მტრობდა ჩვენს ოჯახს, მაგრამ არც თუ მთლად ისე აშკარად აიღო ხელი ძველ ზნე-ჩვეულებაზე, რომ ჩვენსას ევლო. შორიდან მყავდა ნახული და მეტი განაგონი მქონდა... მაშინ მთელი სოფელი მას უგონებდა, დიდი რიდი ჰქონდა. ღირსეული კაცი იყო განსვენებული.

**ლაპილ**

ყველა მიქებს მის თავს... განსხვავებული იყო.

**დიგორხან**

დიდი წელი მოწყდა სვანეთს იმ დროს მისი დაკარგვითა!  
ოთხი ძმები: გივერგილა, იშმაგ, ორბინე, დღემბურგ

**დღემბურგ**

დიგორხან, ძალუა! ჰერია მიშვს არის დღეს...

**ორბინე**

ხომ არ დაგვიწყებია?

**გივერგილა**

ჩვენ წავალთ ტყის ყვავილების შტოების მოსატანად!

**იშმაგ**

თორემ ეშმაკები გაგვზაკავენ!

**ლაპილ**

რა არის "ჰერია მიშვს"?

**დიგორხან**

ოო, ამ საღამოს ჩვენს სოფელში დიდი ამბავი იქნება! ყველა ოჯახი თავის სახლ-კარს ყვავილებით რთავს. შეღამებულზე ახალგაზრდები დაიკავენ მუგუზაღს, გარბიან გარეთ, ამ მუგუზაღებს აქეთ-იქით ურტყამენ და ძახილით: "არული, არული! ფუი, ეშმაკს". დევნიან ეშმაკებს.

**ლაპილ**

"ა, ჰა! ეს რეები გცოდნიათ?"

**იშმაგ**

ეგრე ნუ იცინი ლაპილ!



### **დღემზურგ**

თორემ ეშმაკები გაგზაკვენ!

### **გივერგილა**

ნუ დასცინი მათ, თორემ შენ, მშვენიერო, გაგლალავენ!

### **ორბინე**

რომელიმე მათგანი შენ ლამაზ სახეს ჭვანგს მოჰკიდებს!

### **ყველანი**

ნუ იცინი, ლაჰილ. სათაყვანო ჩვენო, ნუ იცინი!

### **ლაჰილ**

თქვენ გინახავთ ეგ ეშმაკები? როგორია? კუდი აბიათ გრძელი.  
გრძელი და ბანჯგვლიანი, ა?

### **დიგორხან**

ფუი, დასწყევლოს!

### **ლაჰილ**

თხის წვერები აქვს და თავზე რქები ასხია, მწვეტიანი, მწვეტიანი.  
ჰა, ჰა!

### **დიგორხან**

ნუ იკადრებ, ლაჰილ, ეგრე ნუ ახსენებ იმ წყეულებს.

### **ლაჰილ**

ეგ რაღა არის, იშმაგ, ეგ რა ჯოხები გამოგითლია?

### **იშმაგ**

ეს ჯოხები არ არის, შუბებია.

### **ლაჰილ**

შუბები ხისა? აბა, რად გინდა?

### **დიგორხან**

(გივერგილას და ორბინეს)

რა ვქნა, შვილებო? ვიცი რომ ცოდოა გამიდიდდება. ესენი სულ  
სხვა ხალხია და ვერაფრით ვერ ჩავაგონებ...

### **ორბინე**

აღარც შენ გიჯერიან?

### **დიგორხან**

თქვენც ხედავთ პატივისცემა ორთავეს აქვს, მაგრამ თვის საქმეში  
მე კი არ ჩამირევნ.

ლაპილ

მერმე ეს ხის შუბები რომელ ეკლესიაზე უნდა წაიღოთ?

იშმაგ

ფარის საზოგადოებაში სუფრის წმინდა გიორგის ეკლესიაზე.

ლაპილ

შენც მიხვალ, დღემბურგ?

დღემბურგ

მე რა დამაკავებს?

ლაპილ

მე რომ დამპირდი, ავადმყოფთან გაგყვებიო?

დღემბურგ (სიხარულითა)

შენ თუ მეტყვი.

ლაპილ

აი, ხვალ მივდივარ.

გივერგილა (დიგორხანს)

თეთნულდზე ასვლას?

ორბინე

რას ამბობ, დიგორხან?

გივერგილა

გესმით ყმაწვილებო!

ორბინე

იშმაგ, დღემბურგ!

იშმაგ

დაიცა, ჩვენ არ გვცალია.

ლაპილ

ესენი აქ ერთიმეორეს ეჩხუბებიან თუ რომელი გამომყვეს ავადმყოფთან. ჰა, ჰა, შუბებიც კი დაავიწყდათ.

გივერგილა

სად მიდიხართ?

იშმაგ

აი, ლაპილ მიდის ხვალ ავადმყოფთან და დღემბურგი მიჰყავს.

გივერგილა

დღემბურგ!

ორბინე

დღემბურგ!

დღემბურგ

რა გინდათ ჩემგან. თვითონ ლაპილმა ამირჩია.

გივერგილა

შენ აირჩიე?

ორბინე

ლაპილ, მართალია?

იშმაგ

შენ მაგას არ იზამდი, ლაპილ!

ლაპილ

აქ რა არის ეგეთი?

გივერგილა

ჩვენ ყველანი გამოგყვებით.

იშმაგ

რალა თქმა უნდა მეც წამოვალ.

ორბინე

ოთხივე ძმანი გეახლებით.

ლაპილ

რა ამბავია? ჯარით კი არ მივდივარ. ასეთი ამაღლა დედოფალსაც კი არა ჰყავს...

გივერგილა

შენ დედოფალი ხარ ჩვენი.

იშმაგ

შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი.

ორბინე

პირიმზე ხარ ჩვენი.

დღემბურგ

შენ ხარ...

ლაპილ

კარგია, ნუ სულელობთ, მე და ვარ თქვენი, ამხანაგი თქვენი. გამყოლი მინდოდა ავადმყოფთან, მაშინ დღემბურგი შეხვდა და ის შევიპირე. (ვაჟებმა ამოისუნთქეს, პაუზა)

**გივერგილა**

ლაპილ! ეს მართალია, რომ შენი ქმარი თეთნულდზე ადის?

**ლაპილ**

განა არ იცოდით? ნუთუ არ უთქვამს? დიდი ხანია აღმასკომში მან განაცხადა და მსურველებს ჰკრეფებს. რომ გაიყოლიოს...

**იშმაგ**

მერე ვინ გაჰყვება?

**ლაპილ**

თქვენ არ გაჰყვებით?

**დღემბურგ**

თეთნულდზე?

**ორბინე**

თუნდა ცის დასავალს...

**იშმაგ**

მხოლოდ თეთნულდზე არა

**ლაპილ**

რატომ?

**დიგორხან**

გამიგონე. ლაპილ, ღმერთები ბევრია და მათ წმინდა და მაღალ მთებზე უყვართ ცხოვრება. რამდენიც მწვერვალია, იმდენი ღმერთია, მხოლოდ თეთნულდი კი ტახტია ღმერთებისა.

**იშმაგ**

თეთნულდი წმინდაა!

**ორბინე**

თეთნულდი სპეტაკია!

**გივერგილა**

თეთნულდი შეუხებელია!

**დღემბურგ**

თეთნულდი...

**ლაპილ**

კმარა! გეყოფათ! როგორ არ გრცხვენიათ? მე რაზე გელაპარაკებოდით? აბა, დამწკრივდით! იშმაგ, მიპასუხე: არსებობს თუ არა ღმერთი?

**იშმაგ (უჭირს თქმა)**

შენ ამბობ რომ არ არისო.

**ლაპილ**

იშმაგ, ნუ ეშმაკობ! გივერგილა, ვინ შეჰქმნა ღმერთი?

**გივერგია** (გაჭირვებით)

ღმერთი შეჰქმნა ადამიანმა...

**დიგორხან**

ოი, ღმერთო... მიუტევე, მიუტევე ამ ცოდვილთ.

**ლაჰილ**

ორბინე, რატომ შეჰქმნა ღმერთი ადამიანმა?

**ორბინე** (გაიხსნებს)

შიშის გამო, ლაჰილ.

**ლაჰილ**

აბა როგორ იყო, დღემბურგ?

**დღემბურგ** (თამამად)

პირველ ხანად ადამიანმა ეშინოდა ბუნებისა...

**ლაჰილ**

ეგრე, ეგრე, შემდეგ?

**დიგორხან**

იშმაგ, შვილო ჩემო, გული უბედურებას მიქადის! თეთნულდი თავისთან არავის არ მიუშვებს. აქამდე არგიშდი თავს იკავებდა, მაგრამ რაკი გელახსანის განზრახვა გაუგია, განრისხებულა და... არ დაგზოგავს.

**იშმაგ**

უნდა ვურჩიოთ გელახსანს. შეიძლება შევაგონოთ.

**დიგორხან**

გული გრძნობს საზარელსა.

**ლაჰილ**

ეგრე... ეგრე... აბა, ახლა ჩემი წასგლის დროც არის. უთუოდ უკვე მიმელიან ავადმყოფები... დაირაზმებით! ხომ გახსოვთ რაც გასწავლეთ... ერთი, ორი, სამი! სვლა!

(გადიან მარშის სიმღერით)

**დიგორხან**

თეთნულდ, ღვთაებაო... ბუ ინებებ, ნუ მოიღებ ჩვენზე შენს რისხვასა...

**ქორი**

და ეგრე დიდხანს ლოცულობდა დიგორხან, დედა გელახსანისა. იმავე დროს არგიშდი გაცხარებული კამათობდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

დ

**აღმასკომში  
არგიზდი**

მაშ არ ყოფილა არც კანონი და არც სამართალი?

**აღმასკომის თავმჯდომარე**  
რასაც თქვენ ამბობთ სულ არ შეეხება არც კანონსა და არც სამართალს.

**არგიზდი**

მაშ ჩვენი სიწმინდე კანონმა და ხვლისუფლებამ არ უნდა დაიცვას?

**აღმასკომის თავმჯდომარე**  
ეგ სიწმინდე კი არა, ეგ უბრალო მთაა...

**არგიზდი**

კარგი, კარგი... თქვენ მაინც ნუ შეურაცხყოფთ ჩვენს ქვეყანას.

**აღმასკომის თავმჯდომარე**  
მე კი არ შეურაცხყოფ, არამედ ეგეთი ცრუმორწმუნეობა, როგორც თქვენა გქონიათ, ჩვენი ქვეყნის შეურაცხმყოფელია, მისი ჩამორჩენილობაა...

**არგიზდი**

ჩვენი მთები ღმერთთა სამყოფელია. თეთნულდი კი -- ღმერთია. სავანე.

**აღმასკომის თავმჯდომარე**  
ჰა, ჰა! თქვენ მაინც როგორ ამბობთ მაგას? თქვენზე გაიძახიან, რომ ძველი მეზრძოლია, ხალდეს აჯანყების მეთაურთაგანი.

**გელახსან**

ხალხის წინამძღოლი. ციმბირშიაც კი იყო თავდადებისთვის.

**გელახსან**

მერე რა შვილის მამა! ის რომ ცოცხალი იყოს...

**არგიზდი**

ეს ვინ არის?

**აღმასკომის თავმჯდომარე**  
გელახსან გირანდუყი... ჩვენი მეცნიერი.

### არგიშდი

აა... მაშ შენა ხარ ეგ, სალახანა? ძლივს არ ჩამივარდი ხელში? ახ-  
ლავ გაგაქრობ! (მიიწევს იარაღით. წაეფარებიან, დააკავებენ. გელახსანს მო-  
აშორებენ) ოჰ, ჩემო ვაჟკაცობავ, დათრგუნვილო! სიბერევე წყეულო!  
ოჰ, უძღურების კბილთა ღრჭენავ! დაემხე და შერცხვი, არგიშდი?

### აღმასკომის თავმჯდომარე

იარაღი აყარეთ!

### არგიშდი

როგორ, მე? იარაღი? სვანს? თავისუფალს?

### აღმასკომის თავმჯდომარე

არ ყოფილხარ ღირსი ტარებისა. ტყუილა ნუ იბრძვით, არ იცით სად  
და როგორ იხმართ... დაგვმორჩილდით! თქვენ ხომ გიყვართ სა-  
მართალის და კანონის მორჩილება!

### არგიშდი

დამცინით კიდევ?

### აღმასკომის თავმჯდომარე

დატუსაღებული ხართ...

### არგიშდი

მე ტუსალი? მე, არგიშდის მატუსაღებდა ძველი უცხო მთავრობა...  
მატუსაღებს ახლანდელი ჩემი მთავრობა!

### ქორი

არგიშდი! დრონი იცვალნენ!  
არგიშდი! შენ მოხუციდი!  
არგიშდი. სიღინჯე გმართებს!

### ე

### სატუსაღოში

### ქორი

მაგრამ ვერ დამშვიდდა არგიშდი!  
სატუსაღოშიც კი შფოთავს და ბორგავს!  
მისი გული ბოღმით სავსეა!  
ვერსად ხედავს გამოსავალსა...  
ძილად მიდვა თავი არგიშდიმ  
და თვით ძილშიც...

**თეთნულდის ასული**

არგიშდი, არგიშდი! ხომ მიცან ვინცა ვარ.

**არგიშდი**

ვით დავიჯერო? მე ვინ მაღირსა ჩვენი წმინდანის, თეთნულდის სულის ახლო ხილვა?

**თეთნულდის ასული**

სხვას არავის გამოვეცხადები თუ არა რჩეულს...

**არგიშდი**

განა ღირსი ვარ ამ ბედნიერების?

**თეთნულდის ასული**

შენ იყავ აქ რჩეულთაგანი, შენზე ვეყრდნობოდი ხალხში.

**არგიშდი**

აწ ცოდვილი ვარ. თეთნულდ -- ღვთაება!

**თეთნულდის ასული**

შენ იწყე სვლა მრუდე და ბჭობა არა მართალი.

**არგიშდი**

მიბრძანე, ჰოი, სულო წმინდაო!

**თეთნულდის ასული**

შენც, ოდესმე ჩემ რჩეულთაგანს, გული შეგერყა...

**არგიშდი**

ვეღარ ვარ მტკიცე. ვათ მჭმუნვარე და აღარ ვიცი რა მოვიმოქმედო.

**თეთნულდის ასული**

ღირსი ხარ ჩემი რისხვისა. არგიშდი... არგიშდი! ეგრე ნუ შეიცვლები! მამა-პაპათა ნაანდერძევს ვითარ ღალატობ? შენი ღმერთების უწმინდესს სავანეს თეთნულდს ნუთუ შენც გინდა აღარ ემონო? თეთნულდს, რომელი არის სახიზარი სვანეთის სიწმინდისა, რომლის მწვერვალზე პირველ დაირწა აკვანი დიდის თამარისა...

**არგიშდი**

ჰოი, წმინდანო!

**თეთნულდის ასული**

თეთნულდ, რომელი იფარავს სვანეთს უცხოთა შემოსევისაგან, ეს რამდენი ასული საუკუნეა? თეთნულდ, რომელმა შეინახა აქამდე



თავისუფალი სული სვანეთისა, სიამაყე და ქედდაუდრეკლობა მი-  
სი... სად ხარ აწ შენ? სად არის შენი მხნეობა, შენი გაუტეხელობა!  
შენ პირადადაც არასოდეს თავი არ დაგიხრია დამჩაგვრელთა და  
მოძალადეთა წინაშე, შენ რომელიც წინ უძღოდი შენ მოყვასთა,  
ოდეს მოინდომეს მათი ადამიანობის გაქეღვა, შენ, რომელმა არ  
შეიგუე ბატონის და მტარვალის უღელი და არც არასოდერ არ  
დაიდე იგი კისერზე... ეხლად? რა მოგსვლია, არგიშდი? გხედავ  
გამდრკალს უსუსურს ბაღლის წინაშე, ჩემი სიწმინდისაკენ თავხე-  
დურად რომ მოიზიდება... გხედავ დალაჩრებულს შენი უღირსი  
შვილიშვილის ლაჰილას სიყვარულის გამო...

### **არგიშდი**

არა, უსპეტაკესო... მაგას ნუ დამაყვედრი... მე იგი დიდი ხანია ჩემი  
გულიდან ამოვიგლიჯე...

### **თეთნულდის ასული**

მაშ, რას უდგებხარ... რად არ მიიღებ სასტიკ ზომებს? დაგავიწყდა  
რომ განდგომილ გელახსანს შენი ოჯახის სისხლი მართებს?

### **არგიშდი**

თვალს ისე აღარ მიჭრის... მკლავი ისე მაგარი აღარა მაქვს...

### **თეთნულდის ასული**

ლერწამივით ნუ მოიხრები! ამისათვის შენ სათანადო მოგეზღვის...  
შენმა ყოყმანბა და აქამდე გადაუჭრელობამ უკვე მოგაყენა ასეთი  
სასჯელი, რომელსაც მალე მწვავედ იგრძნობ...

### **არგიშდი**

ვიგრძენ კიდევ და გულს სახმილი უკიდია...

### **თეთნულდის ასული**

რასაც ფიქრობ ეგ არ არის... ის სხვა იქნება! მხოლოდ ეს კია ჯერ  
შენზე მთლად ხელი არ ამიღია: თორემ, კარგად იცი, ისეთ რისხვას  
დაგალეწ თავსა, მთელს შენს ოჯახს გავანადგურებ...

### **არგიშდი**

სიბრალული გქონდეს შენი მსახურასა.

### **თეთნულდის ასული**

ჰმ... სიბრალული? ჰოი, არგიშდი! ლელწმობა ვერ გიშველის...

### **არგიშდი**

მიბრძანე, ძლიერო!

### თეთნულდის ასული

გული გაისალკლდევე, იყავ შეუვალი! ჩემი პირით შენ გელაპარაკება საუკუნეები! გაიხსენე ქალდეა, აშურბანიპალი და ბრძოლა მასთან შენი წინაპრებისა... ისინი გემახიან... არ შეაბღალვინო შენი წმიდა-თა წმიდა, ისინი მოგიწოდებენ შური იძიო იმათზე, ვინაც ხელს უშლის ამ შენი სიწმიდის დაცვას, ვინც მოვიდა მისთვის, რომ გაგმარცვოს სულიერის შენის სამოსელისაგან, დაგალაჩროს, ღონე მიგხადოს და შემდეგ შენ ნაოხარზე იხითხითოს თავწართმევითა. აღსდექ, არგიშდი! შენ არ შეგიძლიან? მიმოიხედე, შენს ოჯახში მოიძებნება შურისმაძიებელი...

### არგიშდი

სოთრან, შვილიშვილი ჩემი!

### თეთნულდის ასული

შენ გამოარჩევ შურის მაძიებელს... დაღუპე მტერი შენი, მტერი თეთნულდისაჰკენ თვის ბილწი ხელის გამწოდებელი და იხსენი მთა, იხსენ შენი ქვეყანა, იხსენ შენი ოჯახი!

### არგიშდი

ბრძანება შენი, ღვთის სიტყვაა!

### თეთნულდის ასული

კვლავ შენ იქნები ჩემი რჩეული, კვლავ ჩემი მადლი დაადგება სვანეთს, საუკუნოებით თავისუფალსა, განაბრწყინებს შენს ოჯახსა... არგიშდი, არგიშდი!

### ქორი

ეს დაესიზმრა არგიშდის. ოჯახის უფროსს, სატუსალოში ძილად მიგდებულს.

### 3

### არგიშდისას

(ქალები ყვავილებით რთავენ კედლებს, კარებს და სარკმლებს და თვითონაც ყვავილებით ირთვებიან, მამაკაცებს გულზე კიდებენ ავგაროზეებს. თან ეუბნებიან: "ემშაკებს არ გაეზაკვინო!" გაჩაღდება ფერხული. შემდეგ მამაკაცები ანთებენ ლამპრებს, იქნევენ აქეთ-იქით, ისვრიან კარში და თვითონაც მიჰყვებიან ყიჟინით: "არული, არული! ფუი, ეშმაკს!" ქალები ნელის ღიღინით მხარ-თედმოზე წამოწვებიან რიგრიგობით.

### ქალები

-- რა არის გვიამბე, ძალუა!

-- გვიამბე ძველი ამბავი.

### რძალი

აკი ყოველ წელს, დღევანდელდღეს გაიმბობთ ხოლმე...

### ქალები

- მე სიამოვნებით მოვისმენ!
- მე სულ დამავიწყდა კიდეც!

### გურანდა

მე სულ არ ვიცი რა ამბავია... არც ჩემმა ტოლებმა... ხომ მართალია?

### ახალგაზრდები

- არ ვიცი, არ ვიცი!
- ჯერ არ მოგვისმენია!
- ბავშვები ვიყავით!

### ქალები

გვიამბე, ძალუა, რა?

### რძალი

კარგი, შვილებო, რძლებო და დებო! უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ძველთაგან, ე. ი. ჩვენ წინაპართ აქ, ახლანდელს სვანეთში კი არ უცხოვრიათ... სანამ ამ მთებში შევიჭედებოდით, მანამ ბევრჯერ გამოვიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი. სულ პირველად კი ჩვენ იქ გვიცხოვრია, საცა პირველად ღმერთმა სამოთხე გააჩინა...

### ქალები

უი, სამოთხე!

### რძალი

სამოთხე ხომ სამოთხე იყო, მაგრამ როდესაც ადამ და ევამ შესცოდეს და ღმერთმა სამოთხე გააუქმა, ჩვენ დავრჩით იქ და ბევრი გაჭირვებაც გამოვიარეთ თურმე... განსაკუთრებით უწყლობა გვიჭირვებს საქმეს და აი, "უწყალო", "წყალობა" ამბობენ რომ, იქიდან გვაქვს დარჩენილი, მაგრამ ჩვენი წინაპრები მაინც ისეთი ყოჩაღები იყვნენ, დიდი სახელმწიფო გააჩაღეს და...

ჩვენც გვქონია, თურმე, იქ ბედნიერი დღეები... ამ ბედნიერ დღეებში გამოგვიგონია ბევრი რამ დღესასწაული და ქალებსაც თურმე, დღევანდელ დღეს გვქონია ერთი ჩვეულება. შევიკრიბებოდით ნანას ტაძრის გარშემო ღამით... ნანა ღმერთი ქალი იყო ჩვენი... მოვირთვებოდით საუკეთესო სამოსელით და სამკაულით და ცეკვა-ხუმროპის შემდეგ აი ასე წამოვწვებოდით როგორც ახლა ჩვენ...

### გურანდა

მერე, მამაკაცები ჩვენთან არ იყვნენ?

## ახალგაზრდები

-- ჰო, რა ეშმაკია ეს გურანდა!  
-- ახლა მამაკაცებიც მომინდომა!

### რძალი

დაიცა, შვილო! მამაკაციც გაჩნდება თავის დროზე... შენს მხურვალე სხეულს ნუ ეჩქარება... მაშინ კი მამაკაცები ცალკე იყვნენ, გალავანს გარეთ დრომდე ირთობდნენ თავსა... წამოწოლილ ქალებს კი ერთი ხნიერი ქალი, აი ჩემსავით, უამბობდა ძველს გარდასულ ამბებს. სამოთხის ამბებს და ადამიანთა იქ ნეტარებას, ნანა ქალღმერთის სიყვარულის ამბავს, ან რამე ამგვარს...

### გურანდა

ოჰ, რა კარგია! რად არ ვიყავი იმ დროს!

### ქალები

გვანცა, გურანდა!

### რძალი

შუალამე რომ გადავიდოდა, გამოარჩევდნენ ვინმეს ყველაზე მოხდენილს, ყველაზე ახალგაზრდას და რაიმე საარაკოს აცოლებით აცეკვებდნენ ყვავილებით მორთულს, სურნელოვანსა. ცეკვა ჯერ ნელი იყო, შეყოლებული, შემდეგ კი თანდათან ჩქარდებოდა და ბოლოს სიმშაგეში უნდა გადასულიყო... უეცრად, ეს ეშხიანი გოგონა მოწყდებოდა საცეკვაო წრეს და გადაირბენდა გალავნის გარეთ... აი იქ კი, მამაკაცთა წრიდან ვინმე რჩეული ელოდებოთ, ესეთ გამოვარდნილ ქალწულს, ქალწული მას ნებდებოდა და მათი იმ ღამინდელი ნებივრობა შეწირულო ჰქონდა ნანა ქალღმერთის ხატებასა...

### გურანდა

მერე ახლა რად არ არის ეს ჩვეულება შემონახული?

### ქალები

-- უი, რას ამბობ?  
-- არ გრცხვენია!  
-- ო, გურანდა თამამია.

### რძალი

მას შემდეგ, შვილო, ვინ იცის რამდენჯერ შემოტრიალდა ცის ბორპალი და ბევრი ჩვენი ზნე-ჩვეულება თან წარიღო. ახლა კი ჩვენ მხოლოდ ცეკვა და გვრჩა... აი, შენ გაცეკვებთ თუნდა.

### გურანდა

რატომაც არ ვიცეკვებ?!

## ქალები

-- კარგი იქნება!

- აბა, დაიწყეთ!

(გურანდა ცაკვავს ჯერ ნელა. შემდეგ უფრო სიჩქარით, ბოლოს მოწყდება ალა-გიდან და გავარდაბა)

## ქალები

-- უიმე, რა ქნა!

-- რა ეშმაკია!

-- უნდა გვაცინოს!

## არგიშდი

-- დიდი ბატონი!

## არგიშდი

ჩემთან ნუ შემოხვალთ სანამ სოთრანი არ მოვა. მის მოსვლაზე კი გამაღვიძეთ!

## რძალი

გვესმის, არგიშდი!

## ქორი

სატუსალოდან გამოუშვიათ არგიშდი!

მაინც ვერ არის გუნებაზე!

არ ავიწყდება მას სიზმარი

და სიტყვები თეთნულდის სულის...

მძიმე რამ ფიქრსა შეუპყრია მისი არსება.

## ზ

## ეზოში

## გურანდა

შენ სოთრან ხარ? სიბნელეში მაინც გაგარჩიე.

## ქორი

სოთრან! ძველი წესი არ დაარღვიო!

სოთრან! ქალს არ უჩვენო ნანადირევი!

სოთრან! ხმა არ გასცე!

სოთრან! არ დაჰგმო ძველი ჩვეულება!

## გურანდა

სოთრან! არ გესმის? თუ დამუნჯდი, რა გემართება?

## სოთრან

შენ დაგავიწყდა? წესი არ არის, ნანადირევზე ქალს გამოესაუბრო...

**გურანდა**

აჰ, ეს რა მოგიკლავს? ჯიხვის თავი აქვს...

**ქორი**

სოთრან! რას ჩადი?! რად ღალატობ წესს, ჩვეულებას?!

**სოთრან**

შენ მე დამლუპავ... გურანდა! შენ მე მირევ გზა და კვალსა...

**გურანდა**

ოჰ, სოთრან, სოთრან! ნუთუ ვერ ხედავ! ჩემს მკლავებს სწყურიათ ვაჟის ქედის მოდრეკა, ჩემს თეძოებს სურთ სხლტომა მშვილდური, ჩემი ძუძუები მფშვინვარებენ სატკობელად, ჩემს ბაგეებს სწყურიათ ბროწეულივით დაწურვა?

**სოთრან**

შენ მე დამლუპავ! შენ მე გენიას მიკიდებ... თავგზა მეზნევა!

**გურანდა**

ოჰ, სოთრან, სასურველო! ჩემი გული გელოდება ნეტარებით! ჩემი სხეული თრთოდა სიტკობებით შენს მოლოდინში...

**სოთრან**

რა გიყო მე უბედურქმნილმა, უკვე შემცოდემ...

**ქორი**

ჩვენ ვდუმვართ, სოთრან!

შენ უკვე გაჰქელე წინაპაროა ნაანდერძევი!

**გურანდა**

წამიყვა ტყის დასავალს, სოთრან, კლდეზე, ღრეზე, გამოქვაბულში....  
მე შენი ვარ, შენი საუკუნოდ!

**სოთრან**

გამოქვაბულში? მართლა, რა კარგი სთქვი... მე მოვხვდი ერთ გამოქვაბულში დღეს და, იცი აქ რა ვნახე...

**გურანდა**

ვითომ რა ნახე?

სოთრან

არა, მერე გეტყვი.

ფ

გელახსანთან

ციქვლიდ

და ძალიან კარგი გამოვიდა, რომ ეგრე მოიტეცით... არგიშდი უსათუოდ უნდა გამოეშვათ, მისი დატუსაღება სოფელში მეტად მძიმე შთაბეჭდილებას დასტოვებდა... და როდესაც სოფელი გაიგებს, რომ შენ და ლაპილმა იშუადგომლეთ არგიშდისათვის, სოფელს პირველად გაუკვირდება, მაგრამ შემდეგ ჩააფიქრებს.

გელახსან

ოოჰ, ციქვლიდ, ციქვლიდ! რა დიდი ბავშვი მყავხარ... შენ ყველაფერს ამ ცხოვრებაში... როგორ იტყვიან? ვარდისფერი სათვალეებით უცქერი.

ციქვლიდ

მაშ, როგორ გნებავს? ლმობიერება არის უდიდესი რამ განძი ქვეყნად.

გელახსან

აჰჰ! ელუმთიან! ციქვლიდ ელუმთიან!

ლაპილ

ეგ რა არის, სომხური გვარი გაქვთ?

ციქვლიდ

ეგ არ არის გასაკვირი, სვანთა წინაპართ ძველთაგან უცხოვრიათ მცირე აზიაში და როდესაც... მათ სხვა ერის ხალხი მოწოლია და თითი ბრძოლათა შემდეგ სვანებს ჩრდილოეთისაკენ დაუხვეიათ.

გელახსან

ეჰ, დაიწყო.

ციქვლიდ

არა, მაცალე... მე ლაპილს ვეუბნები... და იქამდე უვლიათ სანამ ამ ყინულოვან მწვერვალთა კალთებს არ შეფარებიან. ნაწილი კი დარჩენილა მცირე აზიაში და შემოსეულ ხალხთა შორის გათქვეფილან. მათ შორის სომხებშიაც.

და თუ შემოსეულთ სვანები დამორჩილებიან ფიზიკურად, სამაგიეროდ სვანებისაგანაც ბევრი აუღიათ და შეუთვისებიათ შემოსეულთ. განსაკუთრებით სომხებს: ზოგიერთი ზნე-ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა, სახელები საგანთა და ადამიანთა, ზოგი სხვა სიტყვე-

ბიც თუ სიტყვების ძირები და ამიტომ არის მეცნიერი მკვლევარები ნათესაობას პოულობენ ჩვენსა და სომხებს შორის. ამიტომ არის მაგალითად, რომ სიტყვა ე. ი. ჩემი გვარი "ელუმთიან" ყველას სომხური ჰგონია.

**ლაჰილ**

ეს ძალიან საგულისხმოა!

**გელახსან**

ეჰ, მაგას რომ ყური დაუგდო, ქართველ ხალხს კაცობრიობის დედაბოძად და მოძღვრად გამოიყვანს...

**ციქლიდ**

ვინ იცის შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ თქვენ კი კომუნისტებს ეგები არ გაინტერესებთ.

**გელახსან**

არა, შენ თვითონა სთქვი, ვისთვის რა საინტერესოა ძველი ლათაიები...

**სოთრან**

ოჰ, სოთრან! შენ აქ რა გინდა?

**სოთრან**

არგიშდომ გამომგზავნა.

**ციქლიდ**

ჩემთან ხომ არა?

**სოთრან**

არა... ამასთან.

**ციქლიდ**

გელახსანთან?

**სოთრან**

ჰო... მაგასთანაც.

**ციქლიდ**

ლაჰილთანაც? მერე რა მინდაო?..

**სოთრან**

დამავალა, შეეხვეწე თეთნულდზე გაგიყოლიოსო...

**ციქლიდ**

აი ხომ ვთქვი... არგიშდომის განთავისუფლმ რა შემოგვძღვნა. სახარია, ფრიად, ფრიად!



**სოთრან**

თუ მიმიღებთ, გემსახურებით...

**გელახსან**

მე სამსახური არ მინდა, მხოლოდ თეთნულდზე თუ წამოხვალ, ვა-  
შა, შენს კაცობას!

**ლაპილ**

განა გივლია მთებზე?

**სოთრან**

როგორ არ მივლია, ბიძაშვილო... სხვა რა გამიკეთებია! მონადირე  
ვარ!

**ლაპილ**

ჰა, ჰა! ბიძაშვილო!

**ციქვილი**

მოდით, ხელი ჩამოართვით ერთიმეორეს...

**სოთრან**

მაშ, არ გამაგდებთ?.. ძალიან მინდა ეგ საქმე კარგა შევისწავლო...  
შემასწავლით?

**გელახსან**

ცოცხალ ბიჭსა ჰგავს!

**ლაპილ**

ჩემთან იარე და მე აგიხსნი ყოველსავე.

**ქორი**

ამგვარად მოხვდა სოთრან გელახსანთან!  
სოთრან არგიშდისაგან გაგზავნილი!  
და არვინ არ იცის გულში მას რა უძევს!

**ფარდა**

**მოქმედება მესამე**

**თ**

**გელახსანთან**

**ლაპილ**

ყოჩად, სოთრან!.. სწორედ ეგრე უნდა... ძალიან მალე შეისწავლე.

**სოთრან**

მაშ, როგორ გგონია, ლაპილ, ჩვენი ბაბუის შვილები ყველანი ნი-  
ჭიერები ვართ.

### ლაპილ

ჰა, ჰა! მაშ, მეც ნიჭიერი ვყოფილვარ.

### სოთრან

შენ, ლაპილ... შენ ქვეყნის თვალი ხარ... ყველა შენ გაქებს, ყველა შენი მადლიერია...

### თავმჯდომარე

(ცალკე გელახსან)

### გელახსან

მხოლოდ ნიშნებს, მაგრამ ნიშნები კი დიდად საიმედოა... ამ ნიშნის წყალობით მე ვფიქრობ, რომ რადიუმსაც წავაწყდებით...

### თავმჯდომარე

ეგ ხომ დიდი აღმოჩენა იქნება!

### გელახსან

რალა თქმა უნდა! ახლა ვაწარმოებ გამოკვლევას...

### თავმჯდომარე

აქ ჩვენთან მოხსენებას არ წაიკითხავ? ჯერ აქ არის საჭირო..

### გელახსან

აუცილებლად, თეთნულდიდან დავბრუნდები თუ არა...

### გივერგილა

ხედავთ, ლაპილ კვლავ სოთრანთან არის...

### ორბინე

ჩვენ თითქო დავავიწყდით...

### იშმაგ

აშკარაა ხელი აგვადო...

### დღემბურგ

ნუ იტყვით მაგას! ლაპილ ყველასათვის სათნო არის.

### გივერგილა

მაინც დიდად მიკვირს, როგორ მიიღო გელახსანმა!

### იშმაგ

მე უფრო ის მაკვირვებს, არგიმდომ როგორ გამოუშვა.

**ორბინე**

გული არ მითქვამს კარგსა...

**დღემბურგ**

შენ გგონია სოთრანს უნდა ვუფრთხოდეთ?

**თავმჯდომარე**

მაშ, კმაყოფილი ხარ სოთრანისა?

**გელახსან**

ძალიან ალპინისტი შეიქნება.

**თავმჯდომარე**

ნუთუ ასე მალე შეითვისა რაც საჭიროა?

**გელახსან**

არამც თუ პრაქტიკულად, თეორიულადაც...

**თავმჯდომარე**

სასიხარულოა!

**გელახსან**

ეხლავ დაგიმტკიცებ. სოთრან, სოთრან!

**სოთრან**

რას მიბრძანებ, გელახსან?

**გელახსან**

აბა ჩქარა მითხარი... რა არის ალპინიზმი?

**სოთრან**

ალპინიზმი მიუწვდომელ მთების მწვერვალებზე ასვლასა ნიშნავს და მთების მიდამოების შესწავლას.

**გელახსან**

საიდან წარმოსდგა ეს სახელწოდება?

**სოთრან**

ალპიის მთებზე ასვლის შემდეგ..

**გელახსან**

ვინ იყო პირველი ალპინისტი? ვინ ვიცით ჩვენ?

**სოთრან**

ბალმატი და პაკკორი, შემდეგ დე-სსოსიუო..

**თავმჯდომარე**

შეხე!

**გელახსან**

მათ რომელ მთის მწვერვალს მიაღწიეს?

**სოთრან**

მონბლანს.

**გელახსან**

ვინ ეწევა ალპინისტის მოღვაწეობას?

**სოთრან**

შენისთანა ნასწავლი ხალხი და ბუნებით ყოჩაღი ადამიანები.

**ლაპილ**

რას იბუტები, გივერგილ?

**იშმაგ**

ეტყობა გაბუტვა?

**ლაპილ**

რაღაც შენც ვერ ბრძანდები გუნებაზე?

**გივერგილ**

ლემზურალმა აწყინა უთუოდ?

**ლაპილ**

რა არის ლემზურალი?

**დღემზურგ**

შესაწირავი პური.

**ორბინე**

უდროო დროს მიირთვა და...

**ლაპილ**

იმას არ ამბობთ რაც გინდათ თქვით... როგორღაც ამრეზილები ხართ... ამ ბოლო ხანში მაინც გამჩნევთ, რომ მე მიჯავრდებით... ხომ ასეა? მითხარი, დღემზურგ რა ამბავია?

**დღემზურგ**

ძმებს სწყინთ, რომ ეს ერთი ხანია სულ სოთრანს დასტრიალებთ თავსა...

**ლაპილ**

სისულელეს ნუ ლაპარაკობთ... სოთრანი თეთნულდზე ასასვლელად ემზადება. ბევრი რამ უნდა შეითვისოს სამოგზაუროდ. მე ვიკისრე მისი მომზადება...

**გელახსან**

ესეც გვითხარი სოთრან: ჩვენში რომელ მთებს მიაღწიეს პირველად?

**სოთრან**

იალბუზს და ყაზბეგს. იალბუზზე ავიდნენ 1868 წელს უცხოელი ალპინისტები ფრეშვილდი, მური და ტუკერი.

**გელახსან**

კავკასიის ხთებზე ჯერ დაილუპა ვინმე?

**სოთრან**

ერთგან, კომტან თაუზე, დაილუპნენ დონკინი და ფოქსი.

**თავმჯდომარე**

კაცო, ამას ამ საქმის მთელი ისტორია შეუსწავლია.

**გელახსან**

ლაჰილი მარჯვეა ამისთანებში... ვერ ხედავ იმ ოთხ ძმასაც რა უყო, ისე მოარჯულა სულ ცხვრებივით უკან დასდევენ. როგორ გგონია, სოთრან, ჩვენ ხომ არ დავილუპებით?

**გურანდას ხმა**

სოთრან, სოთრან!

**სოთრან**

უნდა წავიდე.

**გელახსან**

რა დროს წასვლაა, საცაა უნდა გავემგზავროთ.

**სოთრან**

სახლიდან მეძახიან, გურანდას ხმაა.

**გელახსან**

მერე აქ ვერ მოვა?... ჰო, კარგი, კარგი! ვიცი, კიდევ ძნელია შენი ოჯახისათვის ესე უცებ ჩვენი შეჩვევა. შენც ძალიან გაგიმეტა ბაბუაშენმა... გასწი, მე არ გაკავებ... გამოეთხოვე შენიანებს... მხოლოდ, იცოდე, ჩვენ არ დავილუპებით... შენ უკვე იცი, რომ ალპინისტს შიში არ მართებს. მხოლოდ დანიშნულ დროზე არ დაიგვიანო.

**სოთრან**

დაგვიანება ვით ეგების.

**გელახსან (თავმჯდომარეს).**

შენ საით გასწი?

**თავმჯდომარე**

ახლავე მოვალ, დაუჩქარებ შენს გამომყოლებს.

ლაპილ  
სოთრან, სად მიდიხარ?  
სოთრან  
სახლში მეძახიან.

ლაპილ  
რა დროს სახლია!.. საცაა უნდა გაემგზავრო.

გურანდას ხმა  
სოთრან, სოთრან, არ გესმის?

სოთრან  
გურანდა მეძახის.

ლაპილ  
გელახსანმა კი გაგიშვა?  
სოთრან  
სწორედ.

ლაპილ  
სოთრან! ბავშვი აღარ ხარ, სახლში არ შერჩე, თავის დროზე უნდა გამოცხადდე.

ო  
არგიშდისას

არგიშდი  
აი, საცაა დაიძვრის ქარავანი გელახსანისა! გული ვერ დამიმშვიდე-  
ბია. ნუთუ ველირსო საწადელსა. აღმისრულდეს ორმაგი დავალე-  
ბა? სად არის სოთრან! მოვიდეს, ერთხელ კიდევ დავლოცო ამ ძნელ  
გზაზე... აქ დამიძახეთ!

რძალი  
არგიშდი, ჩვენო უფროსო! ერთხელ კიდევ მომაპყარ ყური შენი...

არგიშდი  
რა გსურს, დიაცო?

რძალი  
შეისმინე ვედრება ჩვენი... სოთრანს ნუ გაუშვებ მაგ საუკუდმართო  
გზაზე, მთელი ოჯახი შეძრწუნებულია...

### არგიშდი

ბევრი გესმით თქვენ... რაკი მე ვაგზავნი, მაშასადამე ეს გზა საწალ-  
მართოა.

### რძალი

ვინ გაბედავს შენი განზრახვის შესწორებას, მაგრამ ზოგჯერ მო-  
გისმენია ჩემის პირით გულის ნადები შენის ოჯახისა: ოჯახს არა  
სურს, რომ სოთრანი მიჰყვებოდეს გელახსანის ბილწ ქარავანს...

### არგიშდი

ეგ ხომ წინადაც გამაგონეთ.

### რძალი

მოგახსენეთ, მაგრამ ახლა რომ საქმე საქმეზე მიდგა...

### არგიშდი

მაშინ უკან დავიხიოთ?! არ ეგების, თვით თეთნულდმა ირჩია სოთ-  
რან...

### ყველანი

ირჩია? თვით თეთნულდმა? რას მოასწავებს?

### არგიშდი

გაიგებთ დროზე... ოჯახის უფროსის სიტყვის შებრუნება დიდი ხა-  
ნია შეისწავლეთ? სოთრანს დამიძახეთ-მეთქი... აკი ვთქვი...

### რძალი

უკვე გაიხლენ დასამახებლად.

### არგიშდი

მერმე სად არის?.. მინდოდა გამოვთხოვებოდი, დამელოცნა, რომ  
გამარჯვებული მოსულიყო.

### რძალი

თეთნულდიდან გამარჯვებული?

### არგიშდი

თეთნულდისავე მეოხებით... სად არის სოთრან?.. რად იგვიანებს...  
ახლა უკვე იქ უნდა იყოს... ის რომ ჯანჯალი კაცი არ იყო?.. რა  
იყო, ვერ იპოვეთ?

### სოზარ (შემოდის)

ვერა, არგიშდი!

### არგიშდი

საოცარია! მე აკი ვუთხარ, წასვლის წინ ჩემთან უნდა გამოცხადე-  
ბულიყო და თქვენც ყველანი. მიტომ შემოგკრიბეთ, რომ სოთრანის  
წასვლის წინ უნდა მეცნობებინა რისთვის ვაგზავნი მე იმას, ან რას

ვავალებ... ძალიან მწყინს... ეს როგორ ჩაიდინა? ნუთუ წავიდა?  
უწესო ბავშვი! მაგრამ ახლა არ შემოვწყრები... მას მეტად მძიმე  
საქმე დავავალებ... ცხადია, რომ წასულია... ახლა უკვე გვიანდა არის,  
აქ ვეღარ მოვა... გამარჯვებული რომ დაბრუნდება, აღარ დავტუქ-  
სავ... აი, თქვენ უკმაყოფილონი ხართ ჩემი გადაწყვეტილებისა და  
იმდენადც გაკადნიერდით, რომ რამოდენჯერმე საყვედურიც კი  
გამაგონეთ... როგორც გითხარით მისი თანადასწრებით მინდოდა  
გამემჟღავნებინა ყველა თქვენთვის, რაც განვიზრახე... მაშინ იხარებ-  
დით თქვენ ყველანი... რაკი ასე მოხდა, გეტყვით ახლა. სულ ერთია  
სოთრანი გამარჯვების გზას ადგია... ხომ ყველანი აქა ხართ?

**რძალი**

სულ ყველანი.

**სოზარ**

არა, გურანდა გვაკლია.

**რძალი**

გურანდა? როგორ თუ გვაკლია?

**არგიშდი**

გურანდა? მართლა როგორ ვერ შევამჩნიე?.. ჩემო რძალო!

**რძალი**

სად იქნება... ბავშვია კიდევ, ყვავილებს თუ ჰკრეფს... ვერ ჩასწვ-  
დომია აქ დასწრების საჭიროებას.

**არგიშდი**

გურანდა მინდა... მოიყვანეთ... საჭირო არის უმცროსებმა კარგა  
შეიგნონ, თუ რას გვავალებს ჩვენი ზნე და ჩვენი ადათი... თორემ  
ხომ ხედავთ, სულ სსვა ხალხი წამოიზარდა და არც კი ცნობენ რი-  
თი გვედგა სული.

**რძალი**

არც სურთ გაიგონ...

**ბედან (შემოდის)**

ახლომახლო ყველგან ვეძებთ... არ სჩანს გურანდა.

**არგიშდი**

რა ღვთის წყრომაა! მეტისმეტი თავის აგდება... რძალო ჩემო!



ია

**გელახსანთან**

**გელახსან**

რა იქნენ აქამდე? რას იგვიანებენ?.. მაშ ანარქისტი არა ხარ ციქვ-ლიდ?

**ციქვლიდ**

არა, არა ვარ.

**გელახსან**

ტოლსტოელი მგონია, ჰო...

**ციქვლიდ**

არა, საიდან? "ძალი შემწევდეს ქადილისაო"... მაგრამ ეს კი ვიცი რომ ისე არავის ვუწევთ ანგარიშს და ისე ლმობიერად არავის არ ვეწინააღმდეგებით, როგორც ტოლსტოის...

**გელახსან**

როგორ?

**ციქვლიდ**

თბილისში ყოფნის დროს დავესწარი ერთ თქვენს თვალსაჩინო ამ-ხანაგის ლექციას და მთელი სადამო თითქმის ტოლსტოის თეორიის დარღვევას მოანდომა.

**გელახსან**

რა შუაშია! ტოლსტოისთვის ვის სცალია... ვის ახსოვს.

**ციქვლიდ**

პირველად მეც ძალიან გამიკვირდა, მაგრამ... რომ დავუკვირდი... ასეც უნდა იყოს. ტოლსტოისაც კერძო საკუთრება არა სწამდა. არა სწამს თვით რელიგიის კულტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი მორწმუნეა... ისიც თავისებურად ჰქადაგებს, რომ ყველანი უნდა ფიზიკურად მუშაობდნენ, რადგან მას არა სწამს შრომის დანაწილება... იგი ყველას ფიზიკურ მუშაობაზე ლაპარაკობს...

**გელახსან**

ის... ბოროტებას ნუ ეწინააღმდეგებო, ამასაც ჰქადაგებს, მაგრამ ეს ხომ მავნებლობაა... და თუ შენ ამას იზიარებ, შენც მავნებელი ყოფილხარ!

**ციქვლიდ**

არა, მე არაფერს არ ვქადაგებ, ვიხსომებ მხოლოდ ჩემთვის... ხელს არ გიშლით, რადგან შეიძლება თქვენ იყოთ მართალი... რადგან უდავოა, რომ ისე ახლოს ხალხთან არავინ მისულა, როგორც თქვენ...

ამას გარდა ჩემთვის ის არის ღირებული, რომ ვხედავ თქვენი მოქმედება უწინარეს ყოვლისა ხალხს ანათლებს, ჩემს ხალხს, რომელიც ეგზომ ჩამორჩენილია და მეც ქედმოდრეკილი გემსახურებით პატიოსნად და თავდადებით.

თავმჯდომარეს, ყანსავ, ყასბულათ და კიდევ სხვა თეთნულდზე წამსვლელნი

**თავმჯდომარე**

აი მოვედით... ხომ მზადა ხარ, გელახსან?

**გელახსან**

კარგა ხანია გელოდებით... დედი! გამომიტანე ჩემი ბარგი-ბარხანა... ლაჰილ სადღაა?

**ლაჰილ**

აქა ვარ და მზადა ვარ მთის კალთებამდე გაგაცილო.

**თავმჯდომარე**

რად თქმა უნდა! მისთვის მოვსულვართ.

**გელახსან**

სოთრან სად არის? რად იგვიანებს?

**ლაჰილ**

საკვირველია! იმას ჯანჯალი არ უყვარს.

**დიგორხან** (მოაქვს მოწყობილობა)

**დიგორხან**

აი, შვილო... შეტრიალდი მარჯვნივ, გელახსან, გთხოვ...

**ლაჰილ**

დაჰყე ნებასა!

**დიგორხან**

წაღმართ შენი გზა, შვილო!..

**გელახსან**

კარგი, დედი, ნუ აცრემლდი... ხომ იცი --- არ მიყვარს!

**ციქლიდ**

ცრემლი კი არა, სიხარული გმართებს, დიგორხან...

**დიგორხან**

ვიცი რომ მმართებს, მაგრამ...

### თავმჯდომარე

არაფერი მაგრამ არ უნდა, გელახსანი თეთნულდზე ასვლით ყველას დაგიმტკიცებთ, რომ საერთოდ მთები არავითარ "წმინდა" ადგილს არ წარმოადგენს, რომ იგი უბრალო მთაა, მხოლოდ ძნელად მისავალი, გელახსანი ამ მთაზე ასვლით ერთხელ და სამუდამოდ შეარყევს თქვენს ცრუმორწმუნეობას, რომ იქ არავითარი ღმერთები არ განისვენებენ.

### გივერგილ

ნეტავი მას, ვისაც ეგ სწამს!

### ორბინე

მას უხაროდეს!

### იშმაგ

კარგი იყო ამ საქმეს გელახსანი არ შესდგომოდა!

### დღემბურგ

ბევრი ვეხვეწეთ...

### ლაჰილ

კიდევ დრტვინავთ! უჰ, რა კერპები ხართ მართლა!

### დიგორხან

ღმერთმა კეთილი ინებოს, შვილო!

### გელახსან

სოთრან სად არის? რა დაემართა?.. აბა, ყმაწვილებო! ყასბულათ, ყასნავ ხომ არაფერი დაგავიწყდათ?

### ყასბულათ

აგერ წრიაპები.

### ყანსავ

ეს ალპენშტოკი.

### 1-ლი გამყოლი

აგერ წერაქვი.

### მე-2 გამყოლი

ესეც თოკები.

### თავმჯდომარე

აერომეტრი, ბარომეტრი... აგერ დურბინდი... ეს ნაბდები და აგერ საგზალიც...

### გელახსან

სოთრანმა ლამის გამაჯავროს... რად იგვიანებს?

(ათვალიერებს გამყოლთ) აა, ეს ასე არ ივარგებს... ყასბულათ გაუსწორე... ამას სოთრანი უფრო კარგად გააკეთებდა, ყანსავ, მოდი აქ...

გაუკეთე...

ლაჰილ

სოთრანს უთუოდ რამე მოუვიდა.

გელახსან

საოცარია!

იბ

მთის ძირას

გურანდა

ოჰ, რა გავიხარე, სოთრან.

სოთრან.

კიდევ ბავშვი ხარ!

გურანდა

არა, ვერ ვისვენებდი... მეგონა თუ ლაჰილ შეგიყვარდა და... არ ვიცოდი რა მომემოქმედნა, კიდევ დაიფიცე, მართლა არ გიყვარს?

სოთრან

შენ თავსა ვფიცავ!

გურანდა

მუდამ გახსოვდი?

სოთრან

არა გრცხვენიან!

გურანდა

ოჰ, სოთრან, სოთრან! როგორ გავწვალდი ეს ერთი კვირა. ვერა გხედავდი. სულ იქ ტრიალებდი და... მართლა რადა სთქვი, რომ ისინი გეცოდებიან, ვინ გეცოდება. ლაჰილი განა?

სოთრან

ლაჰილიცა და გელახსანიც.

გურანდა

ამიხსენი.

სოთრან

საიდუმლოა.

გურანდა

მაშ, გიყვარს ლაჰილ...

სოთრან

დამიჯერე...

გურანდა

აბა, მითხარი რად გეცოდება?

სოთრან

იმიტომ, რომ გელახსანი დაილუპება!..

გურანდა

შენ რას ინაღვლი?

სოთრან

ოჰ, შენ რომ იცოდე რა კაცია და... რა ტანჯვა არის რა მწვავეა მასთან ჩემი სიახლოვე...

გურანდა

შენც ნულა მიეკარები.

სოთრან

დავალებული მაქვს.

გურანდა

ბაბუამ რომ დაგავალა? ჰოდა, შენ აკი შეასრულე?..

სოთრან

არა, მთლად არა... უნდა წავყვე.

გურანდა

გელახსანს? სადა? თეთნულდზე?

სოთრან

დიახ.

გურანდა

აჰ, შენ არ წახვალ.

სოთრან

არ შეიძლება.

გურანდა

ვითომ რატომ?

სოთრან

ბაბუამ ბრძანა.

გურანდა

რა გიბრძანა? მე მიმაღავ? არ გყვარებივარ!

სოთრან

ეჰ, გურანდავ! თუმცა სულერთია, მე ხომ მივდივარ და შენ გაგანდობ... რადგან გენდობი...

გურანდა

ჰო, რა, რა?

**სოთრან**

უნდა დავლუპო გელახსანი.

**გურანდა**

ბაბუამ ბრძანა?..

**სოთრან**

არა, ეს ბრძანება თეთნულდისაა...

**გურანდა**

როგორ?

**სოთრან**

გამოეცხადა არგიშდის თეთნულდის სული და შურის მაძიებლად მე ამირჩია.

**გურანდა**

თვითონ თეთნულდმა?

**სოთრან**

დიახ... მოხერხებულ ალაგას, სადმე უფსკრულის პირას ხელი უნდა ვუჯიკაო გელახსანს და...

**გურანდა**

და გადაჩეხო? შენ არ წახვალ... არ გაჰყვები შენ გელახსანსა...

**სოთრან**

ოჰ, ეგ რომ შეიძლებოდა...

**გურანდა**

დაიცა, მოვიფიქრო!

**სოთრან**

პირველად მე ცბიერებით აღსავსე მიველ მასთან, მაგრამ რომ დავუახლოვდი, შევეჩვიე და ვნახე თუ როგორი ადამიანიც არის...

**გურანდა**

ის და ლაჰილი განა? შენ არ წახვალ, სოთრან!

**სოთრან**

გურანდა! ვგრძნობ ძალა მლატობს, აზრი აღარ მემორჩილება. ზოგჯერ შიში ამიტანს ხოლმე... ასე მგონია, რომ ვერ შევასრულებ დავალებას...

**გურანდა**

ძალიან კარგი. შენ იქ არ წახვალ... მე გიშველი...

სოთრან

როგორ გურანდა?

გურანდა

მე და შენ სულ სხვა გზა გვაქვს... წამო ჩემთან...

სოთრან

შენთან? თუნდა ცის დასავალს...

გურანდა

შენ ასცდები ადამიანის დაღუპვას...

სოთრან

მაგრამ ბაბუა?

გურანდა

ბაბუას კიდევ თავისი გზა აქვს.

სოთრან

თეთნულდი?

გურანდა

თვით მოუვლის თავის თავსა... ჩვენ კი მისგან სიყვარული გვიპა-  
ტივებს.

სოთრან

ოჰ, ნეტავი მართაღს ამბობდე?

გურანდა

მომყე, სოთრან!

სოთრან

როგორ, ახლავე?

გურანდა

დაყოვნება არა გემართებს.

სოთრან

თითქოს შენ რაღაც ახალ გზას მინათებ...

გურანდა

წამომყევი-მეთქი, ჩვენი გზა უფრო ნათელი და უფრო სწორია. ამ  
გზით ორი ადამიანი ბედნიერდება.

ქორი

ასე დასრულდა მოლოდინი გელახსანისა!

ასე გაცრუვდა იმედები არგიშდისა!

იბ

**გელახსანთან**

**გელახსან**

მართლა ღირსია სოთრანი სასჯელისა... დამალატა, შემავიანა...  
მე მას არ ვუცდი... აბა, წავიდეთ!

**თავმჯდომარე**

ნუ დაღონდები გელახსან! ისეთი ბიჭები გახლავან, რომ სოთრანს არ  
ჩამოუვარდებიან.

**გელახსან**

მათი იმედი მაქვს, წავიდეთ!

**ლაჰილ**

აღარც მე მეთხოვები?

**გელახსან**

ცუდ გუნებაზე დამაყენა სოთრანის საქციელმა...

**ლაჰილ**

დინჯად, მიტო... სოთრანს ჩვენ მოვუვლით... შენ ახლა გმართებს  
შემოკრება მთელი შენის ნებისყოფისა.

**გელახსან**

ლაჰილ! ჩემო კარგო!

**ლაჰილ**

ჰა, ჰა, მე არ მეშინიან... აი, არც კი გამოგყვები. ჰა, ჰა! მალე ნახ-  
ვამდის!

**დიგორხან**

შვილო, შვილო!

**ლაჰილ**

ჩშშ... ჩუმად, დედი!

გამყოლნი მგზავრულს დასძახებენ, გადიან.

**ლაჰილ**

ესე სჯობიან!

**გივერგილ**

მაშ ახლა, ლაჰილ, მართლა დასჯით სოთრანს?

**ლაჰილ**

მაშ, როგორა გნებავს?



განა ესეთი რა დააშავა?

**იშმაგ**

ვითომ არ იცი! საქმეს უღალატა!

**ორბინე**

ყველაზე მეტი იმედი მისი ჰქონდა გელახსანს.

**დღემბურგ**

შეეშინდა ბავშვს!

**გივერგილა**

შედრკა ჭაბუკი!

**ორბინე**

თეთნულდმა იმოქმედა.

**დღემბურგ**

ვერ გაექცა ბაბუამისს!

**იშმაგ**

ის ღირსია სასჯელის, მაგრამ თქვენ არ შეგფერით მისი ზრახვა.

**ლაჰილ**

მაინც ჩვენზე მეტად გიყვარს სოთრან.

**იშმაგ**

მეტად არა, მაგრამ მიყვარს.

**ლაჰილ**

ნუ შეაწუხეთ, ყმაწვილებო, თქვენი დობილი.

**დიგორხან**

ლაჰილის გულში ახლა ცეცხლი ტრიალებს!  
არ იმჩნევს თუ როგორ დაუმძიმდა ქმრის განშორება!  
როგორ გულს მოხვდა ღალატი სოთრანისა!

**ქორი**

ეგ ახლა უნდა გაამხიარულოთ, ყმაწვილებო.

**დიგორხან**

მოგვიტევეთ, ლაჰილ, თუ გაწყენინეთ!

**დღემბურგ**

### **გივერგილა**

ჩვენ განა გვინდა ცის ნიავი მოგაკაროთ?

### **იშმაგ**

ბრძანე და გინდა ეშმაკს შევებმი!

### **ორბინე**

შენ რომ გეთქვა, თეთნულდზედაც ავიდოდი!

### **ლაპილ**

რა ბავშვები ხართ! გულუბრყვილონი.

### **გივერგილა**

შენ ოღონდ თქვი... სოთრანს შეკოჭილს აქვე მოგგვრით!

### **დანარჩენი**

ჰო, ოთხივენი. ახლავე გადავარდებით!

### **ლაპილ**

არ გაბედოთ! ეგ თქვენი საქმე არ არის... იმას დასჯის ხელისუფლება.

### **ფარდა**

### **მოქმედება მეოთხე**

### **იდ**

### **გამოქვაბულში**

### **ბიმურზ**

ვინ აფხაჭუნებს კარებს? ვინა ხართ ამ ჭენჭებში?

### **ხმა**

მგზავრები ვართ გაჭირვებულნი... შეგვიბრალე...

### **ბიმურზ**

სტუმარი ღვთისაა... აბა, შემოდით, როგორ? სოთრან ხარ? რამ მოგიყვანა? არგიშდომ გამოგზავნა? რა იყო ესე სასწრაფო? ამ ამინდში როგორ გაგიმეტა? ეგ ვილაა ნაბადში ძლივს რომ მოსჩანს? რა არის! ენა წაგერთვა? მიამბე, აბა რას მითვლის არგიშდი?

### **სოთრან**

არგიშდი არას გითვლის ამჟამად... ეს მე მოვედი ჩემის ნებით და... ეს კი გურანდაა...

**ბიმურზ**

გურანდა? არგიშდის თვალისჩინი? შენი ბიძაშვილი?

**გურანდა**

დიახ, მე ვარ, ბიმურზ...

**ბიმურზ**

თქვენ სასიკეთოდ არ წამოსულხართ, ვატყობ უკვე... ჩემთან რა გინდათ?.. ნათესაობის გამტეხთ, განა მე კი შეგივრდომეპბთ?

**სოთრან**

სხვა გზა არა გვაქვს...

**გურანდა**

სხვა ვინ შეგივრდომეპს... რჯულის მცველი ლმობიერი... უნდა იყოს, ვფიქრობდი გულში...

**ბიმურზ**

მერმე რჯულის მცველმა რჯულის დამრღვევთ უნდა მიხედოს!

**ქორი**

ბიმურზი ანგარია ყმაწვილებო!

ბიმურზს უყვარს ძღვენი და სამსახური!

ბიმურზი ქრთამსაც შეიწირავს!

**ბიმურზ**

ეგეც არ იყოს, გინდათ არგიშდომ სულ ერთიანად გამანადგუროს... ჩემი სახსენებელი აღგავოს ამ ქვეყნიდან?

**გურანდა**

გემსახურებით, ბიმურზ ბატონო... ნუ გაგვწირავთ!

**სოთრან**

ყმად დაგიდგებით. ბიმურზ, შეგივრდომე!

**ბიმურზ**

თქვე სულელებო! მე რომ შეგივრდომოთ კიდეც, აქ ვინ დაგაყენებთ, ამ წმიდა ადგილს?.. რომ მოგაგნონ... მდევრებისა არ გეშინია?

**სოთრან**

მდევრები რას გვიზამენ თუ შენ გადაგვეფარები. ეს წმიდა ადგილია. ეჭვს გაჰფანტავს.

**ბიმურზ**

რა სამსახური შეგიძლიათ, რაში გამომადგებით?

**გურანდა**

ჩოხას მოგიქსოვ ისეთ მტკიცეს, გასძლოს ცხრა წელიწადი...

**სოთრან**

ირემს მოგიგადირებ ქორ-ბუდიანსა, ხორცს მიირთმევ... ტყავს ჩა-  
იცვამ, რქებს სამკურნალო წამლებში გალესავ...

**ბიმურზ**

ჩოხისათვის რჯულს ვერ გავტეხ! ირმისათვის არგიშდის ვერ მოვიმ-  
დურებ.

**სოთრან**

იწამე შენი ღმერთი, ბიმურზ!..

**გურანდა**

მუხლებზე მოგეხვევი... კალთას ცრემლით დაგიღებო...

**ბიმურზ**

მეცოდებით, ბავშვებო!

**სოთრან**

მიბრძანე სხვა რა გავაკეთო? შენი მონა ვარ!

**ბიმურზ**

შენ მას ვერ შემისრულებ. მე ოქრო მინდა.

**სოთრან**

ოქრო?

**გურანდა**

ოქრო?

**ბიმურზ**

რა გაქვთ სათქმელი?

**სოთრან**

ოქრო იმდენი გვაქვს... ჯორკიდული!

**ბიმურზ**

ჰა, ჰა! თქვენ ოქრო! აბა, საიდან? ეეჰ, სვანეთში ოდესღაც იყო ოქ-  
რო. ჩვენთა წინაპართ სცოდნიათ მისი გამოდნობა, ენგურის ნაპირ-  
ზე თურმე იყო... ამბობენ სადღაც გამოქვაბულში ახლაც იპოვება...  
ბედნიერი მიაგნებს!

**სოთრან**

სწორედ გამოქვაბულში...

რა? **ბიმურზ**

ვიპოვნე ოქრო. **სოთრან**

მართალს ამბობ? **ბიმურზ**

თანაც გვაქვს ცოტაოდენი... ჰა. თუ არ გჯერა. **გურანდა**

**ბიმურზ**  
თვალეებს არ უჯერი. სწორედ ოქროა. ძველი ბაჯაღლო.

**გურანდა**  
ბევრი ნახა ესეთი სოთრანმა!.. ქილებშია თურმე ჩაწყობილი.

**ბიმურზ**  
არავინ იცის ეს ამბავი?

**სოთრან**  
ჩვენ ორის გარდა.

**ბიმურზ**  
ოჰ, ყმაწვილებო! ანაგელოზები ხართ... ჩვენმა ღმერთებმა მომიგ-  
ზავნეს თქვენი თავი! სწორედ ოქროა. მერმე რა ძველისძველი. ხე-  
დავთ რაშია ზედ დახატული და კისერში ისარი აქვს გაყრილი. მარ-  
ჯვენა ფეხზე, აი აგერ პურის მარცვალია აღმოცენებული... ჰა, ჰა!  
გმადლობ შენ, კალის წმინდაო კვირიკე, რომ ესეთი სიბერე მომას-  
წარი... სად ნახე ეს განძი, სოთრან?

**სოთრან**  
დიდძალი მოსჩანს... განა მარტო ფულები: ოქროს სკამია, ოქროს  
ხბოს თავი...

**ბიმურზ**  
გავკეთებულვართ... სად არის, სად?

**სოთრან**  
ჭვიბერში, ნენსკრას, ჭვიბრულდის ხეობაში...

**ბიმურზ**  
მართალი არის, ოდესღაც სვანეთის გლეხკაცობას ეკუთვნოდა ეგ  
არემარეც... სწორედ მანდ ნახა ერთ დროს ვინმე ნავლად ვიბლიან-  
მა განძეულობა... ახლა თქვენ რა გინდათ?

**გურანდა**

შეუღლება გვინდა. ბიმურზ...

**სოთრან**

თქვენი კურთხევა.

**ბიმურზ**

ჩემგან რომ ძნელია ამის ჩადენა?

**გურანდა**

მაგ სიძნელეს ამის სიმძიმე შეანელებს.

**ბიმურზ**

შეხე ეშმაკსა... ჰოდა რა არის ახლა ვიხსენებ... ძველად სვანეთში ბი-  
მაშვილები ირთავდნენ ერთმანეთსა... მათ ვინმე წარჩინებულთაგანი  
აქორწინებდა... კარები ჩაკეტეთ. ჩაკეტილია? დადექი აქ... დაიჭით  
ეს სანთლები. მე ვიწყებ ჯვარის წერას: გურანდა! გსურს თუ არა  
შეეუღლო არგიშდის ძის ძეს სოთრანსა?

**გურანდა**

რას მეკითხები? როგორ არ მსურს... მაშ მე ჭენჭებში რისთვის გა-  
მოვიპარე?

**ბიმურზ**

შე სულელო! წესია ესეთი. ხუცესმა უთუოდ უნდა ჰკითხოს.

**გურანდა**

ჰოო!

**ბიმურზ**

სოთრან! გსურს თუ არა შეირთო არგიშდის ძის ასული გურანდა?  
თქვი --- "მსურს".

**სოთრან**

მსურს!

**ბიმურზ**

ახლა დასხედით--- ერთიმეორეზე გადაგაბამთ... ახლი გვირგვინსაც  
დაგადგამთ. (მოიტანს ვაზის რგოლებს, თავზე დაადგამს). ლოცვა იერუსა-  
ლიმისა, მათი ჯვართა, მათი პირითა... გაკურთხოთ და შეგაუღლოთ  
უკუნითი უკუნისამდე მონა და მხევალი ღვთისა სოთრან და გურან-  
და. კვართი კვართალი, ვაჰანდელეს, ექს-მელექს, ფარა მოწაფეთა  
ძისთა. იამენ. (კარებზე ბრახუნნი). დაიცადეთ, მდევარია! ჩააქრეთ სან-  
ლები. ადით ზევით.

იე  
არგიშდისას

არგიშდი

თუ გინახავთ თქვენ ბერიკაცი ესე დასჯილი, ვით მე ვარ ახლა?  
თავსლაფდასხმული, შერცხვენილი, ყელგამოჭრილი... გელახსანი  
მიდის თეთნულდზე. მას ხელს არ უშლის სამართალი, ხელისუფლე-  
ბა! მე რომ მივმართე ამ სამართალს, შეურაცხმყო, პირში დამცინა  
ეს არ მაკმარა, სატუსალოც მაგემებინა და არ მაცალა ჩემის ხელით  
შური მეძია... მიდის გელახსან და მას გზაში ვედარ შეაფერხებს  
ჩემს სამაგიეროდ მიჩენილი შურისმგებელი. სოთრანმა საქვეყნოდ  
თავი მომჭრა, ცოცხლად დამარხა თავის თავიც და დიადი დავალება-  
ნიც... ოი, გურანდა! შენ გიგლოვო, შენ, რომელმაც ლაფი დაასხი  
ჩემს ჭადარას? დაგმე ოჯახის სიმტკიცე და შეურყევლობა... უმან-  
კოება და სიწმინდე ანგელოზისა?.. ვით ძუკნა ძაღლი შენ ყოფილ-  
ხარ ამძუკნებული და არ დაზოგე, მრუშობისგან გაგიჟებულმა, სი-  
სხლი და ხორცი, ღვიძლი შენი... ფუი, დიაცო!

ციქვლიდ

იჰ, ციქვლიდ, ციქვლიდ!.. მოხველ დამცინო, გაიხარო ჩემის უბედუ-  
რებით?

ციქვლიდ

არა ვიცი რა. მოველ გავიგო. სად არის სოთრან? რად უღალატა ან  
სიტყვას ან მოვალეობას?

არგიშდი

ვის უღალატა?

ციქვლიდ

თეთნულდზე ასვლას.

არგიშდი

შენც მაგას ჩივი? მაგრამ შენ სხვაგვარ... მე კი არ ვჩივი - ზარ  
განხდილი ვარ! ცა რისხვით ჩემზე გადმოზრუნდა... ცოდვა მეკითხა!

ციქვლიდ

რა მოხდა რა?

რძალი

სოთრანმა გურანდა მოიტაცა და მიიძალა.

ციქვლიდ

მისი ბიძაშვილი?

არგიშდი

რას კითხულობ. ციქვლიდ... ან რად გიკვირს... შენი ბრალია! თქვენი ბრალია ნასწავლების! გარყვენით ხალხი, მას წაართვით ოჯახი, რწმენა! აღარც ზნეობა და სიწმინდე ნათესაობის! გვანგრევთ და გვაქცევთ... აი, ინგრევა ჩემი სახლიც, აქამდე რომ სიმტკიცით იდგა.

### **ციქვლიდ**

არგიშდო! აქ ზნეობის შერყვნილებას ადგილი არ აქვს, არც ამ დროის მოტანილია. ეს მუდამ იყო, არის ხანა ახალგაზრდობის, როს დაწყვილება მოურევნელად მოუნდებათ.

### **არგიშდი**

და-ძმას, შე კაცო?

### **ციქვლიდ**

ჯერ ერთი და-ძმა არ არიან ერთიმეორის, ბიძაშვილები სხვა ქვეყნებში ახლაც უღლდებიან, ჩვენშიც ყოფილა... ნასწავლებს კი რას ერჩი შენა და ან ამ ხანას? განა ვინმე ქადაგობს ზნეობის შერყვნილებასა... პირიქით!

### **არგიშდი**

სცრუობ, ციქვლიდ! ჰაერს მოაქვს ეს ახალი სენი, იგი ჰაერში დაფრინავს, სწამლავს მას და აი, ჩვენი მამრთელებელი მთის ჰაერიც მოწამლა, შებილწა ჩვენი ღვთაებანი, შერყვნა ჩვენი ადათი და ჩვეულებანი, დაამხო მამაპაპისეული სინდისი და ქველობა... ოი, ჩამქოლეთ!

### **ქორი**

არგიშდი, ეგრე ნუ წუხდები!  
ნუ დაუძღურდები!  
ზომების მიღება გმართებს!

### **არგიშდი**

დიახ... მართალია! მესმის ხმა ჩემი სინიდიისა! აღარ მარგებს სივალალე... კვლავაც უნდა ზომებს მივმართო... მოახსენე შენს მეგობარს, იმ უღირსი კაცის მეუღლეს და მის როკაპ დედას დიგორხანსა, რომ მე თუმცა სხვაფრიე შემარცხვინა, მაგრამ გულით ვხარობ, რომ სოთრანმა თავისი სიძარჯვე ვერ მოიხმარა. გელახსანს გადაეცი, რომ იმელი მაქვს თეთნულდისაკენ მიმავალ მეთაურს კარგი არ მოუვა და ვერ მიაღწევს საწადელს.

### **ციქვლიდ**

ამის მოციქულად არ გამოვდგები... მხოლოდ კიდევ გირჩევ: ნუ ბორგავ ცუდუბრალოდ, ანგარიში გაუწიე დრო და ჟამსა...

### **არგიშდი**



დიდი ხანია შენი რჩევა აღარ მჭირდება!

### **ციქლიდ**

კარგად გამყოფოს. (გადის)

### **არგიშდი**

აბა, ახლა ჩემო ოჯახო! კმარა წუწუნნი! არ გავიგონო ამიერთ არც ერთი დრტვინვა... საქმეს შეუდექით. ერთი თქვენგანი წავა ბიმურ-ზასთან და გადასცემს, რომ ჩვენს წმინდანებს შეავედროს ჩვენი თავი, ჩვენი ოჯახი... ამიერთ მაინც დაგვიფაროს მაცდურებისაგან. რაც გადარჩა, ის მაინც ვიხსნათ. დანარჩენი ახალგაზრდები დაუყოვნებლივ მოედებიან ოთხიკვუთხივ მთელ სვანეთს და მოსძებნიან ოჯახის შემარცხვენელს უღირს შვილებს. მხოლოდ ცოცხლები კი მომგვარეთ ორთავენი, ღირსეულ სასჯელს აქ მიიღებენ... აბა, შეასრულეთ! შენ კი, ჩემო რძალო! მოიწვიე გულთმისანი ჩვენი ილყანი და შეალოცვინე, რომ გელახსანს გზა შეუკრას. ახლა დამტოვეთ, ჩემ ღმერთთან მინდა დავრჩე. თავი მეტად დამძიმებული მაქვს.

### **ივ**

### **გელახსანისას**

ამ სცენის დროს, მის პირველ ნახევრამდე დროგამოშვებით მოჩანს როგორ სრულდება არგიშდის ოჯახში რიტუალი შელოცვისა.

### **დღემბურგ**

მაშ, ეს არის ამინდს რომ უჩვენებს? (ხელში ბარომეტრი უჭირავს)

### **გივერგილა**

საოცარი რამ კი ყოფილა!

### **იშმაგ**

ესე პატარაა, ესე მრგვალი და რეები სცოდნიას

### **დღემბურგ**

ღმერთის მაგივრობასა სწევს.

### **ორბინე**

ყანის მუშაობისათვისაც გამოდგება, არა, ლაჰილ?

### **ლაჰილ**

რასაკვირველია, ყოველთვის წინდაწინ იცის ამინდი საით იხრება.

**დღემბურგ**

მაშ, ახლა გელახსანს კარგი ამინდი უდგას?

**ლაპილ**

ნამდვილად. ხვალისათვის კარგი ამინდია... ჩვენის გამოანგარიშებით ხვალ მიაღწევს კიდეც თვით მწვერვალსა.

**გივერგილა**

ხვალ?

**იშმაგ**

ნუთუ ხვალ?

**ლაპილ**

ასე უნდა ვიფიქროთ.

**დღემბურგ**

რა კარგია!

**ლაპილ**

დიახ, სამი დღის შემდეგ გელახსანი სახლში იქნება და ჩვენ ყველანი ერთად ვიდღესასწაულებთ გამარჯვებას.

**გივერგილა**

ნუთუ სამი დღის შემდეგ?

**ლაპილ**

რა არის, გივერგილ, რომ შენ ყველაფერზე ეჭვი შეგაქვს? შენ ისიც არა გწამს, რომ ავლენ მწვერვალზე!

**ორბინე**

მართალია... მაგას ისიც არ სწამს, რომ ყანსავი მას გაჰყვებოდა.

**იშმაგ**

ბოლოს ხომ ირწმუნა.

**ლაპილ**

ახლა ის არ სწამს, რომ სამი დღის შემდეგ დაბრუნდებიან.

**დღემბურგ**

მაგას წიგნში დაწერილისაც კი არა სჯერა.

**ლაპილ**

როგორ თუ წიგნში?

**დღემბურგ**

მე მაგას ვარწმუნებ, რომ წინათ სვანეთის საჭიროებაზე ძალიან ცოტა რამ იხარჯებოდა, ახლა კი სვანეთს დიდი ყურადღება აქვს-მეთქი მიქცეული.

**გივერგილა**

აბა, ეგ სადა სწერია, სად?

**იშმაგ**

მეც წამიკითხავს.

**ორბინე**

ოო, იმაში?.. იქ ჩვენზე ბევრი რამ სწერია.

**გივერგილა**

მე ეგ არ მინახავს.

**დღემბურგ**

იმის სია თუ ჩვენზე რა იხარჯება. მე გადავწერე და წავუკითხე კიდევ ჩვენ სოფელს.

**გივერგილა**

აბა, მაჩვენე!

(შორიდან მოისმის შესაზარი ყვირილი).

**ლაჰილ**

რა მოხდა?

**გივერგილა გარბის**

რა საზარელი ხმა მოისმა? ქალებიც გაჰკვივიან... ნეტა რა მოხდა?

**იშმაგ**

ჩვენში ეგეთი ჩვეულებაა.

**ორბინე**

როდესაც ვისმე სიკვდილს გაიგებენ.

**დღემბურგ**

მაშინ მიცვალებულის ჭირისუფლები გაჰკვივიან...

**ლაჰილ**

ხმა თითქო ჩვენი სახლიდან მოდის.

**იშმაგ**

გივერგილ გეტყვის.

**ლაჰილ**

ნუთუ რაიმე მოხდა?

**ორბინე**

გივერგილა მორბის.

**დღემბურგ**

მასთან ორი კიდევ.

**ლაპილ**

ნუთუ? შეუძლებელია.

გივერგილა აქვითინებული შემორბის და ლაპილის წინ მუხლებზე დაეცემა.

**ლაპილ** (გაქვავდა).

რა იყო, გივერგილა?

**გივერგილა**

იშმაგ და ორბინე ლაპილს აქეთ-იქით ხელს მოჰკედებენ

**ლაპილ**

(გაკვირვებული მათ ჩამოიშორებს).

არაფერი გამეგება... რა მოხდა?

აღმასკომის თავმჯდომარე და ყანსავ

**თავმჯდომარე**

ლაპილ... ლაპილ... ვაი ჩვენ... აღარ გვყავს გელახსან!

ძმები ლაპილს ისევ ხელს ჰკიდებენ.

**ლაპილ**

თავი დამანებეთ! არა! მე სახეს არ დავიკაწრავ და არც თმებს ჩამოვიშლი! როგორ იყო, რა იყო?

**თავმჯდომარე**

აგერ ყანსავი! მან მოიტანა ეს საზარელი ამბავი.

**ლაპილ**

(თითქოს თვალეში სიხარულმა გაუბრწყინაო, მიუახლოვდება. ხელს მოჰკიდებს).

ოო, ყანსავ! შენა? სად დასტოვე გელახსანა? რა დაემართა?

**ყანსავ**

ჩვენ მივალწიეთ თეთნულლის მესამე ფერდობს, ყველანი აღფრთოვანებულნი და ხალისიანად ვიყავით, მზიანი დღე იყო და კლდეც არც ისე ქარაფოვანი გვედგა წინ. მივდიოდით მტკიცედ და მხიარულათად. გელახსანი წინ მიდიოდა, ერთი მეორეზე გადაბმულები არ ვიყავითო, რადგან ამაზე ბევრად უთრო საშიშარი ადგილები უთოკოდ გავიარეთ...

**დღემბურგ**

ნუ აჭიანურებ... თქვი ჩქარა რა მოხდა?

**ლაპილ** (ჯიუტად)

აცალე, დღემბურგ!

**ყანსავ**

უეცრად ერთი გამყოლი, რომელიც სწორედ გელახსანის შემდეგ მიდიოდა, საცოდავი ყასბულათი, წაბარბაცდა და ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

(ლაპილ ისე დამაბულად ისმენს თითქო თვითეულ სიტყვას ჰყლაპავსო)  
ჩვენ გასამხნევებელი დავცით ყიჟინა, მაგრამ ეტყობა, რომ ყასბუ-  
ლათმა.. წამოდგომა ვერ მოახერხა, რადგან მეორე ფეხიც დაუცურდა.  
ამ დროს გელახსანი ელვის სისწრაფით მობრუნდა და მის წინ წე-  
რაქვით საფეხური ამოულრუტნა. ყასბულათმა ჩადგა შიგ ფეხი, მაგ-  
რამ თავი მაინც ვერ შეიმაგრა და გელახსანს ხელი გაუწოდა, გე-  
ლახსანმაც ხელი ჩაავლო და თავისკენ მიიზიდა, მაგრამ ეტყობა  
ყასბულათმა ისე ძლიერად ჩასჭიდა ხელი, რომ გელახსანსაც ფეხი  
დაუცურდა და... ორთავენი უფსკრულში გადაიხაფრნენ.

**დღემბურგ**

ვაიმე!

**თავმჯდომარე**

საშინელი ამბავია.

**ლაპილ**

შემდეგ იქ... უფსკრულში?

**ყანსავ**

იქ ძნელია გადარჩენა. ვერავინ ვერ გაბედა მათ საძებრად წასალა.

**ლაპილ**

სოთრანი კიდევ არ მოინახა?

**თავმჯდომარე**

საკვირველია, სად გადაიკარგა ეგ ყმაწვილი? მას მისი ბაბუა არ-  
გიშდიც ეძებს. მან ხომ ქალი გაიტაცა. მისი ბიძაშვილი.

**ლაპილ**

ქალი? ის სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს.

**გივერგილა**

ხედავთ, ლაპილ შურს იძიებს.

**იშმაგ**

ლაპილში ჩვენმა მთებმა გამოიღვიძა.

**ლაპილ**

ეს რა არის? საით მიდიან? თან რა მიაქვთ?

**დღემბურგ**

დიგორხანია და სხვა ქალები.

**იშმაგ**

მიჰყავთ მამალო. მიაქვთ ჩანგი, მიქვთ გუდა.

**გივერგილა**

ისინი მიცვალებულის სულს გამოიწვევენ.

**ყანსავ**

ესეთია წესი. მივლენ უფსკრულის პირას, სადაც დაიღუპნენ უბედურები და თუ გაიბერა, მიცვალებულთა სული ცხონებულია.

**ლაჰილ**

ააჰ, ველურები!

**თავმჯდომარე**

დროა წასვლისა, დღეს სადამოთი აღმასკომში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. წავიდეთ, ყანსავ. (გავლენ).

**ლაჰილ**

ძმებო გიყვარვართ?

**ძმები**

ოო, ლაჰილ, ლაჰილ!

**ლაჰილ**

მაშ, წადით და გელახსანი თავის ამხანაგით უფსკრულიდან ამოიყვანეთ.

**გივერგილა**

წავიდეთ, ძმებო!

**იშმაგ**

სიხარულით.

**ორბინე**

ლაჰილისათვის?

**დღემბურგ**

ისე წავალ, როგორც ქორწილში...

**ლაჰილ**

თქვენ იმედი მაქვს.

(ძმები გავლენ. პაუზა).

მაშ გელახსან... მიტო, მიტო! ეს მართალია? შენ უკვე აღარა ხარ? ოჰ, რა ბნელა, რა ბნელა!

(ჩაიკეცება).

**იზ**

## უფსკრულის პირას

ჩანგზე უკრავენ. გუდა ჰკიდია. მამალი წამოქოჩრილა. მამაკაცები ფეხმორთხ-  
მით სხედან. პაწია ქერახსებით არაყსა სვამენ და ჩუმად იცრემლებიან. დი-  
გორხან მოთქვამს.

### დიგორხან

შავი ზეწარი გადაეფარა სამუდამოდ, შვილო ჩემო, შენი მზე ჩაეს-  
ვენა...

### მამაკაცები

ვალალ, ვალალ!

### დიგორხან

როგორ მოისურვე შენ, შვილო და, ბატონო ჩემო, უწესო საქმის  
ჩადენა? ნუთუ შენს ნათელ გონებას და წმინდა, უმზაკვრო გულს  
მოუნდა წმინდა თეთნულდის შეხება?

### მამაკაცები

ვაი ჩვენ, ვაი!

### დიგორხან

შენ დაგვტოვე ჩვენ მარტონი და მტრის ნიშნის მოსაგებად გაგვხა-  
დე. შერცხვა ჩვენი ოჯახი, სიამაყე და სიხარულო ოჯახისავ, ჩემო  
გელახსან!

### მამაკაცები

ვალალ, ვალალ!

### დიგორხან

განა ასე ახალგაზრდა უნდა მიწადქცეულიყავ და ჩემს ბებერ ცრემ-  
ლებს უბდა დაეტირე, შვილო ჩემო? ვაიმე! მერე სად? შენი მშვე-  
ნიერი სხეული უნდა ისე გაიხრწნას, რომ საყვარელმა ხელმა ვერ  
მოგიალერსოს, ყვავ-ყორნების საგლეჯი უნდა გახდე, შვილო?

### მამაკაცები

ვაი, გელახსან, ვაი!

### დიგორხან

მე ველარ ვნახავ შენს ლამაზ თვალებს, ირგვლივ რომ ბედნიერება-  
სა ჰფენდა. ისინი მე ველარ დამიტირებენ... ისინი ველარ იხილავენ  
სააქაოს, ამ ქვეყანას, შვილო! ველარ მოუალერსებენ მის საყვარელ  
ცოლს, უნაზეს ლაჰილს... რად, რად მიგვატოვე ყველა შენიანი,  
ჰოი, გელახსან!

### მამაკაცები

ვაი ჩვენ, ვაი!

### დიგორხან

უპატივცემულოდ წახველ ჩვენგან სამუდამოდ. სიცოცხლეში კი ვინ  
იცის რა სახელი და დიდება მოგელოდა! დაგვტოვე მარტო მტრის

ანაბარა... ძუძუები მტკივა, შვილო შენს დამკარგავს. შევიწროვდა გული და ვერ გამომითქვამს მწუხარება ჩემი ულეველი... იტანჯე, გულო, გაწვალდი და გაჯახირდი... დეე, შენი სიმები დაწყდნენ სულ ერთიანად...

### მამაკაცები

ვალალ, ვალალ!

იწ

### არგიშდისას

### არგიშდი

ო, იხარებს ჩემი გული, იხარებს ჩემი ოჯახი... იღიმება კედლები ჩემი სახლისა და სიხარულის შუქი ადგია ჩემი კოშკის თეთრ ქონგურებს. ყოველგვარი მწუხარება დაჰფარა ამ სიხარულმა. დაეცა მტერი, დაიღუპა, გადაიხაფრა... განადგურდა მტერი ჩემი ოჯახისა, შეურაცხმყოფელი ჩვენი ჩვეულებისა, გამტაცებელი ჩემის ნაშიერისა, ჩემი შვილიშვილი ლაჰილისა. დაიღუპა კაცი, რომელს უნდოდა ფეხით გაეთელა ჩვენი წმინდა თეთნულდი. ის მიდიოდა სპეტაკ მწვერვალისკენ... ჰოი, ჩვენი უბიწო მთების ღვთაებაო, შენ შეიმინე შენი მონის არგიშდის ვედრება. შენ ყურადილე კვნესა მისი სულისა და არ მიეც ნება, რომ ბოროტ კაცს შეეხილწა ჩვენი რწმენა, ჩვენი წმიდათა-წმიდა, რაიც ჩვენა გვწამს უხსოვარ დროიდან ჩვენ წინაპართაგან... იხარე, გულო, ინეტარე სულო ჩემო! დღეს უდიდესი დღესასწაულია, დღეს ზეიმობს არგიშდი! მტერი მიწაზეა განრთხმული... მან ვერ მიაღწია მწვერვალს, უფსკრულში გადაიხადრა!. ასე დაიღუპება ყველა ის, ვინც კი თავის უღირს ხელს გაიწოდებს ჩვენი მთების უბიწოებისაკენ. მინდა ვიცინო, ვიხარხარო! ვამცნო უშბას, ვაუწყო ლაქუცას, შევძრა ჰისტოლა, ვამო აილაშას, ჯინგითაურს, ლალვორსა და ტიხტენგენს, რომ უფსკრულს გადაიჩეხა ჭიალუა მათკენ რომ მიხობავდა! მინდა ვიმღერო ვიმღერო ისე ძლიერად, რომ ჩვენმა მთებმა მითხრან მოძახილი... მინდა ამ ჰანგით გავაყრუო მთელი ქვეყანა, რომ ყველამ იცოდეს: ჩვენ არსაით არ ვიმვრით, არსად არ მივდივართ და ნურც ისინი მოდიან ჩვენკენ. ხალხო, დაუკარით საზეიმო, მოიტათ ჩანგი, წინწილა, სანთური და ბარბითი. იცეკვეთ, გაიხარეთ!

### ქორი

არგიშდი! რა მოგდის?

### არგიშდი

ჰკუიდან შევიშალე, გავგიჟდი, მხოლოდ ეს სიგიჟე სიხარულისაა!

### ფარდა

### მოქმედება მეხუთე



ით

**გელახსანისას**

**გივერგილა**

თურმე რა დიდი კაცი ყოფილა ჩვენი გელახსანი?

**დღემზურგ**

გაიგონეთ, რაც თქვა მთავრობის წარმომადგენელმა?

**ორბინე**

თბილისიდან რომ ჩამოვიდა?

**იშმაგ**

მე მაინც ის მინდა ვიცოდე, მართლა დაგვაჯილდოვებენ?

**დღემზურგ**

უუჰ, რა ანგარი ვინმე ხარ, იშმაგ!

**ორბინე**

ვს ჩვენი ლაჰილისათვის გავაკეთეთ.

**გივერგილა**

ლაჰილი რომ არა, მე ფეხსაც არ დავადგამდი.

**იშმაგ**

ეგ ცხადია, პირველად მე ვთვექვი: სიხარულით-მეთქი.

**დღემზურგ**

მაშ, სხვა რაღა გინდა?

**იშმაგ**

არა, მაინც! ჩვენ კინალამ დავიღუპენით იმ უფსკრულში.

**ორბინე**

ოჰ, ოჰ, ოჰ! რა კლდეებია! ერთგან ძალიან გაგვიჭირდა მიცვალებულის ამოტანა.

**დღემზურგ**

ვინ იყო ფეხი რომ დაუცურდა?

**გივერგილა**

შენი ბრალია, თორემ მე ფეხი დამიცურდებოდა?

**დღემზურგ**

ჩემი კი არა, შენი, შენ ისე ძლიერად დამეტაკე, რომ რაღაც ფესვე-  
ბისტვის ხელი არ წამევილო, მიცვალეზულიც და მეც ორთავენი გა-  
დავიჩეხებოდით.

**ლაჰილ**

**ლაჰილ**

თქვენ აქა ხართ, ძმებო?

**ორბინე**

რას გვიბრძანებ?

**ლაჰილ**

თქვენი გმირული საქციელისათვის მთავრობამ დაგაჯილდოვათ.

**გივერგილა**

ოო, ლაჰილ, ლაჰილ!

**ლაჰილ**

წადით და მიიღეთ... მხოლოდ მე... მე... ვისა ვთხოვო... დანკრგს  
ვინ ამინაზლაურებს?

**გივერგილა**

შენ უნდა შური იძიო.

**იშმაგ**

შენ სვანის ქალი ხარ, ლაჰილ.

**ორბინე**

შენში მთებმა უნდა გაიღვიძოს!

**ლაჰილ**

შური ვიძიო? ვისზე? სად?

**გივერგილა**

მე ვიცი ვისზედაც.

**ორბინე**

იმაზე, ვინც შენი ქმარი დაღუპა.

**იშმაგ**

ვინც გელახსანი დაწყევლა.

**გივერგილა**

ვინც იგი გაზაკვა.

**ორბინე**

ვინც მუხლში ძალა გამოუღია და ხელში ღონე.

**ქორი**

თეთნულდი კვლავ მიუვალა.  
თეთნულდი კვლავ შეუხებელია.  
თეთნულდს ჯერ კაცის ფეხი არ გაჰკარებია.

**ლაჰილ**

დიახ... მართალია, მე თეთნულდზე უნდა ვიძიო შური მე უნდა  
ავიდე თეთნულდზე და მაშინ მომირჩება გულის იარა.

**გივერგილა**

ახლა შენ გინდა თეთნულდზე ახვიდე?

**იშმაგ**

თეთნულდზე შური იძიო?

**ლაჰილ**

დიახ, მე უნდა დავადგა ფეხი მის თეთრს და სპეტაკ მწვერვალს...  
მხოლოდ მაშინ... სწორედ მაშინ გაცოცხლდება გელახსან...

**დღემბურგ**

მაშ, წახვალ?

**ლაჰილ**

უკანმოუხედავად! თქვენ არ წამოხვალთ ჩემთან მეგობრებო?

**იშმაგ**

თეთნულდზე, ლაჰილ?

**გივერგილა**

ლაჰილ, გჯეროდეს სიწმინდე თეთნულდისა.

**ორბინე**

იგი წმინდათა სავანეა.

**იშმაგ**

იქ კაცი ფეხს ვერ მოიდგამს.

**ლაჰილ**

უჰ, მშიშარები... ლაჩრები!

**დღემბურგ**

ნუ იტყვი მაგას, მოვდივარ.

**ციქელიდ. ყანსავ**

**ლაჰილ**

აი ყანსავიც, როდის შეგვიძლიან დავიძრათ?

**ყანსავ**

თუნდა ხვალ, თუ ამინდი იქნა.

**ორბინე**

ძმებო, ნუთუ ჩვენ ჩამოვრჩებით?

ლაპილისათვის თუნდ ჯოჯოხეთში წავალ. **გივერგია**

და განა მე უარს ვიტყვი? **იშმაგ**

სად მიდიხარ ლაპილ? **ციქლიდ**

მე, თეთნულდზე. **ლაპილ**

ფეხი რომ დაგიცურდეს? **ციქლიდ**

მწუხარება შემაკავებს. **ლაპილ**

თვალთ რომ დაგიბნელდეს? **ციქლიდ**

შურისძიება გამინათებს. **ლაპილ**

უსაზღვრობამ რომ მიგიზიდოს? **ციქლიდ**

სამაგიეროს წყურვილი მიჯნაზე შემაჩერებს. **ლაპილ**

თანამგზავრი რომ დაგეკარგოს? **ციქლიდ**

ჩემი სევდა მას არ გაუშვებს. **ლაპილ**

შურისძიების წყურვილი, სევდა და მწუხარება გიშფოთებს სულსა. **ციქლიდ**

ჰაი, ჰაი! **ლაპილ**

ჩვენ შენთან მოვდივართ, ლაპილ, ლაპილ! **ძმები**

**კ**  
**არგიშდისას**

**ბედან**

სოთრან ჯერ კიდევ ვერ მოუძებნიათ. გულით კი უნდათ, რომ დასაჯონ.

**არგიშდი**

ვინა სჯის იმას.

**ბედან**

ადგილობრივი ხელისუფლება.

**არგიშდი**

აჰა, ჩაერია ჩემს საქმეში?

**ბედან**

არა, მას სულ სხვა საქმეებს აბრალებენ.

**არგიშდი**

რას აბრალებენ?

**ბედან**

ერთი რომ გელახსანს უღალატა და თან არ გაჰყვა, ლაჰილი ამტკიცებს თურმე: სოთრან რომ ყოფილიყო, არც ეს უბედურება შემთხვეოდაო.

**არგიშდი**

სხვა რაღა არის?

**ბედან**

გამოქვაბულში რაღაც ოქროები უპოვნია და არ განუცხადებია.

**არგიშდი**

ოქროები?

**ბედან**

ბიმურზა მოდის.

**ბიმურზა**

**არგიშდი**

ოჰ, ავო კაცო! პირშავო ჩემთან! როგორ მოდიხარ?

**ბიმურზა**

სინანულმა მომიყვანა შენ კარიბჭესთან.

**არგიშდი**

ვითომ რას იტყვი?

**ბიმუროზ**

ჩემზე არასა გთხოვ, შეიწყალე ახალგაზრდები!

**არგიშდი**

ჩემს ხელთ არ არის შეწყალება, უზენაესი დასჯის ყველას, ეინც კი გადახდება მის მცნებას და მის კანონებს!

**ბიმუროზ**

სოთრანს დასჯიან სულ სხვა გზით და სხვა კანონით.

**არგიშდი**

ჩემი გული არ არის ქვა, მაგრამ უნდა გაქვავდეს. ჩემი გონება არ არის მშრალი, მაგრამ იგი უნდა გამოშრეს... უნაზესი ძაფები ჩემს გულს მოწყდა უკვე და მას ვერ გაამთელებს ვერა რა ძალი სამკურნალო.

**ბიმუროზ**

დიდსულოვნება ხომ თან გახლავს?

**არგიშდი**

ჩემი ქვეყანა და ჩემი ზნე არ მიბრძანებს, რომ ამჟამად მე ვიყო დიდსულოვანი... არც შემძლია და არც მინდა!.. ის რაც ანგრევს ჩემს ოჯახს და კერას, რაც მიმღვრევს აზრს და მირყვნის საუკუნოებით გამოკვეთილს ზნე-ჩვეულებას, უნდა ამოშრეს, განიკვეთოს დაუზოგველად...

**სოზარ**

**სოზარ**

მომკალ, ბატონო, მაგრამ სხვა ვერავინ იკისრა მოხსენება და მე კი ვბედავ...

**არგიშდი**

რა არის ეგეთი?

**სოზარ**

ის, რაც ჩვენს ოჯახს არ განუცდია.

**არგიშდი**

კიდევ რამე უბედურება?

**სოზარ**

ქერის ორმოში თაგვი ჩასულა.

**არგიშდი**

ეგ არის მარტო?

**სოზარ**

ვაი, რომ არა...

**არგიშდი**

სთქვი!

**სოზარ**

ნავლად და თამბრი არაყს რომ ხდიდნენ, გადმოუღვრიათ...

**არგიშდი**

სხვა კიდევ რაა?

**სოზარ**

გაბარებული საქონელი, იფარს რომ გვყავდა...

**არგიშდი**

მითხარ თუ ჭირმა გასწყვიტა.

**სოზარ**

არა, ბატონო! მოზიარეები არ გვანებებენ.

**არგიშდი**

ისე დაეცა ჩემი სახელი, რომ მოზიარეებმაც კი ამიგდეს? სხვა არის რამე?

**სოზარ**

დიახ, ამაზე უარესი: ჩემი ძმის ოტის ცოლი გარდაიცვალა...

**არგიშდი**

ოჰ, შე ყიამყრალავ! კვლავ გამოცოცხლდი? ზღაპრისაგან თავი გამოჰყავ! ხორცი შეისხი ჩემი შვილის სახით და ამით გინდა შემაკაო? ვერ მომატყუებ: ყიამყრალა ხარ და არა ჩემი ღვიძლი შვილი... (მივარდება, აკავებენ).

**სოზარ**

მამავ ბატონო! ღირსი ვარ ყოვლის, შენი წყევლის, მაგრამ, რაცა ვთქვი, საუბედუროდ მართალია!

**ბიმურზ**

კარგი, გაუშვით. გასწი, სოზარ, ნუ ეჩვენები... არგიშდი, სიმშვიდე გმართებს.

**არგიშდი**

ჰე, ჰე! მე მშვიდად ვარ... აი სულ მშვიდად! ას რომ ახლა შეგიძლია მესაუბრო უცხო საგნებზე.

**ბიმურზ**

უცხო საგნებზე საუბარი მე არც ძალმიძს და არც მოვსულვარ მაგისთვის. მხოლოდ შენ შეგიძლია, რომ დაიხსნა შვილიშვილები...

**არგიშდი**

შვილიშვილები? სად მყავს ისინი? გეკითხები, სად მყავს ისინი?

**ბიმურზ**

სოთრან, გურანდა...

**არგიშდი**

ხმა! ერთი კრინტი!.. მე მათ ვერ ვიცნობ... ჰო, ოდესღაც კი იყვნენ ბავშვები, უმანკონი, უბიწონი...

**ბიმურზ**

სოთრან გიყვარდა.

**არგიშდი**

ჰო, მე მგავდა.

**ბიმურზ**

გურანდა კი ბებიაშისა.

**არგიშდი**

მერმე რა იქნენ? აღარ მახსოვს რა მოუვიდათ? ჰოი, გურანდა! თვალისჩინი! ხომ ისევ ისე ლამაზია? -

**ბიმურზ**

მშვენიერია... გაიფურჩქნა, გადაიშალა და გონებითაც ძლიერია, ბრგე, ახოვანი.

**არგიშდი**

ასე ვფიქრობდი, სწორედ ესე მეგულებოდა.

**ბიმურზ**

ვერ წარმოიდგენ, იმ ოქროების საქმეშია რა დიდი ჭკუა გამოიჩინა, როგორ ბრძნულად იგი მოქმედებს, ვერ შეარყია თვით სოთრანის დატუსაღებამ.

**არგიშდი**

რა სთქვი შენა? ოქროებიო?

**ბიმურზ**

ჰო, ოქროები. აი, არგიშდი... იმდენი არის ეს ოქროები, რომ მითი შენ სულ ადვილად შეავსებ ზარალს, რაც მოგსვლია, სოთრანს და იხსნი და გურანდას მიანიჭებ ბედნიერებას.



**არგიშდი**

მე ქრთამს მამლევე?

**ბიმურზ**

ჰე, ჰე! რა ოხუნჯი ხარ!

**არგიშდი**

ოხუნჯი შენა ხარ და გონჯი ოხუნჯიც!.. მაშ აი შენ რამ აგიბა თურმე თვალები... შენ, რომელიც მე მიმაჩნდი ჩვენი რჯულის ბურჯად, შენ, რომელსაც ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩამოსხმული წინაპართაგან, ისე უნდა დაგეცვა, ვით თვით საბაოთ ღმერთსა... შენ-შიც მოვტყუვდი! ანგარიშისათვის შენ წიხლი დაჰკარ რჯულს, გაჰქელე ადათები, ყური აავლე სისხლის შერევას და ახლა მე მიბედავ, რომ ოქროები შემომამლიო? ოოჰ, თავო ჩემო, რაზომ მოვტყუვდი ამ ცხოვრებაში! ის რაც მწამდა, ყველა დაემხო: თვით რჯულის ბურჯიც თურმე ყოფილა ფუტურო რამ, გამოფიტული; შენიანებმა შენ გაგწირეს, ან ოჯახი თავზე გენგრევა. უსაყვარლესი ნაშიერი გადაგექცა თავის მომჭრელად... უბედურება დასადგურდა თვით შენს კერასთან... ჰოი, ღვთაებავ! ნუთუ შენა გსურს რომ გამომცადო როგორც იობი და ყოველი მხრით მომაყენო მე განსაცდელი.

**ბედან**

**ბედან**

არგიშდი! უფროსი რძალი გეკითხებათ, როდის ინებებთ დაიტიროთ საცოდავი ოტის ცოლიო? ამას გარდა შელოცვის წესის აღსრულებას ხომ არ ბრძანებთო?

**არგიშდი**

შელოცვა რისთვის?

**ბედან**

აკი თეთნულდზე.

**არგიშდი**

კვლავ თეთნულდი?

**ბედან**

დიახ, თეთნულდზე ამ დღეებში ასვლას აპირებს გელახსანის მეუღლე თურმე!

**არგიშდი**

ჰოი, მოზღვავდით, მოიჯარენით უბედურების თქვენ მოციქულნო! ნუ, ნუ მაკმარებთ საოჯახო მე განსაცდელთა, ჩემი ქვეყნის შეურაცხყოფის პირისპირ კვლავ მე დამაყენეთ...

## თეთნულდის მწვერვალი

### ქორი

ლაჰილ უკვე ავიდა შენს მწვერვალზე, თეთნულდ!

### ლაჰილ

შენს სპეტაკ მყინვარს უკვე შეეხო ფეხი ადამიანისა, ფერხნი ქალისა! სირცხვილი შენ! მე ქალმა ვიძიე შური, თეთნულდ! ამიერიდან აღარ ხარ უბიწო და ქალწული!

### გამყოლნი

თეთნულდ, თეთნულდ!

### ლაჰილ

მე აქ შემოვდგი ფეხი და ჩემი ქმარი, ჩემი აქ მოსვლით მკვდრეთით აღსდგა ჩემთვის... იგი ჩემთვის უკვე ცოცხალია. გელახსან ცოცხალია, თეთნულდ! და ახლა მე მსურს ყიჟინა დავცე, მთელს დედამიწის ზურგს, ვამცნო თუ მე, ქალმა, როგორ ვიძიე შური!

### გამყოლნი

თეთნულდ! თეთნულდ!

### ლაჰილ

შენს აქამდე ცივსა და მიუკარებელ უმწიკვლო თხემს უკვე ამშვენებს რევოლუციის ამაყი დროშა. შენი ზვიადი და ამპარტავანი თავიც ჩაიზნიქა მის სიდიადის ზეშედგომით-- ეს დროშა უკვე ლაღად ფრიალებს შენს აქამდე მიუწვდომელს მწვერვალზე.

### გამყოლნი

თეთნულდ! თეთნულდ!

### ლაჰილ

სიხარულისაგან მინდა შენი ველური თხემის მოედანი დაგვოცნო კიდევ უფრო გაველურებულ ჩემი ჟინიანის ფეხებით. მინდა ამ მოლიპულ ყმულზე შენის შეუხებელის ქედისა, ჩემის ფეხებით მოვხაზო საშინელი შურისძიების სიტყვები: თეთნულდ დავიმორჩილე მე, გელახსანის მეუღლემ, ლაჰილ გირანდუყმა... დავიმორჩილე შენ, თეთნულდ, და ეს არის ჩემი შურისძიება!

### კბ

### აღმასაომთან მოედანზე

(ბუკს აყვირებენ ხალხი ნელი-ნელ იკრიბება)

### თავმჯდომარე

ამგვარად, ამხანაგებო, დღეს ემცნო მთელ დედამიწის ზურგს საამუ-

რი ამბავი თეთნულდზე ადამიანის ასვლისა და მხიარულებისაგან ზანზარებს დედამიწა! დღეს ეუწყა მთელი ქვეყნის დაჩაგრულთ, რომ დროშა სიმართლისა, დროშა მრისხანე რევოლუციისა აღიმართა უმწიკვლო, ყინულოვან ქედზედაც... თქვენთან ერთად იხარებს საუკეთესო ნაწილი კაცობრიობისა და აი, ამის ნიშნად დღეს მოგივიდათ თქვენ იფქლი უამრავი, შესამოსელი უხვი, მარილი აურაცხელი.

### ხალხი

- გაუმარჯოს ხალხის გმირებს!
- გაუმარჯოს თეთნულდზე ასულთ!
- თეთნულდის დამთურგუნველებს!
- გამარჯვება მათ!
- გამარჯვება კი არა სირცხვილი!..
- ვაი, ჩვენ!
- ვაი, თეთნულდს!
- ხედავ აგერ არგიშდი მოჰყავთ!
- არგიშდო, არგიშდო!
- ჩუმად, ყური დაუგდეთ!
- თავმჯდომარე ლაპარაკობს, თავმჯდომარე!

მოედანზე ხალხი ორად გაიყოფა, უმრავლესობა უსმენს თავმჯდომარეს, მეორეს მხრით კი ქორის წევრებთ შემოჰყავთ არგიშდი და მის წინ შეჯგუფდება რამდენიმე

### არგიშდი

(ქორის წევრებს უკავია)

იღარა ღირს სიცოცხლე! ეშმაკები და ჭინკები დაეპატრონენ ჩვენს თავს, ჩვენს მთებს და ამ მთების ამაყ სულსა. ვაი, თეთნულდ!

### ქორი

თეთნულდ, თეთნულდ!

### არგიშდი

თეთნულდ, შენც მიუვალო და შეუხებელო. შენ ტახტო ჩვენი შეუვალლობისა, ვაი, შენდა, რამე თუ სირცხვილეულ იქმენ. ქალმა ფეხი დაგადგა... შენი სპეტაკი ჭადარა შებღალა ცთუნებისათვის გაჩენილმა... ვაი, შენდა!

### ქორი

თეთნულდ, თეთნულდ!

### არგიშდი

შეიბღალა სიწმინდე პირვანდელი, სახე წარუყვნელი და სისპეტაკით შეჯავშნული სხეული შენი. უწმინდურმან ბარძაყებმა გადაგალაჯეს და აგართვეს ნამუსი საუკუნოვანი.

**ქორი**

ვაი, თეთნულდ, ვაი!

**არგიშდი**

დაგვმარხე ჩვენცა და შეგვბილწე ჩვენც შენი სიწმინდის მორწმუნენი... რაღანი ვართ ახლა, ოდეს განვიძარცვენით ჩვენი რწმენისაგან და თეთნულდი აღარ წმინდანობს ჩვენთვის...

**ქორი**

თეთნულდ, თეთნულდ!

**არგიშდი**

ფუჭია ამიერიტ ჩვენი ცხოვრება! სიმტკიცე ჩვენი დამსხვრეულ არს, სიწმინდე ჩვენი შეგინებულ; აზრი ჩვენი დარღვეული, ზნენი და ჩვეულებანი ჩვენი დამხოვილი... აღარა ღირს სიცოცხლე, არა აქვს მას ნიშატი არსობისა...

**ქორი**

ვაი, შენდა, მთაო შემწიკვლულო!

ვაი, ჩვენ განადგურებულთა!

**თავმჯდომარე**

(განაგრძობს თავის ჯგუფში)

მომავალში მოგივათ სინათლე! აქ შემოვა გზები რკინისა და ფოლადისა. აქ აგუგუნდება მანქანები, რომლებიც მოგიტანენ თქვენ გამოსადეგ ცოდნას, რაიც შეგიმსუბუქებთ თქვენ სასტიკ ბუნებასთან ბრძოლას, რაიც მოგანიჭებთ ადამიანობას და გაგათანასწორებთ კაცობრიობის მოწინავე რიგებთან.

**ხალხი**

-- გაუმარჯოს!

-- გაუმარჯოს ხელისუფლებას!

**არგიშდი**

ჩემი ოჯახი?.. სადღა არის ჩემი ოჯახი? იგი დაირღვა? იმათ შეუერთდა?

**თავმჯდომარე**

და ვინც ამას დღეს ვერ შეისმენს, იგი დარჩება მარტო ეული, როგორც ეგერ მინდვრად დარჩენილი ფულურო მუხა, ის იმდენად

მიხრწნილია, რომ მისი გამომწვარი და შერუჯული გულ-მკერდი წყემსებსაც ვეღარ შეიფარებს, რადგან მთის გრიგალი და შლეგი ქარი შიგ ლურსმნებივით შეერჭობა მის გაცხავებულ ქერქს. თქეში წვიმა ღვარებად ჩამდინარდება.

### არგიშდი

ვაი, ჩემდა! (თავს იკლავს, ხალხი შედრკება).

### ხალხი

- რა იყო?
- რა მოხდა?
- ვინ ბედავს თოფის სროლას?
- რა დროს ეგეებია?

### ქორი

გარდაიცვალა არგიშდი, უფროსი ძველი ოჯახისა!

### თავმჯდომარე

ეგ არაფერია. ეს იმას ნიშნავს, რომ დაითრგუნა ძველი ცრუმორ-წმუნეობა, რომ უმეცრება წავიდა ჩვენგან.

### კბ

### თეთნულდის მწვერვალი

### ლაჰილ

(შუაშია, გამყოლნი ფერხულს უვლიან)

მე დაგიმორჩილე შენ, თეთნულდ, გელახსანის მეუღლემ, ლაჰილ გირანდუყმა.

ქვევით განათდება ერთი წერტილი, საცა ციქვლიდი ბლოკნოტში იწერს

### ციქვლიდ

ეს მოხდა 1930 წ. საბჭოთა ხელისუფლების დროს!

### ფარდა

1931 წ.